მამუკა გოგიტიძე, ზაზა ჯაფარიძე

სამხედრო კადრების სამჭედლო

(თბილისის სამხედრო სასწავლებლის ისტორია 1862 წლიდან დღემდე)

თბილისი
2018

მამუკა გოგიტიძე, ზაზა ჯაფარიძე

სამხედრო კადრების სამჭედლო

(თბილისის სამხედრო სასწავლებლის ისტორია 1862 წლიდან დღემდე)

თბილისი
2018

დაბეჭდილია საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის
ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბაში

თბილისი
2018

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

მამუკა გოგიტიძე, ზაზა ჯაფარიძე

სამხედრო კადრების სამჭედლო

(თბილისის სამხედრო სასწავლებლის ისტორია 1862 წლიდან დღემდე)

თბილისი
2018

UDC (უაკ) 94(479.22)„1921.02”+355.23(479.22)+378.635.5(479.22)
გ-603

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სარედაქციო კოლეგია:

ვლადიმერ ჩაჩიბაია – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე);

ნუკრი გელაშვილი – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სამართლის დოქტორი (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე);

მალხაზ მაკარაძე – გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი, პოლკოვნიკი;

ლევან მაისურაძე - გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების G-3 სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი;

ზურაბ მჭედლიშვილი – თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი;

კახაბერ ჭაფოძე – დოქტრინების განვითარების ცენტრის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი;

ქეთევან ოსეფაიშვილი – დოქტრინების მომზადების განყოფილების უფროსი;

გურამ ნიკოლაიშვილი – გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი;

გიორგი ბეჟიტაშვილი – ისტორიის დოქტორი;

მამია გოგოლაძე – თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი;

არჩილ ჩაჩხიანი – თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი (პასუხისმგებელი რედაქტორი);

© საავტორო უფლებები დაცულია. **All rights reserved.**

ISBN 978-9941-8-0435-9

100 წელი
საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან

100 YEARS
Of Georgia's First
Democratic Republic

ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მე-100 წლისთავს

ს ა რ ჩ ე ვ ი

სარჩევი----------9

ავტორებისგან----------11

თავდაცვის მინისტრის სიტყვა----------13

რედაქტორის სიტყვა----------15

შესავალი----------17

გზის დასაწყისი----------21

იმპერიის ნამსხვრევებზე----------47

ქართული სამხედრო სკოლა----------63

სამხედრო სკოლის საბრძოლო ნათლობა----------79

ლეგენდად ქცეული ბრძოლა----------87

იუნკრები და სხვები...----------109

თბილისის ოფიცერთა სასწავლებელი 1921-1992 წლებში----------151

დამოუკიდებლობის წლები----------179

რეფორმები----------201

აკადემია დღეს----------211

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...----------227

ავტორთა შესახებ----------233

ბიბლიოგრაფია----------237

რეზიუმე----------241

ავტორებისგან

ძვირფასო იუნკრებო!

საქართველოს და ქართველ ხალხს მდიდარი ისტორიული წარსული აქვთ. დადასტურებული და საყოველთაოდ აღიარებულია ჩვენი ლეგენდარული საბრძოლო ტრადიციები.

საქართველოს სამიათასწლოვანი ისტორია აღსავსეა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ქართველთა უმაგალითო მამაცობითა და გმირობით. სწორედ მისი საამაყო და სათაყვანებელი შვილების სიმამაცემ, გამჭრიახობამ, გონებამახვილობამ, დაუმორჩილებელმა და გაუტეხელმა სულმა სძლია აურაცხელ გადამთიელთა შემოტევებს.

მხოლოდ ისინი, ვინც ძლიერნი იყვნენ ბრძოლაში, დაუდგრომელნი, გამრჯენი და ბეჯითნი, გადაურჩნენ დროის მსახვრალ ხელს, მოსპობას და განადგურებას. არსებობისათვის ბრძოლაში მათ შეითვისეს ომის, გონებრივი და ფიზიკური შრომის მიზანმიმართული წარმართვის მოწინავე ხელოვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეტად საჭირო ნაშრომი განკუთვნილია პირველ რიგში დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკრებისა და გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა ლიცეუმის მსმენელებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის, პროფესიონალი ისტორიკოსებისა და იმ პირებისთვის, ვისაც აინტერესებს საქართველოსა და ქართველი ერის სამხედრო ისტორია. ქართველი ხალხის საბრძოლო დიდების ფურცლები სამზეოზე უნდა გამოვიტანოთ, რითაც, უდავოა, საკუთარ წვლილს შევიტანთ ქართული არმიის პირადი შემადგენლობის სწავლებისა და ცოდნის გაღრმავების საქმეში, გარკვეულ სამსახურს გავუწევთ ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის, სამხედრო ისტორიის მკვლევარებს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია თბილისის უძველესი სამხედრო სასწავლებლის 155-წლიანი ისტორია და ამ სასწავლებლის ევოლუცია ქრონოლოგიური ჩარჩოს მიხედვით 1862-1917, 1917-1918, 1919-1921, 1921-1992 წლებში და 1993 წლიდან დღემდე.

მამუკა გოგიტიძე – საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარე, ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი.

ზაზა ჯაფარიძე – სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი, სოციოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი.

ლევან იზორია
საქართველოს თავდაცვის მინისტრი

თავდაცვის მინისტრის სიტყვა

ძვირფასო იუნკრებო!

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. დავიწყებას არ უნდა მიეცეს არც ერთი ადამიანი, ვინც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ამ სამხედრო სასწავლებლის დაარსებისა და განვითარების საქმეში.

სამშობლო, ღირსება და მოვალეობა, ის ძირითადი ფასეულობებია, რომლებზე დაყრდნობითაც ყალიბდებოდა ქართველ იუნკერთა თაობები XX საუკუნის დასაწყისში. ასე იყო საქართველოს უახლეს ისტორიაშიც, 1992–93 წლებისა და 2008 წლის სამხედრო მოქმედებების დროს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ამით ჩვენ ვაძლიერებთ მოგონებას იმ თავდადებული გმირების წინაშე, რომლებმაც სამშობლოსთვის გაწირეს თავი. ამ გმირებმა გვაჩვენეს მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა დაიცვა სამშობლო. და ამ მაგალითს გვიჩვენებენ ოფიცრები თავიანთი ბრძოლით, შემართებით და პროფესიონალიზმით.

ჩვენ დღეს განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ჩვენი მთავარი მისია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა და ამ მისიის შესასრულებლად მუდმივ რეჟიმში უნდა ვიმუშაოთ. თავდაცვის უწყება, რა თქმა უნდა, ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალთან ერთად ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა რაც შეიძლება მაღალი ხარისხის იყოს, რადგან ჩვენი თავისუფლების დაცვის ხარისხი მტრის შეტევის თავიდან ასაცილებლად სწორედ ჩვენს მდგრადობაში, თავდაცვისუნარიანობაში და სამხედრო მზადყოფნაშია. ამ მიმართულებით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად უმნიშვნელოვანეს პროგრამას, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას ვანხორციელებთ. ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული ენერგიის განმტკიცების საქმეში.

დღევანდელი ეროვნული თავდაცვის აკადემიის მთავარი სლოგანია: განათლება, წვრთნა, პროფესიონალიზმი და გამარჯვება. მისი უმთავრესი დანიშნულება კი, განათლებული, კარგად გაწვრთნილი, ლიდერის თვისებების მქონე მეთაურების ჩამოყალიბებაა – ზნეობრივად, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად სრულყოფილი ოფიცრების მომზადება; ერისა და სახელმწიფოს ინტერესების დამცველი სამხედრო მოსამსახურეების აღზრდა.

გულითა და სულით ვულოცავ ეროვნული თავდაცვის აკადემიის პირად შემადგენლობასა და პირადად მის რექტორს, პოლკოვნიკ ზაზა ჯაფარიძეს, აღნიშნული წიგნის გამოცემას.

ლევან იზორია

საქართველოს თავდაცვის მინისტრი

ვლადიმერ ჩაჩიბაია
საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი,
გენერალ-მაიორი

რედაქტორის სიტყვა

ძვირფასო იუნკრებო!

თქვენ წინაშეა სამხედრო-ისტორიული ხასიათის ნაშრომი «სამხედრო კადრების სამჭედლო (თბილისის სამხედრო სასწავლებლის ისტორია 1862 წლიდან დღემდე)», რომელიც შექმნეს ისტორიის დოქტორმა, პოლკოვნიკმა მამუკა გოგიტიძემ და სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორმა, სოციოლოგიის დოქტორმა, პოლკოვნიკმა ზაზა ჯაფარიძემ.

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარე, პოლკოვნიკი მამუკა გოგიტიძე 2002–2005 და 2008–2010 წლებში მსახურობდა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში. 2018 წლიდან კი, არის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მოწვეული ლექტორი სამხედრო ხელოვნების ისტორიის საგანში.

ბატონმა ზაზა ჯაფარიძემ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მიზნად დაისახა შექმნილიყო ნაშრომი, რომელშიც ქრონოლოგიურად იქნებოდა გადმოცემული საქართველოს უძველესი სამხედრო სასწავლებლის ისტორია. მისასალმებელია, რომ მათი შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს დაემთხვა.

შედეგად ჩვენ მივიღეთ შესანიშნავი ნაშრომი, რომელშიც ქრონოლოგიური თან-მიმდევრობითაა წარმოდგენილი თბილისში არსებული სამხედრო სასწავლებლის ისტორია 1862 წლიდან დღემდე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდში, სწორედ ამ ქართული სამხედრო სკოლის იუნკრები და ნაცვლები (სერჟანტები) იბრძოდნენ მამაცურად რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში მრავალჯერ აღმატებული მტრის წინააღმდეგ კოჯორი-ტაბახმელას მისადგომებთან. სწორედ ისინი იცავდნენ საქართველოს დედაქალაქს მე-11 წითელი არმიის ურდოებისგან და ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან, რითაც კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს საქართველოს მრვალსაუკუნოვანი სამხედრო ისტორიის მატიანეში.

მჯერა, რომ ეს ნაშრომი დიდ ინტერესს გამოიწვევს და სამაგიდო წიგნად იქცევა თქვენთვის. ამასთან თქვენ იხილავთ მრავალ შავ-თეთრ და ფერად ფოტოსურათს, რომლებიც პირველად ქვეყნდება და რომელთა უმეტესობა ავტორთა მიერ წლების განმავლობაში მოპოვებულ მდიდარ საარქივო მასალას წარმოადგენს.

ვლადიმერ ჩაჩიბაია
გენერალური შტაბის უფროსი,
გენერალ-მაიორი

შესავალი

დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი...

დღეს უკვე საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სამხედრო ისტორიის ანალებში დაიმკვიდრა ადგილი კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებმა – ამ ომის ალბათ ყველაზე უფრო ღირსსახსოვარმა ფურცლებმა...

დღეს უკვე სახელოვან ქართველ მეომართა კოჰორტას შეუერთდნენ კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლების უკვდავი გმირები, ახალგაზრდა ქართველი მეომრები – იუნკრები...

დღეს, მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც, რაღაც ამაღლებული და ერთგვარი საკრალური დატვირთვაც კი შეიძინა ქართველი ერისათვის სიტყვა ,,იუნკერმა". იგი ქართველი მეომრის თავდადების, ღირსებისა და პროფესიული მოვალეობისადმი ერთგულების ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა.

და დღეს უკვე დადგა ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა და ჭეშმარიტი ისტორიის წარმოჩენის, ჭეშმარიტი ისტორიის დაწერის დრო. საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიური მანქანის მიერ ათწლეულების განმავლობაში შესწავლისათვის ტაბუდადებული თემები უნდა გაიხსნას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოების გაყალბებული ისტორია დავიწყებას უნდა მიეცეს, მისი ფურცლები კი, ხელმეორედ უნდა დაიწეროს. ამ ახალი ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ეპიზოდს ქართველ იუნკერთა მიერ წარმოებული საარაკო ბრძოლა და სამშობლოსათვის მათი თავდადების ამბავი წარმოადგენს...

და მაინც ვინ იყვნენ ქართველი იუნკრები? ვინ და რამდენნი იყვნენ ეს ახალგაზრდა ქართველი მეომრები, რომლებმაც 1921 წლის 18-24 თებერვლის პერიოდში სახელოვანი ბრძოლები აწარმოეს მტერთან და უკან არ დაუხევიათ, ბოლომდე დარჩნენ მხედრული მოვალეობისა და ფიცის ერთგულნი? როგორ შეძლეს მათ მე-11 წითელი არმიის მრავალრიცხოვანი მეწინავე შენაერთების შეკავება თბილისის მისადგომებთან? მხედრული წრთობის რა გზა გაიარეს და როგორი შემართებით მოვიდნენ ისინი კოჯორ-ტაბახმელამდე? რამ აიძულათ ისინი ფეხი არ მოეცვალათ დაკავებული პოზიციებიდან და 9 ძმა ხერხეულიძისა და 300 არაგველის დარ უკვდავებას ზიარებოდნენ? ვინ იყვნენ მათი აღმზრდელები და ის სამხედრო მეთაურები, რომლებმაც მათში სამშობლოს სიყვარული, ღირსების გრძნობა, პატრიოტიზმი და უდრეკი მეომრის სული გამოაწრთო? რატომ იკრძალებოდა და ათწლეულების განმავლობაში საგულდაგულოდ რატომ იმალებოდა საბჭოთა რეჟიმის მიერ ქართველ იუნკერთა მიერ წარმოებული გმირული ბრძოლის ისტორია? დაბოლოს, როგორ წარიმართა მათი შემდგომი ამქვეყნიური ცხოვრების გზა და რატომ არ უნდა დავივიწყოთ ეს საამაყო სახელი – ქართველი იუნკერი?!

თემის განხილვას თვით სიტყვა ,,იუნკერის" ეტიმოლოგიით დავიწყებთ, რამეთუ ამ საკითხთან მიმართებაშიც ქართულ საინფორმაციო სივრცეში არსებულ პუბლიკაციებსა და გამოქვეყნებულ ნაშრომებში გარკვეული უზუსტობები შეინიშნება.

სიტყვა ,,იუნკერს" (Juncherre) გერმანული წარმომავლობა აქვს და აზრობრივად იგი მიწათმფლობელს, მემამულეს აღნიშნავდა. პირდაპირი მნიშვნელობით კი, იგი ,,ახალგაზრდა ბატონს" ნიშნავს. სწორედ თავადაზნაურული წარმომავლობის სტატუსის აღმნიშვნელი იყო იუნკერთა გვარების თავსართი ,,ფონ" (Von), რაც ბატონს

ნიშნავდა. იუნკერთა ფენის წარმოქმნა და აღმავლობა გერმანელთა დიდი აღმოსავლური მიგრაციისა და მათი პრუსიაში დასახლების პერიოდს უკავშირდება. XVI საუკუნეში, აღმოსავლეთ პრუსია, თავის დროზე ტევტონთა ორდენის მიერ დაპყრობილი მიწები, პოლონეთის საჰერცოგო იყო. პრუსიისაკენ დაწყებული გერმანელი ხალხის აღმოსავლური ექსპანსიის ეს პროცესი დღევანდელი დასავლეთი და ცენტრალური გერმანიიდან ნაკლებად დასახლებულ აღმოსავლეთ ევროპულ მიწებზე სლოვენიასა და ესტონეთამდე მიმდინარეობდა, სამხრეთით კი, ტრანსილვანიამდე, რაც რომის საღვთო იმპერიისა და ტევტონთა ორდენის ტერიტორიული გაფართოების შედეგი იყო. გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში იუნკრები უკვე პრუსიის საშუალო და მსხვილ მიწათმფლობელ ფეოდალებად, მემამულეებად გვევლინებიან. ევროპის ახალი ისტორიის მკვლევარის, ბრიტანელი ისტორიკოსის, ალან ტეილორის (Alan J. P. Taylor) მიხედვით, პრუსიელ იუნკერთა მამულებში ძირითად მუშა ძალას სლავი გლეხები წარმოადგენდნენ.

1701 წელს პრუსიის გერმანული მიწა სახელმწიფო ხდება, ხოლო ბრანდენბურგის დიდი კურფიურსტი, ფრიდრიხ I ჰოჰენცოლერნი – მისი პირველი მეფე. ისტორიულ ასპარეზზე გამოსულმა პრუსიამ ნელ-ნელა დაიწყო ძალების მოკრეფა. სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და დაკარგული პოზიციების მოპოვების გზაზე, აქცენტები სამხედრო პოტენციალის გაზრდაზე გაკეთდა. XVIII საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო და გაჩნდა აბსოლუტიზმის გამარჯვების ნიშნები. საერო ხარისხებმა პრუსიაში ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგეს.

1733 წელს, სამხედრო ყაიდაზე მოწყობილ პრუსიის კანტონურ სახელმწიფოში ,,მეფე-ჯარისკაცის", ფრიდრიხ-ვილჰელმ I-ის მიერ გამოცემული ე.წ. ,,კანტონ-რეგლამენტის" ძალით, პრუსიის რეგულარული არმიის დაკომპლექტება ტერიტორიულ-სამობილიზაციო სისტემაზე გადავიდა. მთელი სახელმწიფო ფაქტიურად ერთ დიდ სამხედრო ბანაკად იქცა. მისი ინტერესები მიმართულ იქნა დასუსტებული შვედეთის, დაშლის პირას მყოფი პოლონეთისა და თავისი მეტოქის, ავსტრიის წინააღმდეგ. დაიწყო ახალი სამხედრო სისტემის შექმნა – რეგულარული არმია, ჯარების კომპლექტაციის ახალი წესი, დესპოტიზმამდე მიყვანილი დისციპლინა, უმკაცრესი წვრთნები. შემოტანილ იქნა ჯარების ორგანიზაციის ე.წ. ,,საკანტონო სისტემა" – მთელი ქვეყანა დაიყო საპოლკო ოლქებად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდა ასეულების რაიონებად. პრუსიის არმიის ოფიცერთა კორპუსი – ამ ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების სამეთაურო შემადგენლობა, უპირატესად სწორედ პრუსიელი დიდგვაროვანი მემამულეებისაგან, იუნკერებისაგან ჩამოყალიბდა, რომლებიც ამავე დროს ჯარის ყველაზე საიმედო ნაწილს წარმოადგენდნენ. ფრიდრიხ II ,,დიდის" ეპოქაში კი, ე.წ. ,,შვიდწლიანი ომის" (1756-1763წ.წ.) დასრულების შემდეგ, იუნკრები უკვე სამხედრო არისტოკრატულ კლასად ყალიბდებიან და ჩრდილოეთ გერმანული მიწების (აღმოსავლეთი და დასავლეთი პრუსია, ბრანდენბურგი, პომერანია, სილეზია, პოზენი) უმეტესობას ფლობენ.

გერმანიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიწებზე არსებული პოლიტიკური სტატუსისა და სოციალური მდგომარეობისაგან განსხვავებით, იუნკერთა გავლენა შედარებით სუსტი იყო სამხრეთის გერმანულ კათოლიკურ სახელმწიფოებში, როგორიც იყო მაგალითად, ბავარიის სამეფო ან ბადენის დიდი საჰერცოგო, სადაც მიწათმფლობელებს წვრილი ფერმერები წარმოადგენდნენ.

როგორც ჰოჰენცოლერნების სამეფო სახლის მთავარი საყრდენი კლასი და ძალა, და სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლები, იუნკრები ჯერ პრუსიის, ხოლო

1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დასრულებისა და გერმანული მიწების გაერთიანების შემდეგ, მთლიანად გერმანიის საიმპერატორო არმიასაც აკონტოლებდნენ. XX საუკუნის დასაწყისის ამერიკელი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის, ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორის, ფრედერიკ ოსტინ ოგის (Frederic Austin Ogg) სიტყვებით – ,,პრუსია მართავს გერმანიას, მაგრამ რადგან იუნკრები მართავენ პრუსიას, ე.ი. ისინი მართავენ გერმანიას”...

დიდი იყო იუნკერთა როლი აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში. სწორედ იუნკერთა კლასის წარმომადგენელი იყო XIX საუკუნის დიდი პრუსიელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, თანამედროვე ომის თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი, გენერალ-მაიორი კარლ ფონ კლაუზევიცი, პრუსიისა და გაერთიანებული გერმანიის უდიდესი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი, XIX საუკუნის დიდი გერმანელი სტრატეგოსი და მოაზროვნე, პრუსიული სამხედრო სკოლისა და გენშტაბის შემქმნელი, თანამედროვე ომების საშტაბო მართვის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე. იუნკერ მემამულეთა კლასს მიეკუთვნებოდა აგრეთვე XX საუკუნის დიდი გერმანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის რაიხსპრეზიდენტი 1925-1934 წლებში, ფელდმარშალი პაულ ფონ ჰინდენბურგი. ამ სიის გაგრძელება უსასრულობამდე შეიძლება.

რუსეთის იმპერიის სინამდვილეში, როგორც პრუსიული სამხედრო სკოლის ერთ-ერთ ძირითად მიმდევარ ქვეყანაში, და მის სამხედრო სტრუქტურებში, სიტყვა ,,იუნკერი” პრუსიიდან შევიდა. მაგრამ აქ მისმა მნიშვნელობამ გარკვეული სახეცვლილება განიცადა. მან დაკარგა თავისი პირვანდელი წარმომავლობითი დატვირთვა. მემამულისა და სამხედრო არისტოკრატიის აღმნიშვნელმა ამ სიტყვამ რუსეთში წმინდათ სამხედრო წოდების აღმნიშვნელი ტერმინის მნიშვნელობა მიიღო. იუნკერის ცნება პრუსიიდან შვედეთშიც შევიდა, სადაც იგი დღემდე გამოიყენება.

რუსეთის არმიაში სიტყვა ,,იუნკერი” გარდამავალ წოდებას წარმოადგენდა უმცროსი (უნტერ) ოფიცრიდან უფროს (ობერ) ოფიცერზე. ეს სამხედრო წოდება ეძლეოდათ ქვეითი ჯარის იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც მიაღწიეს კაპიტნის (ან მასთან გათანაბრებულ) ჩინს და კანდიდატებს წარმოადგენდნენ უფროსი ოფიცრის პირველი წოდების მიღებაზე. ქვეითთა გარდა იუნკერის წოდება სხვა გვარეობის ჯარებშიც არსებობდა. კერძოდ, არტილერიასა და საინჟინრო ჯარებში – შტუკ-იუნკერი (შტიკ-იუნკერი), რომელიც რუსულში, სხვათა შორის, შვედური არმიის ანალოგიით იქნა შემოტანილი, ესტანდარტ-იუნკერი – მძიმე კავალერიაში, ხოლო ფანენ-იუნკერი – მსუბუქ კავალარიაში. რუსულ ფლოტში კი, იუნკრის წოდება ფლოტის სამსახურში შესული უმაღლესი განათლების მქონე პირებს ენიჭებოდათ. ცარისტულ რუსეთში მეფის ოჯახთან დაახლოებული პირებისათვის არსებობდა აგრეთვე მეფის სასახლის კარის სპეციალური სამოქალაქო (სტატსკი) ჩინი – ,,კამერ-იუნკერი”. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1833 წლის 31 დეკემბერს, ტიტულარულ მრჩეველს, (რუსეთის იმპერიაში მოქმედი საჯარო სამსახურის ტაბელ-რანგის მიხედვით მე-9 კლასის ჩინს, რაც სამხედრო უწყების კაპიტნის წოდებას შეესაბამებოდა) ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინს, სასახლის კარის კამერ-იუნკერის წოდება ებოძა.

უკვე მოგვიანებით, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსეთის იმპერიაში ,,იუნკრებად” იწოდებოდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც სპეციალიზებულ სამხედრო სკოლებში სწავლობდნენ და სამხედრო საქმის საფუძვლებს

ეუფლებოდნენ. სკოლის დასრულების შემდეგ კი, იუნკრებს ოფიცრის პირველადი წოდება – ,,პოდპორუჩიკი” ენიჭებოდათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გვარდიის იუნკრები თავიდანვე არმიის პოდპორუჩიკების ჩინს უთანაბრდებოდნენ.

ქართულ სინამდვილეში, მის სამხედრო სტრუქტურაში, სიტყვა ,,იუნკერი” რუსეთიდან შემოვიდა. ეს მოვლენა უკვე 1921 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნისა და 1919 წლისათვის თბილისში ქართული სამხედრო სკოლის გახსნის პროცესს უკავშირდება. თუმცა, ამ ისტორიულ პროცესებს 1801 წლიდან ქართული სახელმწიფოს რუსეთის იმპერიაში ძალადობრივი ჩართვის ერთ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია უსწრებდა წინ.

გზის დასაწყისი

როცა საუბარს ვიწყებთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, მის შეიარაღებულ ძალებზე, იუნკრებსა და თბილისში ქართული სამხედრო სკოლის დაარსებაზე, ურიგო არ იქნებოდა, გაგვეხსენებინა ყველაფერი ის, რაც წინ უძღოდა ქართველი ერისთვის ამ მეტად საჭირო და უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას.

რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ სულ მცირე ხანში, 1811 წელს, თბილისში სამხედრო სასწავლებლის გახსნას ითხოვდა საქართველოს მთავარმართებელი და რუსული ჯარების სარდალი, კავალერიის გენერალი ალექსანდრ ტორმასოვი (1752–1819).

მთავარმართებლის წარდგინება ამ საკითხთან დაკავშირებით ორჯერ განიხილეს სამხედრო საბჭოს სხდომაზე, მაგრამ სამხედრო საბჭოს წევრმა, გენერალ-მაიორმა ფრიდრიხ კლინგერმა (1752–1831) ტახტის მემკვიდრისადმი მიწერილ წერილში დაბეჯითებით მოითხოვა, არ გაეხსნათ თბილისში სამხედრო სასწავლებელი. მისი პროტესტი მოტივირებული იყო ძირითადად მისივე პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით. და ეს გასაგებიცაა – იმპერია ჯერ კიდევ არ იყო მზად ესოდენ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად, მისი სახელმწიფო მმართველობის სისტემა ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული კავკასიაში და მას ჯერ კიდევ ვერ მოეკიდებინა მკვიდრად ფეხი საქართველოში.

ისტორიული რეალობა ის იყო, რომ ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა რუსულ დამპყრობლურ პოლიტიკას. მე-19 საუკუნის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში არსებული პოლიტიკური და სოციალური პროცესები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეურიგებელი ბრძოლებისა და აჯანყებების ფონზე მიმდინარეობდა.

გენერალ ტორმასოვის მოთხოვნიდან 50 წლის შემდეგ, 1861 წელს, რუსეთის იმპერიის ჯარში ძირფესვიანი სამხედრო რეფორმები დაიწყო, რომელიც სამხედრო განათლების სისტემასაც შეეხო. ამ რეფორმების მიზეზი 1854-1856 წლების ყირიმის ომი და ამ ომში რუსეთის იმპერიის მიერ განცდილი მძიმე მარცხი იყო. ომში ერთმანეთს ერთის მხრივ, რუსეთის, და მეორე მხრივ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის მეორე იმპერიის, სარდინიის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ალიანსი დაუპირისპირდნენ. საომარ მოქმედებათა თეატრები შავი ზღვის აუზსა და ყირიმის ნახევარკუნძულს მოიცავდა. მოწინავე სამხედრო განათლების სისტემისა და სამხედრო ტექნოლოგიების მქონე ევროპულ სახელმწიფოებთან ჭიდილში რუსეთის ჩამორჩენილი იმპერია დამარცხდა. ამ ომის შედეგად მან მნიშვნელოვანი ტერიტორიები და საერთაშორისო ავტორიტეტი დაკარგა. იმპერიის წინაშე დღესავით ნათელი გახდა ჯარების მართვის ახალი სისტემის დანერგვის აუცილებლობა. ამას კი, მოწინავე სამხედრო განათლების სისტემის შექმნა და შესაბამისი სამხედრო კადრების მომზადება სჭირდებოდა.

კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (1818–1909) გააგრძელა მისი წინამორბედის, ინფანტერიის გენერლის, ალექსანდრე ბარიატინსკის (1815–1879) მიერ დაწყებული რეფორმა, რომელმაც სამხედრო სკოლებიც მოიცვა.

ტფილისში, როგორც ამიერკავკასიის ცენტრში, სრულყოფილი სამხედრო სასწავლებლის დაარსების იდეა თავდაპირველად ტფილისის გენერალ-

გუბერნატორს, კავკასიის ომის აქტიურ მონაწილეს, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ მოღვაწეს, სახელმწიფო საბჭოს წევრს, კავკასიის არმიის სარდალს, ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ინფანტერიის გენერალს, თავად გრიგოლ ორბელიანს (1804–1883) ეკუთვნოდა. რუსეთის იმპერიაში იმ დროისათვის უკვე საკმაოდ დიდი იყო სამხედრო სასწავლებლების ქსელი, მაგრამ ტფილისსა და მთლიანად ამიერკავკასიაში ასეთი ტიპის სასწავლებელი არ არსებობდა. ტფილისში სამხედრო სასწავლებლის დაარსებას, გრიგოლ ორბელიანის მოსაზრებით, ჰქონდა ერთადერთი და უმთავრესი მიზანი – ქართველი თავადაზნაურობა არ გადახვეწილიყო რუსეთში და მათ მისცემოდათ შესაძლებლობა უშუალოდ ადგილზე მიეღოთ სამხედრო განათლება, რადგანაც რუსეთში სამხედრო განათლების მისაღებად წასულთა უმეტესობა უკან აღარ ბრუნდებოდა.

გრიგოლ ორბელიანმა სათანადო წინადადებით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს, რომელთანაც მას პირადი მეგობრობა აკავშირებდა, მან კი, თავის მხრივ, 1861 წელს საქართველოში ჩამობრძანებულ იმპერატორ ალექსანდრე II-ს მოახსენა გრიგოლ ორბელიანის წინადადების შესახებ.

ამ მომენტისათვის იმპერია უკვე მზად იყო განეხილა ეს საკითხი. საქმე იმაშია, რომ საქართველოს ტერიტორიები უკვე თითქმის მთლიანად იყო ანექსირებული და რუსეთის მიერ კავკასიელი ხალხების წინააღმდეგ წარმოებული დიდი კავკასიური ომიც დასასრულს უახლოვდებოდა. რუსეთის იმპერია ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრდებოდა, სამხრეთ კავკასია კი, იმპერიისათვის ისევ რჩებოდა ერთ-ერთ უმთავრეს და სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებად. ამიტომ, 1811 წლისგან განსხვავებით, 1861 წლისათვის თბილისში სამხედრო სასწავლებლის გახსნის იდეა იმპერიის მმართველი წრეებისთვისაც აქტუალური გახდა.

გრიგოლ ორბელიანის წინადადების განხილვას სპეციალური კომისია შეუდგა. გამოითხოვეს ყველა სამხედრო-სასწავლო დაწესებულებისა და სამწყობრო ნაწილის ხედვა ამ საკითხის შესახებ. მიღებული მასალები სათანადო სისტემით დაამუშავეს და ანალიზი გაუკეთეს იმ დროს რუსეთში ცნობილმა გენერლებმა, ოფიცრებმა და სამოქალაქო პედაგოგებმა, რომლებსაც სამხედრო სასწავლებლებში მოღვაწეობის საკმარისი გამოცდილება ჰქონდათ. კომისიის ძირითადი დასკვნით აუცილებელი იყო სამხედრო ნაწილების დაქვემდებარებიდან გამოეყოთ სპეციალური კლასები და მათ საფუძველზე შეექმნათ სამხედრო სასწავლებელი. რეფორმის მიხედვით ვარაუდობდნენ ჯერ არმიის შტაბებთან იუნკერთა მომზადების კურსების გახსნას, მოგვიანებით კი იუნკერთა სამხედრო სკოლების ჩამოყალიბებას. როგორც კი იმპერიის მთავრობა დაპყრობილ მიწებზე სამხედრო ოლქების ფორმირებას შეუდგა, დროებითი სამხედრო სასწავლებლების დაარსების პროცესიც დაიწყო.

იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1818–1881), დაეთანხმა რა სამხედრო საბჭოს დასკვნას, 1862 წლის 2 სექტემბერს უმაღლესი ბრძანებულებით დაამტკიცა, რომ დროებით, სამი წლის ვადით, 1862 წლის 1-ლი სექტემბრიდან ტფილისში დაარსებულიყო უწყებრივი სამხედრო სასწავლებელი დაქირავებულ შენობაში ორმოცდაათ აღსაზრდელზე. სასწავლებლისთვის გამოიყო 32204 მანეთი და 28 კაპიკი, აღსაზრდელთა კვების ხარჯებისთვის – 4140 მანეთი, შენობის გათბობისა და განათებისთვის კი – 4700 მანეთი. მთლიანობაში დაფინანსებამ 41044 მანეთი და 28 კაპიკი შეადგინა.

1862 წლის 19 ნოემბერს, კავკასიის არმიის მთავარსარდლის, ინფანტერიის გენერალ გრიგოლ ორბელიანის №491 ბრძანების საფუძველზე, ტფილისში სამხედრო სასწავლებლის მოწყობის საქმე დაავალეს ცნობილ სამხედრო მოღვაწესა და პედა-

გოგს, პოლკოვნიკ, შემდგომში გენერალ-ლეიტენანტ პავლე ნოსოვიჩს (1830–1897). იმავე ბრძანებულებით, სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბების მიზნით, ტფილისში, 6 თვის ვადით მოავლინეს სევერსკის დრაგუნთა პოლკის შტაბს-კაპიტანი, შემდგომში გენერალ-მაიორი ივანე მარკოზოვი (მარკოზაშვილი) და შირვანის ქვეითი პოლკის მე-6 სარეზერვო ბატალიონის პორუჩიკი პოჟაროვი. მათი შრომის შედეგად, სულ მალე, 1863 წლის 3 თებერვალს გაიხსნა უწყებრივი სამხედრო სასწავლებელი.

1863–1865 წლებში სასწავლებლის უფროსის თანამდებობა ვაკანტური იყო. სამი თვის შემდეგ, 1863 წლის 18 მაისს, გამოქვეყნდა სამხედრო მინისტრის №43317 ბრძანება „სამხედრო უწყების ზოგიერთი სასწავლებლის გარდაქმნისა და გაუქმების შესახებ“ (ეს ბრძანება არ შეეხო მხოლოდ ტფილისის სამხედრო სასწავლებელს).

1864 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა იმპერატორის განკარგულება №285, რომლის საფუძველზეც გადაწყდა თბილისში იმავე წლის 1-ლი სექტემბრიდან იუნკერთა დროებითი სამხედრო სასწავლებლის გახსნა (მისი დაკომპლექტების დამთავრებამდე). თავდაპირველი პროექტით, ის გაიხსნებოდა სახელმწიფოს ხარჯზე და მოამზადებდა ორმოცდაათ იუნკერს.

სამხედრო უწყების სასწავლებლების დებულების მიხედვით, ტფილისის დროებითი სამხედრო სასწავლებლის მიზანი იყო კავკასიაში განლაგებული სამხედრო ნაწილებისთვის ოფიცერთა კადრების მომზადება. პერსპექტივაში კი, განზრახული იყო მუდმივი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება ხუთას იუნკერზე.

გენერალ-მაიორი ივანე პავლეს ძე მარკოზოვი (მარკოზაშვილი)

18-го Ноября, 1862. (годъ семнадцатый) Воскресенье.

КАВКАЗЪ,

ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ.

№ 91.

Подписка принимается: Въ Тифлисѣ: въ Редакціи, находящейся при Типографіи, что на Александровской площади, и у коммисіонера, Г. Н. Берендтама; а также въ Губ. Почт. Конторѣ. Въ С.-Петербургѣ: въ Газетной Экспедиціи С.-Петербург. Почтамта. Въ Москвѣ: у коммисіонера Пикк. Москов. Университета, Ѳ. О. Сѣнникова.

Въ губерніяхъ: въ Губернскихъ Почтов. Конторахъ.

Условія подписки. За газету «Кавказъ» безъ казенныхъ прибавл. 9 р., съ прибавл. 12 р. 50 коп., за одни казенныя прибавленія 5 р. Съ частныхъ объявленій, печатаемыхъ въ газетѣ, взимается по 1½ коп. сер. съ буквы.

ПРАВИТЕЛЬСТВЕННЫЯ РАСПОРЯЖЕНІЯ.

Государь Императоръ, согласно съ заключеніемъ Военнаго Совѣта, во 2-й день минувшаго сентября, Высочайше соизволилъ утвердить временно, на три года, прилагаемые у сего въ копіяхъ проекты положенія, штата и табели училищъ военнаго вѣдомства на Кавказѣ, съ тѣмъ, чтобы: 1) Тифлисское училище военнаго вѣдомства открыть съ 1-го сентября 1862 года въ наемномъ зданіи, первоначально только на 50 казенно-коштныхъ воспитанниковъ и столько своекоштныхъ и приходящихъ, сколько дозволитъ помѣщеніе. 2) Исчисленную по штату и табели на содержаніе Тифлисскаго училища сумму 32,204 р. 28¾ к., равно на провіантское довольствіе 155-ти казенно-коштныхъ воспитанниковъ и 25-ти нижнихъ чиновъ 4,140 р. и на отопленіе и освѣщеніе зданія примѣрно 4,700 р.,—а всего 41,044 руб. 28¾ коп. сер., отпустить полностію въ распоряженіе главнаго начальства Кавказской Арміи изъ сбереженій, послѣдовавшихъ въ настоящемъ году по смѣтамъ коммисаріатскаго и провіантскаго департаментовъ, вслѣдствіе некомплекта воспитанниковъ въ училищахъ: Ярославскомъ, Нижегородскомъ, Казанскомъ, Омскомъ, Тобольскомъ и Иркутскомъ, въ коихъ полагается убавить 750 воспитанниковъ,—и 3) Затѣмъ съ 1863 года сумму, потребную на содержаніе Тифлисскаго Военнаго училища, согласно §§ 177 и 181 проекта положенія, вносить по принадлежности въ финансовую смѣту Кавказскаго края, и именно: на провіантъ и приварочныя деньги въ интендантскую смѣту; на жалованье, обмундированіе и всѣ прочіе предметы, штатомъ и табелью опредѣленные, въ коммисаріатскую смѣту, а на отопленіе и освѣщеніе—въ инженерную смѣту, уменьшивъ съ тѣмъ вмѣстѣ составъ военныхъ училищъ: Ярославскаго, Нижегородскаго и Казанскаго, въ коихъ полагается по 800 воспитанниковъ, каждое на 200 чел., и Омское, Тобольское и Иркутское, въ коихъ полагается нынѣ по 250-ти воспитанниковъ, каждое на 50 человѣкъ, а всего на 750 воспитанниковъ, не убавляя впрочемъ числа офицеровъ, учителей и другихъ чиновъ.

გაზეთ „კავკაზის“ 1862 წლის 18 ნოემბრის №91, რომელშიც გამოქვეყნდა სამთავრობო განკარგულება ტფილისში სამხედრო სასწავლებლის გახსნის შესახებ

№ 11. ЧЕТВЕРГЪ, 7 ФЕВРАЛЯ, 1863 Г. № 11.

КАВКАЗЪ,

ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ.

ГОДЪ ВОСЕМНАДЦАТЫЙ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: Въ Тифлисѣ: въ Редакціи, находящейся при Типографіи, что на Александровской площади, и у коммисіонера ея, Г. В. Берентана; а также въ Губ. Почтов. Конторѣ. Въ С.-Петербургѣ: въ Газетной Экспедиціи С.-Петербург. Почтамта. Въ Москвѣ: у Ѳ. О. Селивикова.

въ Губернскихъ почтовыхъ конторахъ.

Условія подписки: За газету «Кавказъ» безъ казенныхъ прибавленій 9 руб., съ прибавл. 12 р. 50 коп., за одни казенныя прибавленія 3 р.

Съ частныхъ объявленій, печатаемыхъ въ газетѣ, взимается по ½ коп. сер. съ буквы.

КАВКАЗСКАЯ ЛѢТОПИСЬ.

ПРИКАЗЫ ПО КАВКАЗСКОЙ АРМІИ.

Ноября 19-го дня 1862 г.,

— № 491. Состоящему для особыхъ порученій въ распоряженіи Начальника Главнаго Штаба и Генералъ-Квартирмейстера командуемой мною Арміи, Генеральнаго Штаба Полковнику *Посоничу* поручаю устройство вновь открывавшагося въ г. Тифлисѣ училища военнаго вѣдомства.

Сѣверскаго Драгунскаго Его Императорскаго Высочества Наслѣдника Цесаревича полка Штабсъ-Капитанъ *Марковъ* и 6-го резервнаго баталіона Шарванскаго пѣхотнаго Его Императорскаго Высочества Великаго Князя Николая Константиновича полка Поручикъ *Пожаровъ*, прикомандировываются на испытаніе, на 6-ть мѣсяцевъ, къ Тифлисскому училищу военнаго вѣдомства, первый — для занятія должности ротнаго командира, а второй — помощника ротнаго командира.

Подлинное подписалъ: Командующій Арміею, генералъ-адъютантъ князь *Орбеліани* 2-й.

გაზეთ „კავკაზის“ 1863 წლის 7 თებერვლის №11, რომელშიც გამოქვეყნდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის 1862 წლის 19 ნოემბრის №491 ბრძანება ტფილისში სამხედრო სასწავლებლის გახსნის შესახებ.



КАВКАЗСКІЙ

КАЛЕНДАРЬ

НА 1864 ГОДЪ,

(ВИСОКОСНЫЙ)

ИЗДАННЫЙ

при Главномъ Управленіи Намѣстника Кавказскаго.

XIX ГОДЪ.

Съ портретами Ихъ Императорскихъ Высочествъ:

Великаго Князя МИХАИЛА НИКОЛАЕВИЧА и Великой Княгини

ОЛЬГИ ѲЕОДОРОВНЫ.

ТИФЛИСЪ.

1863.

ХРОНОЛОГИЧЕСКОЕ ПОКАЗАНІЕ

достопримѣчательныхъ событій въ Кавказскомъ и Закавказскомъ краѣ и важнѣйшихъ постановленій правительства, относящихся къ этому краю *).

1862.

Декабря 6. Назначеніе Его Императорскаго Высочества Великаго Князя Михаила Николаевича Намѣстникомъ Кавказскимъ и Командующимъ Кавказскою Арміею.

Декабря 16. Занятіе войсками нашими Хамышейскаго общества, лежащаго въ верховьяхъ р. Бѣлой.

1863.

Января 1. Упраздненіе Джаро-Лезгинской постоянной милиціи.

— *12.* Открытіе телеграфнаго сообщенія между Тифлисомъ и Ставрополемъ (чрезъ Душетъ, Владикавказъ, Нальчикъ и Пятигорскъ).

Февраля 3. Открытіе Тифлисскаго училища военнаго вѣдомства.

— *14.* Прибытіе Его Императорскаго Высочества въ г. Ставрополь и вступленіе въ командованіе Арміею.

Съ 22 Февраля по 7 Марта. Движеніе Адагумскаго и Пшехскаго отрядовъ, подъ личнымъ начальствомъ Его Императорскаго Высочества, черезъ земли непокорныхъ Шапсуговъ и Убыховъ отъ укр. Крымскаго, черезъ укр. Григорьевское, къ Майкопу.

Съ 1-го Апрѣля по 1-е Сентября. Занятіе Русскимъ населеніемъ части земель непокорныхъ горцевъ между рр. Абиномъ и Илемъ и между рр. Бѣлой и Пшишемъ и образованіе изъ вновь поселенныхъ на этомъ пространствѣ станицъ двухъ отдѣльныхъ конныхъ полковъ Абинскаго и № 26-го

Апрѣля 20. Высочайше повелѣно отрѣшить Аварскаго хана отъ управленія Аваріею и учредить тамъ Окружное Управленіе.

— *22.* Воспослѣдовало Высочайшее разрѣшеніе упразднить укрѣпленія Герзель-аулъ и Умаханъ-юртъ.

*) Свѣдѣнія до 6 Декабря 1862 г. помѣщены въ прежнихъ изданіяхъ Кавказскаго Календаря.

1864 წლის „კავკასიის კალენდრის“ 277-ე გვერდი, სადაც წერია 1863 წლის 3 თებერვალს ტფილისში სამხედრო უწყების სასწავლებლის გახსნის შესახებ

43317. — Мая 18. Именной, объявленный въ приказѣ Военнаго Министра.— *О преобразованіи и упраздненіи нѣкоторыхъ училищъ военнаго вѣдомства.*

Государь Императоръ Высочайше повелѣть соизволилъ:

1. Изъ училищъ военнаго вѣдомства назначить въ предстоящій выпускъ на службу писарями 3-го разряда всѣхъ воспитанниковъ, которые, достигши 16-ти-лѣтняго возраста, не обѣщаютъ успѣшнаго окончанія курса, но владѣютъ четкимъ почеркомъ.

2. Остающихся, за предстоящимъ въ нынѣшнемъ году выпускомъ, воспитанниковъ всѣхъ училищъ (кромѣ Тифлисскаго, Иркутскаго, Омскаго, Тобольскаго и Оренбургскаго, подлежащихъ особымъ соображеніямъ) сосредоточить въ училищахъ: Московскомъ, Псковскомъ, Ярославскомъ, Кіевскомъ, Саратовскомъ, Пермскомъ, Архангельскомъ и Астраханскомъ.

ტფილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელში უნდა ყოფილიყო ორი ასეული და შემდეგი თანამდებობები:

- სამხედრო სასწავლებლის უფროსი;
- კლასების ინსპექტორები და მათი თანაშემწეები;
- ასეულების მეთაურები და მათი თანაშემწეები;
- მასწავლებლები;
- ექიმი;
- სამეურნეო საქმის გამგებელი.

სასწავლებელში იღებდნენ თავად-აზნაურთა შვილებს და დაბალი წოდების ოფიცერ-ჩინოსანთა შვილებსაც.

სასწავლებელი პირდაპირ დაექვემდებარებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდალს. სასწავლო პროცესს კურირებას გაუწევდა მთავარი შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერი. მასწავლებელთა კადრების დაკომპლექტებაზე პასუხს აგებდა მთავარი შტაბის უფროსი. «დებულებაში» ჩამოთვლილი იყო სასწავლო საგნები:

საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, მსოფლიო და რუსეთის ისტორია, გეოგრაფია, სამართალი, ხატვა, სუფთა წერა, ტრიგონომეტრია, ხაზვა, ფორტიფიკაცია, არქიტექტურა, კალიგრაფია. მომავალი ოფიცრები ტოპოგრაფიის გარდა შეისწავლიდნენ გრაფიკასაც.

ტფილისის სამხედრო სასწავლებელში გათვალისწინებული იყო სასწავლო კლასების არსებობა თითოეულში 35 მოსწავლის ოდენობით, სწავლების ხანგრძლივობა კი – 1-ლი სექტემბრიდან 15 იანვრამდე. შეფასება მოხდებოდა ხუთბალიანი სისტემით.

ამრიგად, აღნიშნული «დებულებით» ჩამოყალიბდა ტფილისში დროებითი სამხედრო სასწავლებლის პროექტი, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც ითავეს კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ და ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა გრიგოლ ორბელიანმა, რისთვისაც იმპერატორმა 1864 წელს მას ალმასის ნიშნები უბოძა ჯერ კიდევ 1861 წელს მიღებული წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისთვის. მათივე ხელშეწყობით საფუძველი ჩაეყარა ტფილისის იუნკერთა დროებით სასწავლებელს ორმოცდაათ იუნკერზე.

თავდაპირველად, 1863 წელს, სამხედრო სასწავლებელი განთავსდა ე.წ. პოკროვსკის ყაზარმებში (ავლაბარში, იქ, სადაც ამჟამად საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაა განთავსებული). 1865 წლიდან სასწავლებელი დაექვემდებარა ყუბანის ოლქის ადგილობრივი ჯარების უფროსს, არტილერიის პოდპოლკოვნიკ კულიკოვსკის.

1865 წლის ივნისში იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც ტფილისში იმავე წლის 1-ლი სექტემბრიდან მოქმედებას იწყებდა იუნკერთა მუდმივი სამხედრო სასწავლებელი.

სწავლის ვადა შეადგენდა 2 წელიწადს.

სასწავლებელში მიღება დაიწყო 1865 წლის 1-ლ სექტემბერს.

სასწავლო კურსი დაიყო ორ კლასად – უმცროს (საერთო) და უფროს (სპეციალურ) კლასებად.

უმცროს კლასში ასწავლიდნენ ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს – საღვთო სჯულს, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებს, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ხაზვას, გეოგრაფიასა და ისტორიას.

უფროს (სპეციალურ) კლასში საგნების შინაარსი და მოცულობა განპირობებული იყო ბატალიონის მეთაურებისთვის საჭირო ცოდნის მიღების აუცილებლობით. აქ სწავლობდნენ ტაქტიკას, სამხედრო წესდებებს, სამხედრო ტოპოგრაფიას, საველე ფორტიფიკაციას, საიარაღო საქმეს, სამხედრო ადმინისტრაციას, სამხედრო სამართალწარმოებას, სამხედრო გეოგრაფიას, სამხედრო ჰიგიენას, ჰიპოლოგიას (ცხენთმცოდნეობას).

სასწავლებელში ღებულობდნენ პირებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ სათანადო სამოქალაქო სასწავლო დაწესებულება. უპირატესობა ენიჭებოდათ თავადაზნაურთა შვილებს.

ზამთრის მეცადინეობები ტარდებოდა 1-ლი სექტემბრიდან 1-ლ აპრილამდე. გამოცდების დამთავრებისთანავე იუნკრებს საზაფხულო პერიოდში უახლოეს სამხედრო ნაწილში აგზავნიდნენ სამხედრო სამსახურის შესწავლისა და სამხედრო პრაქტიკის გასავლელად.

ზოგადსაგანმანათებლო პროცესი მიმდინარეობდა როგორც სასწავლებლის ტერიტორიაზე, ისე კლასებსა და სპორტულ დარბაზებში, აგრეთვე სამხედრო სამსახურის გავლის რეალურ პირობებთან მიახლოებულ საველე მოედნებზე. იმ პირებს, რომლებიც კურსს წარჩინებით დაამთავრებდნენ, ენიჭებოდათ «პოდპორუჩიკის» პირველადი სამხედრო წოდება.

1866 წლის 16 იანვარს დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანების თანახმად, სამხედრო სასწავლებელი პოკროვსკის ყაზარმებიდან გადმოიტანეს ებრაელი ვაჭრის იოსებ ალელოვის (ალელიშვილის) საკუთარ სახლში, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სახელობის ქუჩაზე (ახლანდელი წინამძღვრიშვილის ქუჩა).

1866 წლის 8 ნოემბერს უკვე იყო აყვანილი მასწავლებელთა სავარაუდო შტატი და იუნკერთა ორასკაციანი შემადგენლობა, რამაც სამწყობრო განხრით 1-ლი ასეული შეადგინა. 1866 წლის 16 ნოემბრიდან 1917 წლის 16 ნოემბრამდე ტფილისელი იუნკრები სასწავლებლის დღეს აღნიშნავდნენ. სამწყობრო და სამეურნეო დარგში სასწავლებელი კავკასიის არმიის მთავარსარდალს დაექვემდებარა, ხოლო სასწავლო ნაწილის მეთვალყურეობა დაევალა სამხედრო-სასწავლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს.

იუნკერთა პირველი გამოშვება 1867 წლის მაისში შედგა.

1868 წლის 17 სექტემბერს სასწავლებელი იოსებ ალელოვის კერძო სახლიდან გადმოიტანეს იმ შენობაში, რომლის ფასადიც გადაჰყურებდა მიხეილის გამზირს (ახლანდელი დავით აღმაშენებლის, ყოფილი პლეხანოვის გამზირი). არქიტექტურულ კომპლექსში თავდაპირველად შედიოდა ერთი კორპუსი, რომელიც განსაკუთრებული იერსახითა და კლასიკური სტილით გამოირჩეოდა. შენობა-ნაგებობათა კომპლექსის მშენებლობა სამხედრო-საინჟინრო უწყებამ 1872 წელს დაამთავრა. უკვე დღევანდელ პერიოდში, ამ შენობა-ნაგებობებში 1992–1993 წლებში განლაგებული იყო ჯერ ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსები, ხოლო 1993–2007 წლებში – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემია და დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემია.

1871–1872 წლებში სასწავლებელში უკვე ირიცხებოდა 287 იუნკერი, რომლებმაც შეადგინეს 2 ასეული. იმავდროულად დამტკიცდა ახალი სამასკაციანი შტატიც.

1880–1882 წლებში სასწავლებელში მოწყობილი იყო საკუთარი საიარაღო სახელოსნო, რათა იუნკრებს იარაღის შეკეთების ზოგიერთი საკითხი შეესწავლათ ადგილზე და არა სამხედრო ნაწილებში. იმავდროულად კავკასიის სასწავლო ასეულმა სამხედრო სასწავლებელს გადასცა საიარაღო მუზეუმის შენობა (სამხედრო აკადემიის ყოფილი კლუბის შენობა).

სასწავლებლის ბიბლიოთეკაში ინახებოდა 1550 ერთეული წიგნი (ამ რიცხვში თუ არ ჩავთვლით სასწავლო სახელმძღვანელოებს), გარდა ამისა, ბიბლიოთეკები იყო ასეულებშიც.

1895–1896 წლებში სასწავლებლის ტერიტორიაზე ოფიცრების ფულადი სახსრებით მიმდინარეობდა წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც საზეიმოდ აკურთხეს 1896 წლის 10 ნოემბერს.

ეკლესიის შიდა კედლებზე მიმაგრებული იყო მარმარილოს შავი ფილები სასწავლებლის ყოფილ იუნკერთა და ოფიცერთა გვარებით, რომლებიც დაიღუპნენ 1877–1978 წლების რუსეთ-ოსმალეთის და 1904–1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომებში. მათ შორის იყვნენ ქართველი ოფიცრები:

- ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკის პოდპორუჩიკი საგინოვი (საგინაშვილი);
- ელიზავეტპოლის 156-ე, გენერალ ციციანოვის სახელობის პოლკის პრაპორშჩიკი არდიშვილი.

სასწავლებელში სხვადასხვა დროს მსახურობდნენ ქართველი ოფიცრები:

- ვასილ სარაჯევი (სარაჯიშვილი), პრაპორშჩიკი 1869–1871 წლებში, შემდგომში გენერალ-მაიორი;
- გიორგი ყაზბეგი, პრაპორშჩიკი 1871–1875 წლებში, შემდგომში ინფანტერიის გენერალი;
- დიდებულიძე, შტაბს-კაპიტანი 1889–1890 წლებში;
- სიმონ ქუთათელაძე, შტაბს-კაპიტანი 1887–1895 წლებში, შემდგომში გენერალ-მაიორი;
- კვინიკაძე, პორუჩიკი 1890–1899 წლებში;
- გიორგი არჯევანიძე, პორუჩიკი 1890–95 წლებში, შემდგომში გენერალ-მაიორი;
- არჩილ გარაყანიძე, პორუჩიკი 1899–1900 წლებში.

1866 წლიდან სამხედრო სასწავლებლის სასწავლო პროგრამაში შედიოდა შემდეგი საგნები:

- სამხედრო (ტაქტიკა, არტილერია, ფორტიფიკაცია, სამხედრო კანონმდებლობა, საარტილერიო და საფორტიფიკაციო ხაზვა);
- საერთო-საგანმანათლებლო (საღვთო სჯული, რუსული და უცხო ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, სტატისტიკა, პოლიტიკური ისტორია, ტოპოგრაფია, სამხედრო ადმინისტრაცია, ანალიტიკური გეომეტრია, მექანიკა, სამხედრო ჰიგიენა).

1883 წელს ამ სიას დაემატა სამხედრო ისტორიის საგანი, 1908 წელს კი სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს ქიმია და მექანიკა. მათ ნაცვლად შემოიღეს სწავლება სოციალისტური თეორიების შესახებ, რაც განპირობებული იყო იმ დროინდელი პოლიტიკური ვითარებით რუსეთის იმპერიაში – მხედველობაში გვაქვს 1905-1907 წლების რევოლუცია რუსეთსა და ამიერკავკასიაში.

1879 წლიდან სასწავლებლისთვის დაბა სურამში, თავად ჩხეიძის მიწის ნაკვეთზე გაიხსნა სასწავლო-საწვრთნელი ბაზა, სადაც იუნკრები ზაფხულში პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებდნენ ტაქტიკაში, სროლაში, ტოპოგრაფიაში, სამხედრო მომზადებასა და სხვა სამხედრო დისციპლინებში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაბა სურამის ბაზას იყენებდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი და თბილისის სამხედრო სასწავლებელი საბჭოთა პერიოდშიც.

1883 წლის 25 სექტემბერს სასწავლებლის პირადი შემადგენლობა პირველად მონაწილეობდა ტფილისის გარნიზონის ჯარების სამხედრო აღლუმში.

სამხედრო სასწავლებელს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ რუსეთის იმპერატორები: 1871 წელს მას ეწვია იმპერატორი ალექსანდრე II (1818–1881); 1883 და 1888 წლებში – იმპერატორი ალექსანდრე III (1845–1894); 1914 წლის ნოემბერში კი, იმპერატორი ნიკოლოზ II (1868–1918).

1901 წლის 1-ლი სექტემბრიდან ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი გადავიდა სწავლების სამწლიან კურსზე. ეს სიახლე იმით იყო განპირობებული, რომ საშუალებას აძლევდა იუნკრებს, მიეღოთ დასრულებული საერთო ორი სპეციალური განათლება და შეესწავლათ სამხედრო საგნები სამხედრო სასწავლებლების გაღრმავებული პროგრამით.

ტფილისის სამხედრო სასწავლებელი ყოველთვის ითვლებოდა კავკასიის პრეს-ტიჟულ სასწავლო დაწესებულებად, იმიტომ რომ იუნკერთა უდიდესი ნაწილი ინტელიგენტური და განათლებული ოჯახების შვილებისაგან შედგებოდა. ასე მაგალითად, 1902 წელს სასწავლებელში სწავლობდა თავად-აზნაურთა შვილების 58%, ოფიცერთა და ჩინოსანთა შვილების 38%, ხოლო დანარჩენი 4% მოდიოდა სხვა სოციალურ ჯგუფებსა და უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე. ამან იჩინა თავი უკვე პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა ჯარში შეიქმნა ოფიცერთა კადრების მწვავე დეფიციტი.

1909 წელს გარდაიცვალა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და 1910 წლის დეკემბრიდან მისი სახელი ეწოდა იუნკერთა ქვეით სამხედრო სასწავლებელს. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებულების თანახმად, 1910 წლის 1-ლი სექტემბრიდან ტფილისის იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის უფროსის თანამდებობა საშტატო განრიგით გენერალ-მაიორისა გახდა.

1910 წლის 1-ლ სექტემბერს დაწესდა საიუბილეო ნიშანი სასწავლებლის 45 წელთან დაკავშირებით.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ სასწავლებელში იყო ოთხი ასეული, თერთმეტი უმცროსი ოფიცერი, ოთხასი შტატიანი იუნკერი. ომის დაწყებასთან დაკავშირებით იუნკერთა შტატი შვიდასამდე გაიზარდა. 1914 წლიდან მოქმედ არმიაში მეთაურთა შემადგენლობის უკმარისობის გამო სასწავლებელი ოფიცერთა დაჩქარებულ (ოთხთვიან) მომზადებაზე გადავიდა.

1915 წლის 27 თებერვალს, მუდმივმოქმედი სამხედრო სასწვლებლის დაარსების 50 წელთან დაკავშირებით, დაწესდა სამკერდე ნიშანი, რომელზეც გამოსახული იყო დაფნისა და მუხის ტოტები ქვემო ნაწილში შემოხვეული ბაფთით, რომელზეც იყო ვენზელი «ТФ» (ტფილისი) და «ВУ» (სამხედრო სასწავლებელი). ცენტრში – ბოლნური ჯვარი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბით, ჯვრის ზემოთ ვენზელი – «А II» (იმპერატორი ალექსანდრე II), ჯვრის ქვემოთ – «1864», გვერდებზე წარწერებით – «За службу» – «на Кавказе». ბაფთის ქვემოთ ვენზელი «М» მიუთითებდა იმაზე, რომ სასწავლებელი ატარებდა დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელს. მოოქროვილი ნიშანი მთლიანად ვერცხლისგან იყო დამზადებული. ზოგიერთ ნიშანზე ბოლნური ჯვარი შავი ფერის იყო.

საზოგადოდ, რუსეთის იმპერიაში იუნკერთა სასწავლებლებს თავიანთი განმასხვავებელი ნიშნები, ატრიბუტიკა, დროშა და სლოგანი გააჩნდათ. თბილისის სამხედრო სასწავლებლის იუნკერთა სამხრეებზე ოქროს ძაფით იყო ამოქარგული ასო «М», სასწავლებლის დამაარსებლის, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის პატივსაცემად. დადგენილი წესის მიხედვით, სასწავლებელს გააჩნდა დროშა, ერთ მხარეზე მაცხოვრის გამოსახულებითა და რუსული წარწერით «С нами Богъ» (ჩვენთან არს ღმერთი), მეორე მხარეს კი წარწერით – «А II – Тифлисского юнкерского училища» (ტფილისის იუნკერთა სასწავლებლისა). ეს დროშა სასწავლებელს 1903 წლის 27 იანვარს უბოძა იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ (დროშის შემდგომი ბედი უცნობია). სასწავლებელს გააჩნდა თავისი სლოგანი: ,,სიცოცხლე – მეფეს, გული – მანდილოსანს, პატივი – საკუთარ თავს!“

ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ტფილისის გენერალ-გუბერნატორი, კავკასიის არმიის სარდალი თავადი გრიგოლ ზურაბის ძე ორბელიანი (1800-1883), სამხედრო სასწავლებლის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი

გრიგოლ ორბელიანის საფლავი

ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი

1865-1917 წლებში სამხედრო სასწავლებლის უფროსები

ვიქტორ კულიკოვსკი
გენერალ-მაიორი,
სასწავლებლის უფროსი
(1864–1873)

ევგენი იურკოვსკი
გენერალ-ლეიტენანტი,
სასწავლებლის უფროსი
(1873–1877)

ვალენტინ ბარანოვსკი
გენერალ-ლეიტენანტი,
სასწავლებლის უფროსი
(1877–1881)

ნიკოლოზ შატილოვი
გენერალ-ლეიტენანტი,
სასწავლებლის უფროსი
(1881–1889)

ვლადიმერ ორლოვი
გენერალ-ლეიტენანტი,
სასწავლებლის უფროსი
(1889–1892)

ვსევოლოდ სახაროვი
გენერალ-ლეიტენანტი,
სასწავლებლის უფროსი
(1892–1894)

ალექსი კოლიუბაკინი
გენერალ-ლეიტენანტი,
სასწავლებლის უფროსი
(1894–1899)

ალექსანდრე ვერეშჩაგინი
გენერალ-ლეიტენანტი,
სასწავლებლის უფროსი
(1899–1901)

ივანე ტომკეევი
გენერალ-ლეიტენანტი,
სასწავლებლის უფროსი
(1901–1905)

ნიკოლოზ ზაგიუ
გენერალ-მაიორი,
სასწავლებლის უფროსი
(1905–1917)

ქართველი გენერლები, რომლებმაც დაამთავრეს ტფილისის იუნკერთა ქვეითი სასწავლებელი 1867–1917 წლებში:

1. ივანე მაყაშვილი (1849–1921) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1867წ.;
2. ივანე დუმბაძე (1851–1916) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1869წ.;
3. მიხეილ წინამძღვრიშვილი (1849–1910) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1869წ.;
4. ალექსანდრე ვაჩნაძე (1855–1921) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1871წ.;
5. ნიკოლოზ დუმბაძე (1854–1927) – გენერალ-ლეიტენანტი, დაამთავრა 1872წ.;
6. ევგრაფი ცვიმეტიძე (1850–1910) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1872წ.;
7. ივანე წინამძღვრიშვილი (1850–1910) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1872წ.;
8. აბაშიძე დიმიტრი (1856–1920) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1873წ.;
9. სოლომონ მაყაშვილი (1855–1920) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1873წ.;
10. როსტომ ჩიკოიძე (1849–1925) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1873წ.;
11. სიმონ ანდრონიკაშვილი (1848–1917) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1875წ.;
12. ვასილ გაბაშვილი (1853–1933) – გენერალ-ლეიტენანტი, დაამთავრა 1875წ.;
13. ალექსანდრე გველესიანი (1857–1920) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1875წ.;
14. იასონ ახვლედიანი (1852–1940) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1876წ.;
15. შიო ელიავა (1852–1910) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1876წ.;
16. ვარნავა კანდელაკი (1854–1910) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1876წ.;
17. ილია ჯაიანი (1854–1916) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1876წ.;
18. ბესარიონ ჩიქოვანი (1856–1920) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1876წ.;
19. მიხეილ ზაალიშვილი (1858–1914) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1876წ.;
20. გრიგოლ წულუკიძე (1860–1923) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1876წ.;
21. დიმიტრი თოფურია (1861–1934) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1877წ.;
22. ეფრემ მუსხელიშვილი (1852–1920) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1877წ.;
23. დავით ჩივაძე (1853–1910 წ.შემდ.) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1877წ.;
24. კონსტანტინე ჩხეიძე (1853–1920) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1877წ.;
25. მიხეილ ჩხეიძე (1847–1916 წ.შემდ.) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1877წ.;
26. ვალერიან წიკლაური (1854–1917 წ.შემდ.) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1877წ.;
27. ალექსანდრე გველესიანი (1857–1917) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1878წ.;
28. ალექსი ჟღენტი (1860–1915) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1878წ.;
29. გიორგი დადეშქელიანი (1858–1921) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1878წ.;
30. ვასილ კვანჩხაძე (1858–1919) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1876წ.;
31. ვასილ მაჩაბელი (1854–1917) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1878წ.;
32. ბესარიონ ჩიქოვანი (1856–1920) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1881წ.;
33. დავით ართმელაძე (1865–1938) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1885წ.;
34. ვასილ ლიონიძე (1864–1929) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1885წ.;
35. გიორგი ანდღულაძე (1866–1948) – გენერალ-ლეიტენანტი, დაამთავრა 1887წ.;
36. სტეფანე ახმეტელი (1869–1921) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1887წ.;
37. დავით მაჭავარიანი (1864–1924) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1888წ.;
38. ივანე ციციშვილი (1865–1936) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1892წ.;

39. მიხეილ ჭიჭინაძე (1870–1919) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1893წ.;
40. ტარასი ვაშაკიძე (1876–1937) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1895წ.;
41. გიორგი გოთუა (1871–1936) – გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1896წ.

პოკროვსკის ყოფილი ყაზარმები, სადაც გრიგოლ ორბელიანის ძალისხმევით, 1862–1866 წლებში განთავსებული იყო სამხედრო სასწავლებელი (დემონტირებულია საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობის გამო 2005 წელს)

ვაჭარ იოსებ ალელიშვილის სახლი ელისაბედის (ამჟამად წინამძღვრიშვილის) ქ. №86-ში, სადაც 1866–1868 წლებში განთავსებული იყო დროებითი სამხედრო სასწავლებელი

სასწავლებლის ფასადის ხედი 1905 წლამდე

სასწავლებლის ფასადის ხედი 1905 წლის შემდეგ
დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის გამზირიდან



სასწავლებლის ერთ-ერთი კორპუსის ფასადი

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია
სასწავლებლის ტერიტორიაზე (1896წ.)



სასწავლებლის ეკლესიის შიდა ხედი



საფარიკაო დარბაზი



ტფილისის სამხედრო სასწავლებლის სამწყობრო მოედნის (პლაცის) საერთო ხედი. აღლუმ-დათვალიერების დროს იუნკრები ასრულებენ სამწყობრო ვარჯიშს

სამხედრო სასწავლებლის ოფიცერ-მასწავლებელთა ჯგუფი დიდ მთავარ კონსტანტინე კონსტანტინეს ძესთან ერთად, ზემოდან მეორე რიგში, მარჯვნიდან მეხუთე დგას კაპიტანი ალექსანდრე ჩხეიძე

კაპიტანი ალექსანდრე ჩხეიძე – ქართული სამხედრო სკოლის მომავალი უფროსი, სამხედრო სასწავლებლის ოფიცერ-მასწავლებლებთან ერთად

ტფილისელი იუნკრები – პირველი მსოფლიო ომის მონაწილენი

გენერალ-მაიორი ტარასი ვაშაკიძე

დაიბადა სოფ. გუბში (ქუთაისის გუბერნია). 1895 წელს დაამთავრა თბილისის იუნკერთა სასწავლებელი და ჩაირიცხა დერბენდის 154-ე ქვეით პოლკში.

მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში; განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სარიყამიშის ოპერაციაში (1914 წლის 22 დეკემბერი – 1915 წლის 17 იანვარი), სადაც

მან, 154 ქვეითი პოლკის მე-14 ასეულის მეთაურმა, ბრწყინვალედ ჩატარებული გაბედული მანევრის შედეგად 1914 წლის 22 დეკემბერს, პრაქტიკულად მთლიანად გადაწყვიტა ოპერაციის ბედი. მან დაატყვევა კავკასიის ფონტზე გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიის IX საარმიო კორპუსის სარდალი ისხან-ფაშა თავისი შტაბით, აგრეთვე მე-17, 28-ე და 29-ე დივიზიების მეთაურები თავიანთი შტაბებით, მოწინააღმდეგის 107 ოფიცერი და 2000-ზე მეტი ასკერი. გარდა ამისა, ალაფად ჩაიგდო ხელში 8 ზარბაზანი, 24 ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობის ცხენი, ტყვია-წამალი და სხვა სამხედრო ქონება.

ისხან-ფაშასთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ეს მარცხი და საარმიო კორპუსის მთელი სამეთაურო შემადგენლობის დატყვევება, რომ განრისხებულმა ხელი დაჰკრა მაგიდას და მიაძახა ვაშაკიძეს – ,,შაითან-კაპიტან!“ ეს მეტსახელი მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

რუსულ საისტორიო ლიტერატურაში ამ მოვლენას „რუსულ სასწაულს" უწოდებენ, სინამდვილეში კი იგი ნამდვილი „ქართული სასწაული" იყო.

საფრანგეთის პრეზიდენტმა რაიმონ პუანკარემ 1915 წლის 31 ივლისს თავისი განკარგულებით, მოკავშირე ქვეყნის ოფიცერი, კაპიტანი ვაშაკიძე, ბრძოლაში გამოჩენილი საარაკო გმირობისათვის დააჯილდოვა საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – ,,Medaille militaire“, რომლითაც მხოლოდ არმიების სარდლებს აჯილდოვებდნენ.

როდესაც იმპერატორ ნიკოლოზ II-ს კაპიტან ვაშაკიძის საარაკო გმირობის შესახებ მოახსენეს, იგი ღიმილით ისმენდა მონათხრობს და რამდენჯერმე მოაყოლა ეს დაუჯერებელი ამბავი. ბრძოლაში გამოჩენილი მხედრული სიმამაცისათვის, იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ მას ვადამდე ადრე, პოდპოლკოვნიკის წოდების გარეშე, პირდაპირ მიანიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და 1916 წლის 7 იანვარს დააჯილდოვა იმპერიის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით. შემდგომ კი, წმინდა სტანისლავის II და III, ასევე წმინდა ანას III ხარისხის ორდენით, ხმლითა და ბაფთებით.

1918 წლის 8 მაისს ამიერკავკასიის რესპუბლიკის სეიმის გადაწყვეტილებით პოლკოვნიკ ტარას ვაშაკიძეს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918–1921 წლებში, მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო ქალაქ ტუაფსეს გენერალ-გუბერნატორი.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ვაშაკიძე გადადგა სამხედრო სამსახურიდან, თუმცა სხვა ქართველ ოფიცერთა მსგავსად ქვეყანა არ დაუტოვებია და მუშაობდა ფინანსთა სახალხო კომისარიატში (1922–1937).

1923 წელს შინსახკომის ორგანოების მიერ სხვა სამხედრო პირებთან ერთად დაკავებული იყო ე.წ. ,,სამხედრო ცენტრის“ საქმესთან დაკავშირებით, თუმცა მალევე გაათავისუფლეს.

გარდაიცვალა 1937 წელს. გარდაცვალების დეტალები უცნობია. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

გენერალი ალექსანდრე ქონიაშვილი

დაიბადა თბილისში, ოფიცრის ოჯახში, 1873 წლის 26 დეკემბერს. დასრულებული ჰქონდა კლასიკური გიმნაზია და თბილისის იუნკერთა სამხედრო სასწავლებელი. რუსეთ-იაპონიისა და პირველი ომის მონაწილე.

რუსეთ–იაპონიის ომის დროს (1904–1905) ალექსანდრე ქონიაშვილი ირიცხებოდა ქვეითი ჯარის ოფიცრად. იბრძოდა პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე. თავისი ქვედანაყოფით პირველმა დაიკავა არზრუმის ციხესიმაგრე, რისთვისაც იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ 1917 წლის 6 იანვარს ვადაზე ადრე უბოძა პოდპოლკოვნიკის წოდება და წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენი. შემდეგ მსახურობდა 155–ე პოლკში, ასრულებდა ქვეითი დივიზიის მეთაურის მოადგილის მოვალეობას, მეთაურობდა პენზის ქვეით პოლკს. აქვე მიიღო პოლკოვნიკის ჩინი.

1918–1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. 1918 წელს ხელმძღვანელობდა საგანგებო რაზმს და სახალხო გვარდიის ქვედანაყოფებს სამეგრელოში. სოჭის კონფლიქტის დროს (1918–1919) იბრძოდა გენერალ დენიკინის თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. აქვე ენიჭება გენერლის წოდება. 1918 წლის ბოლოდან სარდლობდა ქართულ საჯარისო კონტიგენტს აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში. 1920 წლის ზაფხულში იყო რუსეთიდან ცხინვალის რეგიონში შემოჭრილი ბოლშევიკური ქვედანაყოფებისა და რაზმების წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციის ერთ-ერთი მიმართულების სარდალი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ალექსანდრე ქონიაშვილი იმყოფებოდა ემიგრაციაში, ჯერ ოსმალეთში, შემდეგ პოლონეთში. 1923 წლიდან ირიცხება პოლონეთის ეროვნულ არმიაში.

1926 წელს მიიღო პოლონეთის არმიის ბრიგადერის (ბრიგადის გენერლის) მაღალი სამხედრო წოდება და დაინიშნა ქვეითი ჯარის ერთ–ერთი დივიზიის მეთაურის მოადგილედ. პოლონეთის არმიაში თითქმის ოცწლიანი მოღვაწეობის მანძილზე დაიმსახურა არაერთი მაღალი ჯილდო.

მეორე მსოფლიო ომში გერმანული შენაერთების მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ ცხოვრობდა ჯერ იტალიაში, შემდეგ არგენტინაში. გარდაიცვალა 1951 წელს ბუენოს აირესში. დაკრძალულია იქვე.

პოდპოლკოვნიკი ზინობი ჩაპოძე (ჭაფოძე)

ქართველი ოფიცერი, რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი და ქართული არმიის პოლკოვნიკი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების წევრი 1909–1914 წლებში. იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში, სადაც დაიჭრა.

პირველი ქართული რესპუბლიკის პერიოდში, 1918–1921 წლებში, პოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა ქართულ ჯარში სამხედრო სტამბის გამგედ (ფოტო გადაღებულია 1915 წ.)


Ранен 214
Чапосзе
Зиновій Варфоломеевичъ
Капитанъ
204 пѣш. Ардагано-Михайловскаго полка.
13 Окт. 1914 г.
Р. И. 3/XI № 249. 92.

204-ე არდაგან-მიხეილის ქვეითი პოლკის კაპიტნის, ზინობი ჩაპოძის (ჭაფოძის) ცნობა 1914 წლის 13 ოქტომბერს ბრძოლის ველზე დაჭრის შესახებ



ასლი ასლისა

აღმოწერა ბრძანებიდან სამხედრო სამინისტროს საერთო განყ
ნიმართ 1919 წ. 26 აპრილიდან № 118 § 2.

სამხედრო ტიპოგრაფიის საქმის წარმოების განსრულამ დამანახა, რომ მუყაოო ტ უნარი გამოიჩინა ტიპოგრაფიის უფროსმა საქმის რიგიანად დაყენებისათვის: შეიძინა ქართული შრიფტი ტ საჭირო მასალები, გაადიდა ტიპოგრაფიის შემოსავალი, გაუმჯობესა განწყობილება მოამეგეთა ტ ადმინისტრაციის მორის, შეკრიბა ტ შეასწავლა ჯარის-კაცებს ტიპოგრაფიის მუშაობა. ტიპოგრაფიის უფროსს პოლკოვნიკ ჩ ა პ ო ძ ე ს უსასყიდ მადლობას სამსახურის სახელით ტ გამოვთქვ, რომ სამხედრო ტიპოგრაფიამ ასეთივე წესიერი მუშაობა იქნება, როგორც არის ახლა.

დედანს ხელს აწერს:
საქართველოს სამინისტროს საერთო
განყოფილების უფროსი, გენერალ-მაიორი ქავთარაძე
დედანიან სწორია: კანცელარიის უფროსის მაგიერ,
კაპიტანი გუბელაძე.

ასლიან სწორია: სამხედრო სამინისტროს
კომენდანტის მანდატორი,
შტაბს-კ ა პ ი ტ ა ნ ი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსის, გენერალ-მაიორ ქავთარაძის მიერ პოლკოვნიკ ჩაპოძისადმი გამოცხადებული მადლობა (1919 წლის 26 აპრილი)

სამხედრო სასწავლებლის ატრიბუტები

სასწავლებლის დროშა (1903 წ.)

იუნკერთა ჩაცმულობა

იუნკერთა სამხედრო წოდებები

სასწავლებლის ნიშანი, გამოშვებული სამხედრო სასწავლებლის დაარსების 35-ე წლისთავზე (1901), (სამხრეზე აბრევიატურაა «ТфЮ»)
ეკუთვნოდა იუნკერ პ. გ. მჭედლოვს (მჭედლიშვილს)
(ვერცხლი, მოოქროვება, მინანქარი)

სასწავლებლის ნიშანი, გამოშვებულია სამხედრო სასწავლებლის დაარსების მე-40 წლისთავზე (1905) (სამხრეზე აბრევიატურაა «ТФЮ») (ვერცხლი, მოოქროვება, მინანქარი)

სასწავლებლის ნიშანი, გამოშვებულია სამხედრო სასწავლებლის დაარსების 45-ე წლისთავზე (1910) (ვერცხლი, ოქრო, მინანქარი)

სასწავლებლის ნიშანი, გამოშვებული სამხედრო სასწავლებლის დაარსების 50-ე წლისთავზე. (1915) სამკერე ნიშნის ქვედა ნაწილში, ბაფთებზე ჩანს ასოები ,,ТФ" და ,,ВУ''. (,,ტფილისი". ,,სამხედრო სასწავლებელი), ცენტრში – კავკასიური (ბოლნური) ჯვარი, შუაში – სახელმწიფო გერბი. ზემოთ – იმპერატორ ალექსანდრე მეორის ვენზელი, ქვემოთ თარიღი – ,,1864" გვრდებზე წარწერით – ,,კავკისიაში სამსახურისთვის". ჯვრის ქვემოთ, დიდი მთავრის, იმპერატორის მეფისნაცვლისა და სასწავლებლის დამაარსებლის, მიხეილ ნიკოლოზის ძის ვენზელი. სამკერდე ნიშანი მოოქროვილია და თავზე ადგას საიმპერატორო გვირგვინი. (ვერცხლი, ოქრო, მინანქარი)

იმპერიის ნამსხვრევებზე

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა პირველ მსოფლიო ომში ჩართული რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეფე ნიკოლოზ მეორე გადადგა და ქვეყნის მართვა დროებით მთავრობას დაეკისრა, ამიერკავკასიაში კი, ადგილობრივი დროებითი მმართველობის ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი (ოზაკომი) ჩამოყალიბდა.

თებერვლის რევოლუციას დემოკრატიული რეფორმების მთელი კასკადი მოჰყვა შედეგად – სრული პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადება, ჟანდარმერიის, პოლიციისა და ,,ოხრანკის“ ორგანოების გაუქმება, გენერალ-საგუბერნატოროების გაუქმება, სიტყვის, ბეჭდვის, შეკრებების, მანიფესტაციებისა და მიტინგების ჩატარების თავისუფლება, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, ნაციონალური, ჩამომავლობითი, აღმსარებლობითი და ქონებრივი შეზღუდვების გაუქმება, სიკვდილით დასჯის შეჩერება, სამხედრო-საველე სასამართლოებისა და სამხედრო ტრიბუნალების გაუქმება, სამხედრო მოსამსახურეებისათვის პოლიტიკური შეზღუდვების მოხსნა და ა.შ. ამავე დროს, იმპერიის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო რევოლუციური თვითმმართველობითი ორგანოების – მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების შექმნა და ჯარების ე.წ. ,,დემოკრატიზაციის“ პროცესი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ თავისი წვლილი ტფილისის სამხედრო სასწავლებლების ცხოვრებაშიც შეიტანა. გამოიცა ბრძანება «ოფიცრის წოდების მინიჭების წესის შეწყვეტის შესახებ». გააუქმეს ყველა წოდება და ჯილდოები, მაგრამ ტფილისის სასწავლებელი ამ ბრძანებას არ დაემორჩილა.

1917 წლის 22 აპრილის სამხედრო უწყების №234 ბრძანების თანახმად, იუნ-კერთა სასწავლებელს „ტფილისის სამხედრო სასწავლებელი“ ეწოდა.

თბილისის სამხედრო სასწავლებლის შემდგომი ბედი კი, პირდაპირ იყო დაკავშირებული რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებასთან, რის შედეგაც რუსეთში ხელისუფლება ბოლშევიკებმა იგდეს ხელთ. სამხედრო განათლების მთელი სისტემა გაუქმდა. მთავარი კი ის იყო, რომ პეტერბურგში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ სულ სხვა მიმართულება მისცა რუსეთსა და კავკასიაში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებს და პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობას.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე წამოაყენეს კაცობრიობის ისტორიაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური ლოზუნგი: ,,გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!“ ლენინისა და ბოლშევიკური მთავრობის მოწოდებით, 1917 წლის ბოლოდან დაიწყო მსოფლიო ომის თეატრებზე მოქმედი რუსეთის სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ფრონტებიდან მასიურად მოხსნა და მათი პირადი შემადგენლობის რევოლუციურ რელსებზე გადაყვანა. თუმცა, ამ მოწოდებას სამხედრო მეთაურთა გარკვეული ნაწილი არ დაემორჩილა და ბოლშევიკურ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა.

კავკასიის ფრონტზე რევოლუციური და ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებამ უაღრესად უარყოფითად იმოქმედა ჯარების საბრძოლო და მორალურ მდომარეობაზე. აქაც, ისევე როგორც პირველი მსოფლიო ომის სხვა ფრონტებზე, დაიწყო უმართავი პროცესები და კავკასიის ფრონტმაც დაშლა დაიწყო. მთელი ამიერკავკასია ქაოსმა მოიცვა.

ფრონტის ხაზის შენარჩუნებისათვის კავკასიის ფრონტის სარდლობის წინაშე ეროვნულ პრინციპზე აგებული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანა დადგა. საბოლოოდ, ფრონტის სარდლობა იმ აზრამდე მივიდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოტივირებულ ნაციონალურ შენაერთებს შეეძლოთ შექმნილი სიტუაციის გადარჩენა. ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმიის ჩამოყალიბების რთული და არაერთგვაროვანი პროცესიც ამ დროიდან იწყება.

ოსმალთა არმიის შეტევითი მოქმედებების აღკვეთისა და კავკასიის ფრონტის შესანარჩუნებლად გადაწყდა ჩამოყალიბებულიყო ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმია, სამი – ქართული, სომხური და თათრული საარმიო კორპუსების, აგრეთვე ბერძნული დივიზიის შემადგენლობით. ამ შენაერთთა საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა კლასიკური ტრიანგულარული იყო და იგი პოლკურ-დივიზიური წყობით იყო აგებული, ხოლო მათი პირადი შემადგენლობით შევსება ეროვნული შენაერთებით დაკომპლექტების პრინციპით უნდა მომხდარიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლისთანავე სამხედრო განათლების მთელი სისტემა გაუქმდა.

პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე არსებული უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმიისა და ქართული კორპუსის შედგენის პირველივე დღეებში ნათელი გახდა სამხედრო სკოლის დაარსების აუცილებლობა უმცროსი სამეთაურო შემადგენლობის – ნაცვალთა (სერჟანტთა) და ოფიცერთა მოსამზადებლად. გადაწყდა ქართულ კორპუსთან ჯერ-ჯერობით დაარსებულიყო ნაცვალთა მოსამზადებელი კურსები, რომლის საორგანიზაციო სტრუქტურაც ორასეულიანი სასწავლო ბატალიონი (ათასეული) უნდა ყოფილიყო.

სასწავლო ბატალიონის მეთაურად მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, ალექსანდრე დავითის ძე ჩხეიძე (1873–1941) დაინიშნა. მასვე დაევალა შესაბამისი შტატების შედგენა.

პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე

პოლკოვნიკი ალექსანდრე დავითის ძე ჩხეიძე 1873 წლის 5 ივლისს, ქუთაისის გუბერნიაში დაიბადა. მან საფუძვლიანი სამხედრო განათლება მიიღო: 1892 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი. 1892-1893 წლებში მოსკოვში, ალექსანდრეს სახელობის მესამე სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ პორუჩიკის ჩინით რუსეთის იმპერიის სამეგრელოს მე-16 ქვეით პოლკში დაინიშნა. რუსეთის არმიაში ალექსანდრე ჩხეიძეს იცნობდნენ როგორც განთქმულ სპორტსმენს, მოფარიკავესა და მსროლელს, იყო სამხედრო-სპორტული შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებული. მისი სამხედრო კარიერა სწრაფად განვითარდა – 1894 წლის 13 აპრილს პოლკის დაზვერვის უფროსად დაინიშნა, 1897 წლის 5 მარტიდან კი, პოლკის შეიარაღების უფროსი გახდა.

1904–1905 წლებში, როგორც რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცერი, რუსეთ-იაპონიის ომში იბრძოდა. 1908-1909 წლებში შტაბის კაპიტნის ჩინი ჰქონდა და მასწავლებლად იყო მივლინებული თბილისის სამხედრო სასწავლებლის პრაპორშიკთა სკოლაში.

პირველ მსოფლიო ომში ალექსანდრე ჩხეიძე უკვე პოლკოვნიკის ჩინით მონაწილეობდა. 1915-1917 წლებში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე, თბილისის მე-15 ქვეითი პოლკის შემადგენლობაში იბრძოდა. 1917 წელს, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ბრუნდება და დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-აღმშენებლობით საქმეში ებმება. 1917 წლის ნოემბრიდან იგი ამიერკავკასიის ფედერაციის კავკასიის არმიის ქართულ კორპუსში მსახურობდა. იყო ნაცვალთა (სერჟანტთა) კურსების დამაარსებელი და მეთაური. 1919 წლის გაზაფხულზე, ისლამისტების აჯანყებისა და ე.წ. ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაკავების გამო, კურსების ოფიცრები ახალციხის ფრონტზე გაიწვიეს, სადაც პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე ბორჯომის, და შემდეგ, ახალციხე-აწყურის ხაზის მეთაური გახდა.

1919 წლის სექტემბერში, თბილისში, რუსეთის იმპერიის ყოფილი სამხედრო სასწავლებლის შენობაში ქართველ იუნკერთა ორწლიანი სამხედრო სკოლა გაიხსნა. სკოლის უფროსმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, თავის თანაშემწედ პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე მიიწვია (მას ცოლად ჰყავდა გიორგი კვინიტაძის და, სოფიო კვინიტაძე). ალექსანდრე ჩხეიძეს სკოლისთვის კადრების შერჩევა ევალებოდა.

1920 წლის 2 მაისს, ღამით, რუს ბოლშევიკთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა უიარაღო იუნკრებს და მათ იძულებით გადაბირებას შეეცადა. პოლკოვნიკი ჩხეიძე ოჯახით ამავე შენობაში ცხოვრობდა. თავის მოგონებებში იგი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ გამოვარდა გარეთ მოულოდნელი ხმაურის დროს. მან სროლით გაიკვალა გზა იუნკერთა ოთახისკენ (გზაში მოკლა ორი თავდასხმელი), შეაღწია დატყვევებულ იუნკრებთან და მათი დახმარებით მომხვდურთა გარეკვა შეძლო.

1920 წლის მაისშივე, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს პირველი ომის დაწყებასთან დაკავშირებით, გენერალ კვინიტაძეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ნიშნავენ, სამხედრო სკოლას კი, სათავეში, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე ჩაუდგა.

1920 წლის 19 მაისს პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე აზერბაიჯანიდან შემოჭრილი მე-11 წითელი არმიის შენაერთებთან საბრძოლველად შექმნილ „სადახლოს საარმიო ჯგუფის“ უფროსად დაინიშნა, სადაც საარმიო ჯგუფის შემადგენლობაში სხვა საჯარისო ნაწილებთან ერთად ქართული სამხედრო სკოლის იუნკერთა ქვედანაყოფიც იყო ჩართული.

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს პირველი ომის დასრულების შემდეგ, 1920 წლის აგვისტოში, პოლკოვნიკ ჩხეიძის მეთაურობით სამხედრო სკოლის დანაყოფებმა და გვარდიის ბატალიონმა ბოლშევიკების აგიტაციის გამო აჯანყებული ლაგოდეხში დისლოცირებული მე-6 ქართული პოლკის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათ ალყაში მოაქციეს პოლკის ცალკეული ქვედანაყოფები და იარაღის დაყრაც აიძულეს, რის შემდეგაც ბოლშევიკი აგიტატორებიც დააპატიმრეს.

1921 წლის 17 თებერვალს, უკვე საბჭოთა რუსეთ-საქართველოს მეორე ომის მსვლელობისას, მთავარსარდლის — გენერალ გიორგი კვინიტაძის ბრძანებით, სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად იუნკერთა სკოლამ 7 კილომეტრიანი საბრძოლო პოზიციები დაიკავა კოჯორ-ტაბახმელასთან. ასე შეიქმნა თბილისის დაცვის ფრონტის კოჯორი-ტაბახმელას უბანი, რომელსაც სათავეში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი ჩაუდგა. მთელი საომარი კამპანიის განმავლობაში, ქართველ იუნკრებს მყარად ეკავათ საბრძოლო პოზიციები და ბოლომდე მედგრად იგერიებდნენ ბოლშევიკთა აღმატებული ძალების შემოტევებს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მთავრობამ და ჯარებმა თბილისი დატოვეს. მთავარსარდალი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ხელსაყრელი თავდაცვითი პოზიციების ორგანიზებას მცხეთასთან და მოგვიანებით ხაშურთან, რის შემდეგაც მძლავრი შეტევითი მოქმედებებით ისევ დაიბრუნებდნენ დედაქალაქს. თუმცა, მისი ეს მოლოდინები არ გამართლდა, ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიის რაზმებმა დასავლეთისკენ დაიწყეს უკანდახევა. თბილისის დატოვების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ბათუმში გადავიდა და იქ გამართული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე თავისი უფლებამოსილებადროებით შეაჩერა.

1921 წლის 18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა და კონსტანტინოპოლისკენ გაემართა. მთავრობის წევრებთან ერთად საზღვარგარეთ იძულებით ემიგრაციაში ბევრი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეც გაემგზავრა. მათ შორის იყვნენ ქართული სამხედრო სკოლის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე და მასთან ერთად 69 იუნკერი. ისინი პირველ ხანებში კონსტანტინოპოლში ცხოვრობდნენ, ნაწილი სამხედროებისა – საბერძნეთში, 1922 წლიდან კი, ქართველ იუნკერთა და ოფიცერთა ძირითადი ნაწილი პოლონეთის მაშინდელმა მთავრობამ შეიფარა.

1922-1923 წლებში ალექსანდრე ჩხეიძე პოლკის მეთაურთა კურსებზე პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში ასწავლიდა. 1924-1926 წლებში იგი სამხედრო სკოლისა და პოლონეთის არმიის მე-16 ქვეითი დივიზიის ინსტრუქტორი იყო. მიუხედავად დატვირთული სამსახურეობრივი რეჟიმისა, ალექსანდრე ჩხეიძე თავის ყურადღებას ქართველ იუნკრებს არც უცხოეთში აკლებდა, ბინას ყოველთვის მათთან ახლოს იკავებდა და დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართველი ოფიცრების აღზრდისა და წვრთნის საქმეს.

1927 წელს პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე პოზნანის მე-14 ქვეითი დივიზიის მეთაურად ინიშნება და აქვე ენიჭება პოლონეთის არმიის გენერლის წოდებაც. ამ თანამდებობაზე მან 1931 წლამდე იმსახურა. კონტრაქტის დასრულებამდე (31.08.1931) კი, იგი პოლონეთის არმიის მე-7 კორპუსის შტაბის განკარგულებაში იმყოფებოდა.

სამხედრო სამსახურის დასრულებისა და თადარიგში გასვლის შემდეგ გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე ქალაქ ლუბლინში გადავიდა, სადაც თავის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად დამკვიდრდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად, გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე ისევ კადრში ბრუნდება. 1939 წლის სექტემბერში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის საიდუმლო ხელშეკრულებით (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი) პოლონეთზე განხორციელებული ერთობლივი თავდასხმის დროს, პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი, ალექსანდრე ჩხეიძე, ქალაქ ლვოვის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია.

1939 წლის სექტემბერშივე, საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის მიერ პოლონეთის შუაზე გაყოფის შემდეგ, იგი გესტაპომ დააპატიმრა და საბჭოთა მხარეს გადასცა.

1940 წლის ივნისში, გენერალი ჩხეიძე ლვოვის ციხიდან კიევის ციხეში გადაიყვანეს, სადაც შემდეგი ბრალდება წაუყენეს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში სამსახური, წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა, ვარშავის ქართული კომიტეტის წევრობა და პოლონეთის არმიაში სამსახური“. იმავე წლის 16 დეკემბერს ,,ხალხის მტრად“ შერაცხული გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე მოსკოვში გადაიყვანეს და ,,ჩეკა“-ს ლუბიანკის ციხეში გადაიყვანეს. იგი სავარაუდოდ 1941 წლის ზამთარში, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის („ნკვდ“-ს) სამეულის ბრძანებით დახვრიტეს. სხვა ვერსიით, პოლონეთის არმიის გენერალი, ალექსანდრე ჩხეიძე სხვა პოლონელ ოფიცრებთან ერთად საბჭოელებმა კატინში დახვრიტეს.

ალექსანდრე ჩხეიძის ტყუპი ვაჟები, გიორგი და დავითი, მამის მსგავსად, პოლონეთის არმიის ოფიცრები იყვნენ. გიორგი, მეორე მსოფლიო ომამდე უბედური შემთხვევით გარდაიცვალა. დავითი კი, 1939 წელს საბჭოთა საოკუპაციო ჯარებისგან ქალაქ ლვოვის დაცვისას გმირულად დაიღუპა.

გენერალ ჩხეიძის მეუღლე, სოფიო კვინიტაძე საბჭოთა შინსახკომის ორგანოებმა დააპატიმრეს, ბრალად ,,ხალხის მტრის“ მეუღლეობა წაუყენეს და შუა აზიაში გადაასახლეს, საიდანაც საქართველოში მხოლოდ წლების შემდეგ, მძიმედ დაავადებული დაბრუნდა. დაბრუნებიდან მოკლე ხანში იგი გარდაიცვალა კიდეც.

აი, ასეთი მძიმე და ტრაგიკული იყო გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის ცხოვრება. ცხოვრება იმ ადამიანისა, რომელსაც მუდამ სამშობლოს მაჯისცემაზე ეჭირა ხელი და ემიგრაციაშიც სამშობლოზე ფიქრითა და ზრუნვით აგრძელებდა ცხოვრებას და მოღვაწეობას. მისი საფლავი კი, არ არსებობს და სამშობლოსათვის შეწირული გმირის მიერ განვლილი საბრძოლო გზა მომავალი თაობებისათვის მისაბაძ მაგალითად გვესახება.

1917 წლის მიწურულისთვის სკოლის შტატები დამტკიცდა. შტატის მიხედვით ნაცვალთა სკოლის ორგანიზაცია ცალკეული ბატალიონის მსგავსად უნდა მომხდარიყო. მაგრამ ამ ეტაპისთვის პირადი შემადგენლობის მიღება ვერ მოხერხდა, რადგან ჯარებში ჯერ არც პოლკების ორგანიზაცია იყო დასრულებული და არც გაწვევა იყო გამოცხადებული. მართალია, ამ მიზეზის გამო სკოლა უმოქმედოდ იყო, მაგრამ დრო უქმად მაინც არ იკარგებოდა და გროვდებოდა ნაცვალთა ბატალიონისათვის საჭირო ქონება და მოწყობილობა.

1918 წლის 26 მაისს ჩვენი ერის ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მოვლენა მოხდა: საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გაჩნდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ნაცვალთა

სკოლა და აგრეთვე მთელი საარმიო კორპუსი, ცხადია, იმ სახით და შემადგენლობით, როგორც არსებობდა, საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში შევიდა. გადაწყდა ნაცვალთა მომზადების საქმე გადასცემოდა პოლკებს, ხოლო ნაცვალთა ბატალიონის მაგივრად ოფიცერთა მოსამზადებლად დაარსებულიყო სამხედრო სკოლა.

1918 წლის 15 ივნისს ტფილისის სამხედრო სასწავლებელმა არსებობა შეწყვიტა. ამას მოჰყვა განკარგულება, რომ ყოფილი რუსეთის არმიის ოფიცრებს ჩაებარებინათ სამხრეები და იარაღი, ხოლო სასწავლებლის ქონება გადასცემოდა ახლადშექმნილ ქართულ სამხედრო სკოლას.

ნაცვალთა ბატალიონმა თავისი ხანმოკლე არსებობა ისე დაასრულა, რომ არც ერთი ნაცვალი არ გამოუშვა, მაგრამ არ ითქმის, რომ სრულიად არაფერი გაეკეთებინოს: ერთი ღამის განმავლობაში, საქართველოში ჯერ კიდევ გერმანული რეგულარული ჯარების შემოსვლამდე შეაიარაღა და აღჭურვა ის ისტორიული ასეული, გერმანელი და ავსტრიელი ტყვეებისაგან შემდგარი, რომელიც ლეიტენანტმა კაიზერმა გამოიყვანა ფრონტზე და ამით ოსმალური შენაერთების შემდგომი წინსვლა აღკვეთა ქართულ ტრიტორიებზე; გარდა ამისა, ათასეულმა შეასრულა 1200 კაციანი ოფიცერთა რაზმის ლიკვიდაციისა და ანგარიშების გასწორების დავალება.

1918 წლის 20 აგვისტოს საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რეპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები – ,,დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“, რომელიც 12 მუხლისგან შედგებოდა, ,,კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანზაციისა“, რომელიც 7 მუხლისგან შედგებოდა, ,,საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების ძირითადი დებულება“, რომელიც 12 მუხლისგან შედგებოდა და ,,კანონი ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირთა, რომელნიც დაბადებულან 1896-1899 წლებში“.

აქვე იქნა მიღებული პრინციპიალური გადაწყვეტილება იუნკერთა ქართული სამხედრო სკოლის დაარსების შესახებ. ,,საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციის“ კანონის მე-6 მუხლით განისაზღვრა შემდეგი სკოლების დაარსება:

- ქვეითთა მსროლელი ჯარისა;
- მსროლელი საარტილერიო;
- საინჟინერო-სატეხნიკო;
- საავიაციო;

კანონ-პროექტს ხელს აწერდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია.

სამხედრო სკოლის უფროსად გენერალ-ლეიტენანტი ანდრია ბენაშვილი დაინიშნა, მის მოადგილედ კი, ნაცვალთა სკოლის ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე.

გენერალ-ლეიტენანტი ანდრია ბენაშვილი

გენერალ-ლეიტენანტი ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი დაიბადა 1868 წლის 23 მარტს თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა თბილისის კადეტთა სკოლაში. კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ შედის მოსკოვის ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 18 წლის ასაკში, 1887 წელს.

ჯარებში მსახურობდა 1885 წლიდან, მე-16 მინგრელსკის გრენადერთა პოლკში. ამ პერიოდში იგი სამხედრო სამსახურით არ იზღუდება და მშობლიური ხალხის კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე ხდება. ამ პერიოდს ეკუთვნის ანდრია ბენაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობაც. იგი აქვეყნებს რამდენიმე მოთხრობას, ხოლო ,,ივერიაში" იბეჭდება მისი პიესები ,,დაუსრულებელი ამბავი, ანუ თელაველი ოტელო", ,,დროთა ბრუნვა" და სხვა.

1896–1899 წლებში სწავლობდა გენერალური შტაბის აკადემიაში, გეოდეზიის განყოფილებაზე, სადაც მიღება მკაცრად შეზღუდული იყო. კურსდამთავრებულს ენიჭებოდა სამეცნიერო ხარისხი. გეოდეზისტის წოდება კი, უთანაბრდებოდა ასტრონომიისა და გეოლოგიის დოქტორის ხარისხს.

1899 წელს იგი ორი წლით იგზავნება პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში, სადაც წერს დისერტაციას, რომელიც გენერალური შტაბის აკადემიის კონფერენციის მიერ აღიარებულ იქნა როგორც თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევა. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის მხოლოდ ორმა კურსდამთავრებულმა დაიცვა დისერტაცია და პირველი სწორედ ანდრია ბენაშვილი იყო.

1902-1903 წლებში მსახურობდა ლეიბ-გვარდიის იზმაილის პოლკში. 1903 წლიდან მას იწვევენ პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგედ. ამ მომენტიდან იწყება ანდრია ბენაშვილის უმაღლეს სკოლაში პედაგოგიური მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდი, რაც თითქმის 40 წელი გაგრძელდა. კითხულობდა ლექციათა კურსს პეტერბურგის (პეტროგრადის) ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში. 1904-1914 წლებში მსახურობდა დასავლეთის სასაზღვრო სივრცის ტრიანგულიაციის უფროსის

თანაშემწედ. 1914–1916 წლებში კი იყო რუსეთის დასავლეთ სასაზღვრო სივრცეთა ტრიანგულაციის უფროსი.

პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე გენერალური შტაბის ოფიცერთა დიდი ნაკლებობის გამო იგი მოქმედ არმიაში მიდის, სადაც დიდი წარმატებით მოღვაწეობს. 1915-1916 წლებში ირიცხებოდა კიევის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში. 1916-1917 წლებში მეთაურობდა კამიშინის 404-ე ქვეით პოლკს. 1917-1918 წლებში კი, იყო 105-ე ქვეითი დივიზიის მეთაური და XXXII-ე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. აქვე აღწევს გენერალ-ლეიტენანტის ჩინს. 1918 წლიდან ხელმძღვანელობდა კავკასიის არმიის სამხედრო–ტოპოგრაფიულ განყოფილებას;

1918 წელს გენერალ-ლეიტენანტი ანდრია ბენაშვილი საქართველოში ჩამოდის. მისი ჩამოსვლა ქართული უნივერსიტეტის გახსნის დამამთავრებელ ეტაპს ემთხვევა. ივანე ჯავახიშვილი კარგად იცნობდა ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობას. მისი ჩამოსვლა თბილისში ბედნიერი შემთხვევითობა არ ყოფილა. ქართულ უნივერსიტეტში მუშაობა ანდრია ბენაშვილისთვის ჭაბუკობისდროინდელი ოცნების ასრულება იყო. ამიტომაც იგი ღირსეულად ჩადგა ივანე ჯავახიშვილის თანამოაზრეთა რიგებში და სავსებით დამსახურებულად ითვლება ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებლად. პეტრე მელიქიშვილი და ანდრია ბენაშვილი ქართული უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორები იყვნენ ბუნებისმეტყველების დარგში. შემდგომში მათ ანდრია რაზმაძეც შეუერთდათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1918-1921 წლებში, გენერალი ანდრია ბენაშვილი ქართულ ჯარში მსახურობდა. 1918 წლის 26 ივლისს დაინიშნა ქართული ჯარის ზურგისა და მომარაგების უფროსად, 1919 წლის სექტემბრამდე კი, მსახურობდა ქართული სამხედრო სკოლის უფროსის თანამდებობაზე. შემდგომში იყო არმიის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსი, კითხულობდა ლექციათა კურსს სამხედრო ტოპოგრაფიასა და გეოდეზიაში ქართულ სამხედრო სკოლაში.

1919 წელს პროფესორ ანდრია ბენაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანობა დაევალა. სწორედ იგი თავმჯდომარეობდა პროფესორთა საბჭოს იმ სხდომას, სადაც ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს.

1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ, იგი თადარიგში გავიდა. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნის საქმეში. იყო თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი;

1923-1941 წლებში კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ითვლება ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ დამაარსებლად. 1928 წლიდან გეოდეზიისა და სამარქშეიდერო საქმის კათედრის გამგეა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში;

1930 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ტფილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, 1933–1936 წლებში ქუთაისის, ხოლო 1938–1941 წლებში სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში;

პროფესორი და გენერალ-ლეიტენანტი ანდრია ბენაშვილი გარდაიცვალა 1941 წლის 28 ივნისს, სოხუმში. დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

იგი ავტორია 30 სამეცნიერო შრომისა უმაღლესი გეოდეზიის, სფერული ტრიგონომეტრიის, სფერული ასტრონომიის და ტოპოგრაფიის დარგებში. მან შეადგინა პირველი ქართული სახელმძღვანელოები ტოპოგრაფიის, სფერული

ტრიგონომეტრიის, სფერული ასტრონომიის და ცდომილებათა თეორიის დარგში. იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში გეოგრაფიის ინსტიტუტის შექმნისა. უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველ ინჟინერთა კადრების აღზრდაში.

ანდრია ბენაშვილის სახელს ატარებს თბილისის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კოლეჯი (ყოფილი თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი). თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ივანე ჯავახიშვილის უკან – გენერალ-ლეიტენანტი, პროფესორი ანდრია ბენაშვილი

1918 წლის შემოდგომისათვის ყველაფერი მზად იყო სამხედრო სკოლაში მოწაფეთა მისაღებად, მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში იმ დროისათვის განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები აფერხებდნენ ახალგაზრდათა მოგროვებისა და სკოლაში მიღების პროცესს. საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველმხრივ მტრებით იყო გარშემორტყმული, რომელთა წინააღმდეგ ქართულ არმია და სახალხო გვარდია უმძიმეს ბრძოლებს აწარმოებდა. ოსმალთა სამხედრო აგრესია უკვე აღკვეთილი იყო, მაგრამ შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთში შემოჭრილი რუსული ბოლშევიკური რაზმების წინააღმდეგ გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით ჯერ კიდევ მიმდინარეობდა საომარი კამპანია. რუსეთის მხრიდან ინსპირირებულ და მხარდაჭერილ ბოლშევიკურ გამოსვლებს მოეცვათ რაჭა-ლეჩხუმი და სამეგრელო, ცხინვალის რეგიონი და დუშეთის მაზრა. გარდა ამისა, შავიზღვისპირეთში შემოსვლას იწყებდნენ გენერალ ალექსეევის თეთრგვარდიული შენაერთებიც.

დრო ძვირად ფასობდა, ამიტომ სკოლის ხელმძღვანელობის თხოვნით ორგნიზებულ იქნა ოფიცერთა მომზადების განმეორებითი კურსები. მაგრამ ეს კურსები ვერ დასრულდა, რადგან 1918 წლის ბოლოს, სომხეთ-საქართველოს ომის

დაწყებასთან დაკავშირებით, კურსზე გამოგზავნილი ოფიცრები ისევ უკან, ნაწილებში გაიწვიეს და ფრონტზე მიავლინეს.

სომხეთ-საქართველოს ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში, განმეორებით კურსებზე უმცროს ოფიცერთა მეორე შემადგენლობა შეიკრიბა, მაგრამ სასწავლო პროცესის დაწყება ვერც ამჯერად მოხერხდა, რადგან ზუსტად ამ დროს ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ახალმა საფრთხეებმა იჩინეს თავი. ყარსში, ოსმალთა სამხედრო წრეებისგან მხარდაჭერილი პანისლამისტების მიერ ე.წ. ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის“ შექმნა გამოცხადდა, რომელმაც ტერიტორიული პრეტენზიები ძირძველ ქართულ მიწებზე, ტაო-კლარჯეთზე, ბათუმის ოლქსა და მესხეთ-ჯავახეთზე განაცხადა.

1919 წლის იანვრის ბოლოს თვითგამოცხადებული ,,ყარსის რესპუბლიკის“ საბრძოლო რაზმები და ქვედანაყოფები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში შემოიჭრნენ. მცირერიცხოვანმა ქართულმა ქვდანაყოფებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მტერს და ბრძოლებით ბორჯომისაკენ დაიხიეს უკან, პანისლამისტთა ჯარებმა კი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ოკუპაცია მოახდინეს. ამ მოვლენების პარალელურად, სოჭსა და შავიზღვისპირეთშიც დაიძაბა მდგომარეობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიებზე დაიწყო გენერალ ანტონ დენიკინის თეთრგვარდიული შენაერთების შემოსვლა, რომლებმაც სოჭი, ადლერი და გაგრა დაიკავეს.

უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ახალციხის ფრონტზე გაემგზავრნენ როგორც სკოლის ინსტრუქტორ-მასწავლებლები, ასევე კურსებზე სასწავლებლად გამოგაზვნილი ოფიცრები. თავად პოლკოვნიკი ჩხეიძე კი, ახალციხის საეტაპო ხაზის უფროსად დაინიშნა. 1919 წლის გაზაფხულის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო შენაერთები და სახალხო გვარდიის რაზმები ახალციხისა და გაგრის ფრონტებზე იბრძოდნენ. საბოლოოდ, 1919 წლის აპრილის ბოლოსთვის მოხერხდა როგორც გენერალ დენიკინის თეთრგვარდიული რაზმების აგრესიის აღკვეთა შავიზღვისპირეთში, ასევე ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გათავისუფლება და თვითგამოცხადებული ე.წ. ,,ყარსის რესპუბლიკის“ ლიკვიდაცია.

ახალციხის ფრონტზე მივლინებული ოფიცრები სამხედრო სკოლას დაუბრუნდნენ.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი



საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის სახელმწიფო
გერბი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
სახელმწიფო დროშა



19

სამინისტროს და სამხედრო სკოლების აფიცრები და მთელი ს
საადმინისტრაციო შედგენილობა ჯარის მართვა- გამგეობისა.
ამისათვის საჭირო რიცხვი აფიცერთა , ექიმთა და მოხელეთა
აღნუსხულია სამხედრო სამინისტროს შტატში.

მუხ. 6-ე

იუნკერთა მოსამზადებლად არსდება სამხედრო სკოლა. გარდა
ამისა, არსდება სკოლები : ქვეითა მსროლელი ჯარისა, მსროლე-
ლი საარტილერიო, საინჟინერო- სატეხნიკო და საავიაციო.

მუხ. 7-ე

ჯარის კაცთა გასახამართლებლად, სამხედრო დისციპლინის დარ-
ღვევისა და სამხედრო სამსახურის მოვალეობის აუსრულებლო-
ბისათვის, არსდება საგანგებო სამხედრო სასამართლოები, დამ-
ტკიცებულ შტატის თანახმად.

1918 წ. აგვისტოს 20

ეროვნულ საბჭოს
თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია

კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა“. ამ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, იუნკერთა მოსამზადებლად განსაზღვრული იყო ქართული სამხედრო სკოლის დაარსება. გარდა ამისა – ქვეითი ჯარის, არტილერიის, საინჟინრო-ტექნიკური და საავიაციო სკოლების ჩამოყალიბება

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო დროშა (მიღებულია 1918 წ. 27 დეკემბერს)



9

ასლი.

კ ა ნ ო ნ ი

სამხედრო დროშისა.

I. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშა შეხდგება კვადრატული ფორმის ფერი აღმოსავლან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ფერნი გვირგვინში; ადამს ალმოვლებული აქვს ძვინდისფერი არშია, გარშემორტყმული ვერცხლის ბოლით; ადამს აქვს სამი ძვინდისფერი კუნჭები, ვერცხლის ბოლ შემოვლებული. დროშის ბუნი ძვინდისფერი, მოოქვრილ-ლახვრიანი, რომელზედაც ვაღმეფად ჩამოშვებულია ორი ოქროს ფოჩი.

2. ეს კანონი ძალაში ძედის დღიდან მიღებისა.

IvIII წ. დეკემბრის 27-ს.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე. [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

National Archives

„კანონი სამხედრო დროშისა“, მიღებული 1918 წლის 27 დეკემბერს

1919 წ. 7/I №242 1918 წ.

1

1919 წ. №5

აღწერილობა საქართველოს რესპუბ-ლიკის ღერბისა.

1. შვინდისფერ ადგილიანს რგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ოქროს ჩლიქებიან თეთრს ცხენზედ.

მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი.

ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯედები; ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსასხმისა თეთრი.

მარცხენა ხბარზედ, თეთრი ფარი სახიანი; შალვარი ალისფერი, ოქროს წაღები;

უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი; უნაგირი ოქროსი და უბანგი ვერცხლისა;

ღერბის თავში რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი; მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე; მთვარის და მზის აქეთ იქით ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი.

ცხენის ქვეშ შავი მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია თეთრ წინწკლებიანი ოქროს ზოლებში ჩასმული.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა.

1918 წ. დეკემბრის 27.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

1919 წ. 7/I №248 1918 წ.

1

1919 წ. №5

კანონი
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი შედგება კვადრატულ ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი. შტანდარტს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია შავი კუნუბებით შიგნითა მხრიდან.

არშიას გარს არტყია ოქროსმკედით ამოქარგული ქართული სირმა. ანძა არის სამფეროვანი: ვიწრო ზოლები-შავი და თეთრი, ფართო ზოლები-შვინდისფერისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

1918 წ., დეკემბრის 27-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

1919 წ. 7/I №247 1918 წ.

1

1919 წ. №5

კანონი
სამხედრო დროშისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშა შესდგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი გვირგვინში; ალამს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია, გარშემორტყმული ვერცხლის ზოლით; ალამს აქვს სამი შვინდისფერი კუნუბი, ვერცხლის ზოლ შემოვლებული. დროშის ბუნი შვინდისფერი, მოოქროვილლახვრიანი, რომელზედაც ცალმტოდ ჩამოშვებულია ორი ოქროს ფოჩი.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა,

1918 წ. დეკემბრის 27-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

119

მოტოციკლისტთა რაზმი სამხედრო სკოლის სამწყობრო მოედანზე

ქართული სამხედრო სკოლა

1918-1921 წლები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდი იყო. თავიდანვე მტრულ საგარეო გარემოცვაში მყოფი ახალგაზრდა რესპუბლიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საკუთარი, ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ეს ურთულესი პრობლემა, ცხადია, საკუთარი პროფესიონალი სამხედრო კადრების მომზადების გარეშე ვერ გადაიჭრებოდა. მართალია, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა და მსახურობდა რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ ნამსახურები მაღალი და საშუალო რანგის პროფესიონალი და პატრიოტული გრძნობებით აღსავსე ოფიცერთა კორპუსი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ქართველი ახალგაზრდების ზიარება სამხედრო საქმესა და სამხედრო ხელოვნებასთან. საჭირო იყო ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული ისეთი უმცროს ოფიცერთა კადრების მომზადება, რომლებიც მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნების საფუძვლებს იქნებოდნენ დაუფლებულნი. სწორედ ამაში მდგომარეობდა იდეის მთავარი არსი. ,,სწავლა და განათლება” და არა მხოლოდ ,,წვრთნა და ვარჯიში”, ,,ფიქრი და აზროვნება” და არა მხოლოდ ,,დამახსოვრება და მიბაძვა”, ,,რწმენა და ღირსება” და არა მხოლოდ ,,რიდი და მოვალეობა”, ,,ეროვნული სულისკვეთება და პატრიოტიზმი” და არა ,,შიში და მორჩილება”...

სწორედ ამ აზრობრივი დატვირთვით იქნა არჩეული სიტყვები ,,სამხედრო სკოლა” და ,,იუნკერი” პირველი ქართული რესპუბლიკის მომავალი სამხედრო კადრის სამჭედლოსა და მომავალი ახალგაზრდა ოფიცრებისათვის და არა უბრალოდ სიტყვა ,,მსმენელი” ან რუსული სიტყვები ,,კურსანტი” და ,,სამხედრო სასწავლებელი”. საკითხისადმი ასეთი მიდგომა სკოლის მომავალი უფროსის, გენერალ კვინიტაძის პრინციპული პოზიცია იყო.

1919 წლის 1 აგვისტოს დამტკიცდა სამხედრო სკოლის ახალი შტატები. ამ შტატების მიხედვით სამხედრო სკოლის მოწაფეთა რიცხვი 180 კაცით შემოიფარგლა. ეს უნდა ყოფილიყო ერთი ასეული – 90 მოწაფე პირველ კურსზე, და შემდგე, ყოველწლიურად – 90 კაცი. სკოლაში სწავლა ორწლიანი უნდა ყოფილიყო. სამხედრო სპეციალობების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ქვოტები – 60 იუნკერი ქვეით სპეციალობაზე, 10 საინჟინროზე, 15 საარტილერიოზე და 5 კავალერიის სპეციალობაზე.

სამხედრო სკოლასთან, იუნკერთა ასეულის გარდა, ორგანიზაციის მიხედვით, უნდა ყოფილიყო ნაცვალთა ბატალიონი ნაცვლების მოსამზადებლად, შემდეგი შემადგენლობით: სამი ქვეითი ასეული, სამი ბრიგადის საჭიროებისათვის; ასეული 150 კაციანი; გარდა ამისა, ერთი ასეული – 70 კაციანი, სასაზღვრო ჯარების სპეციალობით; ერთი მეტყვიამფრქვევეთა ასეული 150 კაცით და 8 ტყვიამფრქვევით; 80 კაციანი ბატარეა 2 საველე ზარბაზნით, 2 ქვემეხით და ერთი ჰაუბიცით. შემდეგში ამას კიდევ დაემატა 25 კაციანი ცხენოსანი ოცეული.

სასწავლო წლის დაწყების დღედ იუნკერთათვის 1 სექტემბერი, ხოლო ნაცვალთა ბატალიონისათვის 15 ნოემბერი დაინიშნა. ნაცვლებისათვის სასწავლო კურსის ხანგრძლივობა რვათვიანი იყო, ხოლო იუნკრებისთვის, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ – ორწლიანი.

1919 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში სკოლის უფროსად ამიერკავკასიის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი და რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე ინიშნება, მოადგილედ – პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე. გენერალი ანდრია ბენაშვილი ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსი ხდება.

გენერალი გიორგი კვინიტაძე

გენერალი გიორგი კვინიტაძე დაიბადა 1874 წელს, დაღესტანში, პოლკოვნიკ ივანე კვინიტაძი ოჯახში. დაამთავრა კადეტთა კორპუსი და პეტერბურგის ქვეითთა სამხედრო სასწავლებელი.

1894 წლისათვის უკვე ოფიცერი იყო. სამხედრო სამსახური დაიწყო ვლადიკავკაზის 153-ე პოლკში. შემდეგ მსახურობდა პოლონეთში.

1904 წელს საკუთარი სურვილით მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. 1910 წელს კაპიტნის წოდებით დაამთავრა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია და სამსახური კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში განაგრძო.

მონაწილეობდა პირველი მსოფლიო ომში. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1916 წელს ენიჭება საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და ინიშნება კავკასიის არმიის გენერალ-კვარტერმეისტერად, შემდეგ ახლადშექმნილი მე-4 მსროლელი დივიზიის მეთაურად. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქ არზრუმისა და მისი ციხესიმაგრის აღებაში, რისთვისაც წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1917 წელს ჩამოდის თბილისში და მონაწილეობას იღებს ქართული საარმიო კორპუსის ჩამოყალიბების საქმეში. 1918 წლის დასაწყისში ინიშნება ამიერკავკასიის ფედერაციის ჯარების მთავარსარდლად და სამხედრო მინისტრის მოადგილედ. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება.

1918 წლის მაისიდან არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის

მოადგილე. 1918 წლის ზაფხულში იგი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მის მეთაურთან, ნოე ჟორდანიასთან არსებული მუდმივი იდეოლოგიური დაპირისპირების გამო იგი რამდენჯერმე გადადგა მთავარსარდლის თანამდებობიდან, თუმცა იგივე ჟორდანიას თხოვნით ისევ უბრუნდებოდა სამხედრო საქმეს.

1918 წლის ბოლოდან იყო სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ფრონტის საველე შტაბის უფროსი, 1919 წლის თებერვალი-მაისის პერიოდში კი, ახალციხისა და ახალქალაქის გუბერნიების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონში გაშლილი ქართული ჯარების სარდალი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ტერიტორიებიდან განდევნილ იქნა პანისლამისტთა თვითგამოცხადებული ე.წ. ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის“ საბრძოლო რაზმები და აღებულ იქნა ფოცხოვი და არტაანი, რის შედეგადაც საქართველომ დაიბრუნა თავისი ისტორიული მიწების, ტაო-კლარჯეთის ნაწილი. მაისის ბოლოს მან დაკავებული თანამდებობა დატოვა.

1919 წლის აგვისტოს ბოლოს ინიშნება თბილისში გახსნილი სამხედრო სკოლის უფროსად.

1920 წლის აპრილის ბოლოს, აზერბაიჯანის იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, რუსი ბოლშევიკებისგან მომდინარე საფრთხის გამო, იგი ისევ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ინიშნება. რუსეთ-საქართველოს პირველ ომში, 1920 წლის მაისში, მიაყენა სასტიკი მარცხი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელ არმიას, რომლის შენაერთებიც აზერბაიჯანის მხრიდან ცდილობდნენ საქართველოში შემოჭრას. კვინიტაძეს სურდა გაეგრძელებინა შეტევითი მოქმედებები ბაქოს მიმართულებით, მაგრამ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეტევითი მოქმედებები შეჩერებულ იქნა საქართველოს დემოკრტიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების გამო. 1920 წლის შემოდგომაზე გენერალი კვინიტაძე ისევ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან.

1921 წლის თებერვალში, მე-11 წითელი არმიის საქართველოში შემოჭრისა და უაღრესად მძიმე ვითარების გამო, ჟორდანიას მთავრობამ გენერალი კვინიტძე კვლავ მთავარსარდლად დაამტკიცა და მას თბილისის დაცვა დაავალა. კვინიტაძემ სრული მობილიზაცია გამოაცხადა და რამდენიმე დღე ქალაქს წარმატებით იცავდა, მაგრამ 24 თებერვალს რუსებმა თბილისის მიმართულებით დამატებითი ძალები გადმოისროლეს და ქალაქის დამცველთა ფლანგებიდან შემოვლა დაიწყეს. დედაქალაქს და მასთან ერთად საქართველოს მთავრობას ალყაში მოქცევის რეალური საფრთხე დაემუქრა. ასეთ ვითარებაში გიორგი კვინიტაძემ უკან დახევისა და ქალაქის დაცლის გადაწყვეტილება მიიღო.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს გიორგი კვინიტაძემ ბათუმის პორტიდან საქართველო დატოვა და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. ჯერ კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ, სადაც ხელმძღვანელობდა ტფილისის სამხედრო სკოლის იუნკრების გადანაწილებას საბერძნეთის, პოლონეთისა და საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლებში. საბოლოოდ, იგი საფრანგეთში დასახლდა, სადაც მთელი დარჩენილი ცხოვრება გაატარა;

გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, 1970 წლის 7 აგვისტოს, პარიზის მახლობლად, დაბა შატოში.

1919 წლის სექტემბერში, თბილისის სამხედრო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, გენერალი კვინიტაძე იგონებდა: ,,უმეტესობის აზრი იყო, რომ სახელი აგვეღო რუსულ სახელის უშუალო თარგმანიდან და დაგვერქო ,,სამხედრო სასწავლებელი", ხოლო თვით სამხედრო განათლება მაქსიმალურად ყოფილიყო შეკვეცილი გაწვრთნისა და თეორიული სწავლების პრაქტიკული მინიმუმით. მე წინაუკმო აზრისა ვიყავი და როგორც სკოლის მომავალ უფროსმა, გავიყვანე შემდეგი აზრი: ეს უნდა ყოფილიყო არა სასწავლებელი, არამედ ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო, ქართულ სამხედრო დოქტრინის კათედრა; ამიტომ მისი ნამდვილი სახელი უფრო სამხედრო სკოლა იყო, ვიდრე რუსულიდან ნათარგმნი სამხედრო სასწავლებელი".

ქართული სამხედრო სკოლა 1919 წლის 5 სექტემბერს გაიხსნა. სკოლაში სწავლის მსურველთა წინაშე დასმული ძირითადი მოთხოვნა საშუალო განათლების ქონა, კარგი ფიზიკური მომზადების დონე და რაც მთავარია, პატრიოტული სულისკვეთება იყო. სამხედრო სკოლის ორგანიზაციის თვალსაზრისით საგულისხმო იყო ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სკოლაში, ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა ესწავლათ როგორც მომავალ ოფიცერებს, ასევე მომავალ ნაცვლებს, რომლებიც მოკლევადიანი კურსების გავლის შემდეგ სამხედრო სამსახურს რეგულარული არმიის ნაწილებში გააგრძელებდნენ.

იუნკერთა სკოლის მთავარი დანიშნულება მომავალ ოფიცერთა არა მხოლოდ სამხედრო კუთხით გაწვრთნა და მათი სამხედრო ხელოვნებასთან ზიარება, არამედ, პირველ რიგში, მათში ქართული სულის გამოღვიძება და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ კი, სასწავლო პროცესის წარმართვის საქმეში არსებითი ხასიათის სირთულეებს ჰქონდა ადგილი. კარგადაა ცნობილი, რომ მაღალი რანგის ქართველ ოფიცერთა დიდმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა, ანდა, თუ იცოდა, ძალიან ცუდად. თვით გენერალი კვინიტაძეც კი, ჩრდილოეთ კავკასიაში დაბადებული და გაზრდილი კაცი, ვერ ფლობდა მშობლიურ ენას, რასაც იგი, სხვათა შორის, ძალიან განიცდიდა. სამხედრო საქმით დაკავებული გენერალი, მიუხედავად დროის უდიდესი დეფიციტისა, მაინც პოულობდა დროს და ძალას, რომ ეს ნაკლი გამოესწორებინა. ბედის ირონიაა ალბათ ისიც, რომ თანამდებობიდან გადამდგარი და იძულებით ,,შვებულებაში" არაერთხელ გასული მთავარსარდალი უქმად არ კარგავდა დროს და დიდი მონდომებით სწავლობდა ქართულ ენას.

ქართული ენის ფლობისა და საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნის საქმეში გარკვეული სირთულეები იუნკრებშიც შეიმჩნეოდა. სწორედ ამიტომ, მომავალ ქართველ ოფიცერთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის გენერალ კვინიტაძის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სასწავლო პროგრამებში შეტანილი ყოფილიყო ისეთი საგნები, როგორიცაა მშობლიური ლიტერატურა და საქართველოს ისტორია, აღარაფერს ვამბობთ საქართველოს სამხედრო ისტორიასა და სამხედრო გეოგრაფიაზე. მასწავლებლებად კი, ცნობილი ქართველი მეცნიერები და პედაგოგები მოეწვია.

ისევ გენერალი კვინიტაძე: ,,გარდა ამისა, მე არ მწამდა გაწვრთნა მხოლოდ იარაღის ხმარებაში, მე მსურდა აღზრდა ქართული სულით. ამიტომ იყო, რომ გარდა ფართო სამხედრო თეორიული საგნებისა, სპეციალურად გავიყვანე, რომ სამხედრო სკოლაში ასწავლიდნენ ისეთ არასამხედრო საგნებს, როგორც ქართული ენის სიტყვიერებას და საქართველოს საერთო ისტორიას. ამისათვის მოწვეულ იქმნენ ისეთი საუკეთესო პროფესორები ამ საგნებისა, როგორც ვასო ბარნოვი და სარგის

კაკაბაძე". და შემდეგ: ,,რასაკვირველია ეს დროებითი და გარდამავალი ზომა იყო, სანამ სასწავლებლები მოგვაწოდებდნენ სრულიად ქართულად აღზრდილ მოწაფეებს".

მომავალი ქართველი ოფიცრების აღზრდის საქმეში ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული სამხედრო სკოლის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის საქმიანობაც:

,,როდესაც ვიგონებ სკოლის გახსნის დღეს, ძალაუნებურად მაგონდება ის განცდანი, რომელიც პირადად მე ვიგრძენი. არ ვიყავი უკვე ახალგაზრდა ოფიცერი, თან მახლდა 26 წლის პრაქტიკა სამხედრო დარგში. მქონდა მიღებული დიდი გამოცდილება რუსულ სამხედრო სკოლებში სამსახურით, და გარდა ამისა, საბრძოლო გამოცდილება დიდ ომში[1] მიღებული. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მომზადება მქონდა საკმარისი და ეს მაძლევდა უფლებას ამეღო ჩემ თავზე ისეთი მძიმე ამოცანა, როგორიც ახალგაზრდების აღზრდა და მათი სამხედრო ხელობაში გაწვრთნა იყო...

სწორედ დადგა შესაძლებლობა შემესყიდა მძიმე დანაშაული, რომელიც ჩავიდინეთ ჩვენ და თითქმის მთელმა ჩვენმა ერმა სხვადსხვა დარგში მტრულ ერისადმი სამსახურით... ეჭვი არ მეპარებოდა, რომ შევძლებდი ახალგაზრდების გაწვრთნას და მათგან კარგ ოფიცრების შექმნას, მაგრამ ამავე დროს იმასაც ვგრძნობდი, რომ არ არის საკმარისი მათი მხოლოდ გაწვრთნა და მათგან ერთგვარი ავტომატების შექმნა.

გაწვრთნასთან ერთად, საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, მათი აღზრდა, მათში ქართული სულის გაძლიერება, წინაპრების სულიერ ძალების გაღვივება; საჭირო იყო მათში კეთილშობილ მამა-პაპური სისხლის ანთება; საჭირო იყო გაღვიძება ყოველივე იმისა, რაც დახშული იყო რუსეთის ტყვეობაში ყოფნის ხანაში – ერთი სიტყვით, შექმნა ოქროს ხანის პატრიოტ მხედრებისა".

პოლკოვნიკ ვიქტორ ცხაკაიას შეფასებით კი, რომელიც იუნკრებს ტოპოგრაფიას ასწავლიდა, სკოლის წინაშე დასახული მიზნების მიღწევაში არანაკლები როლი იუნკერთა შინაგანმა მზაობამ, მათმა პატრიოტულმა განწყობამ და მონდომებამ ითამაშა: ,,როგორც მახსოვს, სკოლა გაიხსნა 1919 წლის სექტემბერში. არავითარი წვრთნა ამ ახალგაზრდებს ჯერ არ ჰქონიათ, როდესაც მე დავიწყე იქ ჩემი ლექციები იმავე წლის ოქტომბერს. რამოდენიმე ლექციის შემდეგ, როდესაც მათ დავაკვირდი, და გავეცანი მათ სულიერ განწყობილებას, განცვიფრებული დავრჩი. მე ვკითხულობდი მათ თვალებში – რაზომ შესტრფოდნენ ისინი თავის სამშობლოს დამოუკიდებლობას და ლექციებიდან სრულიად დამშვიდებული გამოვდიოდი. და ეს იმ ხანად, როდესაც ირგვლივ ყოველივე იყო აფორიაქებული და არავითარი რწმენა მე არა მქონდა, ვინაიდან თვალწინ მედგა ქართველი ერი პარტიათა ბრძოლის მიერ გულ-დაღარული.

მერე რა გულმოდგინედ ითვისებდნენ ლექციებს! ეს იყო დაფიქრებული ახალგაზრდობა; ეს იყო ბურჯი ქართველი ერის სასოებისა! ვფიქრობდი, – ოთხი-ხუთი წელიწადი თუ დააცალეს, ეს ახალგაზრდობა არ დაანებებს თვის სამშობლოს გასაქელავად, მაგრამ არ დააცალეს..."

პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში სიტყვა ,,იუნკერის" დამკვიდრებით ხაზგასმული იყო ქართული სამხედრო სკოლის მოწაფეთათვის

[1] აქ პირველი მსოფლიო ომი იგულისხმება.

საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების საფუძვლების სიღრმისეული სწავლების არსი და ფორმა. იუნკერი არა მხოლოდ კარგად გაწვრთნილი მომავალი ახლგაზრდა ოფიცერი, არამედ პირველ რიგში, ქვეყნის პატრიოტი, ქართული სამხედრო არისტოკრატიის ღირსეული მემკვიდრე და წარმომადგენელი, ყოველმხრივ განათლებული და განსწავლული, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული პიროვნება უნდა ყოფილიყო.

სწორედ ამით ეხმიანებოდა მომავალი ქართველი ოფიცრის სახელი – ,,იუნკერი", ამ სიტყვის ისტორიულ, პრუსიულ ფესვებს. და სწორედ ამიტომ ისწავლებოდა იუნკერთათვის ქართულ სამხედრო სკოლაში ისეთი დისციპლინები და მეცნიერებები, როგორიც იყო:

1. ქართული ლიტერატურა;
2. საქართველოს ისტორია;
3. სამხედრო ისტორია;
4. საქართველოს სამხედრო ისტორია;
5. სამხედრო გეოგრაფია;
6. საქართველოს სამხედრო გეოგრაფია;
7. სამართლის მეცნიერება;
8. უცხო ენები;
9. ქიმია;
10. სამხედრო ჰიგიენა;
11. ჰიპოლოგია;
12. ანალიზური გეომეტრია;
13. მექანიკა;
14. მასალათა გამძლეობა;
15. საამშენებლო საქმე;
16. ხიდებისა და გზების მშენებლობა;
17. კავშირგაბმულობა;
18. ტოპოგრაფია;
19. ფორტიფიკაცია;
20. ბალისტიკა;
21. სროლის თეორია და სხვა;

ამ საგნებში ლექციებს კი ისეთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და ოფიცრები კითხულობდნენ, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ვასილ ბარნოვი, სარგის კაკაბაძე, გენერალი კვინიტაძე, გენერალი თაყაიშვილი, გენერალი გედევანიშვილი, გენერალი ზაქარიაძე, გენერალი ბენაშვილი, გენერალი კალანდარიშვილი, გენერალი თუმანიშვილი, პოლკოვნიკი გედევანიშვილი, პოლკოვნიკი ვახვახიშვილი, პოლკოვნიკი ცხაკაია, პოლოკოვნიკი ჩეჩელაშვილი და სხვა. სკოლის ადმინისტრაციას კი, ქართული არმიის ისეთი გამოჩენილი სარდლები და მეთაურები წარმოადგენდნენ, როგორებიც იყვნენ – საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, სასაზღვრო ჯარების ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე, სომხეთ-საქართველოს ომში ერთ-ერთი დამრტყმელი შენაერთის ყოფილი მეთაური, გენერალი ქრისტეფორე ჩხეტიანი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართველ იუნკერთა სამხედრო სკოლამ სულ რაღაც წელიწადნახევარი – 1919 წლის სექტემბრიდან 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე იარსება. და მიუხედავად არსებობის ასეთი ხანმოკლე პერიოდისა, ქართველმა იუნკრებმა სამუდამო და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს სამხედრო ისტორიის ანალებში.

საკლასო-საუდიტორიო თეორიული კურსის სწავლების გარდა, სასწავლო გეგმის მიხედვით, ზაფხულის განმავლობაში საველე სასწავლო ბანაკის ორგანიზებაც დაიგეგმა, სადაც იუნკრები თეორიული კურსზე მიღებულ ცოდნას განამტკიცებდნენ ტაქტიკურ ველზე. ეს დადგენილება რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ იქნა მიღებული 1919 წლის 27 მარტს.

სამხედრო საბჭოს წევრის, გენერალ ქუთათელაძის 1920 წლის 29 მარტით
დათარიღებული №69 პატაკი სამხედრო მინისტრს.
(დედანი – სამხედრო სამინისტროში შესულია 1920 წლის 31 მარტს, №2254-ით).

,,მოგახსენებთ, რომ თანახმად სამხედრო საბჭოს დადგენილებისა 27 ამა თვეს გავემგზავრეთ სოფ. მუხრავანში რესპუბლიკის არტილერიის ჯარების და სამხედრო სკოლის საცდელ-სასროლ და საბანაკო მინდვრის ამოსარჩევად, საიდანაც დავბრუნდი დღეს. ჩემთან ერთად გამოემგზავრნენ იმავე მიზნისათვის პოლკოვნიკი გურამიშვილი, პოლკოვნიკი ივანოვი და გენერალი კვინიტაძე.

სასწავლო პროცესის ასეთი ორგანიზაცია საბოლოოდ საქართველოს სამხედრო საბჭოს 1920 წლის 13 ივნისის სხდომაზე იქნა მიღებული.

სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმი №23

13. 06. 1920 წელი. საიდუმლო

თავმჯდომარე – ლორთქიფანიძე და გენ. ქუთათელაძე;
წევრები – გენ. ანდრონიკაშვილი, გენ. კვინიტაძე, ვ. ჯუღელი და რ. აუშტროვი;
დაესწრნენ: გენ. ალ. გედევანიშვილი, გენ. იოს. გედევანიშვილი, გენ. თაყაიშვილი, პოლკ. გურამიშვილი, პოლკ. ყაზბეგი, პოლკ. გედევანიშვილი, გოგუა, ყიფშიძე.
მომხსენებელი: გენ. ქავთარაძე.
საქმის მწარმოებელი: ზალდასტანიშვილი.

პირველი საკითხი – ჯარის ნაწილებისათვის სავარჯიშო მინდვრის და სამხედრო სკოლისათვის საზაფხულო ბანაკის მოწყობის შესახებ.
მომხსენებელი – გენ. ქუთათელაძე.

დაადგინეს: ვინაიდგან ჯარის გაწვრთნა და საომრად მომზადება უმთავრესი პირობაა დამოუკიდებლობის შერჩენისა და წესიერად მომზადება კი შესაძლებელია საგანგებოდ მოწყობილ სავარჯიშო მინდორზე, კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადება მოწონებულ იქნას და ემცნოს მიწად მოქმედების მინისტრს სურვილი სამხედრო საბჭოსი ასეთი სავარჯიშო მინდვრის მოწყობისა სოფ. მუხრავანში, მასთან განემარტოს მიწად მოქმედების მინისტრს, რომ ამ მინდორზე შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივად ხვნა-თესვის წარმოება და თივის მოგროვება და ეთხოვოს მოგვაწოდოს თავის დასკვნა, კომისიამ კი განაგრძოს საჭირო ცნობების შეკრება.

ამ ჟამად კი მუხრავანში მოეწყოს სამხედრო სკოლის და ნაცვალთა ათასეულისათვის საზაფხულო ბანაკი. შედგენილ იქნას გენერალ ალ. გედევანიშვილის თავმჯდომარეობით და სახალხო გვარდიის წარმომადგენლის

ძველი წევრების მონაწილეობით კომისია, რომელმაც გამოარკვიოს რა შენობების შეკეთება აუცილებლად იქნება საჭირო სამხედრო სკოლის და ნაცვალთა ათასეულის ბანაკის მოსაწყობად.

ხელს აწერენ

თავმჯდომარე: გრ. ლორთქიფანიძე;
წევრები: გენ. ანდრონიკაშვილი და რ. აუშტროვი;
კანცელარიის უფროსი: გენერალი ქავთარაძე;
საქმის მწარმოებელი: ზალდასტანიშვილი;

სამხედრო სკოლა არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ან ცალკეულ ტაქტიკურ სამხედრო ერთეულს და შესაბამისად, მისი ორგანიზაციაც არ იყო გათვალისწინებული ასეთი დანიშნულებით. სკოლის მიზანი იყო მოემზადებინა უმცროსი ოფიცრები ჯარების ყველა გვარეობისათვის – ქვეითი, არტილერია, ცხენოსანი, საინჟინრო. იუნკერთათვის სწავლება ორწლიანი უნდა ყოფილიყო, ორგანიზაციულად – ორასეულიანი სასწავლო ბატალიონი. ე.ი. თითოეული კურსი – ერთი ასეული. პირველ კურსზე ყველა სპეციალობისათვის სწავლება მიმდინარეობდა საერთო პროგრამით ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსა და ტაქტიკის საფუძვლებში, ხოლო მეორე კურსიდან ხდებოდა კურსის (ასეულის) დაყოფა ცალკეულ სასწავლო ჯგუფებად (ოცეულებად) სპეციალობების მიხედვით.

ახლა კი წარმოვადგენთ საარქივო დოკუმენტს, რომელშიც თითქმის ამომწურავადაა წარმოდგენილი ქართულ სამხედრო სკოლაში იუნკერთა ორივე კურსისათვის სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, აგრეთვე სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა და ოფიცერთა პირადი შემადგენლობა. დოკუმენტი თარიღისა და ნომრის გარეშეა, რადგან სამწუხაროდ, ამ დოკუმენტს პირველი ფურცელი არ გააჩნია, იგი მეორე ფურცლიდან იწყება და საგნების ჩამონათვალშიც პირველი სამი საგანი და შესაბამისად, ამ საგნების წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები წარმოდგენილნი არ არიან. დოკუმენტი პირდაპირ №4 საგნით – ტაქტიკით იწყება. დოკუმენტის სტილისტური ფორმა, ცხადია, დაცულია:

4. ტაქტიკა _ გენერალური შტაბის გენერალი ზაქარიაძე;
5. აფეთქების ხელოვნება _ კაპ. თოიძე;
6. ტელეფონი და ტელეგრაფი _ მაიორი ჩიჯავაძე;
7. მასალათა სიჯიქე _ სამხ. ინჟენერი გენ. თაყაიშვილი;
8. მექანიკა _ ,,_"
9. აღმშენებლობა _ ,,_"
10. ხიდების აგება _ ,,_"
11. გზების გაყვანა _ ,,_"
12. ანალიტიური გეომეტრია _ ,,_"
13. დურგლობა _ ,,_"
14. სამხედრო ისტორია _ გენერალი კვინიტაძე გიორგი;
15. საქართველოს სამხ. გეოგრაფია _ გენ. შტაბის პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი;
16. სამართლის მეცნიერება _ კაპ. ტატიშვილი;
17. ენები _
18. ქიმია _ პოლკ. ვახვახიშვილი;
19. წესდებები _ კაპ. თოიძე;
20. ფარიკაობა _ პოლკ. ჩხეიძე;

საარტილერიო განყოფილება
(კურსის ოფიცერი კაპ. დ. ქარუმიძე)

1. ტაქტიკა _ გენ. შტაბის გენერალი ზაქარიაძე
2. ტოპოგრაფია _ პოლკ. ცხაკაია;
3. სამხედრო ისტორია _ გენ. შტაბის გენ. კვინიტაძე;
4. ფორტიფიკაცია _ სამხ. ინჟენერი გენ. თუმანიშვილი;
5. სროლის თეორია _ არტ. პოლკოვნიკი შკაბიჩი;
6. სროლის წესები _ კაპ. დ. ქარუმიძე.
7. ქვემეხები და ჭურვები _ არტ. პოლკ. გედევანიშვილი;
8. არტილერიის ტაქტიკა _ კაპ. დ. ქარუმიძე;
9. სამართლის მეცნიერება _ კაპ. ტატიშვილი;
10. ჰიპოლოგია _ ვეტ. ჩხენკელი;
11. სამხ. გეოგრაფია _ პოლკ. ჩეჩელაშვილი;
12. ენები _
13. წესდებები _ კაპ. დ. ქარუმიძე;
14. ტანვარჯიშობა _ კაპ. დ. ქარუმიძე;
15. ფარიკაობა _ პოლკ. ჩხეიძე;

უმცროსი კურსი
1-ელი განყოფილება _ კურსის ოფიცერი კაპ. ჯაფარიძე;
2-რე განყოფილება _ კაპ. ჩოჩუა;
3-მე განყოფილება _ კაპ. ხოშტარია;

1. ტაქტიკა
   1-ელი განყოფილება _ გენ. კვინიტაძე;
   2-რე განყოფილება _ პოლკ. გედევანიშვილი;
   3-მე განყოფილება _ გენ. ანდრონიკაშვილი;
2. ტოპოგრაფია _ გენ. ანდრონიკაშვილი;
3. ფორტიფიკაცია _ პოლკ. ვახვახიშვილი;
4. საქართველოს სამხედრო ისტორია _ გენ. გედევანიშვილი;
5. არტილერია _ კაპ. ქარუმიძე;
6. საქართველოს ისტორია _ სარგის კაკაბაძე;
7. ქართული ლიტერატურა _ ვასილ ბარნოვი;
8. სამხ. ადმინისტრაცია _ პოლკ. ჩეჩელაშვილი;
9. გერმანული _
10. ფრანგული _ ქ-ნი ვარო ყიფიანი;
11. სომხური _ ბ. შავდია;
12. ჰიგიენა _ მედიცინის გენერალი კალანდარიშვილი;

სამხედრო სკოლის უფროსი _ გენ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი;
მისი თანაშემწე _ პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე;
იუნკერთა ასეულის უფროსი _ მაიორი არჯევან ანანიაშვილი;

სკოლის ოფიცრები: ჯაფარიძე გრიგოლ, შავდია მიხეილ, ჩოჩუა დომენტი, ხოშტარია ვარლამ, ქარუმიძე დავით, თოიძე ირაკლი, სულხანიშვილი გიორგი.

ნაცვალთა ათასეული
1-ელი ასეულის მეთაური _ მაიორი ნესტორ გარდაფხაძე;
ოფიცრები: კაპ. მაჭავარიანი დავით, კაპ. ადამიძე, კაპ. ბაქრაძე.

მე 2-რე ასეული მეთაური _ მაიორი აბულაძე მიხეილ.
ოფიცრები: კაპ. ბალუაშვილი ვარლამ, კაპ. ალავიძე ალექსანდრე, კაპ. ჭიჭინაძე.

მე-3-მე ასეულის მეთაური _ მაიორი ბალუაშვილი ანდრო.
ოფიცრები: კაპ. გვასალია გერმანე, კაპ. რევია მაქსიმე, კაპ. სანიკიძე იულონი.

სანაპირო ასეულის მეთაური _ მაიორი სიამაშვილი.
ოფიცრები: კაპ. ყიფიანი.
ტყვიისმფრქვეველთა ასეულის უფროსი _ მაიორი შარვაშიძე ელიზბარ.
ოფიცრები: კაპ. არონიშიძე არტემ, კაპ. მჭედლიშვილი გიორგი, ფრონტზე წასვლის წინ ასეულს მიემატა ლეიტ. ერისთავი რაფო.

ბატარეის მეთაური _ მაიორი ბახუტაშვილი.
ოფიცრები: ბარნაბიშვილი გიორგი, ყარაშვილი გიორგი, ქავთარაძე

კლასების ინსპექტორი _ გენ. ვეზირიშვილი;
მისი თანაშემწე _ ლეიტ. ანდრონიკაშვილი
სკოლის მნე _ მაიორი მესხელი (გასპაროვი);
ხაზინადარი _ კაპ. მახარობლიძე;
სამწყობრო ასეული მეთაური _ ლეიტ. მჭედლიშვილი;
საწყობების გამგე _ კაპ. ალექსეევი;
კაპელმეისტერი _ გიჯინი.
სკოლის მოძღვარი – დეკანოზი კელენჯერიძე.

წარმოდგენილი დოკუმენტი მსჯელობისა და განსჯისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა.

პირველ რიგში, დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო დისციპლინათა ჩამონათვალი იმდენად სრულია და თემატურადაც სწორადაა შერჩეული, რომ იგი თითქმის შეესაბამება ტექნიკური მიმართულების დღევანდელი ბაკალავრიატის პროგრამით გათვალისწინებულ კურსს, საგნებზე შესაბამისი კრედიტების მინიჭებით. მაგრამ ნათლად იკვეთება ის სურათი, რომ საინჟინრო-ტექნიკური საგნების ჩამონათვალში აშკარად აკლია ორი ფუნფდამენტალური დისციპლინა, კერძოდ, ფიზიკა და მათემატიკა. ვგულისხმობთ ალგებრასა და მათემატიკური ანალიზის ელემენტებს და ზოგად ფიზიკას, რამეთუ ამ მეცნიერებების შემადგენელი ნაწილები, კერძოდ მექანიკა და ანალიზური გეომეტრია მეორე კურსის სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია. მათემატიკური ანალიზის ელემენტებისა და ზოგადი ფიზიკის შესწავლის გარეშე კი, წარმოუდგენელი იქნებოდა ისეთი საგნების სწავლება, როგორიცაა: მასალათა გამძლეობა (,,მასალათა სიჯიქე”), სამშენებლო საქმე, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა, ფორტიფიკაცია, სროლის თეორია და არტილერიის ტაქტიკა და ა.შ.

დოკუმენტიდან ისიც კარგად ჩანს, რომ სახმელეთო ჯარების გვარეობებიდან, ე.ი. იუნკერთა სასწავლო სპეციალობებიდან, მხოლოდ ქვეითი და საარტილერიო

სპეციალობებია წარმოდგენილი. აშკარაა, რომ საგნების ჩამონათვალის პირველი ფურცელი, სწორედ ქვეითი სპეციალობის იუნკრებს ეხებათ. დოკუმენტი იმასაც გვიჩვენებს, რომ ცხენოსანი სპეციალობის მეორე კურსის იუნკრებისათვის ცალკე კურსი სპეციალობაში არ იკითხებოდა. ჯარების ეს გვარეობა არტილერისტებთან ერთად გადიოდა სპეციალური სწავლების კურსს. ამ სპეციალობების სწავლების სპეციფიკის, სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, აგრეთვე პედაგოგიური კადრის მწვავე დეფიციტის გათვალისწინებით, აბსოლუტურად მისაღები იყო საკითხის ასე მოგვარება.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებით, დიდი ალბათობით უნდა დავუშვათ, რომ დოკუმენტის პირველი, გამოტოვებული ფურცლის ჩამონათვალში, ე.ი. იუნკერთა მეორე კურსის ქვეითი სპეციალობისათვის განსაზღვრულ პირველ სამ სასწავლო დისციპლინას წარმოადგენდა: საქართველოს ისტორია, მათემატიკა (ალგებრა, მათემატიკური ანალიზი) და ზოგადი ფიზიკა. საქართველოს ისტორიას იუნკერთა მეორე კურსს ივანე ჯავახიშვილი უკითხავდა. რაც შეეხება ფიზიკისა და მათემატიკის ლექტორს, მას გენერალი ანდრია ბენაშვილი წარმოადგენდა.

გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970)

ივანე ჯავახიშვილი
(1876-1940)

ვასილ ბარნოვი
(1856-1934)

სარგის კაკაბაძე
(1886-1967)



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მიღება სამხედრო სკოლაში განყოფილებებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსანი ჯარისა და საინჟინერო დანიშნულია 1920 წ. 1 ენკენისთვეს.

სკოლაში მიღებულ იქნებიან ახალგაზდანი (საქართველოს ქვეშევრდომნი) წლოვანებით 17—25 წლ.

შენიშვნა: ცოლიანები სკოლაში არ მიიღებიან; სწავლის კურსი 2 წლ.

თხოვნა სამხედრო სკოლის უფროსის სახელზე გამოიგზავნოს ეხლავე შემდეგი დოკუმენტებით:

1) მოწმობა ჯარის კაცთა გაწვევ უბანზე მიწერის შესახებ.

2) ატესტატი საშუალო სასწავლებლის კურსის დამთავრებისა; შეიძლება აგრეთვე ატესტატი და მოწმობა ისეთი სასწავლებლისა, რომელთაც საშუალო სასწავლებლების უფლებები აქვთ მინიჭებული.

3) მოწმობა სამართალში არ ყოფნის შესახებ.

4) მეტრიკული მოწმობა.

5) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

6) მოწმობა ქვეშევრდომობისა (ასეთი მოწმობა უნდა წარმოადგინონ არა ქართველებმა).

სკოლაში უნდა გამოცხადნენ უსათუოთ 30 მარიამობისთვეს.

სამხედრო სკოლის უფროსის თანამდებობის დრ. ამსრულებელი პოლკოვნიკი ჩხეიძე.

სკოლის ადიუტანტი კაპიტანი ხიოლაშვილი. (2300—1—1)

სამხედრო სკოლაში მიღების განცხადება
(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის აგვისტო)

57 Ibid.

ᲣᲤᲚᲐᲑᲘ № I.

სამხედრო სამინისტრო.

6/ სამხედრო სასწავლებელი.

თანამდებობათა სახელწოდება.	მსახურთა რიცხვი	საზიდავთა რიცხვი	ცხენების რიცხვი	თვეში ჯამაგირი თითოს	შენიშვნა
სასწავლებლის უფროსი (გენერალი) .	1	—	—	3000	
სასწავლებლის უფროსის თანაშემწე, იგივე ნაცვალთა ათასეულის უფროსი (პოლკოვნიკი)	1	—	—	2500	
სამწყობრო ნაწილი:					
იუნკერთა გუნდის უფროსი (მაიორი .	1	—	—	2200	
იუნკერთა გუნდის უმცროსი ოფიცერი (კაპიტანი). 1).	6	—	—	1800	1) ამათგანი: ა) არტილერიისა. . . 1 ბ) საინჯენერო . . . 1 გ) ცხენოსანთა . . . 1 ერთ-ერთი უმცროსი ოფიცერთაგანი ტანვარჯისობისა და ფარიკაობის ინსტრუქტორი.
ნაცვალთა გუნდის უფროსი (მაიორი)2)	5	—	-	2200	
ნაცვალთა ათასეულის გუნდის უმცროსი ოფიცერი (კაპიტანი) 3) . .	15	—	—	1800	
ადიუტანტი (კაპიტანი) . .	1	—	-	1800	
სამოსწავლო ნაწილი:					
კლასის ინსპექტორი (პოლკოვნიკი). .	1	—	—	2500	2) ერთი ტყვიის მფრქეველთა გუნდი, ერთი არტილერიისა და ერთი სანაპირო ჯარისა.
შტაბში ჩარიცხული მასწავლებელი (მაიორი)	3	—	—	2200	3) მათ რიცხვში: არტილერიისა 2 და ერთი სანაპირო ჯარისა: ერთი უმცროს ოფიცერთაგანი საკავშირო სამსახურის ინსტრუქტორია.
გამგე მუზეუმისა და წიგნთ საცავისა (ლეიტენანტი).	1	—	—	1200	
სამნეო ნაწილი:					
მნე	1	-	—	2200	
მლვდელი, იგივე მოლარე .	1	—	—	1800	
იარაღის გამგე, იარაღის ტეხნიკოსი .	1	—	—	1200	
საქმის მწარმოებელი (უფროსი ლეიტენანტი, შეიძლება მოხელეც) .	1	—	—	1500	
უმწყობრო მცირე გუნდის უფროსი, იგივე ბინამდები (ლეიტენანტი) .	1	—	—	1200	
სასანიტარო ნაწილი:					
უფროსი ექიმი	1	—	—	2500	
უმცროსი ექიმი.	1	—	—	2200	
ფელდშერი 4)	2	—	—	—	
ფელდშერი საბეითლო 4)	1	—	—	—	4) შეიძლება ნებით დაქირავებული.
მესაკრავეთა მცირე გუნდი:					
კაპელმეისტერი.	1	—	—	1200	
სულ: ოფიცერი და მოხელე.	43	—	—	—	
სამხ. მსახ. ფელდშერი .	3	—	—	—	
პორტუპეი-იუნკრები და იუნკრები: 5)					5) დაწერილებითი რიცხვს ყოველ წელს არკვევს სამხედრო მინისტრი.
ქვეითა	120	—	—	—	
არტილერიისა	30	—	—	—	
ცხენოსანი	10	—	—	—	
საინჯენერო ჯარისა	20	—	—	—	
სულ იუნკრები .	180	—	—	—	

57 Ibid.

ᲞᲐᲠᲐᲓᲘ № I.

სამხედრო სამინისტრო.

6/ სამხედრო სასწავლებელი.

თანამდებობათა სახელწოდება.	მსახურთა რიცხვი	საზიდავთა რიცხვი	ცხენების რიცხვი	თვიური ჯამაგირი თითოს	შენიშვნა
სასწავლებლის უფროსი (გენერალი) .	1	—	—	3000	
სასწავლებლის უფროსის თანაშემწე, იგივე ნაცვალთა ათასეულის უფროსი (პოლკოვნიკი)	1	—	—	2500	
სამწყობრო ნაწილი:					
იუნკერთა გუნდის უფროსი (მაიორი .	1	—	—	2200	
იუნკერთა გუნდის უმცროსი ოფიცერი (კაპიტანი). 1).	6	—	—	1800	1) ამათგანი: ა) არტილერიისა. . . 1 ბ) საინჯენერო . . . 1 გ) ცხენოსანთა . . . 1 ერთ-ერთი უმცროსი ოფიცერთაგანი ტანვარჯისობისა და ფარიკაობის ინსტრუქტორი.
ნაცვალთა გუნდის უფროსი (მაიორი)2)	5	—	-	2200	
ნაცვალთა ათასეულის გუნდის უმცროსი ოფიცერი (კაპიტანი) 3) . .	15	—	—	1800	
ადიუტანტი (კაპიტანი) . .	1	—	—	1800	
სამოსწავლო ნაწილი:					
კლასის ინსპექტორი (პოლკოვნიკი). .	1	—	—	2500	2) ერთი ტყვიის მფრქეველთა გუნდი, ერთი არტილერიისა და ერთი სანაპირო ჯარისა.
შტაბში ჩარიცხული მასწავლებელი (მაიორი)	3	—	—	2200	3) მათ რიცხვში: არტილერიისა 2 და ერთი სანაპირო ჯარისა: ერთი უმცროს ოფიცერთაგანი საკავშირო სამსახურის ინსტრუქტორია.
გამგე მუზეუმისა და წიგნთ საცავისა (ლეიტენანტი).	1	—	—	1200	
სამნეო ნაწილი:					
მნე	1	-	—	2200	
მლვდელი, იგივე მოლარე .	1	—	—	1800	
იარაღის გამგე, იარაღის ტეხნიკოსი .	1	—	—	1200	
საქმის მწარმოებელი (უფროსი ლეიტენანტი, შეიძლება მოხელეც) .	1	—	—	1500	
უმწყობრო მცირე გუნდის უფროსი, იგივე ბინამდები (ლეიტენანტი) .	1	—	—	1200	
სასანიტარო ნაწილი:					
უფროსი ექიმი	1	—	—	2500	
უმცროსი ექიმი.	1	—	—	2200	
ფელდშერი 4)	2	—	—	—	
ფელდშერი საბეითლო 4)	1	—	—	—	4) შეიძლება ნებით დაქირავებული.
მესაკრავეთა მცირე გუნდი:					
კაპელმეისტერი.	1	—	—	1200	
სულ: ოფიცერი და მოხელე.	43	—	—	—	
სამხ. მსახ. ფელდშერი .	3	—	—	—	
პორტუპეი-იუნკრები და იუნკრები: 5)					5) დაწერილებითი რიცხვს ყოველ წელს არკვევს სამხედრო მინისტრი.
ქვეითა	120	—	—	—	
არტილერიისა	30	—	—	—	
ცხენოსანი	10	—	—	—	
საინჯენერო ჯარისა	20	—	—	—	
სულ იუნკრები .	180	—	—	—	

მეკარე	3	—	—	—
არტელის მოსამსახურე	8	—	—	—
ძევზოვე იგივე ზარულის მწვენდელი	6	—	—	—
მხაზავი	1	—	—	—
სულ	21	—	—	—
ცხენები:				
არტილერიისა: საჯდომი	—	—	10	—
შესაბმელი	—	—	24	—
მარქაფა	—	—	2	—
სამწყობრო	—	—	20	—
საბარგო	—	—	11	—
სულ	—	—	67	—
საბარგული:				
ეტლი	—	—	1	—
სამგზავრო სამზარეულო	—	—	4	—
ჩაის ქვაბი	—	—	3	—
ორშესაბმელი საზიდავი	—	—	2	უცხენოდ
ცალშესაბმელი საზიდავი	—	—	2	"
სავაზნე ორთვალა	—	—	2	—
ტყვიის მფრქვეველთათვის ორთვალა	—	—	2	—
საავათმყოფოს ორთვალა	—	—	2	—
სატელეფონო ორთვალა	—	—	2	—
მატერიალური ნაწილი:				
სამთო ზარბაზანი	—	—	2	—
წინალი	—	—	2	—
საველე ზარბაზანი	—	—	2	—
წინალი	—	—	2	—
მორტირი	—	—	1	—
ტყვიის მფრქვეველი	—	—	6	—
ცხენების შეკაზმულობა და მორთულობა მიეცემა სასწავლებელს სასწავლებლის შტატის თანახმად.				
სულ:				
ოფიცერი და მოხელე	43	—	—	—
ვადით მსახური ჯარის კაცი	119	—	—	—
იუნკერი	180	—	—	
ზედმეტ მსახური, ან ნებით დაქირავებული	72	—	—	—
ცხენი	—	—	67	—
საზიდავი	—	20	—	—
ზარბაზანი	5	—	—	—
წინალი	4	—	—	—
ტყვიის მფრქვეველი	6	—	—	—

შენიშვნა: 1) კანცელიარიის ხარჯებისთვის ეძლევა თვეში ათასი მანეთი.

2) საბოსწავლო ნაწილის თეორეტიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის სასწავლებელს ეძლევა.

ქართული სამხედრო სკოლის სამკერდე ნიშანი (1919 წ., ვერცხლი) *

- რეზერვის ვიცე-პოლკოვნიკ მ. გოგოლაძის კერძო კოლექციიდან

სამხედრო სკოლის საბრძოლო ნათლობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იუნკერთა პირველი კურსი 1919 წლის შემოდგომაზე ამოქმედდა, მეორე კურსი კი, 1920 წლის შემოდგომაზე. 1919 წლის შემოდგომაზე დაკომპლექტდა აგრეთვე ნაცვალთა ათასეულის პირველი მიღება. საერთო ჯამში, 1919 წლისათვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 400 ნაცვალი შეემატა. ამ პერიოდში სამხედრო სკოლას ჰქონდა თავისი დროშა წარწერით – «ფარით ან ფარზე».[2]

საქართველოს მთავრობის 1919 წლის 31 ივლისის №129 ბრძანებით შემოღებული იყო ყოველდღიური, საყარაულო და საველე ფორმა ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის, რომელიც სამხედრო სკოლის პირად შემადგენლობაზეც გავრცელდა.

სამხედრო სკოლის იუნკერთა ფორმა იყო ქართული ჩოხა და თუშური ქუდი, ეროვნული ფერების ყაითნებმოვლებული, წითელკიდურებიანი სამხრეები ასოებით «ს. კ.» (სამხედრო სკოლა), ზამთარში – ბოხოხი, იტალიური ღია მოლურჯო ფერის ფარაჯა. სახელოები ასევე იყო ეროვნული შეფერილობის, სახელოებზე შინდისფერი ზოლებით. ოფიცრებს კი ეცვათ ინგლისური ქსოვილისგან შეკერილი ფრენჩი და ფრანგული ფარაჯა.

პოლკოვნიკ ჩხეიძის მოგონებიდან: ,,სკოლაში ერთბაშად დამყარდა მკაცრი, მაგრამ შეგნებული დისციპლინა. სამეთაურო შემადგენლობამ მიაგნო და შეეხო ჩვენი ახალგაზრდობის თავმოყვარეობის სიმებს. იუნკრებიც ერთგულად ასრულებდნენ დავალებებს... გასაგებიც არის! ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ ისინი იყვნენ პირველი ქართველი ჯარისკაცები; რომ საზოგადოება მათ უფრო მკაცრი მოთხოვნილებით და განსაკუთრებული თვალით დაუწყებდა ყურებას; და ამისათვის ისეთი ხალისით და მონდომებით სწავლობდნენ სამხედრო საქმეს, რომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მოკლე ხანში მიღწეულიყო შესანიშნავი შედეგები“...

სანიმუშო სამხედრო დისციპლინის, სამწყობრო მომზადების მაღალი დონისა და გარეგნული იერის გამო, პირველი რესპუბლიკის სინამდვილეში, მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების დასახვედრად დაწყობილ საპატიო ყარაულსაც იუნკერთა ასეული უზრუნველყოფდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სკოლა ამზადებდა როგორც მომავალ ოფიცრებს, ასევე ნაცვლებს; ყველა იწვრთნებოდა და იზრდებოდა ერთი იდეოლოგიითა და მიმართულებით, ყველა ითვისებდა ერთ შეხედულებას და, ცხადია, სამსახური წარმოებდა მკაცრად, წესდებების მიხედვით. უდაოდ, სკოლის ასეთი ორგანიზაცია შეიძლება ჩაითვალოს იდეალურ ორგანიზაციად. 5-10 წლის შემდეგ, ქართული ჯარი იქნებოდა როგორც კარგად გაწვრთნილი და შედუღაბებული ორგანიზმი, ასევე მათში გამომუშავებული იქნებოდა ეროვნული სულისკვეთება და ერთი იდეოლოგია – ერთი შეხედულება საერთო საქმეზე.

---

[2] ,,ფარით ან ფარზე“ — (ლათინურად - A ut cum scuto, aut in scuto) – ფრაზეოლოგია, რომელიც მომდინარეობს ძველი სპარტიდან. ეს იყო მოწოდება ომში მიმავალი სპარტელი მეომრებისადმი, რომელიც აღნიშნავდა ბრძოლაში გამარჯვების მიღწევას, ან სახელოვან სიკვდილს, რომელიც დიდებას მოუტანდა ბრძოლაში დაღუპულს. ძველ სპარტაში ბრძოლაში დაღუპული მეომარი სავარადოდ ფარზე დასვენებული გამოჰყავდათ ბრძოლის ველიდან.

უპირველესად ყოვლისა, უნდა ავღნიშნოთ, რომ ტერმინი – ,,ქართველი იუნკერი", სულაც არ ნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკურად ქართველ სამხედროს. ქართველ იუნკრებად ეთნიკური არაქართველებიც ირიცხებოდნენ. დიახ, ქართველ იუნკრებს წარმოადგენდნენ აგრეთვე ეთნიკური არაქართველები – სომხები მელიქ სომხიანცი და არამ სისაკოვი (სისაკიანცი), პოლონელი ალექსანდრ გლოვაცკი, უკრაინელი კლემენტი ხუხუნი და ებრაელი ისააკ ხინველი. საყოველთაოდაა ცნობილი ქართველი იუნკერის, ეთნიკურად სომეხის, მელიქ სომხიანცის გმირული ბრძოლის ამბავი კოჯორი-ტაბახმელაზე, სადაც იგი მძიმედაც დაიჭრა. ,,ქართველთა ერთგული და გულადი სომეხი" – ასე ახასიათებდნენ მას მისი თანაკურსელი იუნკრები, ნიკოლოზ მათიკაშვილი და მიხეილ კვალიაშვილი. ამავე ბრძოლაში დაიჭრა ისააკ ხინველიც. ასეთივე სახელოვანი იყო ოფიცერ მელიქ სომხიანცის სამხედრო კარიერა უკვე ემიგრაციაში ყოფნისას.

სამხედრო სკოლის საბრძოლო ნათლობა კი, 1920 წლის აპრილის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიიდან ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმიის ამიერკავკასიაში შემოსვლას, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას და 1920 წლის მაისის რუსეთ-საქართველოს პირველ ომს უკავშირდება.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოური ოკუპაცია ბოლშევიკური რუსეთის კავკასიის ფრონტის მე-11 არმიის ძალებით განხორციელდა. ოპერაცია შემუშავებულ იქნა კავკასიის ფრონტის სარდლის, მიხაილ ტუხაჩევსკისა და ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრის, სერგო (გრიგოლ) ორჯონიკიძის მიერ.

1920 წლის დასაწყისში ბოლშევიკთა მე-11 წითელის არმია დიდ წარმატებებს აღწევს დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მისი შენაერთები ჩრდილოეთ კავკასიაში შემოდიან. 1920 წლის 20 აპრილისათვის კი, კავკასიის ფრონტის შენაერთები უკვე დაღესტანში, აზერბაიჯანის საზღვრებთან იყვნენ გაშლილები. საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა მიხაილ ეფრემოვის 4 ჯავშანმატარებელი, აგრეთვე კასპიის ფლოტი და ვოლგის ფლოტილია სადესანტო ნაწილებით, ფიოდორ რასკოლნიკოვის საერთო მეთაურობით. მე-11 არმიას მიხაილ ლევანდოვსკი სარდლობდა, აზერბაიჯანის ოკუპაციის საერთო სამხედრო-იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას კი, სერგო ორჯონიკიძე ანხორციელებდა. მიუხედავად პირადი შემადგენლობის რიცხობრივი სიმცირისა — სულ 12500 კაცი, 1920 წლის 28 აპრილისათვის მე-11 არმიამ წარმატებით მოახდინა ბაქოს ოკუპაცია, სადაც ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმიის მთავარ დამრტყმელ ძალას ჯავშანმატარებლები წარმოადგენდნენ.

ამ ფაქტით სომხეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას რეალური საფრთხე შეექმნათ. დღესავით ნათელია, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკური შეიარაღებული აგრესია გარდაუვალი იყო. საკითხი კი ასე იდგა — როდის და რა სქემით.

მოცემული ამოცანის გადაჭრას კრემლი და მე-11 არმიის ხელმძღვანელობა კომპლექსურად მიუდგნენ. გადაწყდა პირდაპირი სამხედრო აგრესიის დაწყება ფოილოსა და წითელი ხიდის მიდამოებში, პარალელურად კი თავად თბილისსა და საქართველოში ორგანიზებული უნდა ყოფლიყი შიდა არეულობები და ბოლშევიკური აჯანყება.

თბილისზე კონტროლის მოპოვებისა და ქალაქში ინსპირირებული ბოლშევიკური აჯანყების მხარდაჭერის მიზნით, როგორც ყველაზე უფრო ორგანიზებულ სამხედრო ერთეულზე, ბოლშევიკების მიერ სამხედრო სკოლაზე

დაიგეგმა თავდასხმა. ეს თავდასხმა მიზნად ისახავდა სკოლის პირადი შემადგენლობის, და პირველ რიგში, იუნკერთა იზოლირებასა და გადაბირებას, შემდეგ კი, ქალაქში გამოსვლას, სახელმწიფოს სტრატეგიული ობიექტების დაკავებას და მთავრობის წევრების დაპატიმრებას. ამასთან ერთად, უნდა დაწყებულიყო მთავრობის საწინაღმდეგო მასობრივი გამოსვლები და მე-11 წითელი არმიის შენაერთების ინტერვენცია ფოილოსა და წითელი ხიდის მიდამოებში.

1920 წლის 2 მაისის ღამეს სამხედრო სკოლას ფარულად ბოლშევიკთა 25 კაციანი ჯგუფი დაესხა თავს. თავდაპირველად მათ მართლაც მოახერხეს სკოლის პირადი შემადგენლობის იზოლირება, მაგრამ ვითარებაში გარკვევისა და სკოლის ოფიცერთა მხრიდან სწრაფი, გადამჭრელი ზომების გატარების შემდგომ, მოხერხდა თავდამსხმელთა გაუვნებელყოფა. განსაკუთრებით სწრაფად და საზრიანად პოლკოვნიკი ჩხეიძე მოქმედებდა. მცირე შეტაკების შემდეგ ვითარება ისე კონტროლს დაექვემდებარა, თუმცა ბოლშევიკებთან შეტაკებაში ერთი იუნკერი, მიხეილ მაყაშვილი დაიღუპა, ხოლო მეორე, გრიგოლ კიკიანი – დაიჭრა. ეს იყო სამხედრო სკოლის მიერ განცდილი პირველი საბრძოლო დანაკარგი.

ამგვარად, ბოლშევიკებმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს. მათ ხელში ვერ ჩაიგდეს სკოლა და ამის გამო, ქალაქში გამოსვლაც ვეღარ გაბედეს. ეს იყო სამხედრო სკოლის სამეთაურო შემადგენლობის, ოფიცრებისა და იუნკრების დამსახურება. მათ თავიდან აიცილეს სახელმწიფო გადატრიალება და გადაარჩინეს საქართველოს მთავრობა.

ამ მოვლენების პარალელურად, წითელი ხიდის მიდამოებში მე-11 წითელი არმიის შენაერთები შემოიჭრნენ. ასე დაიწყო რუსეთ-საქართველოს პირველი ომი. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ისევ გენერალი კვინიტაძე დაინიშნა, ხოლო სკოლას 16 მაისს ებრძანა საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა და ფრონტზე გასვლა.[3] თავისი საბრძოლო სტრუქტურით ეს იყო 4 ასეულისგან შემდგარი საერთო-საჯარისო ბატალიონი, 8 ტყვიამფრქვევით, 2 საველე და 2 სამთო ქვემეხიანი ბატარეით და 25 კაციანი საკავალერიო ქვედანაყოფით.

19 მაისს, მთავარსარდლის განკარგულებით, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე „სადახლოს საარმიო ჯგუფის“ უფროსად დაინიშნა, სადაც საარმიო ჯგუფის შემადგენლობაში სხვა საჯარისო ნაწილებთან ერთად ქართული სამხედრო სკოლის ბატალიონიც იქნა ჩართული.

ქართული მხარის შეტევითი მოქმედებები დიდი წარმატებით განვითარდა. მათ არა თუ შეაჩერეს მოწინააღმდეგის წინსვლა, არამედ უკანაც დაახევინეს მას. რუსულმა შენაერთებმა დატოვეს საქართველოს ტერიტორიები და ყაზახისაკენ[4]

---

[3] მიუხედავად იმისა, რომ გენერალი კვინიტაძე მთავარსარდლად ფაქტობრივად 27 აპრილისათვის გამწესდა, ფორმალურად მისი დანიშვნის ბრძანება მხოლოდ 1920 წლის 4 მაისს გამოიცა. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 27, ფურცელი 140.

[4] ყაზახი — მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში, მდინარე აღსთაფას ქვემო წელზე (ახლანდელი აზერბაიჯანი, ყაზახის რაიონის ტერიტორია). IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის ბალაზურის ცნობით, VIII საუკუნის 30-იან წლებში სარდალმა მარვან იბნ მუჰამადმა (მურვან ყრუმ) აქ ქალაქი „კასალი“ დააარსა (ახლანდელი რაიონული ცენტრი ყაზახი მის ადგილზეა, ხოლო სახელწოდება არაბული ტოპონიმის სახენაცვალი ფორმაა). სომხური და ქართული წყაროები რეგიონს და ქალაქს ძორს ან ძოროფორს უწოდებენ. XII-XIII საუკუნეებში ყაზახი გაგისა და ლორეს საერისთავოებს ეკუთვნოდა, მდინარის ზემოთი - გაგის საერისთავოს, მდინარის ქვემოთი - ლორეს საერისთავოს. ყაზახის მხარეში თურქმან ტომთა დასახლება XV საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო; 1478 წელს უზუნ-ჰასანის მიერ ქართლის მოოხრების შემდეგ აქ გაჩდნენ ე.წ. „თათრის ელები“. შემდგომ ხანებში, ქართლზე ყოველი ახალი თავდასხმის შემდეგ, მტკვრისპირა დაბლობზე თურქმანთა ახალ-ახალი ნაკადები ესახლებოდნენ. XVI საუკუნის შუა ხანებში ირანის შაჰმა თამაზ I-მა აქ სახანო დააარსა. გვიანდელ შუა საუკუნეებში ყაზახის სახანო დროდადრო ქართლის მეფეს ექვემდებარებოდა. XVIII საუკუნის 60-იან წლებში

დაიხიეს უკან. მალე კი, ეს უკანდახევა პანიკურ გაქცევაში გადაიზარდა. მაგრამ საბოლოოდ, ომის ბედი საქართველოს პაციფისტური მთავრობის მიერ ნაადრევად დადებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ გადაწყვიტა.

პოლკოვნიკ ჩხეიძის მემუარიდან: ,,როგორც შემდეგში გამოირკვა, ბოლშევიკები საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: სულ ჰქონდათ 8 ზარბაზანი ჩვენი 28 ზარბაზნის წინააღმდეგ; ამავე დროს, აზერბაიჯანელები ამზადებდნენ აჯანყებას ელიზავეტოპოლში, რომელიც მართლაც მოხდა; მაგრამ ჩვენ ჩვენი ზავით ბოლშევიკები განვათავისუფლეთ და მათ აჯანყებაც ჩააქრეს... გენერალ კვინიტაძეს განზრახული ჰქონდა დაემარცხებინა ბოლშევიკები ყაზახის რაიონში, დაძრულიყო ელიზავეტოპოლზე[5] და ფეხზე დაეყენებინა თათრები (იქ ემზადებოდა შიხლინსკის[6] დივიზია, შემდეგ წასულიყო ბაქოზე და გაერეკა ბოლშევიკები აზერბაიჯანიდან. ყველაფერი ეს იყო მიზანშეწონილი და ადვილად განსახორციელებელი. ამას პირობებიც ხელს უწყობდა: იმ დროს აზერბაიჯანის ორი კარგი დივიზია სომხების ფრონტზე იყო და ჯერ კიდევ არა სცნობდა ბოლშევიკების ხელისუფლებას აზერბაიჯანში; ამავე დროს, რუსებს ომი ჰქონდათ პოლონელებთან[7]; ამ გეგმის

ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ სახანო საერთოდ გააუქმა და ამიერიდან ყაზახს ქართლ-კახეთის მეფის მოურავები განაგებდნენ.

[5] ელიზავეტპოლი — დღევანდელი აზერბაიჯანის ქალაქი განჯა (ყაზახის რეგიონი). ისტორიულად ირანის (სპარსეთის) მნიშვნელოვანი ქალაქი, ამჟამად, აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქი. განჯას ყოფილი სახელწოდებები იყო: ელიზავეტპოლი — 1804-1920 წლებში, ამავე დროს - ამიერკავკასიის ერთ-ერთი საგუბერნიო ცენტრი, საბჭოთა პერიოდში, 1920-1935 წლებში — განჯა, ხოლო შემდეგ 1935-1991 წლებში — კიროვაბადი (კიროვის ქალაქი), ცნობილი რუსი ბოლშევიკისა და რევოლუციონერის, სერგეი კოსტრიკოვ-კიროვის საპატივცემულოდ. „პერესტროიკის“ შემდეგ, ქალაქს კვლავ ძველი სახელწოდება - განჯა დაუბრუნდა.

[6] შიხლინსკი — ალი-აღა ისმაილ შიხლინსკი (1863-1943 წ.წ.) - ცნობილი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მხედართმთავარი, არტილერისტი, ,,რუსული არტილერიის მამა“, საბჭოთა კავშირის სამხედრო მოღვაწე, არტილერიის გენერალი. 1876 წლის აგვისტოში ჩაირიცხა თბილისის სამხედრო გიმნაზიაში, რომელიც შემდგომში კადეტთა კორპუსად გადაკეთდა. აღნიშნული სასწავლებელი 1883 წელს დაამთავრა. სამხედრო სამსახური, 1883 წლის 1 სექტემბერს, სანკტ-პეტერბურგში, მიხაილოვის საარტილერიო სასწავლებელში იუნკერად დაიწყო. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და საბრძოლო დამსახურებების გამო, 1905 წლის 28 სექტემბრის უმაღლესი ბრძანებით, ალი-აღა შიხლინსკი წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1918 წლის 29 დეკემბრიდან 1920 წლის 28 აპრილამდე, აზერბაიჯანის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლამდე, შიხლინსკი აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკის არმიაში სამხედრო მინისტრის, გენერალ სამედ ბეგ მეხმანდაროვის თანაშემწედ მსახურობდა.

[7] პოლონელებთან ომი — იგულისხმება საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომი (1919 წლის თებერვალი – 1921 წლის მარტი), შეიარაღებული კონფლიქტი ოთხ სახელმწიფოს შორის, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში, სადაც ერთ მხარეს იბრძოდნენ საბჭოთა რუსეთი და უკრაინა, ხოლო მეორე მხარეს პოლონეთის მეორე რესპუბლიკა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკა. ომის მიზეზი იყო მოწინაღმდეგე მხარეების სურვილი გაეზარდათ ტერიტორიები და გავლენის სფეროები. პოლონეთი, რომლის სახელმწიფოებრიობაც XVIII საუკუნეში პოლონეთის დაყოფის შემდეგ, ვერსალის შეთანხმებით ახალი აღდგენილი იყო, იმ ტერიტორიების დაკანონებას მოითხოვდა, რომლებიც დაყოფის დროს დაკარგა. საბჭოთა რუსეთის მიზანს იმავე ტერიტორიების კონტროლი წარმოადგენდა, რომლებიც ამ დაყოფის შემდეგ, პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, რუსეთის მიზანს ასევე გერმანიის გასაბჭოება და რევოლუციის გავრცელება წარმოადგენდა. ახალი ტერიტორიული ექსპანსიის პროცესს საბჭოთა რუსეთი ,,მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ საფარქვეშ იწყებდა. პოლონელებმა გენერალ (შემდგომში მარშალი) იუზეფ პილსუდსკის მეთაურობით, მოახერხეს თავიანთი ქვეყნის დაცვა. 1920 წლის მაისის დასაწყისში საბჭოთა რუსეთისათვის დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებზე კრიტიკული ვითარება შეიქმნა. პოლონელებმა აღმოსავლეთისაკენ წარმატებით დაიწყეს სვლა, 1920 წლის 7 მაისს კი, პოლონეთისა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკის კოალიციურმა ძალებმა ბოლშევიკებისაგან კიევი გაათავისუფლეს და მდინარე დნეპრის აღმოსავლეთით 15 კილომეტრიანი პლაცდარმიც შექმნეს. გარდა ამისა, რუსებისათვის მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამოქალაქო ომის ყირიმის ფრონტზეც, სადაც ბარონმა ვრანგელმა ყირიმიდან დესანტი გადმოსხა მდინარე დონის აუზში. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის მაისის პირველი ომის მსვლელობისას, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, ლენინის პირადი სასწრაფო ბრძანებით, რუსულმა მხარემ 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. დამარცხების წინაშე მდგარი რუს ბოლშევიკთა

განხორციელების შემდეგ, დიპლომატიის საშუალებით შეიძლებოდა შეჩერებულიყო ბოლშევიკების შემდეგი სამხედრო მოქმედებები; ბოლშევიკები დაცილებული იქნებოდენ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებიდან დიდი მანძილით და თავიდან აგვცილდებოდა 1921 წლის ომი.

იმის მაგივრად, რომ ასე გვემოქმედნა, ჩვენ შევკარით ზავი და ბოლშევიკები გავიხადეთ ჩვენს მეზობლად; მივეცით შინაურ ბოლშევიკებს ლეგალური მუშაობის საშუალება და ამგვარად მოვამზადეთ 1921 წლის დამარცხება“.

1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგალიზებულ იქნა ბოლშევიკების ყოველგვარი საქმიანობა, რაც ძალიან მალე მომაკვდინებელი აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსათვის. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო:

,,საქართველო ვალდებულებას იღებს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომუნისტური ორგანიზაციების უფლება თავისუფალი არსებობისა და მოღვაწეობის შესახებ. კერძოდ, კრებების თავისუფალი მოწყობის უფლება და გამომცემლობის თავისუფლება, მათ შორის ბეჭდვითი ორგანოებისა. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას გამოყენებული არავითარი რეპრესიები, არც სასამართლო და არც ადმინისტრაციული ხასიათისა, არც კერძო პირების და არც ორგანიზაციების მიმართ, თუ ეს ეხება კომუნისტური პროგრამის სასარგებლო სახალხო პროპაგანდასა და აგიტაციას, ასევე მათ ქმედებებს, რომლებიც კომუნისტური პროგრამაზეა დაფუძნებული“. ამავე ხელშეკრულებით, კავკასიის ქედის გადასასვლელებიდან მოხსნილ იქნა ქართული სასაზღვრო გარნიზონები.

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს პირველი ომის დასრულების შემდეგ, 1920 წლის აგვისტოში, პოლკოვნიკ ჩხეიძის მეთაურობით სამხედრო სკოლის დანაყოფებმა და გვარდიის ბატალიონმა ბოლშევიკების აგიტაციის გამო აჯანყებული ლაგოდეხში დისლოცირებული მე-6 ქართული პოლკის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათ ალყაში მოაქციეს პოლკის ცალკეული ქვედანაყოფები და იარაღის დაყრაც აიძულეს, რის შემდეგაც ბოლშევიკი აგიტატორებიც დააპატიმრეს.

1919 წლის 4 აგვისტოს თბილისის სამხედრო სკოლა თავისი მუდმივი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. საომარ ფრონტზე მივლინების პერიოდში მას საბრძოლო დანაკარგები არ განუცდია, თუმცა მუცლის ტიფისგან გარდაიცვალა იუნკერი გიორგი ბარნაბიშვილი და ნაცვალთა ბატალიონის 12 ახალგაზრდა ჯარისკაცი.

ასე დასრულდა ქართული სამხედრო სკოლის იუნკერთა ასეულისა და ნაცვალთა ბატალიონის საბრძოლო ნათლობა.

მე-11 წითელი არმია გადარჩა. ეს დიპლომატიური აქტი საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის... 1921 წლის თებერვლამდე 10 თვე რჩებოდა...

მიხეილ მაყაშვილი და მამამისი, გენერალ-მაიორი სოლომონ მაყაშვილი

იუნკერი მიხეილ მაყაშვილი – გიორგის ჯვრის კავალერი. სამხრეზე გარკვევით ჩანს მფრინავის განმასხვავებელი ნიშანი

მიხეილ მაყაშვილი — გენერალ-მაიორ სოლომონ მაყაშვილის ვაჟი. სოლომონ მაყაშვილის ცნობილი სამხედრო პირი იყო მეფის რუსეთში. მიღებული ჰქონდა წმ. სტანისლავის III ხარისხის, წმ. ანას III და II ხარისხის ორდენები, იმპერატორ ალექსანდრე III-ის ვერცხლის მედალი, ბრინჯაოს მედალი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში მონაწილეობისათვის. ჰყავდა ექვსი შვილი: ანა, მიხეილი, ბეჟანი (ბორისი), ბარბარე, ნინო და თამარი. მიხეილი და ბორისი თბილისის სამხედრო სკოლის ქვეითი ასეულის იუნკრები იყვნენ.

მიხეილ მაყაშვილი დაიბადა 1899 წლის 4 მარტს. ჯერ კიდევ სამხედრო სკოლაში შესვლამდე, 19 წლისას, სომხეთ-საქართველოს ომში გმოჩენილი მამაცობისთვის, მიღებული ჰქონდა წმინდა გიორგის ჯვარი. იგი დამოუკიდებლი საქართველოს მფრინავთა კურსების პირველი გამოშვება იყო.

1920 წლის 2 მაისს, ქართულ სამხედრო სკოლაზე ბოლშევიკების თავდასხმისას, მიხეილ მაყაშვილი მძიმედ დაიჭრა და 21 წლის ასაკში დაიღუპა. იგი პირველი ქართველი იუნკერი იყო, ვინც რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების აგრესიას შეეწირა.

4 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, თავის პლენარულ სხდომაზე, ფეხზე ადგომით მიაგო პატივი მიხეილ მაყაშვილის ხსოვნას.

გმირულად დაღუპული მიხეილ მაყაშვილის ცხედარი ქაშუეთის ტაძრიდან დიდი პატივით გადაასვენეს თელავში. სამგლოვიარო პროცესიას წინ, სკოლის უფროსი, გენერალი კვინიტაძე მიუძღოდა. დაკრძალეს იყალთოში, საგვარეულო სასაფლაოზე.

უკვე 1921 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, მიხეილის ბიძაშვილი – ცნობილი ქართველი ლიტერატორისა და მწერლის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, კონსტანტინე მაყაშვილის ქალიშვილი, მარო მაყაშვილი დაიღუპა. მიხეილის უმცროსი ძმა კი, ბორის (ბეჟან) მაყაშვილი, ასევე სამხედრო სკოლის იუნკერი, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი არმიის შენაერთებს ებრძოდა კოჯორი-ტაბახმელას ფრონტზე, საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში არ წასულა, იგი საქართველოში დარჩა. ერთ-ერთი დაკითხვის დროს, მან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომძიებელი სცემა, რისთვისაც მას სასტიკად გაუსწორდნენ, რაც შემდგომში მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

ასეთი ტრაგიკული იყო მაყაშვილების ოჯახის მეომარი ვაჟკაცების ბედი... თუმცა ამ ოჯახის ყველა წევრისათვის სამშობლოსათვის შეწირვა ქორწილად დარობდა. იქნებ ძნელი წარმოსადგენიც კია დღევანდელი საქართველოსათვის სიცოცხლის გაწირვით მიღწეული სულის ზეიმი, მაგრამ ასე იყო...



იუნკერი გრიგოლ კიკიანი

გრიგოლ სოლომონის ძე კიკიანი (?-1935წ.წ.) — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სკოლის იუნკერთა სასწავლო ასეულის საინჟინრო ოცეულის უფროსი კურსის იუნკერი. დაიჭრა ბოლშევიკებთან შეტაკებაში, 1920 წლის 2 მაისს, ბოლშევიკთა ჯგუფის მიერ სამხედრო სკოლაზე თავდასხმის დროს.

მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს მეორე ომში. სამხედრო სკოლის შემადგენლობაში იბრძოდა კოჯორი-ტაბახმელას ფრონტზე. 1921 წლის მარტიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ტოვებს სამშობლოს და სხვა იუნკრებთან ერთად მიემგზავრება ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ გადადის პოლონეთში, ხადაც აგრძელებს სამხედრო სამსახურს. პოლიტიკური ემიგრანტი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი, როტმისტრი.

ლეგენდად ქცეული ბრძოლა

1920 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში ქართული სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულ ნაცვალთა პირველი გამოშვება შედგა. 1920 წლის 1 სექტემბერს კი, იუნკერთა უმცროსი კურსისათვის სკოლაში 90 კაცი მიიღეს. უფროსი კურსის იუნკრები გადანაწილდნენ შესაბამის სპეციალობებზე: 60 იუნკერი ქვეით განყოფილებაში, 15 საარტილერიოში, 10 საინჟინროში და 5 ცხენოსან განყოფილებაზე.

1 ოქტომბერს გენერალ კვინიტაძეს ისევ დაატოვებინეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თანამდებობა, მაგრამ იგი სკოლაში აღარ დაბრუნებულა. სკოლის უფროსად საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი დაინიშნა.

გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი

გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი — ქართველი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი, მეფის რუსეთის არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი.

დაიბადა 1871 წელს, თელავის მაზრის სოფელ სიღნაღში. დაამთავრა სანკტ-პეტერბურგში კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი 1891 წელს და გენერალური შტაბის აკადემია 1905 წელს (1-ლი თანრიგით).

ჯარში მსახურობდა 1889 წლიდან, ყარსის საალყო არტილერიაში, მოგვიანებით ალექსანდროპოლისის (დღევანდელი გიუმრი, ყოფილი ლენინაკანი) საციხოვნო არტილერიაში და, კავკასიის საალყო საარტილერიო პოლკში. 1906-1907 წლებში მსახურობდა ლეიბ-გვარდიის მე-13 ერევნის პოლკში. 1907-1908 წლებში მსახურობდა უსურიის ცხენოსანი ბრიგადის მმართველობაში უფროს ადიუტანტად.

1908-1909 წლებში მსახურობდა დავალებათა ობერ-ოფიცრად ომსკის სამხედრო ოლქის შტაბში. 1909-1912 წლებში მსახურობდა უფროს ადიუტანტად 36-ე ქვეითი

დივიზიის შტაბში. 1913 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1912-1914 წლებში მივლინებული იყო ალექსეევის სამხედრო სასწავლებელში, ტაქტიკის კურსის მასწავლებლად. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მსახურობდა მე-20 არმიის შტაბში.

1914-1916 წლებში დროებით ასრულებდა 75-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობას. 1916-1917 წლებში იყო 298-ე მსტისლავის (ბელორუსია) ქვეითი პოლკის მეთაური, შემდეგ — 177-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი. საბრძოლო დამსახურებისათვის და წარჩინებული სამსახურისთვის 1916 წელს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ჯვრით და ოქროს იარაღით.

1917 წლის 10 ივნისს, დროებითმა მთავრობამ იგი მე-20 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობზე დანიშნა.

1918 წლიდან საქართველოშია. მონაწილობდა ქართული ჯარის შექმნისა და აღმშენებლობის საქმეში. იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირველი უფროსი, 1920 წლის 1 ოქტომბრიდან კი, ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. 1921 წელს, რუსეთთან ომის დროს მეთაურობდა თბილისის ფრონტის კოჯორი-ტაბახმელის მონაკვეთს. 19-24 თებერვლის ბრძოლებში მყარად ეკავა ფრონტის ხაზი და ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმიის ნაწილებს მიაყენა დიდი ზარალი. უკან დახევისას მეთაურობდა არიერგარდის ნაწილებს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში. 1921-1923 წლებში მსახურობდა საქართველოს წითელ არმიაში. იყო ქართული სამეთაურო კურსების უფროსი, საქართველოს წითელი არმიის სარდალი და ქართული წითელი არმიის სამხედრო სკოლის შტატიანი მასწავლებელი.

1923 წელს გადაიყვანეს რეზერვში. 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ გენერალი ანდრონიკაშვილი გახდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და ,,სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბიშვილმა გასცა ,,სამხედრო ცენტრი“. 1923 წლის 19 მაისს ალექსანდრე ანდრონიკაშვილი დააპატიმრეს. მასთან ერთად დააპატიმრეს ,,სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრებიც: გენერალი კოტე აფხაზი (,,სამხედრო ცენტრის“ ხელმძღვანელი), გენერალი ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი, მაიორი დიმიტრი ჩრდილელი, როტმისტრი ლევან კლიმიაშვილი, როტმისტრი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, კაპიტანი ფარნაოზ ყარალაშვილი, იასონ კერესელიძე (გენერალ ლეო კერესელიძის უმცროსი ძმა), სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე და ნიკოლოზ ზანდუკელი.

1923 წლის 20 მაისს ისინი დახვრიტეს თბილისში, დღევანდელი ,,ვაკის პარკის" ტერიტორიაზე.

მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: ,,სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე... მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესი ზრდიან თავიანთ გულებში თქვენდამი სიკვდილს!“

ასეთი გმირული იყო გენერალ ანდრონიკაშვილის ცხოვრება და ასეთი სასახელო იყო მისი სამშობლოსათვის თავგანწირვა.

რუს ბოლშევიკთა სახელმწიფოებრივი სტრატეგიის ამოსავალ წერტილს საქართველოსთან მიმართებაში არსებული ხელისუფლების დამხობა და იქ საბჭოთა რეჟიმის დამყარება წარმოადგენდა. 1920 წლის მაისის რუსეთ-საქართველოს პირველ ომში რუსები დამარცხდნენ და მათ ვერ მოახერხეს საქართველოს ოკუპაცია, მაგრამ უკვე დეკემბრის თვეში ორჯონიკიძე ლენინს და სტალინს ახსენებდა: ,,მდგომარეობა საქართველოში ისეთია, რომ განსაკუთრებული სირთულეების გარეშე მოვამთავრებთ მასთან საქმეს: აჯანყებები ბორჩალოს მაზრაში, აფხაზეთში, აჭარასა და დუშეთში ორგანიზებული იქნება. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ ამის შესახებ და ვითხოვთ შემდგომ მითითებებს“.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, 1920 წლის დეკემბერში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად გენერალი ილია ოდიშელიძე ინიშნება.[8]

1921 წლის 1 თებერვალს სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონისათვის ახალწვეულთა გაწვევა გამოცხადდა. ახალგაზრდა ჯარისკაცების ასარჩევად შემკრებ პუნქტებზე სკოლის ოფიცრები დაიგზავნენ, რომელთაც უფლება მიეცათ ნაცვალთა ათასეულისათვის წერა-კითხვის მცოდნე და წარმოსადეგი ახალგაზრდები აერჩიათ;

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს, მე-11 წითელი არმიის შენაერთები კვეთენ საქართველოს საზღვრებს და ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში შემოდიან. მოულოდნელი თავდასხმით წითელმა არმიამ თავიდანვე დიდი უპირატესობა მოიპოვა და ლორეში დისლოცირებულმა ქართულმა ქვედანაყოფებმა რიცხობრივად აღმატებულ მტერთან ბრძოლაში უკან დახევა დაიწყეს. მალე კი, მე-11 წითელი არმიის მეწინავე ქვედანაყოფები თბილისის მისადგომებთან გამოჩნდნენ...

1921 წლის 16 თებერვალს გენერალი ოდიშელიძე გადააყენეს, მის მაგივრად კი, მთავარსარდლად ისევ გენერალი კვინიტაძე დაინიშნა. შეიქმნა თბილისის დაცვის საერთო ფრონტი, რომელიც სამ უბნად დაიყო – კოჯორი-ტაბახმელა, სოღანლუღი და ლილო-ორხევი. ლილო-ორხევის უბნის სარდლად გენერალი არტემ ჯიჯიხია დაინიშნა, სოღანლუღისა – გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, ხოლო კოჯორი-

[8] ილია ოდიშელიძე (1865-1925წ.წ.) — ცნობილი ქართველი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მეფის რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და 1885 წელს სწავლა მოსკოვში ალექსანდრეს სახელობის მე-3 სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. 1888 წელს 1-ლი ხარისხით დაამთავრა სასწავლებელი და პოდპორუჩიკის წოდებით 39-ე საარტილერიო ბრიგადაში გაიგზავნა. 1905 წელს პოლკოვნიკმა ოდიშელიძემ მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომის ყველაზე მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლაში მუკდენთან (19 თებერვალი-10 მარტი). იმავე წელს ილია ოდიშელიძე სამი ორდენით დაჯილდოვდა: წმინდა ანას III ხარისხის ხმლებითა და ბანტით, წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ხმლებითა და ბანტით, წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ხმლებით. 29 მარტს კი ოქროს იარაღი გადაეცა წარწერით "მამაცობისათვის". 1914 წლის 11 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტის წოდება ენიჭება და პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე იგზავნება. 13 ოქტომბერს იგი ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-10 არმიის შტაბის უფროსად ინიშნება. 23 დეკემბრიდან 1-ლი არმიის სარდალია. 1917 წლის 2 ოქომბერს გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე კავკასიის არმიის სარდლად ინიშნება და საქართველოში ბრუნდება, გენერალი ოდიშელიძე იყო პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი. 1919 წლის 1 მაისს მან კონფერენციაზე წარადგინა ივანე ჯავახიშვილთან ერთად შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც ისტორიული, ეთნოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული არგუმენტების გათვალისწინებით დადგენილი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრები. 1920 წლის 13 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ინიშნება, სადაც იგი 1921 წლის 16 თებერვალს გენერალმა კვინიტაძემ შეცვალა. 1921 წლის მარტიდან ილია ოდიშელიძემ დატოვა სამშობლო და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. იგი კონსტანტინოპოლში დარჩა და სხვათა მსგავსად საფრანგეთში აღარ წასულა. გარდაიცვალა იქვე, ზუსტი თარიღი და საფლავი უცნობია.

ტაბახმელას უბანი გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს ჩააბარეს. შესაბამისად, სამხედრო სკოლის უფროსი, პოლკოვნიკი ჩხეიძე გახდა.

სამხედრო სკოლის იუნკრებს ცხოვრებამ მკაცრი გამოცდა მოუწყო. 17 თებერვალს, დილის 5 საათზე სკოლაში მთავარსარდლის ბრძანება მივიდა — სამხედრო სკოლა საჩქაროდ უნდა გასულიყო ტაბახმელას პოზიციებზე. ერთ-ერთი იუნკერი იგონებს: ,,ფრონტზედ გამგზავრებისას სამხედრო სკოლას უნდა გეეარა თბილისის მთავარ ქუჩაზედ. საუცხოვო სურათს წრმოადგენდა თბილისი ამ დღეს. ხალხი ენთუზიაზმით იყო აღფრთოვანებული და მძლავრი ყიჟინით ეგებებოდა სკოლას. ოლღის ქუჩაზედ ხალხის მჭიდრო მასსა გამოარღვია ყველასათვის ძვირფასმა და პატივცემულმა ჩვენმა მასწავლებელმა, მოხუც პროფესორ ვ. ბარნოვმა. გადმოდგა შუა ქუჩაზედ და მოხდილი ქუდით გვესალმებოდა. ხალხის ყიჟინაში ვერ გვესმოდა რას ამბობდა, მაგრამ თვალებიდან ცრემლი უხვად ზდიოდა.

ხალხის აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როდესაც სკოლა პარლამენტის შენობას დაუახლოვდა. მუსიკის ხმაზედ პარლამენტის აივანი ხალხით აივსო. საერთო გრგვინვიდან ისმოდა მხოლოდ გაუმარჯოს და ვაშას ძახილი. წყობილებაში შემოდიოდნენ უცნობნი პირნი, უბეებში და ჯიბეებში თუთუნს და სხვა რამეებს გვიდებდნენ, თანაც ცრემლებს მალავდნენ და სახეს გვარიდებდნენ.

დაბადებული ვარ თბილისში და აღზრდილი ვიყავი თბილისის ტრადიციებზედ, მაგრამ არ მეგონა, რომ თბილისს ესე ფაქიზად ჰქონდა ძველი ქართული სული და ესე მძლავრად სძგერდა მისი ქართული გული. მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ქვეყანა ვნახე ომის ფსიხოზით ანთებული, პატრიოტულ გრძნობებით გატაცებული, მაგრამ ბრძოლის ველზედ მდგომი თბილისის 1921 წლის 17 თებერვლის სურათის მაგვრი ვეღარ ვიხილე ვერსად.“

17 თებერვალს პასკევიჩ-ერევანსკის[9] მოედანზე იუნკრებს სკოლის უფროსი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე მიუძღოდა, მოსახლეობა კი მიაცილებდა მათ სამხედრო მუსიკით, ყვავილებითა და შემახილებით: «გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდა სამხედრო სკოლას!»

17 თებერვლის 17 საათისათვის სამხედრო სკოლის პირადი შემადგენლობა უკვე ტაბახმელაში იყო. ეს იყო 153 იუნკერი და 350 ნაცვალი, რომელთაც შეიარაღებაში 4 სამთო ზარბაზანი და 16 ტყვიამფრქვევი ჰქონდათ.

გენერალ ანდრონიკაშვილის ბრძანებით, სამხედრო სკოლამ აქ განლაგებული ძველი სანგრები და რვაკილომეტრიანი ფრონტის ხაზი დაიკავა, კოჯრიდან თელეთის ქედზე მდებარე ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე. ეს იყო თბილისის დაცვის უკანასკნელი პოზიცია.[10]

თბილისისათვის ბრძოლა 18 თებერვლის ღამეს დაიწყო. მე-11 არმიის მეწინავე ქვედანაყოფებმა სოღანლუღის პოზიციებზე მიიტანეს იერიში. აქ ქართულმა

---

[9] ყოფილი ლენინის, დღევანდელი თავისუფლების მოედანი.

[10] თბილისის გარშემო, და განსაკუთებით მის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიმეტრზე, 1921 წლის დასაწყისისათვის უკვე არსებობდა გარკვეული ფორტიფიკაციული ნაგებობების სისტემა. საქმე იმაშია, რომ თბილისი, როგორც ამიერკავკასიის რეგიონის ცენტრი და კავკასიის არმიის შტაბის დისლოკაციის ადგილი, რუსეთის იმპერიისათვის თავიდანვე წარმოადგენდა მაღალი ღირებულების მქონე სტრატეგიულ დასახლებულ პუნქტს. ამიტომ, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1914 წლისათვის იგი საგანგებოდ იქნა მომზადებული მომავალი საომარი მოქმედებებისათვის. კერძოდ, თბილისის გარეუბნის პერიმეტრზე, კოჯორი-ტაბახმელას უბანზე თავიდანვე იყო მომზადებული სანგრების სისტემა, რომლის დაგეგმვასა და მომზადებაში, როგორც კავკასის არმიის გენერალ კვარტერმეისტერის ოფიცერი, ჩართული იყო პოლკოვნიკი გიორგი კვინიტაძე, შემდგომში ქართული არმიის მთავარსარდალი. ასე, რომ თბილისის გარშემო პერიმეტრი გამაგრებულ რაიონს წარმოადგენდა. სწორედ ეს სანგრები და შესაბამისი საბრძოლო პოზიციები დაიკავეს თბილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა და ნაცვალთა ბატალიონმა პოლკოვნიკ ჩხეიძის მეთაურობით.

ქვედანაყოფებმა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ არა თუ შეაჩერეს მოწინააღმდეგე, არამედ უკანაც დაახევინეს მას და 1600-დე ტყვე წითელარმიელიც ჩაიგდეს ხელში.

წითლებმა დაუყოვნებლივ შეცვალეს შეტევის მიმართულება და საარტილერიო მომზადების შემდეგ, 19 თებერვალს, ტაბახმელაზე მიიტანეს იერიში. იუნკრებმა ეს შეტევა მოიგერიეს, მაგრამ წითლებმა ისარგებლეს თავისი დიდი რიცხობრივი უპირატესობით, შეტევის მარცხენა ფრთა დააგრძელეს და თითქმის დაუცველ კოჯორში შეიჭრნენ. ისინი ზურგიდან დაემუქრნენ იუნკერთა პოზიციებს. მოწინააღმდეგის მიერ წავკისისა და ტაბახმელას დაკავების შემთხვევაში, ქართული მხარისათვის ოპერატიული მდგომარეობა მეტად მძიმდებოდა. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ძალები ქართულ პოზიციებს შემოუვლიდნენ გარს, მათი შემდგომი ალყაში მოქცევის მიზნით, და რაც მთავარია, მათი არტილერია უკვე შეძლებდა უშუალოდ თბილისის დაბომბვას დაკიდებული ტრაექტორიით, რასაც ქალაქში მოსალოდნელი პანიკა და ქართული მხარისათვის გაუთვალისწინებელი მოვლენები შეიძლება მოჰყოლოდა შედეგად. რა თქმა უნდა, ამის დაშვება არაფრით არ შეიძლებოდა.

კრიტიკულ მომენტში, პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის ინიციატივით, იუნკრებმა ძალები გადააჯგუფეს. მაიორ ბახუტაშვილის ბატარეამ პირდაპირი დამიზნებით ცეცხლი გაუხსნა წითლებს.[11] იუნკრების ერთმა ოცეულმა კაპიტან ირაკლი თოიძის მეთაურობით (23 იუნკერი) კონტრშეტევით შეაჩერა მოწინააღმდეგე. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა კაპიტანი თოიძე და დაიჭრა რვა იუნკერი. ამან მთავარსარდალს საპასუხო ზომების მიღების დრო მისცა – 20 თებერვალს არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილების საერთო შეტევით ქართველებმა კოჯორი დაიბრუნეს და ფრონტის ხაზიც მთლიანად აღადგინეს. წითლებმა დაკარგეს 4 ქვემეხი, 15 ტყვი-ამფრქვევი და 1 ჯავშნოსანი ავტომობილი.

20-23 თებერვალს სამხედრო სკოლის იუნკრები ურყევად იდგნენ თავიანთ პოზიციებზე და მათ რამდენჯერმე მოიგერიეს მტრის შემოტევები. განსაკუთრებით მძიმე მომენტებში ტაქტიკურ რეზერვში მყოფი იუნკრების კონტრიერიში საკმარისი იყო ამ მონაკვეთზე პოზიციების აღსადგენად.

21 თებერვალს იუნკერთა სამხედრო სკოლას მაიორ დიმიტი ჩრდილელის[12] ბატარეა და ლეიტენანტ გოგი ალექსი-მესხიშვილის საარტილერიო ოცეული შეუერთდა, რომლებმაც შესაბისი პოზიციები დაიკავეს.

23 თებერვლისათვის მოწინააღმდეგემ შეძლო ფოილოს აფეთქებული ხიდის აღდგენა და ჯავშანმატარებლების, მძიმე ტექნიკისა და დამატებითი ძალების

---

[11] აქ აშკარად იკვეთება ის სურათი, რომ კოჯრის მისადგომებთან ღია პოზიციებზე ქვეითთა შეტევის მხარდაჭერას ქართული არტილერია მოძრავი გადამღობი ცეცხლის წარმოებით ახდენდა, რაც თავისთავად მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა და საარტილერიო გათვლებისაგან მაღალ პროფესიონალიზმს ითხოვდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საარტილერიო ცეცხლის მართვის ეს ინოვაციური მეთოდიკა მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შუა წლებში დამუშავდა და დაინერგა ევროპის მოწინავე ქვეყნების ჯარებში. შესაბამისად, ქართველი არტილერისტების, და ამ შემთხვევაში ბატარეის მეთაურის, მაიორ ბახუტაშვილის მიერ არტილერიის მოძრავი გადამღობი ცეცხლის წარმოება მის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

[12] დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი (1893-1923 წ.წ.), ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, როტმისტრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1922 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ანტიბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო ცენტრის“ წევრი. 1923 წლის მარტში, ბოლშევიკებმა „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადმოყვანა. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად გაართულა თბილისის დამცველთა წინაშე მდგარი ამოცანა.

24 თებერვალს დამხმარე ნაწილებით გაძლიერებული მე-11 წითელი არმია გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. ბაქოდან გადმოსროლილი მე-11 წითელი არმიის აღმოსავლეთის 1-ლი ბრიგადის წითელი კურსანტების მე-6 პოლკი შეთხელებულ ქართველ იუნკრებს დაუპირისპირდა.

რამდენიმე ძლიერი შტევის შემდეგ წითლებმა ფრონტის ხაზი შეავიწროვეს და ლეიტენანტ გოგი ალექსი-მესხიშვილის ბატარეას შეუტიეს. ბატარეის ჯარისკაცები არ შედრკნენ და უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილმა, ლეიტენანტმა ალექსი-მესხიშვილმა აქ გამოაჩინა თავისი გმირობა. მან გადაწყვიტა არავითარ შემთხევაში არ დაეთმო ბატარეა და მომკვდარიყო თავის ზარბაზნებთან – შემოიკრიბა თავისი ბატარეის ჯარისკაცები, იძრო ხმალი, თავგანწირული გამბედაობით გადაეშვა მტრებში და დაუწყო ჩეხვა. მაგრამ მტერმა მიზანს მიაღწია, მე-4 სანგარი აიღო და ფრონტი გაარღვია – იუნკერთა ბატარეა დაკავებულია...

ამ კრიტიკულ მომენტში, ტაქტიკურ რეზერვში მყოფმა იუნკრებმა მოხერხებული მანევრით ზურგიდან დაარტყეს მტერს და უკუაქციეს იგი. მაგრამ ამით ბრძოლა არ დამთავრებულა. მალე ტყვიამფრქვევის მხარდაჭერით წითელ კურსანტთა ახალი იერიში დაიწყო. მტრის ტყვიამფრქვევმა ღია მინდორზე 100-120 ნაბიჯის მანძილიდან გაუხსნა ცეცხლი იუნკრებს. პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე, რომელიც გენერალ ანდრონიკაშვილთან ერთად ამ ბრძოლის უშუალო თვითმხილველი იყო, ასე აღწერს ამ ეპიზოდს:

,,ასეთ სასწრაფო და საბედისწერო წუთში სხვა არჩევანი აღარ იყო! რჩებოდა მხოლოდ ერთი: უნდა აეღოთ ის! მე-3 მწყობრი კაპ. ჩოჩუას მეთაურობით ტყვიამფრქვევისაკენ გაექანა; ჯერ არ მიახლოვებოდენ, რომ კაპ. ჩოჩუა დაეცა დაჭრილი, მაგრამ იუნკრები ასკდებოდენ წინ; ამბობენ, რომ პირველი წინ მირბოდა ფეხბურთში განთქმული, მუხლ-სწრაფი შალვა ერისთავი.[13] მივარდენ და აიღეს ტყვიამფრქვევი; მემიზნე ოფიცერი მოკლულ იქმნა ერისთავის ხიშტით, რომელიც, აგრეთვე, თვითონ დაეცა ზედ მტრის ტყვიით განგმირული. სანგრები ისევ ჩვენებმა დაიკავეს...

წითელ კურსანტთა ხუთწვერიანი ვრსკვლავის ბრწყინვალება თეთრი გიორგის ელვარებამ დაჩრდილა...

დღე იყო საშინელი, მაგრამ სადიდებელი და სავსე თავგანწირული საქმიანობით. ბოლშევიკებმა ყველაფერი გადმოისროლეს ბრძოლაში; გამწარებულად და უშიშრად მოიწევდენ წინ და კვდებოდენ, მაგრამ ყველა მათი მქუხარედ მოვარდნილი ტალღა იმსხვრეოდა ტაბახმელას გმირთა მკერდზე ისე, როგორც ზღვის ტალღები პიტალო კლდეზე.

დღე იქცა ისტორიულად. გადამწყვეტ ჭიდილში ჩვენ გავიმარჯვეთ. გამარჯვება იყო სრული!“

---

[13] შალვა ერისთავი (1897-1921წ.წ.) — ქართული სამხედრო სკოლის იუნკერი. ტაბახმელას ბრძოლის გმირი. ქსნის ერისთავთა რეზიდენციის ბოლო მემკვიდრის, ცნობილი დეკლამატორისა და თეატრალური მოღვაწის, ახალგორელი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის ვაჟი. შალვა ერისთავი, თბილისელებისთვის კარგად ცნობილი ახალგაზრდა, პირველი ფეხბურთის მოთამაშე და მორბენალი იყო.

ამ იერიშის დროს მოკლეს იუნკრები შალვა ერისთავი, ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი, ხოლო 15 იუნკერი დაიჭრა. საერთო ჯამში, კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში იუნკერთა დანაკარგები შემდეგი იყო:

მსუბუქად დაიჭრა – 7;

საშუალოდ დაიჭრა – 22;

მძიმედ დაიჭრა – 13;

მკლულ იქნა – 9;

სულ საბრძოლო წყობიდან გმოვიდა – 51 იუნკერი.

სამხედრო სკოლის ოფიცერთა დანაკარგებს კი, შემდეგი სახე ჰქონდა – დაიღუპნენ მაიორი არჯევან ანანიაშვილი და კაპიტანი ირაკლი თოიძე, ხოლო სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები მიიღეს კაპიტანმა მიხეულ შავდიამ, კაპიტანმა ვარლამ ხოშტარიამ, კაპიტანმა დომენტი ჩოჩუამ და ლეიტენანტმა გიორგი ანდრონიკაშვილმა.[14]

ნაცვალთა ბატალიონის დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობამ მათი პირადი შემადგენლობის 40%-ს მიაღწია. ამ ბრძოლებში დაღუპულთა შორის იყო აგრეთვე მოწყალების და მარიამ (მარო) მაყაშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, კოტე მაყაშვილის (1876-1927) ქალიშვილი.

თბილისის სამხედრო ტაძრის [15] ეზოში დაკრძალეს: მაიორი ანანიშვილი, კაპიტანი თოიძე, იუნკერი პავლე იაკობაშვილი და ნაცვალთა ბატალიონის პირველი ასეულის ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ნიკოლოზ ჩხეიძე მთავარსარდალ კვინიტაძისადმი გაგზავნილ მისასალმებელ ადრესში წერდა:

---

[14] უტყუარი საარქივო დოკუმენტების მიხედვით სამხედრო სკოლამ კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში მოკლულთა სახით დაკარგა: იუნკრები — ლოლუა მიხეილ, დოლიძე პლატონ, კანდელაკი ლევან, ჯანდიერი იოსებ, ერისთავი შალვა, ახვლედიანი ალექსანდრე, ლორთქიფანიძე ოთარ, ჯანდიერი ილია, იაკობაშვილი პავლე, ჯაფარიძე ალექსანდრე; ოფიცრები — მაიორი არჯევან ანანიაშვილი და კაპიტანი ირაკლი თოიძე. დაიჭრნენ: იუნკრები — დგებუაძე ნიკოლოზ, ვეფხვაძე ივანე, ზაუტაშვილი იოსებ, იაშვილი კონსტანტინე, ლოლაძე კონსტანტინე, ლორთქიფანიძე ალექსანდრე, საღინაშვილი გიორგი (პირველი), ტატიშვილი ზურაბ, წიკლაური ვლადიმერ, ჯაფარიძე ნიკოლოზ (პირველი), ჭიღლაძე სოლომონ, ავალიშვილი შალვა, აღლაძე ირაკლი, გიორგაძე ვლადიმერ, იაშვილი ალექსანდრე, იაშვილი სიმონ, მამუჩაიშვილი დავით, მორჩაძე დავით, სომხიანცი მელიქ, ხინველი ისააკ, ცქიტიშვილი გიორგი, ჯაფარიძე ნიკოლოზ (მეორე), აბაშიძე ვარლამ, ვახვახიშვილი ნიკოლოზ, ზალდასტანიშვილი გიორგი, მაჩაბელი ივანე, მირზაშვილი რევაზ, სამხარაძე ბაგრატ, ტატიშვილი ალექსანდრე, ქაჯაია ვასილ, ხიდირბეგიშვილი მიხეილ, ასათიანი მამუკა, ამირაჯიბი დიმიტრი, გორდეზიანი ამბროსი, იოსავა აბესალომ, საღინაშვილი გიორგი (მეორე), საღინაშვილი ნიკოლოზი, ხუციშვილი დიმიტრი, ჩილოჩავა ალექსანდრე, ჩხეიძე გრიგოლ, ფერაძე ისიდორე.საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი 12-17.

[15] ტფილისის სამხედრო ტაძარი (ე.წ.,,სობორო“) - თბილისში აღმართული მართლმადიდებელი ქრისტიანული საკათედრო ტაძარი რუსეთის კავკასიის ომში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთან გამარჯვების აღსანიშნავად. იგი შუა საუკუნეების რუსი წმინდანის — ალექსანდრე ნეველის სახელობისა იყო. ამ ნეობიზანტიური სტილის ნაგებობის პროექტ ი. გრიმს ეკუთვნის. გეგმის მიხედვით ტაძარს უნდა დაეტია 2000 მდე მომლოცველი და უნდა ღირებულიყო 300-500 ათასი რუბლი. 1866 წლის 1 მაისს ღუნიბის მოედანზე სამხედრო ტაძრის ასაშენებლად ჩატარდა კონკურსი რომელშიც მონაწილეობდა 16 პროექტი. 1871 წლის 16 აპრილს ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში ღუნიბის მოედანზე (მოგვიანებით „სობორნი“ მოედანი დაერქვა, ამჟამად რუსთაველის გამზირის ნაწილი), კათედრალის მშენებლობისათვის გაჭრეს საძირკველი, თუმცა ტაძრის თავდაპირველი სახე თავიდანვე შეიცვალა. საბოლოოდ, ტაძარმა ფუნქციონირება 1897 წელს დაიწყო. ტაძარს განაგებდა საქართველოს ეგზარქატი 1917 წლამდე, რის შემდეგაც იგი გადაეცა ავტოკეფალიამინიჭებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს. 1930 წლის 7 თებერვალს, საბჭოთა მმართველობამ დაიწყო ტაძრის დემონტაჟი. ამჟამად თბილისის სამხედრო ტაძრის ადგილას საქართველოს პარლამენტის შენობა დგას.

,,დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით მოგესალმებათ თქვენ და თქვენ ხელმძღვანელობით მოქმედ ჯარსა და გვარდიას, რომელთაც თავდადებით და გმირობით გადაარჩინეს სამშობლო გამხეცებულ მტრის ურდოების შემოსევას.

თებერვლის ცხრამეტის, ოცისა და ოცდაერთის ბრწყინვალე ბრძოლანი ოქროს ასოებით აღიბეჭდება საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ხოლო შთამომავლობას იგი გადაეცემა როგორც საარაკო თქმულება ქართველი მეომრის ძლევამოსილებისა.

გაუმარჯოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს!

სახელი და დიდება მათ, ვინც სამშობლოს შესწირა თავი და გმირულად აღსრულდა ბრძოლის ველზე!“

საბოლოოდ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რუსული ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხი განიცადა. საქართველოს მთავრობამ ბათუმიდან საზღვარგარეთ გამგზავრებისას იუნკრებს არჩევანის უფლება მისცა – ან დარჩენილიყვნენ სამშობლოში, ანდა მათთან ერთად წასულიყვნენ ემიგრაციაში.

როგორც ქართველი ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე იხსენებდა «გემზე მოთავსდნენ გენერალური შტაბის ოფიცრები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები და იუნკერთა სკოლა, რომელიც ასე გმირულად იბრძოდა სატახტო ქალაქის დაცვისას. ჩვენი ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ მათ რომელიმე მეგობრულად განწყობილი სახელმწიფო მიიღებდა და დაბრუნებისას მზად გვეყოლებოდა ოფიცერთა განსწავლული კორპუსი».

მართლაც, ბევრმა იუნკერმა სრულყო თავისი სამხედრო მომზადების დონე საზღვარგარეთ. მათი ნაწილი შემდეგშიც აგრძელებდა ბრძოლას საბჭოური ბოლშევიზმის, ტოტალიტარიზმისა და გერმანული ნაციზმის წინააღმდეგ.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის შემოდგომაზე, კონსტანტინოპოლში გახიზნული ოთხმოცამდე ქართველ ოფიცერთა და იუნკერთა ნაწილი ჯერ საბერძნეთმა, ხოლო შემდეგ პოლონეთმა მიიღო. ხუთი იუნკერი საფრანგეთის სენ-მიქსენის სამხედრო სასწავლებელში გაიგზავნა, რომლის დამთავრების შემდეგ ისინი საფრანგეთის კოლონიურ ჯარებში მსახურობდნენ.

საბოლოოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ლტოლვილთა უმეტესობა საფრანგეთში დასახლდა. თითქმის ყველამ დაიტოვა საქართველოს პასპორტი, ლტოლვილის სტატუსი და მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა 1928 წლიდან. საფრანგეთის მაშინდელი სამხედრო სამინისტროს დადგენილებით, ქვეყანაში მცხოვრები ჯარში გასაწვევი ასაკის უცხოელი ლტოლვილები, მათ შორის, ქართველებიც, ვალდებული იყვნენ, გაევლოთ სამხედრო სამსახური.

II მსოფლიო ომის დროს პოლონეთის არმიაში მოღვაწეობდა და გერმანელთა წინააღმდეგ ამ ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავისი წვლილი შეიტანა ოთხმოცდაერთმა ქართველმა სამხედრომ, მათ შორის, ოცდათხუთმეტმა ოფიცერმა და ორმოცდაექვსმა იუნკერმა. თხუთმეტ მათგანს დამთავრებული ჰქონდა პოლონეთის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია, ხოლო ოთხს – საინტენდანტო სკოლა. ყოფილი იუნკრები სწავლობდნენ აგრეთვე საფრანგეთის სენ-სირისა და სენ-მიქსენის სამხედრო სასწავლებლებში.

მაგალითად, ვანო ვაჩნაძე და სანდრო ჯინჭარაძე საფრანგეთის «უცხოურ ლეგიონში» მსახურობდნენ და «საპატიო ლეგიონის» ორდენის კავალრები გახდნენ (მათ შორის, ვანო ვაჩნაძე – 2 ჯერ!)

სამწუხაროდ, საქართველოდან ემიგრირებულ ქართველ იუნკერთა, ოფიცერთა და გენერალთა ნიჭსა და ენერგიას მამულის სასიკეთოდ დახარჯვა არ ეწერა.

განგებამ და მისმა უდიდებულესობა ისტორიამ სხვანაირად განსაჯა. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის თბილისის ბრძოლაში იუნკრები ბოლომდე იდგნენ კოჯორი-ტაბახმელას საბრძოლო პოზიციებზე და ბოლომდე ეკავათ მათზე გაპიროვნებული ფრონტის ხაზი. ისინი ბოლოს გამოვიდნენ ბრძოლის ველიდან და უკან დახეული ქართული შენაერთების არიერგარდს წარმოადგენდნენ. ისინი ბოლომდე სამშობლოსა და სამხედრო ფიცის ერთგულნი დარჩნენ.

სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის პირველი გამოშვების პირადი შემადგენლობისაგან განსხვავებით, ქართველ იუნკერთა გამოშვება არ შემდგარა, მათ კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში დაასრულეს თავისი ყრმობაც და საქართველოს შეიარაღებულ ძალების სამხედრო მოსამსახურის კარიერაც.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო სკოლის იუნკრები ქართველი ოფიცრები ვერ გახდნენ – მაგრამ ისინი ბოლომდე სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებად, ბოლომდე ქართველ იუნკრებად დარჩნენ და ასე ეზიარნენ უკვდავებას...

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში მე-11 წითელი არმიის შენაერთები შემოვიდნენ...

26 თებერვალს კი, თბილისის იუნკერთა და ნაცვალთა სამხედრო სკოლამ თავისი არსებობა შეწყვიტა.

1918–1921 წლებში სამხედრო სკოლის უფროსები იყვნენ:

ანდრია ბენაშვილი
გენერალ-მაიორი,
სასწ. უფროსი
20.08.1918–15.08.1919

გიორგი კვინიტაძე
გენერალ-მაიორი,
სასწ. უფროსი
15.08.1919–01.10.1920

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი
გენერალ-მაიორი,
სასწ. უფროსი
01.10.1920–16.02.1921

ალექსანდრე ჩხეიძე
პოლკოვნიკი,
სასწ. უფროსი
16.02.1921–25.02.1921

პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მიერ შედგენილი თბილისის მისადგომებთან 1921 წლის 18-24 თებერვალს მიმდინარე ბრძოლების ამსახველი სქემები, რომელიც თან ერთვის მის ნაშრომს — „სამხედრო სკოლა“.

(ჟურნ. „მხედარი“, #13, პარიზი, 1933წ.)




№2. ბოლშევიკების შეტევა-ნა
მესხიშვილის ქალაქიაზე
24 ივლისიდან
მესხიშვილის ბატარეა
ტაბახმელა
№3
№4
№5
№2.

3. რუკა №3


№3. საერთო მდგომარეობა 24 ივლისს საღამოს
ცხენოსანი დივიზია
ტფილისი
ტაბახმელა
ცხენოსანი დივიზია

ალექსანდრე ჩხეიძე
ქართული არმიის პოლკოვნიკი და პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი



მემორიალური დაფა ყოფილი სამხედრო სკოლის ფასადზე, წარწერით: „ამ შენობაში 1919 წლიდან 1921 წლამდე განთასებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიცერთა (იუნკერთა) სკოლა, რომლის კურსანტებმა თავი გამოიჩინეს 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯართან საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად გამართულ ბრძოლებში“



მემორიალური დაფა ყოფილი სამხედრო სკოლის ფასადზე წარწერით: „1920–21 წწ. ოფიცერთა სკოლას ხელმძღვანელობდა ქართველი პატრიოტი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე. 1939 წელს პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერლის რანგში ებრძოდა ნაცისტ და საბჭოთა აგრესორებს. სტალინის ბრძანებით დახვრიტეს კატინში 1940 წელს“

რუსეთ-საქართველოს ომში, თბილისის მისადგომებთან, 1921 წლის თებერვალში დაღუპული იუნკრებისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა საქართველოს პარლამენტის კედელზე

საქართველო

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა: თბილისი, რუსთაველის პრსპ. № 11. რედაქცია და კონტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73. მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, „საქართველო“. ფოსტის ყუთი № 76

განცხადება: მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მ., მე-4 გვერდზე—20 მ. ხანგრძლივიერო განცხადებანი 30 სტრიქონი—1000 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 300 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა: გაზეთი „საქართველო“ ქალაქში და ქალაქს გარეთ ერთ თვეში—800 მან. ცალკე №—50 მან.

ფასი 50 მან.

წელიწადი მეექვსე. სამშაბათი, თებერვლის 22. 1921 წ. № 41

ვაშა საქართველო!

[illegible] ომი, [illegible] ომი, [illegible] საქართველოს [illegible] ლისი [illegible] „ვაშ!“ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

სამხედრო სკოლის ოფიცრები, იუნკრები და ჯარის-კაცები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ბრძოლაში გმირულად ემსხვერპლნენ იუნკერთა ასეულის უფროსი მაიორი

არჯევან ანანიაშვილი იმავე ასეულის კაპიტანი თოდაძე ირაკლი და იუნკრები

ალექსანდრე ახვლედიანი და ჰაველე იაკობაშვილი

დაკრძალვა მოხდება 23 თებერვლის დილას გვამების გამოტანაა მიხეილის საავადმყოფოდან.

იუნკერთა ძველი და ახალი მემორიალები კოჯორში

იუნკერი შალვა ერისთავი

შალვა ერისთავი დაიბადა 1897 წელს, თბილისში. 1919 წელს სწავლა თბილისის სამხედრო სკოლაში დაიწყო, 1920 წლის გაზაფხულზე მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს პირველ ომში, იმავე წლის ზაფხულში კი – ლაგოდეხში განლაგებული მე-6 ქვეითი პოლკის გაბოლშევიკებული ასეულის განიარაღებაში.

რუსეთ-საქართველოს მეორე ომის დროს, 1921 წლის 18-24 თებერვალს, შალვა ერისთავი, სამხედრო სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად, თბილისის დაცვისთვის იბრძოდა. იუნკრებმა 17 თებერვალს, პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მეთაურობით, თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორის კოჯორი-ტაბახმელას მონაკვეთი დაიკავეს. მოწინააღმდეგემ ამ მონაკვეთში შეტევა 19 თებერვალს დაიწყო, თუმცა 19-23 თებერვლის ბრძოლებში ქართული არმიის, სახალხო გვარდიისა და სამხედრო სკოლის მებრძოლებმა მოახერხეს მე-11 წითელი არმიის მეწინვე ქვედანაყოფების შეჩერება.

გადამწყვეტი ბრძოლები თბილისის თავდაცვის ყველა სექტორში, მათ შორის ტაბახმელას მონაკვეთზე, 24 თებერვალს გაიმართა. ამ მომენტისათვის მოწინააღმდეგემ ცოცხალ ძალაში, საბრძოლო ტექნიკასა და შეიარაღებაში მნიშვნელოვანი შევსება მიიღო და შეტევითი მოქმედებები განაახლა. თბილისის თავდაცვის ამ მონაკვეთზე, განსაკუთრებულ სტრატეგიულ წერტილს სიმაღლე 1046, იგივე სანგარი N4 წარმოადგენდა.

დღის განმავლობაში, მოწინააღმდეგემ N4 სანგარზე რამდენიმე იერიში მიიტანა და ნაშუადღევს ამ მონაკვეთზე, არმიის პირველი ათასეულის ასეულის თავდაცვითი ხაზი გაარღვია. მოწინააღმდეგემ სანგრის სამივე ზოლი დაიკავა და სანგრის უკან განლაგებულ ლეიტენანტ გოგი ალექსი-მესხიშვილის საარტილერიო ბატარეასთან გავიდა. არტილერისტები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. სანგრიდან რამდენიმე ასეულ მეტრში, იუნკერთა სამი ოცეულის ტაქტიკური სარეზერვო ჯგუფი იყო განლაგებული. პოლკოვნიკმა ალექსანდრე ჩხეიძემ იუნკერთა სამივე ოცეული, ოფიცრების – შავდიას, ხოშტარიას და ჩოჩუას მეთაურობით არტილერისტების დასახმარებლად და მე-4 სანგრის დასაბრუნებლად დაძრა. მძლავრი დარტყმით იუნკრებმა მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს, თუმცა სანგრის დაბრუნება

გართულდა, რადგან მოწინააღმდეგე სიმაღლეზე „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევით გამაგრდა და მოშიშვლებულ ველზე იუნკრებს კონტრშეტევის დასრულების საშუალება არ მისცა.

შალვა ერისთავმა, რომელიც სამხედრო სკოლაში სწავლის დაწყებამდე თბილისში განთქმული ფეხბურთელი და მორბენალი იყო, ტყვიამფრქვევამდე არსებული მანძილი სწრაფად გაირბინა, ხიშტით განგმირა მემიზნე და საკუთარი სიცოცხლის ფასად საცეცხლე პოზიცია გააუვნებელყო, სხეულით ტყვიამფრქვევის ლულა დაფარა, რითაც თანამებრძოლებს საშუალება მისცა კონტრშეტევა წარმატებით დაესრულებინათ. ამ კონტრიერიშს მის გარდა კიდევ ორი იუნკრის, ოთარ ლორთქიფანიძისა და იოსებ ჯანდიერის სიცოცხლე შეეწირა. დაიჭრა სამი ოფიცერი და 15 იუნკერი.

როდესაც სიკვდილის პირას მყოფ ერისთავს სანიტრები მიუახლოვდნენ, იუნკერმა მათ უკანასკნელი სიტყვები შესძახა: ,,დადექ, ვინა ხარ?“ და სული განუტევა. პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მოგონებით: ,,ამ ბრძოლაში იუნკრების რაინდობისა და მისი დიადი სილამაზის სამარადისო სიმბოლურ სურათად დარჩება ტყვიამფრქვევეზე მწოლიარე, განგმირული შალვა ერისთავი“...

გმირი იუნკერი, შალვა ერისთავი, თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზე, დღევანდელ ვერის ბაღში დაკრძალეს.

იუნკერ შალვა ერისთავის საფლავი თბილისში, ვერის ბაღში. 20018 წლის 25 თებერვალი. მარცხნიდან მარჯვნივ: საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი კაპელანი, მამა დავითი (ლონდარიძე), საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა, საქართველოს შეიარაღებული ძალების სერჟანტი, მთავარი სერჟანტი კობა ცირეკიძე და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ზაზა ჩხაიძე. მეორე პლანზე – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საზოგადოებასთან ურთიერთობების სერჟანტი, მასტერ სერჟანტი თორნიკე თვარაძე

იუნკერი ოთარ ლორთქიფანიძე

იუნკერი იოსებ ჯანდიერი

იუნკრები ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი გმირულად დაიღუპნენ 1921 წლის 24 თებერვალს გამართულ ხელჩართულ ბრძოლაში კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე, მე-4 სანგართან, ლეიტენანტ გოგი ალექსი-მესხიშვილის საარტილერიო ბატარეასთან ახლოს

ალექსანდრე ახვლედიანი

კაპიტან თოიძის ოცეულის შემადგენლობაში გმირულად დაიღუპა 1921 წლის 19 თებერვალს ტაბახმელას დასავლეთ მთის ფერდობზე, კოჯრიდან მოიერიშე რუსულ ქვედანაყოფთან შეტაკებისას;

კაპიტანი ირაკლი თოიძე

კაპიტანი ირაკლი თოიძე (1898–19.02.1921წ.წ.) – ქართველი ოფიცერი, სამხედრო ინჟინერი. საზოგადოება „შევარდენის“ პირველი რაზმის მწვრთნელი. პროფესიონალი სამხედრო. კიევის საინჟინრო სასწავლებლის კურსდამთავრებული 1917 წელს. 1918-1920 წლებში მსახურობდა თბილისის მესანგრეთა ბატალიონში და მონაწილეობას იღებდა ყველა საომარ კამპანიაში. 1920 წლის 1 ოქტომბრიდან დაინიშნა სამხედრო სკოლის საინჟინრო განყოფილების ინსტრუქტორად კაპიტნის ჩინით.

1921 წლის 19 თებერვალს მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს კოჯორი და დაეშვნენ ტაბახმელასკენ. მოწინააღმდეგე ზურგში მოექცა ქართულ პოზიციებს. მთავარი კი ის იყო, რომ თბილისი დაცემის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ბრძოლის ბედი ქართველ იუნკერთა ქვედანაყოფმა გადაწყვიტა, რომელსაც კაპიტანი თოიძე მეთაურობდა. ქართული არტილერიის ცეცხლის ქვეშ თოიძის ქვედანაყოფი შეტევაზე გადავიდა და იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე. მტერი შეჩერებულ იქნა და თბილისი გადარჩა, თუმცა ამ ბრძოლას მეთაური და რამდენიმე იუნკერი შეეწირა.

დაღუპული გმირის დასახიჩრებული და გაძარცვული გვამი ორი დღის შემდეგ აღმოაჩინეს.

კაპიტანი ირაკლი თოიძე სხვა გმირებთან ერთად თბილისის სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალეს.

მაიორი დიმიტრი ჩრდილელი და მისი ბატარეა

ლეიტენანტი გოგი ალექსი-მესხიშვილი

ლეიტენანტი გოგი ალექსი-მესხიშვილი (შუაში)

იუნკრები და სხვები...

სამხედრო სკოლის იუნკერთა ასეულის ოფიცრების
სახელობითი სია და საბრძოლო დანაკარგები:

– ასეულის მეთაური, მაიორი არჯევან ანანიაშვილი მოკლეს ტაბახმელას ბრძოლის დასაწყისში, 19 თებერვალს, არტილერიის პოზიციებთან, შორიდან ნასროლი ტყვიით;

– იუნკერთა ასეულის მეთაური გახდა სამხედრო სკოლის ნაცვალთა (სერჟანტთა) ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური, მაიორი ნესტორ გარდაფხაძე;

– ოცეულის მეთაური, კაპიტანი მიხეილ შავდია. დაიჭრა 24 თებერვალს, N4 პოზიციაზე კონტრშეტევისას;

– ოცეულის მეთაური, კაპიტანი გრიგოლ ჯაფარიძე;

– ოცეულის მეთაური, კაპიტანი დომენტი ჩოჩუა. დაიჭრა 24 თებერვალს, N4 პოზიციაზე კონტრშეტევისას;

– ოცეულის მეთაური, კაპიტანი ვარლამ ხოშტარია. დაიჭრა 24 თებერვალს, N4 პოზიციაზე კონტრშეტევისას;

– საინჟინრო ოცეულის მეთაური, კაპიტანი ირაკლი თოიძე. მოკლეს 19 თებერვალს, ტაბახმელას დასავლეთ მთის ფერდობზე, კოჯრიდან დაშვებულ წითელარმიელებთან შეტაკებისას;

– საარტილერიო ოცეულის მეთაური, კაპიტანი დავით ქარუმიძე;

– ცხენოსანთა ოცეულის მეთაური, კაპიტანი გიორგი სულხანიშვილი;

– მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი. დაიჭრა ერთ-ერთი შეტაკებისას.

სამხედრო სკოლის იუნკერთა სახელობითი სია,
საბრძოლო დანაკარგები და მათი შემდგომი ბედი:

უმცროსი კურსი

1-ლი განყოფილება

1. ბარამიძე ბენია (–1924?) – დარჩა საქართველოში. მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. დაუზუსტებელი ინფორმაციით დახვრიტეს 1924 წლის აჯანყების დროს;
2. ბაქრაძე ივანე – გაიგზავნა პოლონეთში;
3. ბალახვანელი საველი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, მერე პოლონეთში; პოლონეთის არმიის ოფიცერი. 33-ე ქვეითი პოლკის ლეიტენანტი. გარდაიცვალა 1939 წლამდე პოლონეთში ქ. ლომჟაში;
4. გაბუნია კონსტანტინე;
5. გენძეხაძე შალვა;
6. გიგინეიშვილი ვასილ;
7. დგებუაძე ნიკოლოზ – დაიჭრა მსუბუქად;

8. დოლიძე პლატონ (–1921) – გარდაიცვალა ტაბახმელას ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისგან;
9. ერქომაიშვილი ალექსანდრე;
10. ვეფხვაძე ივანე – დაიჭრა;
11. ზაუტაშვილი იოსები – დაიჭრა მსუბუქად, გაიგზავნა პოლონეთში; პოლონეთის არმიის არტილერიის ოფიცერი, დაიღუპა ავტოკატასტროფაში;
12. იაშვილი კონსტანტინე – დაიჭრა; დაუზუსტებელი ინფორმაციით დახვრიტეს 1937 წელს;
13. იოსელიანი ტიმოთე;
14. კეკუაძე კლემენტი;
15. კელენჯერიძე დავით;
16. კვარაცხელია გრიგოლ;
17. ქუმარიტაშვილი ალექსანდრე;
18. ლაღიძე ვლადიმერ – პოლონეთის არმიის არტილერიის ოფიცერი. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. დასაფლავებულია ინგლისში;
19. ლოლაძე კონსტანტინე – დაიჭრა;
20. ლოლუა მიხეილ (–1921) – დაიღუპა კოჯორი-ტაბახმელას ფრონტზე;
21. ლორთქიფანიძე ალექსანდრე – დაიჭრა;
22. ნანუაშვილი ივანე (01.01.1902-1974) – ემიგრაციაში წასვლის შემდეგ სწავლობდა ათენის სამხედრო სასწავლებელში (საბერძნეთი), 1923 წლიდან – პოლონეთის არმიაშია. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა. 1939-1944 წლებში იმყოფებოდა ტყვეობაში. 1944 წელს მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა და იბრძოდა იტალიაში. 1948 წლიდან ცხოვრობდა ლონდონში. გარდაიცვალა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სან-ფრანცისკოში;
23. ნიკოლაიშვილი ნიკოლოზი – გაიგზავნა პოლონეთში;
24. საღინაშვილი გიორგი 1 – მძიმედ დაიჭრა;
25. სიდამონ-ერისთავი ილია;
26. სისაკოვი არამი;
27. ტატიშვილი ზურაბი – დაიჭრა მძიმედ;
28. უგრეხელიძე ვიტალი (1901–15.01.1983) – ემიგრაციაში წასვლის შემდეგ სწავლობდა პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში. პოლონეთის არმიის ოფიცერი, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე გერმანელების წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შმდეგ არ დარჩა საბჭოთა პოლონეთში, გადასახლდა ინგლისში და გარდაიცვალა ლონდონში; 2014 წელს მისი ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს;
29. ფანცულაია ალექსანდრე;
30. ფერაძე პავლე;
31. ქობულია მიხეილი;
32. ხუნდაძე გედევან – გაიგზავნა პოლონეთში;
33. წიკლაური ვლადიმერ – დაიჭრა მსუბუქად;
34. ჯამასპიშვილი ივანე;
35. ჯაფარიძე ნიკოლოზ 1 დაიჭრა;
36. ჭიღლაძე სოლომონ – დაიჭრა;
37. ჭოღოშვილი სერგო;

მე-2 განყოფილება

1. ავალიშვილი შალვა (1897–10.10.1938) – დაიჭრა ტაბახმელას ფრონტზე. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში, მსახურობდა წითელ არმიაში. 63-ე ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო პროკურატურის მდივანი, სამხედრო იურისტი. დააპატიმრეს 02.03.1938 წელს, მიუსაჯეს 4 წელი. დახვრიტეს იმავე წლის 10 ოქტომბერს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შინსახკომის განსაკუთრებული განყოფილების ბრალდებით, როგორც სამხედრო ორგანიზაციის წევრი;
2. ანდრონიკაშვილი არჩილ;
3. აფხაიძე ტიმოთე;
4. აღლაძე ირაკლი – დაიჭრა მძიმედ;
5. ბოკუჩავა გრიგოლ – ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში. არ დაასრულდა სწავლა პოლონეთის სამხედრო სკოლაში. დროებით ცხოვრობდა შვეიცარიაში, შემდეგ გერმანიაში. გარდაიცვალა ქალაქ ვარშავაში 1939 წლამდე;
6. გიორგაძე ვლადიმერ – დაიჭრა მძიმედ;
7. გლოვაცკი ალექსანდრე – გაიგზავნა პოლონეთში;
8. ვაჩნაძე დავით;
9. იაშვილი ალექსანდრე – დაიჭრა;
10. იაშვილი სიმონი – დაიჭრა; საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. რეპრესიები არ შეხებია. იუნკერ გრიგოლ იაშვილის ძმა;
11. კანდელაკი ლევან – მოკლულია; დაიღუპა ტაბახმელას პოზიციებზე;
12. კეზელი ლევან – ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; გარდაიცვალა 1922 წელს, ვარშავაში, სამხედრო სკოლაში სწავლის პერიოდში, მძიმე ავადმყოფობის გამო;
13. კვალიაშვილი მიხეილ – ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; სწავლობდა სამხედრო სასწავლებელში, პოლონეთის არმიის ოფიცერი. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. 1945 წელს დააპატიმრეს საბჭოელებმა და გაასამართლეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით. 11 წელი იმყოფებოდა გადასახლებაში ციმბირში, სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა პოლონეთში;
14. კობიაშვილი სიმონი (28.07.1902–1976) – ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში; პოლონეთის არმიის ოფიცერი. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, ეკავა ბრიგადის შტაბის უფროსის თანამდებობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში; გარდაიცვალა იქვე;
15. ლოსაბერიძე გობრონი;
16. მამუჩაიშვილი დავითი – დაიჭრა მსუბუქად;
17. მარკოზაშვილი ლავრენტი;
18. მდივანი დავითი;
19. მორჩაძე დავითი – დაიჭრა მსუბუქად;
20. მრელაშვილი გიორგი – გაიგზავნა პოლონეთში;
21. ოქროპირიძე იოსები – გაიგზავნა პოლონეთში;
22. სვიმონიშვილი ივანე;

23. სომხიანცი მელიქ – დაიჭრა კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; პოლონეთის არმიის ოფიცერი. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა ინგლისში. გარდაიცვალა იქვე;
24. სხირტლაძე არკადი (26.01.1902 – 1940) – ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; პოლონეთის არმიის კაპიტანი, მფრინავი. დახვრიტეს საბჭოელებმა კატინის ტყეში 1940 წელს. მისი 16 წლის შვილი ირინა, რომელიც მონაწილეობდა ვარშავის აჯანყებაში 1944 წელს, დაიღუპა გერმანელებთან შეტაკებისას;
25. ტროყაშვილი მიხეილ;
26. ტურაშვილი გრიგოლ – ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში;
27. ფურცელაძე გიორგი – ტიფით დაავადდა, ფრონტზე არ ყოფილა;
28. ფხაკაძე ვასილ;
29. ხიმშიაშვილი ალექსანდრე;
30. ხინველი ისააკი – დაიჭრა;
31. ძულიაშვილი გიორგი – ტიფით დაავადდა, ფრონტზე არ ყოფილა;
32. ციციშვილი კონსტანტინე;
33. ცქიტიშვილი გიორგი – დაიჭრა მძიმედ;
34. ჩაჩავა მიხეილ;
35. ჯავახიშვილი გიორგი 1 – გაიგზავნა პოლონეთში; პოლონეთის არმიის ოფიცერი, ქვეითი ჯარის კაპიტანი, იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა ინგლისში; გარდაიცვალა იქვე;
36. ჯანდიერი იოსები (– 24.02.1921) – დაიღუპა რუს კურსანტებთან 24 თებერვლის ხელჩართულ ბრძოლაში, ლეიტენანტ ალექსი-მესხიშვილის საარტილერიო ბატარეასთან ახლოს;
37. ჯაფარიძე ნიკოლოზ 2 – დაიჭრა;
38. ჯინჭარაძე ალექსანდრე 1 (1896 – 1970) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა საფრანგეთში; დაამთავრა სენ-მიქსენის სამხედრო სკოლა. მსახურობდა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.

მე-3 განყოფილება

1. აბაშიძე ვარლამ – დაიჭრა მსუბუქად;
2. აბაშიძე კონსტანტინე;
3. ანდრონიკაშვილი გიორგი;
4. არჯევანიძე ალექსანდრე;
5. აღნიაშვილი ნიკოლოზი (1901–1927) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი;
6. დათებაშვილი აკაკი;
7. დანელია ნიკოლოზი;
8. დონაძე გედეონ;

9. ერისთავი შალვა (1897–24.02.1921) – დაიღუპა რუს კურსანტებთან 24 თებერვლის ხელჩართულ ბრძოლაში, ლეიტენანტ ალექსი-მესხიშვილის საარტილერიო ბატარეასთან ახლოს;
10. ვახვახიშვილი ნიკოლოზი – დაიჭრა მძიმედ;
11. ზალდასტანიშვილი გიორგი – დაიჭრა;
12. ზედგინიძე გიორგი;
13. თარხნიშვილი ალექსანდრე;
14. კავკასიძე ვლადიმერი;
15. კალანდარაშვილი დავით;
16. კასრაძე ვასილი;
17. კერესელიძე ივანე;
18. კვიკვიძე მიხეილი;
19. კვინიხიძე მიხეილი;
20. კინწურაშვილი ალექსანდრე (1900–25.06.1976) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში, შემდეგ საფრანგეთში. დაამთავრა სენ-მიქსენის სამხედრო სკოლა. მსახურობდა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში. რამდენიმე ფრანგული და ბრიტანული ორდენის კავალერი;
21. ლეჟავა ვასილ;
22. ლორთქიფანიძე ირაკლი;
23. მათიკაშვილი ნიკოლოზი (1900-1993) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ თავდაპირველად სწავლობდა ათენის სამხედრო აკადემიაში (საბერძნეთი), შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში. 1923 წლიდან პოლონეთის არმიის ოფიცერია. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში გერმანელების წინააღმდეგ; გარდაიცვალა 1993 წელს საკუთარ სახლში, ვარშავის გარეუბან ზალესიეში.
24. მაჩაბელი ივანე – მძიმედ დაავადდა ფრონტზე;
25. მირზაშვილი რევაზ – დაიჭრა;
26. მჭედლიშვილი აპოლონი;
27. ომარაშვილი ნეოფიტე;
28. სამხარაძე ბაგრატი – დაიჭრა;
29. საღინაშვილი ევგრაფი;
30. ტატიშვილი ალექსანდრე – დაიჭრა;
31. ფავლენიშვილი რევაზ;
32. ქაჯაია ვასილი – დაიჭრა მძიმედ;
33. ხიდირბეგიშვილი მიხეილ – დაიჭრა;
34. შავდია დავით;
35. შვანგირაძე ონისიმე;
36. ჯანდიერი არჩილ;
37. ჯინჭარაძე ალექსანდრე 2;
38. ჭანკვეტაძე ვახტანგი;
39. ლომკაცი გიორგი;

ქვეითთა განყოფილება

1. უფროსი პორტ. იუნკერი[16] ასათიანი მამუკა (-1924) – დაიჭრა. დაუზუსტებელი ინფორმაციით დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1924 წლის აჯანყების დროს. დასაზუსტებელია მისი ფოტოს იდენტურობაც;
2. უმცროსი პორტ. იუნკერი ამირაჯიბი დიმიტრი – დაიჭრა მძიმედ სახეში;
3. ახვლედიანი ალექსანდრე (–19.02.1921) – დაიღუპა ტაბახმელას დასავლეთ მთის ფერდობზე, კოჯრიდან მოიერიშე რუსულ ქვედანაყოფთან შეტაკებისას;
4. ბარნაბიშვილი ივანე;
5. ბარნაბიშვილი მიხეილ;
6. ბახუტაშვილი სიმონ – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; გარდაიცვალა 1922 წელს, ვარშავაში, სამხედრო სკოლაში სწავლის პერიოდში;
7. ბურჭულაძე ვლადიმერ – არ ყოფილა ფრონტზე, ავადმყოფობის გამო იყო ხანგრძლივ შვებულებაში;
8. გეგეჭკორი ვალერიან;
9. გეთია მიხეილ;
10. გელაძე მიხეილ;
11. უფროსი პორტ. იუნკერი გელაშვილი სპირიდონი;
12. გოგოლაშვილი ნიკოლოზი;
13. უმცროსი პორტ. იუნკერი გორდეზიანი ამბროსი – დაიჭრა ხელში;
14. უმცროსი პორტ. იუნკერი თაყაიშვილი პლატონ – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში; პოლონეთის არმიის ჰაერსაწინააღმდეგო დანაყოფის მეთაური. ცხოვრობდა და გარდაიცვალა პოლონეთში;
15. თინიკაშვილი ბორისი – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; ვერ აიტანა ემიგრაცია და ფსიქიკური აშლილობით დაბრუნდა საქართველოში 1922 წელს;
16. უმცროსი პორტ. იუნკერი იაშვილი გრიგოლ – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1939 წლის პოლონეთის საბჭოური ოკუპაციის შემდეგ საბჭოელებმა დააპატიმრეს და 10 წლით გადაასახლეს ციმბირში. ჭლექით დაავადებულს ნება მისცეს თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც მალევე გარდაიცვალა;
17. ივანიძე ნიკოლოზი;

---

[16] ,,პორტ. იუნკერი" შემოკლებული ვარიანტია სპეციალური სამხედრო წოდებისა – ,,პორტუპეი-იუნკერი". ზოგადად, ამ წოდებას ატარებდნენ უფროსი კურსის ის წარმატებული იუნკრები, რომლებიც სამსახურის გავლისას, ფაქტიურად ოფიცრის მოვალეობას ასრულებდნენ. განსხვავებით რიგითი იუნკრებისაგან, ისინი, ისევე როგორც ოფიცრები, ისინი ატარებდნენ პორტუპეის (ტყავის სამხრეულს) და ტემლიკს (ტყავის სახელურს) ცივ იარაღზე. ამ აღჭურვილობის ტარება ფართოდ იყო გავრცელებული პრაქტიკულად ყველა ქვეყნის, და მათ შორის საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებში, როგორც 1918-1921 წლებში, ასევე საქართველოს მესამე რესპუბლიკის სინამდვილეში, დაწყებული 1991 წლიდან. იგი ოფიცერთა საველე ფორმის აღჭურვილობიდან რამდენიმე წლის წინ იქნა ამოღებული.

18. უმცროსი პორტ. იუნკერი იოსავა აბესალომი – დაიჭრა ხელში;
19. კაკაბაძე დავით;
20. კაკაბაძე ილია – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში;
21. ლაფაური ნიკოლოზი;
22. უმცროსი პორტ. იუნკერი ლობჟანიძე ილარიონ – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში. 1923 წლიდან პოლონეთის არმიის ოფიცერი;
23. ლორთქიფანიძე ოთარი (– 24.02.1921) – დაიღუპა ტაბახმელას ფრონტზე, რუს კურსანტებთან 24 თებერვლის ხელჩართულ ბრძოლაში, ლეიტენანტ ალექსი-მესხიშვილის საარტილერიო ბატარეასთან ახლოს;
24. უმცროსი პორტ. იუნკერი მატახერია ლავრენტი;
25. მაყაშვილი ბორისი – იუნკერ მიხეილ მაყაშვილის უმცროსი ძმა. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ იგი ემიგრაციაში არ წასულა და საქართველოში დარჩა. ერთ-ერთი დაკითხვის დროს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომძიებელი სცემა, რისთვისაც მას სასტიკად გაუსწორდნენ, რაც შემდგომში მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.
26. ზემდეგი ოდიშელიძე გიორგი (25.11.1899–1970) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა საფრანგეთში. დაამთავრა სენ-მიქსენის სამხედრო სკოლა. მსახურობდა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში გერმანელების წინააღმდეგ. საფრანგეთის რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერი; საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი; გენერალ გიორგი კვინიტაძის სიძე;
27. ოქროპირიძე ზაქარია;
28. საღინაშვილი გიორგი 2 – დაიჭრა ფეხში;
29. საღინაშვილი ნიკოლოზი – დაიჭრა ორივე ფეხში;
30. ტყეშელაშვილი ირაკლი;
31. უმცროსი პორტ. იუნკერი ყიფიანი დავით – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში. პოლონეთის არმიის ოფიცერი, ქვეითი ჯარის კაპიტანი, მსახურობდა ინსტრუქტორად. თავი მოიკლა 1939 წლამდე;
32. ხუციშვილი დიმიტრი – დაიჭრა მძიმედ;
33. ცერცვაძე ზაქარია – გაიგზავნა პოლონეთში;
34. ჩაჩიბაია კლემენტი – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ კონსტანტინოპოლში დარჩა საკუთარი ნებით;
35. ჩილოჩავა ალექსანდრე – დაიჭრა მსუბუქად;
36. უმცროსი პორტ. იუნკერი ჩხეიძე გრიგოლ – დაიჭრა ხელში;
37. ჯავახიშვილი გიორგი 2 – დარჩა გორში;
38. ჯანდიერი ილია – მძიმედ დაჭრილი გარდაიცვალა თბილისის საავადმყოფოში;
39. უმცროსი პორტ. იუნკერი ჯაფარიძე ალექსანდრე – მოკლულია;

საინჟინრო განყოფილება

1. აბაშიძე სიმონ – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
2. უმცროსი პორტ. იუნკერი ბალუაშვილი გიორგი (1899–01.1938) – დაიჭრა 19 თებერვლის ბრძოლაში. დარჩა საქართველოში. მსახურობდა საქართველოს წითელ არმიაში პოლკის საინჟინრო ნაწილის მეთაურად. წოდება: III რანგის სამხედრო ინჟინერი. შინსახკომის მე-5 განყოფილების მიერ წაყენებული ბრალდებით დახვრიტეს 1938 წლის იანვარში, როგორც საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციის წევრი და ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზატორი;
3. უმცროსი პორტ. იუნკერი გარსიაშვილი ნიკოლოზი;
4. იაკობაშვილი პავლე (–19.02.1921) – დაიღუპა ტაბახმელას დასავლეთ მთის ფერდზე, კოჯრიდან მოიერიშე რუსულ ქვედანაყოფთან შეტაკებისას;
5. კიკიანი გრიგოლ – დაიჭრა 1920 წლის 2 მაისს ბოლშევიკების მიერ სამხედრო სკოლაზე განხორციელებული თავდასხმის დროს. შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; პოლონეთის არმიის საკონტრაქტო სამსახურის ოფიცერი;
6. რიჟამაძე კლემენტი;
7. უფროსი პორტ. იუნკერი ფერაძე ისიდორე – დაიჭრა ხელში;
8. ხელაძე ვალერიანი – არ მიუღია მონაწილეობა კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლაში სამსახურის გამო. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; პოლონეთის არმიის ოფიცერი, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში გერმანელების წინააღმდეგ;
9. ციბაძე ვლადიმერ – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
10. ჭუბაბრია დავით;

საარტილერიო განყოფილება

1. აბულაძე პროკოფი – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
2. უფროსი პორტ. იუნკერი ბაქრაძე ვახტანგ;
3. ვერულაშვილი ვასილი;
4. თოხაძე ნიკოლოზი – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა საფრანგეთში; დაამთავრა სენ–მიქსენის ქვეითთა სამხედრო სკოლა. 1922 წლის 1 ოქტომბერს უმცროსი ლეიტენანტის წოდებით ჩაირიცხა „უცხოური ლეგიონის“ სახელოვან პირველ პოლკში. საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი;
5. ისკანდარაშვილი ვახტანგი;
6. უმცროსი პორტ. იუნკერი ლაღიძე დავით – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში; პოლონეთის არმიის არტილერიის ოფიცერი. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. დასაფლავებულია ინგლისში;
7. უმცროსი პორტ. იუნკერი მახარაძე ვლადიმერი (–1939) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში; პოლონეთის არმიის საარტილერიო დივიზიონის

შტაბის უფროსი. დაიღუპა გერმანიასთან ომის დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად 1939 წელს;

8. ნიკოლაძე შოთა (1899–1963) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში; 1928 წელს პარიზში არჩილ ზურაბიშვილთან ერთად აღადგინა სპორტული საზოგადოება „შევარდენი“;

9. უმცროსი პორტ. იუნკერი რატიშვილი გიორგი – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში; პოლონეთის არმიის არტილერიის კაპიტანი. პოლონეთის ოკუპაციის დროს დააპატიმრეს საბჭოელებმა და მოკლეს ტყვეთა ბანაკში;

10. რცხილაძე ნიკოლოზი;

11. სიდამონ-ერისთავი ნიკოლოზი – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა საბერძნეთში, მალე სამხედრო სამსახურს თავი დაანება;

13. უფროსი პორტ. იუნკერი ღოღობერიძე მიხეილი;

14. წითლანაძე თადეოზ – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; პოლონეთის არმიის არტილერიის ოფიცერი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრობდა პოლონეთში;

15. ხუხუნი კლემენტი – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში; შემდეგ გადავიდა გერმანიაში, სწავლობდა გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, სადაც მძიმედ დაავადდა და დაბრუნდა სამშობლოში. საქართველოში ჩამოსვლიდან მოკლე ხანში გარდაიცვალა;

ცხენოსანი განყოფილება

1. უმცროსი პორტ. იუნკერი დადიანი მიხეილი – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა პოლონეთში;. მსახურობდა პოლონეთის არმიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს შეუერთდა გერმანიის არმიის ქართულ ფორმირებებს და იბრძოდა ბატალიონ „ბერგმანის“ შემადგენლობაში;

2. უფროსი პორტ. იუნკერი ვაჩნაძე ივანე (10.04.1899–23.04.1976) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა საფრანგეთში. დაამთავრა სენ-მიქსენის სამხედრო სკოლა. მსახურობდა უცხოურ ლეგიონში, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. მიღებული აქვს რამდენიმე ფრანგული მედალი და ორდენი;

3. ლაღიძე დიმიტრი (1900–10.06.1938) – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა საბერძნეთში, სწავლობდა ათენის სამხედრო აკადემიაში, 1923 წლიდან პოლონეთის არმიის ოფიცერია. საქართველოში დაბრუნდა 1932 წელს. შინსახკომის სამეულის გადაწყვეტილებით მიესაჯა დახვრეტა ჯაშუშური საქმიანობის ბრალდებით;

4. მიქაძე სერგო;

5. ნაცვლიშვილი ფარნაოზ – საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში; პოლონეთის არმიის ოფიცერი. 1922 წელს ჭურვის აფეთქების გამო ცალი თვალით დაბრმავდა. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში გერმანელების წინააღმდეგ;



ქართველი იუნკრები კონსტანტინოპოლში

გენერალი გიორგი კვინიტაძე და მისი მეუღლე ათენის სამხედრო სკოლის ქართველ იუნკრებთან ერთად. მეორე რიგში მარცხნიდან მეორე: მარიამ ვლადიმერის ასული მაყაშვილი (გიორგი კვინიტაძის მეუღლე), მეოთხე – გიორგი კვინიტაძე. ფოტო გადაღებულია 1921 წლის 2 დეკემბერს

- 3 -

50/.Por.CHMEADZE Walerjan	8 p.gap.	Szkoła podchor.i szkoła oficersk
51/.Por.KIPIANI Dawid	~~[illegible] p.p.~~	" " " " i
52/.Por.NANUASZWILI Jan	W.S.W. ~~[illegible] p.p.~~	" " " " i oficerskie kursy łączności
53/.Por.KIKNADZE Irakljusz	25 p.p.	" podchor.i szkoła ofic.
54/.Por.KOBZANIDZE Florjan	37 p.p. (Pos)	" " "
55/.Por.GIBADZE Włodzimierz	15 p.p.	" " " i ofic.kursy oficerów
56/.Por.KIPIANI Mikołaj	38 p.p.	" podchor.i szkoła ofic. i ofic.kursy łączn.
57/.Por.ABASZYDZE Wachtang	13 p.p.	" podchor.i szkoła ofic.
~~58/.Por.BALACHADZE Saweli~~	~~[illegible] p.p.~~	" " " " ofic.kursy oficerów
59/.Por.MATYKASZWILI Mikołaj	13 p.p. (Pos)	" podchor.i szkoła ofic. ofic.kursy łączn.
60/.Por.KOBIASZWILI Szymon	18 p.uł.	" podchor.i szkoła ofic.
61/.Por.KWALIASZWILI Michał	15 p.uł.	" " " "
62/.Por.LAGIDZE Dawid	W.S.W. 11 p.a.p.	" podchor.i szkoła ofic. na kurs przeciwlotn. /do zał/.
63/.Por.LAGIDZE Włodzimierz	7.p.a.c.	" podchor.i szkoła ofic.
64/.Por.TAKAJSZWILI Platon	14 p.a.p.	" " " "
65/.Por.KAKBEK Irakljusz	4 p.a.p.	" " " " i kurs samochodowy
66/.Por.MACHARADZE Włodzimierz	W.S.W. ~~18 p.a.k.~~	" podchor.i szkoła ofic.
67/.Por.RATISZWILI Jerzy	14 p.a.p.	" " " "
68/.Por.KUTASZWILI Józef	17 p.a.p.	" " " "
69/.Por.LOMIDZE Wachtang	Mar.Woj.	" " " "
70/.Por.GEKOWACKI Aleksander	1 p.strz.kon.	" " " "
~~71/.Por.ACHICUSZWILI Mikołaj~~	4.p.a.podhal.	" " " "
72/.Por.NACWLISZWILI Tornnoz	9 p.strz.kon.	" " " "
73/.		

AZERBEJDŻANCZYCY.

1/.Płk.Kazum Bek Sangir	36 p.p.	Kursy dów broni D.O.W.i kursy szt.of.w Grupie
2/.Płk.ISRAFIL Bek Mahomed	J.G.P.P. 29 p.p.	Kursy szt.ofic. w Grupie
3/.Płk.CHAN CHOJSKI	W.S.W.	" " "
4/.Rtm.KDIGAR WKLI BEK	10 p.a.kon.	Ofic.kursy kawalerji

ПОЛОНЕТОШИ ГАГЗАВНЕЛИ ХАРТВЕЛ САМХЕДРО МОСАМСАХУРЕТА СИЕБИ

ქართველი იუნკრები – პოლონეთის არმიის ოფიცრები

ქართველ და პოლონელ ოფიცერთა ჯგუფი მანევრებზე. 1928 წელი

პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე

გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე (მეორე რიგში მარცხნიდან მეხუთე) და ქაქუცა ჩოლოყაშვილი (მეორე რიგში მარცხნიდან მეორე) პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად

გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე (ცენტრში) პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცრებთან ერთად (1935 წ.)

პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრები

ქართველი ოფიცრები პოლონეთში. მესამე რიგში, მარცხნიდან მეხუთე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ქართული არმიის გენერალი და პოლონეთის არმიის დივიზიის გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. სხედან ვალერიან თევზაძე და არტემ არონიშიძე, პოლონეთის წინააღმდეგობის ბრძოლის გმირები

მიხეილ კვალიაშვილი
ქართველი იუნკერი, „არმია კრაიოვას“ კაპიტანი და
პოლონეთის არმიის ვიცე-პოლკოვნიკი

მიხეილ კვალიაშვილი დაიბადა 1902 წელს, ქალაქ გორში. მამა ივანე დიმიტრის ძე კვალიაშვილი ცნობილი პროვიზორი იყო. დაწყებითი განათლება პატარა მიხეილმა გორში მიიღო, შემდეგ სწავლობდა თბილისში, იუნკერთა სამხედრო სკოლაში, რომელიც 1919 წელს დაარსდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) დადგენილებით. ეს იყო პირველი ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამა იმჟამინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ზედმიწევნით ითვალისწინებდა.

1921 წლის თებერვალში, როდესაც ბოლშევიკური რუსეთი თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს, კოჯორი–ტაბახმელასთან მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი იუნკრებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო 19 წლის მიხეილ კვალიაშვილიც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში, საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში გახიზვნიასთან ერთად, ქვეყანა იუნკრებმაც დატოვეს. პირველ ხანებში ისინი კონსტანტინოპოლში გაჩერდნენ, 1922 წელს, კი სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო სასწავლებლებში გადანაწილდნენ. მიხეილ კვალიაშვილი პოლონეთში გაემგზავრა, სადაც სამხედრო სკოლა დაამთავრა და სამსახური დაიწყო პოლონეთის არმიაში, მე-15 ულანთა პოლკის როტმისტრად.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. კაპიტანი მიხეილ კვალიაშვილი ომის პირველივე დღეებიდან ჩაება ბრძოლებში. ერთ–ერთი ბრძოლის დროს იგი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ მალე მოახერხა გერმანელების ტყვეობიდან გაქცევა და პოლონელ პარტიზანებს შეუერთდა. თავისი ცხოვრების შემდგომ პერიოდს იგი ასე იგონებდა: „ვიყავი „არმია კრაიოვას“ რიგებში 1945 წლამდე, როდესაც პოზნანში პოლონეთის ჯარი შემოვიდა, გამოვცხადდი და ისევ მის რიგებში ჩავდექი.

1945 წლის 5 აპრილს, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (НКВД) ბევრი ოფიცერი დაატუსაღა და მათ შორის გრიშა იაშვილი და მეც. მოგვისაჯეს რუსეთის ჩრდილოეთში (როგორც მერე შევიტყვე ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკი) 10 წლით გადასახლება. იქ მეორედ გამასამართლეს და კიდევ ერთი წელი დამიმატეს. ნიჩბებითა და წერაქვით გვამუშავებდნენ ქვანახშირის საბადოებში. სასჯელის მოხდის შემდეგ კიდევ 13 თვე ველოდი პოლონეთში დაბრუნებას“.

დაბრუნების შემდეგ მიხეილ კვალიაშვილს მიანიჭეს პოლონეთის არმიის ვიცე–პოლკოვნიკის წოდება და დანიშნეს პოზნანის სამხედრო–ეროვნული მუზეუმის დირექტორის მოადგილედ. მუზეუმში მუშაობის დროს მან ბევრი საინტერესო მასალა მოიძია ქართველ–პოლონელთა საბრძოლო მეგობრობაზე და შთამომავლობას შემოუნახა მანამდე ჩვენთვის უცნობი მეტად საინტერესო დოკუმენტები.

ამ საქმის პარალელურად მიხეილ კვალიაშვილმა კავშირები დაამყარა ქართველ მეცნიერებთან, კულტურის მოღვაწეებთან და მათთან ერთად ეწეოდა მეტად ნაყოფიერ მუშაობას პოლონეთში ქართული კულტურის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. ბატონი მიხეილი ქართულისა და პოლონურის გარდა ფლობდა რუსულ, ესპანურ და იტალიურ ენებს.

მიხეილ კვალიაშვილს ცოლად ჰყავდა პოლონელი ქალბატონი სტანისლავა ჩელინსკა, რომელთანაც სამი ქალიშვილი შეეძინა: ნინო, მაიკო და მანანა.

1972 წელს მიხეილ კვალიაშვილი მცირე ხნით სტუმრობდა საქართველოს, სადაც მოინახულა მშობლიური კუთხე და ახლობლები.

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალში იუნკერთა კავშირი აღსდგება და თავის პატრიოტულ მუშაობას განაგრძობს. შენ როგორმე თავს მოუარე, ვინ იცის ხვალ რა იქნება, მხედარი მოვალეობის შესრულებისათვის მუდამ მზად უნდა იყოს. გადასახლებული ქართველებისაგან ვიცი, რომ საქართველოში იუნკერთა არსებობა იციან, ახსოვთ ტაბახმელა და ამ პატარა ჯგუფზე დიდ იმედებს ამყარებენ“,– წერდა ბატონი მიხეილი თავის მეგობარს, ნიკოლოზ მათიკაშვილს. მათი ერთობლივი ნაშრომი „იუნკრები“ 1988 წელს, პარიზში, ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა, ხოლო, 1990 წელს, ცალკე წიგნადაც გამოიცა თბილისში.

მიხეილ კვალიაშვილი გარდაიცვალა 1981 წელს. დაკრძალულია პოლონეთში, ქალაქ პოზნანში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცულია 1943 წელს ბერლინში გამოცემული მინიატურული „ვეფხისტყაოსანი“. მეორე მსოფლიო ომის დროს საერო ბიბლიად წოდებული „ვეფხისტყაოსნის“ ეს გამოცემა ქართველ მეომრებს ჯიბით დაჰქონდათ. საქართველოში ყოფნისას მიხეილ კვალიაშვილი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასაც ეწვია, უკან გაბრუნებულმა კი საგანგებოდ მოიძია ხსენებული მინიატურული წიგნი, შეამკო შავი ხავერდის ყდით და ეროვნულ ბიბლიოთეკას შემოსწირა.

ნიკოლოზ მათიკაშვილი
ქართველი იუნკერი და პოლონეთის არმიის კაპიტანი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის, „ვირტუტი მილიტარის“ კავალერი

ნიკოლოზ (კიკო, ნიკა, ნიკო, მიკოლა, მიკოლაი) მათიკაშვილი 1900 წელს პატარძეულში დაიბადა. მამამისი, ლავრენტი მათიკაშვილი, ჯერ სოფლის მასწავლებელი იყო, მერე – მღვდელი. დედა, მარიამ ნიკოლოზის ასული გულისაშვილი, თავის დროისთვის საკმაოდ განათლებული ქალი ყოფილა. ბავშვები პატარები იყვნენ, როცა მამა გარდაეცვალათ.

ახალგაზრდა ქვრივმა ფარ–ხმალი არ დაყარა, შვილებს უმამობა არ აგრძნობინა, ოთხივე ვაჟს საშუალო განათლება მიაღებინა და ფეხზე დააყენა: „მამა 7 წლისას გარდამეცვალა. პატარა, ორ ოთახიანი ფიცრული სახლის გარდა, მას ჩვენთვის არავითარი უძრავ–მოძრავი ქონება არ დაუტოვებია. ჯიბეში მიცვალებულს რამდენიმე უზალთუნი უპოვეს. ეს იყო და ეს. ცხოვრებაში გამოუცდელი დედის კისერზედ დავრჩით 4 ვაჟი 5 წლის ასაკიდან 10 წლამდის. ერთადერთი იმედი თავის გადარჩენისა იყო ოციოდე თვალი ფუტკარი და ნათესავთა დახმარება. ოთარაანთ ქვრივივით ჩაება დედაჩემი მუშაობაში. ნინოწმინდელ შეძლებულ გულისაშვილების ფუფუნებაში გაზრდილი ქალისთვის ეს არც ისე ადვილი იყო. მაგრამ თავდადებულმა შრომამ თავისი ჰქნა, თანდათანობით ფუტკარი მოამრავლა, ძროხა შეიძინა, თვითონ ბევრს იკლებდა, ჩვენ სიღარიბეს არ განგვაცდევინებდა და სტუმარსა და მიმსვლელ-მომსვლელებსაც გულუხვ მასპინძლობას არ აკლებდა“, – იგონებს ნიკოლოზ მათიკაშვილი.

პოეტი გიორგი ლეონიძე ნიკოლოზ მათიკაშვილის ღვიძლი დეიდაშვილი იყო. „ნატვრის ხის“ ერთი მოთხრობა – „დეიდა მაიკო“, გოგლა ლეონიძემ სწორედ დეიდამისს, ნიკოლოზ მათიკაშვილის დედას მიუძღვნა.

საშუალო სკოლა ნიკოლოზმა თბილისში დაამთავრა. თავის მოგონებებში იგი დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს თანასკოლელებს – გრიგოლ სიდამონ-ერისთავს (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ეფრემ II), გრიგოლ

ფერაძეს, ნიკო კეცხოველს; მადლიერებით იხსენებს მასწავლებლებსაც – ვასილ ბარნოვს, კორნელი კეკელიძეს, იპოლიტე ვართაგავას, შიო შიუკაშვილს, ანტონ ნატროშვილს, ნიკო სულხანიშვილს, ია კარგარეთელს...

1920 წელს ნიკოლოზ მათიკაშვილი თბილისის უნივერსიტეტის სამეურნეო (აგრონომიულ) ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ რაკი სამშობლოს ყოველი მხრიდან უტევდა მტერი და დაცვა სჭირდებოდა, მან მიატოვა უნივერსიტეტი და ძმასთან ერთად მოხალისედ ჩაეწერა ქართულ ჯარში, მეტყვიამფრქვეველთა ასეულში, შემდეგ სწავლა იუნკერთა სკოლაში განაგრძო.

სამწუხაროდ, სამხედრო სკოლის დამთავრება არ დასცალდა, საქართველო ოკუპაციის საფრთხის წინაშე დადგა. 1921 წლის თებერვლის ყინვასა და თოვლში თბილისის მისადგომებს კოჯორი-ტაბახმელასთან, სხვა იუნკერებთან ერთად, ნიკოლოზ მათიკაშვილიც იცავდა. ბოლშევიკურ რუსეთთან დამარცხების შემდეგ საქართველოს დევნილმა მთავრობამ იუნკრებს არჩევანი შესთავაზა: იუნკერთაგან ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია სამშობლო დატოვოს, საზღვარგარეთ მთავრობა ზომებს მიიღებს მათ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო სასწავლებელში მოსაწყობადო.

ახალგაზრდა მებრძოლები საგონებელში ჩავარდნენ: ,,დავრჩეთ თუ წავიდეთ? დარჩენა – მტრის სამსახურში ჩადგომას და სამშობლოს ღალატს უდრიდა, წასვლით იქნებ ევროპაში რამენაირათ უმაღლესი ცოდნა მიგვეღო და მომავალში განთავისუფლებულ საქართველოში ცოდნით აღჭურვილნი დავბრუნებულიყავით. დაპირება, რომ იზრუნებენ ჩვენ სამხედრო სასწავლებლებში მოწყობაზე, უმნიშვნელო არ იყო. ზოგმა ჩვენთაგანმა სახლში დარჩენა ამჯობინა, გავინაწილებთო ქვეყნის ბედს და მშობლებსაც ხომ პატრონობა უნდაო. უმრავლესობამ სამშობლოდან გასვლა ირჩია", – წერდა ნიკოლოზ მათიკაშვილი.

ბათუმიდან გემით გასული იუნკრები რამდენიმე დღეში კონსტანტინოპოლს მიადგნენ და გარკვეულ ხანს იქ გაჩერდნენ. 1921 წლის შემოდგომაზე კი 13 მათგანი საბერძნეთში გაიგზავნა და ათენის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა. მათ შორის იყო ნიკოლოზ მათიკაშვილიც. ერთი წლის შემდეგ, როცა საბერძნეთი არეულობამ მოიცვა, ცამეტივე კონსტანტინოპოლში დაბრუნდა და აქედან პოლონეთს გაემგზავრა. საბედნიეროდ, ყველანი მიიღო იქაურმა პოდხორუნჟების სკოლამ.

სამხედრო სასწავლებელი ნიკოლოზ მათიკაშვილმა 1923 წელს დაამთავრა და პოდპორუჩიკის ჩინით კონტრაქტის საფუძველზე პოლონეთის არმიაში დაიწყო სამსახური. 1930–1932 წლებში იგი ვარშავის უმაღლეს სამხედრო სკოლაში სწავლობდა.

1930–იან წლებში, საფრანგეთში, ნოე რამიშვილის ინიციატივით მოეწყო სამხედრო კურსები, რომელსაც ნიკოლოზ მათიკაშვილი ხელმძღვანელობდა. მსმენელთა რიცხვი 10–12 კაცი იყო. სწავლა თითქმის ერთი წელი გაგრძელდა.

1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. კაპიტანი მათიკაშვილი გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლებში ლვოვის მე-19 ქვეითთა პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობდა. მას პოლკის ტაქტიკური ადიუტანტის თანამდებობა ეკავა.

ნიკოლოზ მათიკაშვილი მონაწილეობდა 1944 წლის ვარშავის აჯანყებაში. იგი პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის, „ვირტუტი მილიტარის" კავალერი იყო. ერთ–ერთ ბრძოლაში ნიკოლოზ მათიკაშვილი მძიმედ დაიჭრა და გერმანელებს ჩაუვარდა ხელში. ომის შემდეგ ტყვეობიდან დაბრუნებული კაპიტანი განთავისუფლებული პოლონეთის ჯარში გაიწვიეს. როგორც თავად წერს, დატუსაღებას პოლონელი ოფიცრების დახმარებით გადაურჩა რომლებმაც რუსულ

შტაბს შესთავაზეს მისი, როგორც რუსულის მცოდნის, გამოყენება. იგი სამხედრო სამინისტროში მიიწვიეს და ქვეითი ჯარის წვრთნის დარგში დაასაქმეს.

მალე პოლიტიკური კამპანიის ახალი ტალღა დაიწყო, რომლის დროსაც საეჭვო რეპუტაციის ოფიცრებს სამსახურიდან ითხოვდნენ. კაპიტანი მათიკაშვილიც პენსიაზე გაუშვეს. მას შემდეგ სახელმწიფო სამსახურში აღარ უმუშავია. ამ დროს უკვე დაქორწინებული იყო პოლონელი მრეწველის ქალიშვილზე და ცხოვრების სახსარი გააჩნდა.

პოლონეთში დამკვიდრებული ქართველი მხედრები, მართალია, მეორე სამშობლოს – პოლონეთის სამსახურში იდგნენ, მაგრამ, ამავე დროს, ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ საქართველოს. მათ ჩამოაყალიბეს ქართველ იუნკერთა კავშირი, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ქვეყნებში მიმოფანტულ თანამემამულეებთან, მონაწილეობდნენ ქართული ემიგრაციის ყველა წამოწყებაში, ეწეოდნენ მრავალმხრივ კულტურულ–საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას, დააარსეს ჟურნალი „მხედარი“, რომელსაც საკუთარი სახსრებით პარიზში გამოსცემდნენ. ჟურნალი 1939 წლამდე გამოდიოდა. სულ 15 ნომერი დაიბეჭდა.

ნიკოლოზ მათიკაშვილი იყო „იუნკერთა კავშირის" (1928–1932) გამგეობის წევრი და ჟურნალ „მხედარის" თანამშრომელი (1929–1937), ასევე, პოლონეთის ორიენტალისტთა კავშირის წევრი და ჟურნალ ,,ფშევლონდ ორინტალისტიჩის" თანამშრომელი. მან ამ ჟურნალისთვის პოლონურ ენაზე თარგმნა ვაჟა–ფშაველას ნაწარმოებები: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „გოგოთურ და აფშინა“ და „ძაღლიკა ხიმიკაური“; აქვე იბეჭდებოდა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი მისი სტატიები; პოლონელი პოეტებისთვის გაკეთებული აქვს ასამდე ქართული ლექსის ბწკარედი, რომელთა ნაწილი დაიბეჭდა წიგნში – „საბჭოთა პოეზია“.

ნიკოლოზ მათიკაშვილის ფსევდონიმები იყო: ნ. მალი, თიკუნი, მოლტკე. 1988 წელს, პარიზში, ქართულ ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა ნიკოლოზ მათიკაშვილისა და მიხეილ კვალიაშვილის მემუარული ხასიათის წიგნი „იუნკრები“, რომელიც 1990 წელს, ცალკე წიგნად, თბილისშიც გამოიცა.

1992 წლიდან ნიკოლოზ მათიკაშვილი საქართველო–პოლონეთის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე იყო.

2016 წელს საქართველოს ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა ერთტომეული – „იუნკრები და სხვები“. წიგნი მომზადდა ლიტერატურის მუზეუმში დაცული, პოლონეთიდან 1991 წელს ჩამოტანილი ნიკოლოზ მათიკაშვილის არქივის მიხედვით, რომელიც ქართული სამხედრო ისტორიის კვლევის საქმეში მნიშნელოვან ფურცელს წარმოადგენს.

ნიკოლოზ მათიკაშვილის პირადი წერილების გარდა აქ შესულია მისი ნოველები, სტატიები, თარგმანები, მოხსენებები, მოგონებები და უმთავრესი მათ შორის – მიხეილ კვალიაშვილთან ერთად დაწერილი „იუნკრები“. მოგონებებში აღწერილია იუნკერთა ცხოვრება და მათი სასახელო ბრძოლები 1921 წელს კოჯორსა და ტაბახმელაში, რუსეთთან დამარცხების მიზეზები; იუნკერთა შემდგომი ცხოვრება ემიგრაციაში, ჯერ ოსმალეთში, შემდეგ კი – საბერძნეთსა და პოლონეთში.

ნიკოლოზ მათიკაშვილი საქართველოს სამჯერ ესტუმრა. პირველად გოგლა ლეონიძის დახმარებით ჩამოვიდა. შემდეგ კიდევ ორჯერ ეწვია ძმასა და ძმისწულს.

გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ნიკოლოზ მათიკაშვილი წერდა: „86 წელს გადაცილებული „უკანასკნელი უბიხივით“ მარტოკა ვარ პოლონეთში და მოვალეთ ვთვლი ჩემ თავს ჩემი თანამემამულეების არსებობის, შრომის, ოცნების,

ჩატარებული ბრძოლების და დაღუპვის კვალი დავუტოვო, რომ მომავალმა თაობებმა დავიწყებას არ მისცენ ჩვენი მწარე ბედი და საკუთარ გულში ჩახედვით გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები. მოგონებაში არ მომიხსენებია დაღუპულ ქართველ ოფიცერთა ოჯახები, მათი დაობლებული ცოლ-შვილი. ისინი მრავლათ არიან მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში მიმობნეულნი, ქართველობა არ დაუკარგავთ და გული განთავისუფლებულ სამშობლოს მოსწრების გრძნობით უცემთ“.

მიცვალებული ნიკოლოზ მათიკაშვილის სასახლეზე ქართული დროშა იყო გადაფარებული. დაკრძალეს ვარშავის ბროდნოვსკის სასაფლაოზე.

2017 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პოლონეთში, დაბა პიასეჩნოში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ეწვია სახლს, რომელშიც ნიკოლოზ მათიკაშვილი ცხოვრობდა. აღნიშნული სახლი და მიწის ნაკვეთი ნიკოლოზ მათიკაშვილის ქვრივმა ჰანა (ნინა) შოდე-მათიკაშვილმა 2007 წელს საჩუქრად გადასცა საქართველოს საელჩოს. 2011 წელს აქ საქართველო-პოლონეთის მეგობრობის სახლი, იგივე, ,,ქართული სახლი" და პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცერთა მუზეუმი დაფუძნდა. საქართველოს პრეზიდენტმა მუზეუმის ეზოში სიმბოლურად საქართველოდან ჩატანილი მუხის ხე დარგო და წლების წინ გიორგი ლეონიძის მიერ დარგული ,,გოგლას ვაზის" ნაყოფი დააგემოვნა.

ვიტალი უგრეხელიძე
ქართველი იუნკერი და პოლონეთის არმიის მაიორი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის, „ვირტუტი მილიტარის“ კავალერი

ვიტალი (ტალიკო) უგრეხელიძე დაიბადა 1901 წელს ქუთაისში, იურისტ პლატონ უგრეხელიძისა და ვერა იაშვილის ოჯახში. პლატონ უგრეხელიძე მსახურობდა ქუთაისში საგუბერნიო სასამართლოს სამდივნოს მმართველად. უგრეხელიძეების ოჯახში თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოება, მათ

შორის, ხშირი სტუმარი ყოფილა აკაკი წერეთელიც. შვიდ ძმაში პატარა ტალიკო მეოთხე ვაჟი იყო.

სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. სკოლა ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა, I მსოფლიო ომი რომ დაიწყო. 14 წლის ბიჭი გაიპარა, მოხალისედ ჩაეწერა ჯარში და სანამ მშობლები სახლში დააბრუნებდნენ, თურქეთის ფრონტზე ბრძოლებში მონაწილეობის მიღებაც მოასწრო. ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ წარმატებით დაასრულა გიმნაზია.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ვიტალი უგრეხელიძე იუნკრად ჩაირიცხა ახლად დაარსებულ ქართველ ოფიცერთა სკოლაში, საარტილერიო განხრით. წითელი არმიის შემოჭრის დროს მეგობრებთან ერთად ვიტალი უგრეხელიძეც მამაცურად იცავდა ქართული იარაღის ღირსებას. იგი ეკუთვნოდა კოჯრისა და ტაბახმელის გმირ დამცველ იუნკერთა ასეულს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში, იუნკრები მთავრობას გაჰყვნენ უცხოეთში. თავდაპირველად დაბანაკებულები იყვნენ კონსტანტინოპოლში, საიდანაც იუნკერთა ნაწილი მარშალმა პილსუდსკიმ მიიწვია პოლონეთში სწავლის დასასრულებლად. ვიტალი უგრეხელიძემ წარმატებით დაამთავრა პოლონეთის სამხედრო სკოლა და ლეიტენანტის ხარისხით ჩაირიცხა პოლონეთის არმიაში.

სამხედრო კარიერასთან ერთად ვიტალი უგრეხელიძე ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. თანამშრომლობდა ემიგრანტულ გამოცემებთან. 1933–1937 წლებში იყო პარიზში გამომავალი ჟურნალ „მხედარის“ რედაქტორი. გარდა ამისა, მან საფუძვლიანად შეისწავლა სადოღე ცხენების მოშენებისა და გახედნის საქმე, გაიჩინა სადოღე ცხენების თავლა, მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში. 1930–იან წლებში მის საკუთრებაში იყო არაბული ჯიშის ცხენი „ქაშმირი“, რომელმაც მრავალ საერთაშორისო შეჯიბრში გაიმარჯვა. ვიტალი უგრეხელიძემ დაიმსახურა ოქროს ჯილდო და საუკეთესო ცხენოსნის სახელი პოლონეთსა და ევროპაში.

1939 წელს, როცა პოლონეთი გერმანიასთან ომში ჩაება და მაიორი ვიტალი უგრეხელიძე დაინიშნა მეშვიდე ცხენოსანთა ნაწილში. იბრძოდა, როგორც გერმანელი, ასევე საბჭოთა დამპყრობლების წინააღმდეგ. ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული მამაცობისთვის იგი პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – „ვირტუტი მილიტარის" ორდენით დააჯილდოეს. ორი წელი გერმანელების ტყვეობაში გაატარა, როცა გაანთავისუფლეს, კვლავ ჩადგა პოლონეთის სამსახურში, აღადგინა მე–17 მსროლელთა პოლკი და თავად ჩაუდგა მას სათავეში. აქტიურად იყო ჩაბმული წინააღმდეგობის მოძრაობაში. ადგენდა ტერორისტულ აქტებს და ხშირად თავად ანხორციელებდა. თავის სახლში აწყობდა წინააღმდეგობის მეთაურთა კრება–თათბირებს, აქვე მალავდა ებრაელებს და ამარაგებდა მათ ყალბი მოწმობებით. ასე გაგრძელდა ვარშავის 1944 წლის აჯანყებამდე.

ლონდონის მთავრობის დირექტივით აჯანყების მონაწილეებს კავშირი უნდა დაემყარებინათ საბჭოთა ჯარებთან და მათთან შეთანხმებით უნდა ემოქმედათ. ვიტალი უგრეხელიძემ იცოდა, რომ უარის შემთხვევაში მას სამხედრო სასამართლო ელოდა, მაგრამ მან მაინც უარი განაცხადა საბჭოეთთან თანამშრომლობაზე. წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობამ ანგარიში გაუწია მის დიდ დამსახურებას და განსაკუთრებული მისიით გააგზავნა გენერალ ანდერსთან, რომელიც იმ დროს თავისი ნაწილებით იტალიაში იბრძოდა. დაინიშნა ქ. გალიპოლში ჯავშან-ნაწილების ინსტრუქტორად. წინააღმდეგობის ბრძოლებში დიდი დამსახურების აღსანიშნავად, ანდერსის სამხედრო ნაწილების მთავარმა

შტაბმა შესთავაზა მისი გვარისთვის მიემატებინა – „უგორსკი“, საომარი სახელი, რომელსაც ის შეთქმულების დროს ატარებდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ვიტალი უგრეხელიძემ გასაბჭოებულ პოლონეთში დაბრუნება აღარ ისურვა და უგორსკის გვარით ინგლისში დასახლდა. უკვე ხანში შესულს თავიდან მოუხდა ცხოვრების დაწყება. მუშაობდა სხვადასხვა ქარხნებში მუშად, მძიმე ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ ლიტერატურული მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. წერდა სტატიებს, როგორც ქართულად, ისე პოლონურად. აქვეყნებდა ემიგრანტულ პრესაში. აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის ემიგრაციის კულტურულ ცხოვრებაში. პოლონურიდან ქართულად თარგმნიდა თავის საყვარელ ავტორებს. 1955 წელს ვიტალი უგრეხელიძემ მის მიერ თარგმნილი ნაწარმოებების ხელნაწერები ლონდონის პოლონურ ბიბლიოთეკას გადასცა.

2010 წელს ბიბლიოთეკამ 539 გვერდიანი ქართული ხელნაწერი – ადამ მიცკევიჩის „პან თადეოზი ანუ უკანასკნელი თავდასხმა ლიტვაში“, მისი გამოქვეყნების მიზნით, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის სწავლებათა ცენტრს გადასცა. ვიტალი უგრეხელიძის თარგმანი წიგნად გამოიცა ცენტრისა და ოსსოლინსკების სახელობის ეროვნული ინსტიტუტის (Ossolineum) ძალისხმევით (ვარშავა, 2011). დღის სინათლეს ელოდება ვიტალი უგრეხელიძის სხვა თარგმანებიც.

ვიტალი უგრეხელიძეს მეუღლე პოლონელი იყო, რომელზეც იგი 1934 წელს დაქორწინდა. მათ ქალიშვილს, სევდიას, ჰყავს ორი ვაჟი – მაიკლი და ენდრიუ. სევდია–დარეჯან უგრეხელიძე–ლუკაჩი რადიო „თავისუფლების“ მიუნჰენის რედაქციის თანამშრომელი იყო გასული საუკუნის 60–70–იან წლებში.

ვიტალი უგრეხელიძე გარდაიცვალა ინგლისში, ლონდონში, 82 წლის ასაკში, 1983 წლის 15 იანვარს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან დაიბარა, რომ მისი ფერფლი მდინარე ტემზაში ჩაეყარათ, იქნებ ოდესმე წყალმა ჩემი სამშობლოს ნაპირებზე გამორიყოსო. მეუღლემ თხოვნა არ შეუსრულა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ფერფლი ოჯახში ურნაში ინახებოდა. და აი, გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ, 2014 წლის 5 აპრილს, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოსა და ვარშავის უნივერსიტეტის ორგანიზებით, ქართველი იუნკრისა და პოლონეთის არმიის მაიორის, ვიტალი უგრეხელიძის ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს.

93 წლიანი განშორების შემდეგ, ქართველი იუნკრისა და პოლონეთის არმიის მაიორის ნეშტი სამშობლოში დაუბრუნდა.

იგი სრული მხედრული პატივით დაკრძალეს თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ალექსანდრე (სანდრო) ჯინჭარაძე
ქართველი იუნკერი და საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი,
საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი

ალექსანდრე (საშა) დავითის ძე ჯინჭარაძე, ქართველი იუნკერი და საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკი, დაიბადა 1897 წლის 16 იანვარს, ხონში. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

1914-1918 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. მხედრული მამაცობისთვის დაიმსახურა წმ. გიორგის ჯვარი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა თბილისში და ჩაირიცხა ქართულ სამხედრო სკოლაში კაპიტან ხოშტარიას III ოცეულში.

1921 წლის თებერვალ-მარტში სამხედრო სკოლის სხვა იუნკრებთან ერთად ებრძოდა საქართველოში შემოჭრილ მე-11 წითელ არმიას, მონაწილეობდა კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის მარტის ბოლოდან ემიგრაციაში გაჰყვა მთავრობას. 1921 წლის სექტემბერში სხვა იუნკრებთან ერთად მივლენილ იქნა საფრანგეთში, სენ-მიქსენის სამხედრო სკოლაში.

1922 წელს ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ დაარსებულ ფონტენბლოს ცხენოსანი არტილერიის სკოლაში გადავიდა, რომელიც 1926 წელს კავალერიის ოფიცრის წოდებით დაამთავრა. ჩაირიცხა უცხოური ლეგიონის I პოლკში უმცროსი ლეიტენანტის ჩინით.

1927-1929 წლებში ალექსანდრე ჯინჭარაძე მსახურობდა უცხოური ლეგიონის IV ცხენოსან პოლკში ალჟირში, მარაკეშში, ესკადრონის მეთაურად, დეკორტას ათასეულში აგადირში, 1930-1940 წლებში II ცხენოსანი პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო საბრძოლო მოქმედებებში მაროკოსა და ალჟირში. 1935 წელს გახდა საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი და დაჯილდოვდა საბრძოლო ჯვრით. ასევე ფლობდა სხვა მრავალ ჯილდოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობისათვის.

1940 წლიდან ოფიცერი ჯინჭარაძე ერთმანეთს უთავსებდა ორ საქმიანობას: მებრძოლისა და მშენებლის – აშენებდა გზებს, ხიდებს, საავადმყოფოებს. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში კაპიტნის ჩინით იბრძოდა დივიზიის სადაზვერვო ასეულის შემადგენლობაში (GRP-97), რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. 1940 წლის ივნისში უაზში, ნორუაისთან ბრძოლაში დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა.

1945 წელს ავადმყოფობის გამო ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ისევ დაბრუნდა უცხოურ ლეგიონში და 6 წლით გაემგზავრა მაროკოშო, სადაც მეთაურობდა ესკადრონს.

1948 წელს ალექსანდრე ჯინჭარაძემ მიიღო მაიორის ჩინი. იმავე წელს, როგორც გაეროს სამხედრო დამკვირვებელი, მეთვალყურედ გაგზავნეს ახლო აღმოსავლეთში. მსახურობდა კაიროში, ბეირუთსა და იერუსალიმში. 1952-1954 წლებში ჩრდილო აფრიკული ათასეულის მეთაურად ავსტრიაში გენერალ ბეტუარის განკარგულებაში მიავლინეს. აქვე მიიღო პოლკოვნიკის წოდება.

1954 წელს პოლკოვნიკი ალექსანდრე ჯინჭარაძე სამხედრო სამსახურიდან გადადგა და საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. 1955-1962 წლებში მუშაობდა ნიუ-იორკში ფრანგი მილიარდერის, ლუი დრეიფუსის ასოციაციაში. ამავე დროს აქტიურად ჩაერთო ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს ცხოვრებაშიც. იყო სათვისტომოს მდივანი. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, იყო იუნკერთა კავშირის წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტეტებში, აგრეთვე საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ამხანაგობისა და კამერუნის ლეგიონერთა კომიტეტის ხელმძღვანელი. 1963 წელს ლეგიონის 100 წლის იუბილეზე მეხიკოში გაიგზავნა დელეგატად.

ალექსანდრე ჯინჭარაძე მეგობრობდა დანიის პრინც ააჟთან და სხვა ცნობილ პირებთან. მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ ორგანიზაციებსა და პრესას. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა პარიზში ვიქტორ ნოზაძეს და მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „კავკასიონს“. ზრუნავდა ჟურნალის გავრცელებაზეც. თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან, ამერიკაში გადასვლის შემდეგ – გაზეთ „ქართულ აზრთან“.

ალექსანდრე ჯინჭარაძე გარდაიცვალა 1970 წლის 17 აგვისტოს ნიუ-იორკში. მისი მეუღლე იყო პარფიუმერიის ცნობილი ფირმა „Prince Matchabelli“-ის დამაარსებლის, გიორგი მაჩაბლის და, ნინო, ქალიშვილი – ქეთევან ჯინჭარაძე კი, მეორე მსოფლიო ომის წლებში ფრანგული წინააღმდეგობის წევრი იყო.

ნიკოლოზ თოხაძე
ქართველი იუნკერი და საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი,
საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი

ქართველი ემიგრანტი შოთა ბერეჟიანი იგონებს – „კარგად მახსოვს 1939 წლის 14 ივლისს, საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული და ბასტილიის აღების აღსანიშნავად გამართული აღლუმი. ამ წელს, სხვა დიპლომატებთან ერთად, მოწვეული იყო ინგლისის მეფე გეორგ VI ცოლითა და შვილებით. ახლანდელი დედოფალი სულ პატარა გოგონა იყო. აღლუმზე უცხოური ლეგიონის ორი ასეულის მეთაურები იყვნენ დიმიტრი ამილახვარი და ნიკოლოზ თოხაძე – ორი ულამაზესი ვაჟკაცი. შანზელიზეზე დიდი ოვაციის თანხლებით ჩაიარეს. ქართველები ბევრნი ვიდექით იქ და ძალიან ბედნიერები ვიყავით, რომ სწორედ ქართველები შეერჩიათ ასეულების წინამძღოლებად. აფრიკიდან მათ გენერალი მიკელი ჩამოჰყვათ. – რაღა ეს უცხოელი ოფიცრები დანიშნეთ მეთაურებადო, – უსაყვედურა მიკელს პარიზის კომენდანტმა გურომ. – მაგათზე უკეთესი არ გვყავსო, – თავი იმართლა გენერალმა მიკელმა“.

ნიკოლოზ გიორგის ძე თოხაძე 1901 წლის 13 თებერვალს, ქალაქ ოზურგეთთან მდებარე სოფელ აკეთში (ახლანდელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) დაიბადა. პატარა კუკური, როგორც ნიკოლოზს სიყვარულით ეძახდნენ, თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში ჩაირიცხა.

იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში. ბრძოლის ველზე დამსახურებისათვის დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ჯვრით.

1919 წლის სექტემბერში თბილისში დაარსდა ქართული სამხედრო სკოლა, იუნკერთა სასწავლებელი, და ნიკოლოზ თოხაძეც ახალგახსნილი სკოლის საარტილერიო განყოფილების იუნკერი გახდა. 1920 წლის 2 მაისს მან თავი გამოიჩინა იუნკერთა სასწავლებელზე ბოლშევიკების თავდასხმის მოგერიებისას. მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის მაისის პირველ იმში და

ლაგოდეხში მე-6 პოლკის ბოლშევიკი აგიტატორების განიარაღების ოპერაციაში. 1921 წლის თებერვალში კი სკოლის სხვა იუნკრებთან ერთად ებრძოდა საქართველოში შემოჭრილი მე-11 წითელ არმიის შენაერთებს კოჯორი-ტაბახმელასთან.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში, სხვა იუნკრებთან ერთად დატოვა სამშობლო და ბათუმიდან კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. მთელი მისი ოჯახი საქართველოში დარჩა. მალე, დევნილი ქართული ხელისუფლების დახმარებით, იგი ოთხ სხვა იუნკერთან ერთად საფრანგეთში, სენ–მიქსენის ქვეითთა სამხედრო სკოლაში გაამწესეს. 1922 წლის 1 ოქტომბერს უმცროსი ლეიტენანტის წოდებით ჩაირიცხა „უცხოური ლეგიონის“ სახელოვან პირველ პოლკში. მალევე მიიქცია ყურადღება. უფროსობამ ახალდაარსებულ სატანკო ცენტრში მიავლინა, შემდეგ კი – 513-ე სატანკო პოლკში.

1923 წლის ოქტომბერში მისი სამხედრო კარიერა მოულოდნელად სხვა კუთხით წარიმართა – 36–ე საავიაციო პოლკში გადაიყვანეს, სადაც ორ წელიწადს ეუფლებოდა მფრინავისა და საჰაერო ბრძოლის უნარებს. 1924 წელს მიიღო ლეიტენანტის წოდება. როგორც ავიაციის ოფიცერი, 1925-1931 და 1931-1940 წლებში მონაწილეობდა მაროკოსა და ალჟირში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში. 1930 წელს საფრანგეთის ერთ–ერთ საუკეთესო საავიაციო სკოლაში (ქალაქ ისტრში) გაიარა დამატებითი მომზადება.

1931 წელს ნიკოლოზ თოხაძე დაქორწინდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილზე, თამარ (სუზანა) ღამბაშიძეზე, რომელიც წარმატებული ხელოვანი იყო, მეგობრობდა ელენე ახვლედიანთან და ვერა ფაღავასთან. თაფლობის თვე მეტად ხანმოკლე გამოდგა. სამი კვირის თავზე ნიკოლოზი უკვე მაროკოში იყო. მალე საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვეს. მომდევნო რვა წელიწადი კვლავ ჩრდილოეთ აფრიკაში გაატარა. 1934 წელს კაპიტნის წოდება მიიღო. 1933-1935 წლებში მონაწილეობდა სამხრეთ–აღმოსავლეთ მაროკოში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში და არაერთგზის ისახელა თავი, რისთვისაც სამხედრო ჯილდოები გადაეცა.

II მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ნიკოლოზ თოხაძე დაინიშნა უცხოური ლეგიონის მეხუთე პოლკში, რომელიც ინდოჩინეთში, ვიეტნამში იმყოფებოდა. 1941 წლის ზაფხულში ქვეყნის ჩრდილოეთით, დაბა ტონგში განლაგებულ გარნიზონს ჩაუდგა სათავეში. მომდევნო ოთხ წელიწადს აქ სამსახურსაც წარმატებით გაართვა თავი და მაიორის წოდება მოიპოვა.

1945 წლის 9 მარტის საღამოს, იაპონურმა ჯარმა მოულოდნელი იერიში მიიტანა ინდოჩინეთში განლაგებულ ფრანგული ჯარის ნაწილებზე. ჯარის დიდი ნაწილი განადგურდა ან ტყვედ ჩავარდა. უცხოური ლეგიონის მე–5 პოლკმა დაიწყო უკან დახევა ჩინეთის საზღვრებისკენ. მომდევნო 52 დღის განმავლობაში ლეგიონერებმა 1000 კილომეტრზე მეტ მანძილზე ბრძოლით გაიკვალეს გზა მთაგორიან რეგიონში და 1945 წლის მაისის დასაწყისში სამშვიდობოს გააღწიეს. ნიკოლოზ თოხაძე მეორე ბატალიონს ახლდა და იაპონელებთან შეტაკებებშიც არაერთხელ გამოიჩინა თავი, რისთვისაც შემდგომში საპატიო ლეგიონის ოფიცრის წოდება მიენიჭა. ამ ლაშქრობაში გამოჩენილი მამაცობისთვის მან, ასევე, მოიპოვა საფრანგეთის ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო ჯილდო, სამხედრო ჯვრის ორდენი პალმის რტოთი.

1946 წლის გაზაფხულზე ნიკოლოზ თოხაძე ინდოეთში გადაიყვანეს, სადაც ქალაქ ჩანდანაგარში განლაგებულ ფრანგულ შენაერთებს მეთაურობდა. იმავე წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ აფრიკაში მიავლინეს და მომდევნო ორი წლის

განმავლობაში ალჟირსა და მაროკოში განლაგებული უცხოური ლეგიონის სამხედრო ბაზების ინსპექტორი იყო.

1949 წელს მას დაევალა კუნძულ მადაგასკარზე უცხოური ლეგიონის ნაწილების ჩაყვანა, რის შემდეგაც ორ წელიწადს იმსახურა ამ კუნძულზე.

1951 წლის დეკემბერში უკვე ვიცე–პოლკოვნიკის ჩინით დაბრუნდა მაროკოში, სადაც უცხოური ლეგიონის მოტოქვეითი ნაწილი ჩაიბარა.

1955 წელს ხანგრძლივი და წარჩინებული სამხედრო სამსახურისთვის ნიკოლოზ თოხაძე დაჯილდოვდა საპატიო ლეგიონის კომანდორის წოდებით. 1956 წელს პარიზში უცხოური ლეგიონის შტაბში მსახურობდა. 1957 წლის 17 თებერვალს კი, 35–წლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ, თადარიგში გავიდა. მომდევნო წლის ოქტომბერში მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. ამ დროისთვის თოხაძე იყო ფრანგული ჯარის ყველაზე მაღალწოდებიანი ქართველი ოფიცერი. ფრანგულ ჯარში 35–წლიანმა სამსახურმა მას პოლკოვნიკის წოდება და საფრანგეთის თითქმის ყველა უმაღლესი სამხედრო ჯილდო მოუტანა – საპატიო ლეგიონის ორდენის სამი რანგი (კავალერი, ოფიცერი და კომანდორი), ანჟუანის ვარსკვლავის ორდენი და სხვ.

ცხოვრების უკანასკნელი წლები ნიკოლოზ თოხაძემ დაბა პალასოში, პარიზის მახლობლად გაატარა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული სათვისტომოს საქმიანობაში. მისი თაოსნობით 1957 წელს ჩამოყალიბდა ქართველ იუნკერთა კავშირი, რომლის გამგეობის უცვლელი წევრი და ერთხანს თავმჯდომარეც იყო. დიდი როლი შეასრულა ქართული ოფისის დაარსებაში, რომელსაც ომგადატანილ საფრანგეთში უნდა დაეცვა ქართველთა ინტერესები. იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრი. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „მხედართან“ და სხვა ემიგრანტულ პრესასთან.

ნიკოლოზ თოხაძეს თითქმის ორმოცი წელი არანაირი კავშირი არ ჰქონდა საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებთან. მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვის ე.წ. „დათბობის“ პერიოდში მოახერხა კავშირის აღდგენა თავის დასთან, სუზანასთან. სუზანას ოჯახმა განვლო რეპრესიების მწარე გზა, მისი მეუღლე გრიგოლ ქორიძე, ცნობილი ენერგეტიკოსი, 1937 წელს დახვრიტეს. სტალინის სიკვდილის შემდეგ ოჯახს რეაბილიტაცია შეეხო, რამაც შესაძლებელი გახადა სუზანას პარიზში გამგზავრება.

1967 წელს, 45–წლიანი განშორების შემდეგ, და-ძმა ერთმანეთს შეხვდა. დის მონახულებამ კიდევ უფრო გაამწვავა სამშობლო მხარის მონატრება. ნიკოლოზ თოხაძის წერილები სავსეა საქართველოს, საყვარელი გურიის, ოჯახის წევრებისა და მეგობრების მოგონებებითა და მოკითხვით. „ყოველ წელიწადს ჩვენი აივნის ერთ კუთხეში ერთი ბუჩქი ვარდი და ქინძი გვაგონებს ჩვენს ყვავილებით შემკულ სამშობლოს“, – აღნიშნავს იგი ერთ-ერთ წერილში. ეს გრძნობები ასაკთან ერთად კიდევ უფრო გაუმძაფრდა.

„კუკური საავადმყოფოშია, – წერს მისი მეუღლე 1972 წელს, – მის ავადმყოფობას ჰქვია მელანქოლია. ამ ბოლო დროს თანდათან სულ გურულ კილოზე გადადის და ისეთ სიტყვებს ამბობს, რომ მეც კი აღარ მესმის, თან იძახის, გურიაში ლაპარაკობენ წმინდა ქართულსო...“

ნიკოლოზ თოხაძე დიდად განიცდიდა, რომ ქართველ ემიგრანტთა ახალი თაობა ფრანგდებოდა. გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ზოგიერთის შვილებმა ქართული ჯერ კიდევ იციან, მაგრამ მათი შვილები მხოლოდ ერთი ან ორი თუ

შეინარჩუნებს მშობლიურ ენასო. ემიგრანტულ წრეებში ქართული წერა–კითხვის გავრცელების ხელშესაწყობად იგი აქტიურად ეცნობოდა ახალი თაობის ქართველი მწერლების შემოქმედებას, თვალს ადევნებდა საქართველოში გამართულ ლიტერატურულ და კულტურულ ღონისძიებებს, აქვეყნებდა სტატიებს. ამავე მიზნით მან დაწერა ქართული ენის სახელმძღვანელო, რომლის თავფურცელს დააწერა: „ეს პატარა წიგნი ეძღვნება საფრანგეთში დაბადებულ ახალგაზრდებს და მათ ქართველ და ფრანგ მშობლებს. იმედი მაქვს, რომ ეს მოკრძალებული ნამუშევარი მათ გაუღვივებს თავისი წინაპრების ენის შესწავლის სურვილს. დაე, ეს წიგნი დაგეხმაროთ საქართველოს გმირული ისტორიის შესწავლასა და არდავიწყებაში. საქართველოსი, რომელიც მუდამ ჩაგრული და ნაწამები იყო, მაგრამ მუდამ განაგრძობს არსებობას“.

პოლკოვნიკი ნიკოლოზ თოხაძე გარდაიცვალა 1975 წლის 1 მარტს. დაკრძალულია ლევილში, ქართული სათვისტომოს სასაფლაოზე.

საფრანგეთის ჯარში მებრძოლი ქართველების ბედით დაინტერესდა ამერიკაში მცხოვრები ისტორიკოსი ალექსანდრე მიქაბერიძე. მან შეისწავლა არქივებში დაცული მასალები და ინგლისურ ენაზე გამოსცა პოლკოვნიკ თოხაძის ბიოგრაფია. ოჯახებში დაცული დოკუმენტები და ფოტოსურათები მას მიაწოდეს ნიკოლოზ თოხაძის შვილიშვილებმა – იზაბელ სეიდნერმა და დამიენ თოხაძემ.

ივანე ვაჩნაძე,
ქართველი იუნკერი და საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი,
საპატიო ლეგიონის ორდენის ორგზის კავალერი

დაიბადა კახეთში, სოფელ კარდენახში. დედა – თებრო ნაცვლიშვილი. სწავ-ლობდა ვორონეჟის კადეტთა კორპუსში. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს ეროვნული

არმიის კავალერიაში. 1919 წლის სექტემბერში სწავლა განაგრძო თბილისის ახლად გახსნილ იუნკერთა სამხედრო სკოლაში.

1921 წლის თებერვალში ივანე ვაჩნაძე სხვა იუნკრებთან ერთად გმირულად იბრძოდა კოჯორი-ტაბახმელასთან. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში, ემიგრაციაში გაჰყვა გახიზნულ მთავრობას. იგი ერთ-ერთია იმ ხუთ იუნკერთაგან, რომლებიც გენერალ გიორგი კვინიტაძის რეკომენდაციით სენ-მიქსენის სახელგანთქმულმა სკოლამ მიიღო. სამხედრო სასწავ-ლებლის დასრულების შემდეგ დაამთავრა სომიურის კავალერისტთა სკოლა. სამხედრო სამსახურს გადიოდა სუსში, ტუნისის უცხოური ლეგიონის პირველი პოლკის კავალერიაში. 1922 წელს მიიღო უმცროსი ლეიტენანტის ჩინი, შემდეგ კი, ესკადრონის მეთაური გახდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1940 წელს საფრანგეთში გერმანიის შეჭრის შემდეგ, ივანე ვაჩნაძე იბრძოდა სომის ფრონტზე. შენაერთის მთელი შემადგენ-ლობიდან ძალიან ცოტა გადარჩა. მათ შორის იყო ივანე ვაჩნაძეც. მან გერმანელების ტყვეობასაც დააღწია თავი, მოახერხა ოკუპირებულ პარიზში ჩასვლა, ველოსიპედით თავისუფალ ზონამდე ჩააღწია, იქიდან კი ჩრდილოეთ აფრიკაში გადავიდა და უცხოურ ლეგიონს შეუერთდა. კაპიტნის ჩინით იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ, მეთაურობდა უცხოური ლეგიონის დივიზიის სადაზვერვო ასეულის ესკადრონს.

1944 წლის სექტემბერში თავისი შენაერთით გადმოვიდა ელზასში და მთელ საფრანგეთთან ერთად იზეიმა გამარჯვება. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის, საბრძოლო ჯვარი და საპატიო ლეგიონის ორი ორდენი პარიზის გათავისუფ-ლებისათვის.

1946 წლიდან ივანე ვაჩნაძე ხელმძღვანელობდა ალჟირში, ქალაქ სიდი ბელ აბესში განთავსებულ საფრანგეთის უცხოური ლეგიონის სპეციალურ ჯგუფს.

1951 წელს სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ცხოვრობდა სომი-ურში. ასწავლიდა სომიურის კავალერისტთა სკოლაში, აღზარდა ბევრი ცნობილი ფრანგი სამხედრო მოღვაწე. იყო ყველაზე ძნელად გასახედნი ბედაურების მომ-თვინიერებელი და ყველა სტუდენტის ბაბუა. „ბაბუად ქცევის“ დიდი უნარის გამო „კანფეტ ბაბუს“ ეძახდნენ. ცოლ-შვილი არ ჰყოლია, სკოლა იყო მისი ოჯახი. არც საფ-რანგეთის მოქალაქეობა მიუღია. ქართული პასპორტი შეინარჩუნა, რადგან სამშობ-ლოში დაბრუნების იმედი არასოდეს დაუკარგავს. მისი პირველი წერილი საქართვე-ლოში, სადაც ოთხი ძმა და ერთი და ეგულებოდა, 1960 წელს მიიღეს. მის წერილებს თავიდან სიფრთხილით პასუხობდნენ, მაგრამ საბედნიეროდ, შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და ვაჩნაძემ სიცოცხლეში ორჯერ შეძლო სამშობლოში ჩამოსვლა. იყო მშობლიურ კარდენახში, პატივი მიაგო წინაპართა საფლავებს, მოესიყვარულა ნათე-სავებს, გაიცნო ახალგაზრდა თაობა. ბატონი ივანე ოცნებობდა საქართველოში დაკ-რძალვაზე, მაგრამ მაშინ ეს შეუძლებელი იყო და ანდერძის თანახმად იგი დიდი პა-ტივით დაკრძალეს ლევილში.

ივანე ვაჩნაძე 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. სომიურის სამხედრო სასწავლებ-ლის დარბაზს, საიდანაც გამოასვენეს, მისი სახელი ეწოდა. დასაფლავებას ესწრე-ბოდნენ მაღალი რანგის სამხედრო ჩინოსნები არა მარტო საფრანგეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც.

ალექსანდრე კინწურაშვილი
ქართველი იუნკერი და საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი,
საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი

ყოფილი იუნკერი, კოჯორ–ტაბახმელას ბრძოლებისა და ბათუმის ოსმალთაგან გათავისუფლების მონაწილე, ალექსანდრე კინწურაშვილი, 1900 წელს დაიბადა. სწავლობდა თბილისის იუნკერთა სამხედრო სკოლაში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში იგი ემიგრაციაში გაჰყვა გახიზნულ მთავრობას. ალექსანდრე კინწურაშვილი ერთ-ერთია იმ ხუთ იუნკერთაგან, რომლებიც გენერალ გიორგი კვინიტაძის რეკომენ-დაციით სენ-მიქსენის სახელგანთქმულმა სკოლამ მიიღო. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1925 წელს იგი ლეიტენანტის წოდებით უცხოურ ლეგიონში გაამწესეს. მსახურობდა ჩრდილოეთ აფრიკაში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას ალექსანდრე კინწურაშვილი მაროკოში იმყო-ფებოდა. ამას მოჰყვა ალჟირი და ლიბია. აქტიურად მონაწილეობდა ელ-ალამეინის ცნობილ სამხედრო ოპერაციაში, რისთვისაც „განთავისუფლების ჯვარი“ დაიმსახურა. მეორე მსოფლიო ომის წლებშივე მიიღო მან ჯერ კომანდორის, შემდეგ კი პოლ-კოვნიკის მაღალი წოდებები.

ალექსანდრე კინწურაშვილს მხედრული დამსახურებისთვის მიღებული ჰქო-ნდა სხვა უმაღლესი ჯილდოებიც: საპატიო ლეგიონის ორდენი, „დიდი კომანდორის“ ჯვარი, რამდენიმე ბრიტანული ორდენი და მრავალი მედალი.

თადარიგში გასვლის შემდეგ, 1950-იანი წლების დამლევს დაინიშნა პარიზის ქართული ოფისის დირექტორად. ამ თანამდებობაზე მან შეცვალა ცნობილი პოლი-ტიკური და საზოგადო მოღვაწე ჭიჭიკო (სოსიპატრე) ასათიანი.

ალექსანდრე კინწურაშვილი გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, 1976 წლის 25 ივნისს. განისვენებს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. დაკრძალვას დაესწრო საფრან-გეთის უცხოური ლეგიონის საპატიო ყარაული, არმიის ვეტერანთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა, რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, გენერალმა ჟან ოლეიმ.

გიორგი ოდიშელიძე
ქართველი იუნკერი და საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი,
საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი

იუნკერი და საფრანგეთის არმიის ოფიცერი გიორგი ოდიშელიძე დაიბადა ყვარელში, ოფიცრის ოჯახში. 1917 წელს, თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტში, რუსული ლიტერატურის ფაკულტეტზე, 1918 წელს კი, გიორგი კვინიტაძის ძალისხმევით თბილისში დაარსებული ქართული სამხედრო სკოლის იუნკერთა გახდა.

1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოჭრისას გიორგი ოდიშელიძე სხვა იუნკრებთან ერთად იბრძოდა კოჯორი-ტაბახმელასა და ბათუმის მისადგომებთან. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია, ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ – საფრანგეთში. იმავე წლის ბოლოს ოთხ იუნკერთან (ნიკოლოზ (კუკური) თოხაძე, ივანე ვაჩნაძე, ალექსანდრე ჯინჭარაძე და ალექსანდრე კინწურაშვილი) ერთად საფრანგეთის სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის კურსანტია.

უმცროსი ლეიტენანტი გიორგი ოდიშელიძე 1922 წელს საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში ჩაირიცხა. 1926 წელს სირიაში მიემგზავრება, 1929 წლიდან კი, ალჟირში იწყებს სამსახურს. 1935 წელს კაპიტნის წოდება ენიჭება და ბატალიონის მეთაურად ინიშნება.

II მსოფლიო ომის დროს, როდესაც გერმანია საფრანგეთში შეიჭრა, საფრანგეთის მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა. მობილიზაცია შეეხო საფრანგეთში მცხოვრებ უცხოელებს, მათ შორის, ას სამოცდაათ ქართველსაც. ამ პერიოდისთვის ქართველ ემიგრანტთაგან ბევრი მსახურობდა უცხოურ ლეგიონში და ისინი ცნობილნი იყვნენ, როგორც საუკეთესო მეომრები.

ომის დაწყებისას გიორგი ოდიშელიძე უცხოური ლეგიონის ქვეითთა პოლკში მსახურობდა. 1940 წლის აპრილში მას დაავალეს სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ

ბარკარესში ქართული სამხედრო შენაერთის შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა მხოლოდ ქართველი პროფესიონალი სამხედროებითა და მოხალისეებით. ეს იყო ქართული ნაწილი „Unite Georgine“, რომელიც შემდეგ სოფელ სეტფორში გადაიყვანეს. ნაწილის გასაძლიერებლად მაროკოში განლაგებული საფრანგეთის ჯარის შტაბის ბრძანებით ქართველი ლეგიონერები ბარკარესის სამხედრო ბანაკში გადაისროლეს. ნაწილის შესავსებად ქართველები რომ არ ეყოთ, ფრანგი და ესპანელი ლტოლვილებიც შეიყვანეს. „Unite Georgine“-სა და საფრანგეთის სარდლობას შორის შუამავალი ფრანგი ოფიცერი პიო იყო, რომელიც ქართველებს დიდ პატივს სცემდა. დაიწყო ნაწილის ინტენსიური წვრთნა, მაგრამ შემდგომი მოვლენები ძალინ სწრაფად განვითარდა. 1940 წლის 14 ივნისს პარიზი გერმანელებს ჩაბარდა და მარშალმა პეტენმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას.

გიორგი ოდიშელიძე ლეგიონიდან ჩამოსული ქართველებით კვლავ აფრიკაში დაბრუნდა. 1943 წელს იგი იბრძოდა ტუნისში, მონაწილეობდა საფრანგეთის განთავისუფლების სამხედრო ოპერაციებში.

1945 წლიდან იმყოფებოდა პარიზში საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში, 1947 წლის დეკემბერში თადარიგში გავიდა და მოღვაწეობა დაიწყო სამოქალაქო სექტორში.

პოლკოვნიკი გიორგი ოდიშელიძე იყო საპატიო ლეგიონის ორდენისა და საბრძოლო ჯვრის კავალერი. საბრძოლო მამაცობისთვის მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო. საფრანგეთის მთავრობამ ოთხჯერ გამოუცხადა მადლობა ერთგული და თავდადებული სამსახურისთვის. საფრანგეთში გამოცემულ ყველა ნაშრომში, რომელიც ეძღვნება გერმანელების წინააღმდეგ უცხოური ლეგიონის ბრძოლებს აფრიკაში, აღწერილია გიორგი ოდიშელიძის სამხედრო დამსახურება (ალან გარდისა და პიერ დიუფორის წიგნები).

მისი სამხედრო ღვაწლი კარგად არის წარმოჩენილი იუნკერ შოთა ნიკოლაძის ვაჟის, რევაზ ნიკოლაძისა და მისი მეუღლის, ფრანსუაზას წიგნში „ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლაში 1939-1945 წლებში“.

პარიზში გიორგი ოდიშელიძე დაქორწინდა საქართველოს მთავარსარდლისა და იუნკერთა სკოლის ხელმძღვანელის, თავისი მასწავლებლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის შუათანა ქალიშვილ თამარზე (თამი), რომელთანაც შეეძინა სამი შვილი: ნოდარი, მერაბი და ეკატერინე.

გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია შატუს სასაფლაოზე.

არკადი სხირტლაძე
ქართველი იუნკერი და
პოლონეთის სამხედრო-საჰაერო ძალების კაპიტანი

არკადი სხირტლაძე დაიბადა 1902 წლის 26 იანვარს, გორში, სპირიდონ და მარიამ სხირტლაძეების ოჯახში.

1920 წლის სექტემბერში სასწავლებლად შევიდა თბილისის სამხედრო სკოლაში. სწავლობდა ქვეით სპეციალობაზე. ბოლშევიკურ რუსეთთან წარმოებული ხანმოკლე ომისა და რუსეთის მე-11 წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ სხვა ქართველ იუნკრებთან და სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო – ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ პოლონეთში.

პოლონეთში ის ბიდგოშჩის სამხედრო სკოლაში ჩაირიცხა და შემდეგ კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიაში.

ჰყავდა პოლონელი მეუღლე, იანინა კიჩინსკა-სხირტლაძე და ორი ქალიშვილი. 1937 წელს ოჯახი ლვოვიდან დებლინში გადავიდა საცხოვრებლად. 1937-1939 წლებში არკადი სხირტლაძე მფრინავ-ინსტრუქტორად მუშაობდა დებლინის საავიაციო სკოლაში „არწივის მართვეები“.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კაპიტანი სხირტლაძე ჩაერთო 1939 წლის სექტემბრის კამპანიაში. პირველ დღეებში დებლინის აეროპორტზე გერმანელთა მიერ განხორციელებული საჰაერო შეტევის დროს კაპიტანი სხირტლაძე დაიჭრა. ის ჯერ ვარშავაში, შემდეგ კი აღმოსავლეთით გადაიყვანეს, რათა ფრონტის წინა ხაზისთვის გაერიდებინათ.

1939 წლის 17 სექტემბერს პოლონეთს აღმოსავლეთიდან უკვე საბჭოთა კავშირი დაესხა თავს და გერმანელთა ფრონტს გარიდებული დაჭრილი კაპიტანი სხირტლაძე ბრესტის მისადგომებთან წითელარმიელებს ჩაუვარდა ტყვედ.

თითქმის ერთწლიანი ტყვეობის შემდეგ პოლონეთის არმიის ქართველი მფრინავი არკადი სხირტლაძე სტარობელსკის, ოსტაშკოვისა და კოჟელსკის ტყვე ოცი ათასზე მეტ პოლონელ სამხედრო ტყვესთან ერთად სტალინის პირადი ბრძანებით

დახვრიტეს კატინში, 1940 წლის გაზაფხულზე. კაპიტან სხირტლაძესთან ერთად კატინის ტყეში დახვრიტეს აგრეთვე პოლონეთის არმიის კიდევ რამდენიმე ქართველი ოფიცერი, მათ შორის, მაიორი გიორგი მამალაძე და კაპიტანი მიხეილ რუსიაშვილი. კატინში დახვრეტილებს ტყვია უკნიდან, კეფაში ჰქონდათ მოხვედრილი.

კაპიტან სხირტლაძის უფროსი ქალიშვილი ირინა სხირტლაძე გმირულად დაიღუპა 1944 წლის ვარშავის აჯანყების დროს.

ნიკოლოზ აღნიაშვილი
ქართველი იუნკერი და პოლონეთის არმიის პორუჩიკი

პოლონეთში, ქალაქ კრაკოვის რაკოვიცკის ძველ სასაფლაოზე, რომელიც 1803 წელს გაიხსნა და რომელიც ამჟამად პოლონეთის ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი, ერთი ძველი საფლავია, რომლის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ქართული წარწერა გვამცნობს: „ნიკო აღნიაშვილი, იუნკერი საქართველოს სამხედრო სკოლისა“, ხოლო პოლონური წარწერა იუწყება: „ღმერთმა გაანათლოს მიკო აღნიაშვილი, მამაცი ქართველი ერის შვილი. პოდჰალეს ქვეით მსროლელთა მე-4 პოლკის პორუჩიკი. დაბადებული ბათუმში 14.II.1901. გაძევებული რუსების მიერ სამშობლოდან, სამშობლოს მონატრებული გარდაიცვალა კრაკოვში 5. IX. 1928. ღმერთო, მიეცი თავისუფლება საქართველოს!“

საფლავის ქვის პოლონურ წარწერაში სახელის „ნიკოლოზი“ პოლონური ვარიანტის, „მიკოლაი“-ს ქართულ ყაიდაზე შემოკლებული „მიკო“ წერია, ქართულ წარწერაში კი ნიკოს ნაცვლად ნიტო იკითხება, რაც იმით აიხსნება, რომ მან, ვინც წარწერა ამოკვეთასაფლავის ქვაზე, ალბათ ქართული არ იცოდა და უნებლიე

შეცდომა დაუშვა. საფლავის ქვაზე ნიკო აღნიაშვილის ოვალური ფორმის ფოტოსურათიცაა დატანილი. ქართულ და პოლონურ წარწერებს შორის კი კავკასიელთა სიმამაცის სიმბოლოს, ხანჯლის გამოსახულებაა ამოკვეთილი.

საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ბიოგრაფიული ცნობების გარდა ნიკო აღნიაშვილის შესახებ სხვა არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ მას ქართველ იუნკერთა სკოლაში უსწავლია და იყო ქვეითი სპეციალობის უმცროსი კურსის იუნკერი. სხვებთან ერთად იბრძოდა კოჯორი-ტაბახმელას ფრონტზე, ხოლო 1921 წლის მარტში, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კი, 20 წლის ასაკში, სხვა ქართველ იუნკრებთან და სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად იძულებული გამხდარა ემიგრაციაში წასულიყო. შემდეგ იყო პოლონეთის სამხედრო სკოლა და პოლონეთის არმია, სადაც უმსახურია პოდჰალეს (მთიანი რეგიონია სამხრეთ პოლონეთში) ქვეით მსროლელთა მე–4 პოლკში პორუჩიკის წოდებით (შეესაბამება ლეიტენანტის წოდებას).

ჩვენს ამ ვარაუდს ამტკიცებს 2009 წელს პოლონეთის ეროვნული არქივის მიერ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისთვის გადაცემული XX საუკუნის 20-იანი წლების პოლონურ-ქართული ურთიერთობების ამსახველი რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის ასლი. დოკუმენტები საშუალებას გვაძლევენ, ზუსტად დავადგინოთ იმ ქართველი იუნკრების ვინაობა, რომლებიც პოლონეთის მაშინდელი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელის, მარშალ იუზეფ პილსუდსკის უშუალო მითითებით ჩარიცხეს პოლონეთის სამხედრო სკოლებში. ჩარიცხულთა სიებში, სხვა ქართველ იუნკრებთან ერთად, იუნკერი ნიკოლოზ აღნიაშვილიც არის.

2011 წლის დეკემბერში, პოლონეთში, დავით ყოლბაიას, პიოტრ ჰლებოვიჩისა და პიოტრ ვარიშის ავტორობით პოლონურ ენაზე გამოიცა ალბომი „უცნობი საქართველო. ქართველებისა და პოლონელების საერთო ბედი“. ალბომში მკითხველი ეცნობა საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, პოლონეთ–საქართველოს ურთიერთობათა გზას. ალბომში მთელი გვერდი აქვს დათმობილი 27 წლის ასაკში სამშობლოზე დარდით გარდაცვლილი ნიკო აღნიაშვილის უჭირისუფლო საფლავის სევდის მომგვრელ ფოტოს. რომ არა ეს პუბლიკაცია, საქართველოში ალბათ არც არაფერი გვეცოდინებოდა იმ ქართველ იუნკერზე, რომელმაც უცხო ქვეყნის მიწაში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

ნიკო აღნიაშვილზე სხვა ცნობების უქონლობა იმითაც აიხსნება, რომ ის ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც ის არის, რომ ოკუპირებული საქართველოდან გადახვეწილები ერიდებოდნენ ოჯახის წევრებთან კონტაქტს, ხოლო საქართველოში დარჩენილები ემიგრაციაში წასულთა სახელების ხსენებასაც კი გაურბოდნენ მოსალოდნელი რეპრესიების შიშით. საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური მიზეზების გამო ეს თემა მკაცრად ტაბუირებული იყო, რადგან პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრები საქართველოშიც და პოლონეთშიც ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

პროკოფი აბულაძე
ქართველი იუნკერი და პოლონეთის არმიის პორუჩიკი

იუნკერი და პოეტი პროკოფი ქაიხოსროს ძე აბულაძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში, 1898 წელს. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1918 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში, მაგრამ 1919 წლის სექტემბერში, როგორც კი გამოცხადდა პირველი ქართული სამხედრო (იუნკრების) სკოლის დაფუძნების შესახებ, უნივერსიტეტი დატოვა და ახალდაარსებულ სასწავლებელში ჩაეწერა.

1920-1921 წლებში პროკოფი აბულაძემ მონაწილეობა მიიღო რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ წარმოებულ იუნკერთა სკოლის ყველა საბრძოლო ოპერაციაში. იბრძოდა 1920 წლის რუსეთ-საქართველოს პირველ ომში, სხვა იუნკრებთან ერთად მონაწილეობდა 1921 წლის თებერვლის კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის გაზაფხულზე, თბილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა დატოვეს სამშობლო. ქართველი ემიგრანტები თავდაპირველად ოსმალეთში გაჩერდნენ, კერძოდ, კონსტანტინოპოლში. აქედან იუნკერთა ნაწილი, მათ შორის პროკოფი აბულაძეც, საბერძნეთის სამხედრო სასწავლებელში გაამწესეს. საბერძნეთში ყოფნის პერიოდში ქართველმა იუნკრებმა, 1922 წელს ქალაქ ათენში გამოსცეს ჟურნალი „ატროკებული ტვინი“, ლადო მახარაძის რედაქტორობით (გამოვიდა სულ სამი ნომერი).

1923 წლის დასაწყისში მარშალმა იუზეფ პილსუდსკიმ, რომელიც იმხანად პოლონეთის ეროვნულ არმიას („არმია კრაიოვა“) ედგა სათავეში, ქართველ სამხედროებს შესთავაზა პოლონეთში დამკვიდრებულიყვნენ. ქართველი იუნკრებისთვის პოლონეთი მეორე სამშობლოდ იქცა. პროკოფი აბულაძეც მოეწყო იქაურ სამხედრო სასწავლებელში, მაგრამ 1924 წელს თავი დაანება სამხედრო სამსახურს და ვარშავის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

1926 წელს მისი რედაქტორობით ვარშავაში გამოიცა ჟურნალი „მთვარიდა“, რომელიც ხელით იყო ნაბეჭდი და ამიტომ სულ ერთი ცალი გამოვიდა.

1928 წელს პროკოფი აბულაძე საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა, სადაც მისი მონაწილეობით დაარსდა „ქართველ იუნკერთა კავშირი“. 1928 წლის ნოემბერში მან გამოსცა ამ კავშირის ბეჭდვითი ორგანო – „მტკვარი“, მაგრამ ჟურნალმა პირველსავე ნომერზე შეწყვიტა არსებობა. 1929 წლის ივნისში „ქართველ იუნკერთა კავშირმა“ პროკოფი აბულაძის რედაქტორობით უკვე მიიღო თავისი ახალი ორგანო – ჟურნალი „მხედარი“.

პროკოფი აბულაძე „მხედარის“ პირველ ათ ნომერს რედაქტორობდა. ამათგან მხოლოდ პირველ ნომერშია დაბეჭდილი მისი ორი ლექსი: „გზაზე“ და „სიმღერა“ რეო ამონის ფსევდონიმით. ამას გარდა, პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონის“ რამდენიმე ნომერშიც გამოქვეყნდა მისი ლექსები. სულ ეს არის რაც დაგვრჩა მისი შემოქმედებიდან.

1931 წლის 22 სექტემბერს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა ქალაქ ნიცას საავადმყოფოში. დაკრძალულია ნისის სასაფლაოზე.

იუნკერი მიხეილ დადიანი. სამხრეზე გარკვევით ჩანს სკოლის ლიტერი “სკ” და კავალერისტის განმასხვავებელი ნიშანი. მსახურობდა პოლონეთის არმიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს შეუერთდა ვერმახტის ქართულ ფორმირებებს და იბრძოდა ბატალიონ „ბერგმანის“ შემადგენლობაში

იუნკერი ალექსანდრე ჯინჭარაძე 1
საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ოფიცერი

იუნკერი მელიქ სომხიანცი
პოლონეთის არმიის ოფიცერი

კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე იუნკრებთან ერთად მებრძოლი ქართველი საზოგადო მოღვაწეები

შალვა მიქელაძე
(1895-1976წ.წ.)
ქართველი მათემატიკოსი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აკადემიკოსი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრების გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი.

1918-1921 წლებში შალვა მიქელაძე მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის თავსმოხვეულ ყველა ომში. კავკასიის ფრონტზე, მე-4 მესანგრეთა ათასეულის საინჟინრო პარკის უფროსი; 1918-1924 წლებში – თბილისის მესანგრეთა ათასეულის სატელეგრაფო ასეულის მეთაური; პირველი ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილე და კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი; ცალკეული კავშირგაბმულობის ასეულის მეთაური და კავშირგაბმულობის კურსების ინსპექტორი. პირველი მსოფლიო ომის დროს, ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა კავკასიის ფრონტზე (დაჯილდოვდა ოქროს იარაღით, წარწერით : "მამაცობისთვის" და საბრძოლო მედლებით).

ამ წლებში მან თავი ისახელა, როგორც ბრწყინვალე სამხედრო ინჟინერმა. ამავე პერიოდს განეკუთვნება მისი პირველი შრომები: ,,საფორტიფიკაციო საქმის საფუძვლები" და ,,საველე ტელეფონები" – სასწავლო წიგნები ახალგაზრდა ოფიცერთათვის.

სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ, 1924-1929 წლებში შალვა მიქელაძე ჯერ თბილისის ელექტრო-ქსელის დაგეგმარებაზე მუშაობდა, შემდეგ კი ზაჰეს-ში. 1929 წელს (34 წლის ასაკში) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. 1935 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომლის

ძირითადი შედეგები ცალკე მონოგრაფიის სახით გამოსცა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ.

შალვა მიქელაძემ დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა. მან გამოაქვეყნა ასამდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 7 სოლიდური მონოგრაფიაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, შალვა მიქელაძის სამეცნიერო ინტერესების ფართო დიაპაზონი. მას ფუნდამენტური შედეგები აქვს მიღებული გამოთვლითი მათემატიკისა და მექანიკის სხვადასხვა საკითხებზე, რამაც მეცნიერს მსოფლიო აღიარება მოუტანა.



რევაზ გაბაშვილი
(1882-1969წ.წ.)
პოლიტიკური და კოოპერაციული მოძრაობის ცნობილი მოღვაწე,
პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი

რევაზ გაბაშვილი – ცნობილი ქართველი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი, საქართველოში ეროვნული თავისუფლების იდეის აქტიური მხარდამჭერი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის იდეების მიმდევარი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საადგილმამულო ბანკის მუშაობაში.

სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. I მსოფლიო ომის დროს აქტიურად გამოდიოდა გორის მაზრაში, ტირიფონის ველზე სამხედრო პოლიგონის მოწყობის წინააღმდეგ. საფუძველი ჩაუყარა კოოპერაციულ მოძრაობას, შექმნა რამდენიმე გაერთიანება, სხვადასხვა დაწესებულებებიდან შეიძინა და ქართველ გლეხებს უსასყიდლოდ გადასცა 52 ათასი დესეტინა მიწა.

ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. მონაწილეობდა 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში, საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით გახდა დამფუძნებელი კრების (საქართველოს პირველი პარლამენტის) წევრი. ოპოზიციაში ედგა ქართველ სოციალ-დემოკრატებს.

საქართველოს ბოლშევიკური აგრესიის დროს, თბილისის სამხედრო სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად 1921 წლის თებერვალში იბრძოდა რუსეთ-საქართველოს ომის კოჯორი-ტაბახმელას ფრონტზე.

საქართველოს იკუპაციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის მარტში, ემიგრაციაში წავიდა, ცხოვრობდა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ პარიზში. აქტიურად მონაწილეობდა ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას – გერმანული, თურქული, სპარსული, ფრანგული, ინგლისური, ესპანური...

პოლიტიკური შრომების გარდა, ისტორია–არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში მუშაობდა. მეგობრობდა ცნობილ ქართველ მეცნიერებთან და მოღვაწეებთან, ზურაბ ავალიშვილთან და ვიქტორ ნოზაძესთან.

თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესასთან, ამავე დროს მუშაობდა ლიტერატურათმცოდნეობაში.

1967 წელს პარიზში ფრანგულად გამოსცა "L˜apport de la race caucasienne dans la civilisation mondiale" (კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში), 1969 წელს კი მიუნხენში, მოგონებები – ,,რაც მახსოვს" (გერმანულ ენაზე), რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკრატები უარყოფითად შეხვდნენ. თანამშრომლობდა და აქვეყნებდა სტატიებს ქართულ ემიგრანტულ ჟურნალებში: ,,კავკასიონი", ,,ქართველი ერი", ,,კრებული", ,,ერის დიდება".

გარდაიცვლა 1969 წელს. დაკრძალულია პარიზში, ბანიოს სასაფლაოზე.

თბილისის ოფიცერთა სასწავლებელი 1921-1992 წლებში

1921 წლის 25 თებერვალს მე-11 წითელი არმიის აღმოსავლეთის ბრიგადის წითელი კურსანტების მე-6 პოლკი, რომელიც მე-20 და მე-9 ქვეითი, და მე-18 ცხენოსანი დივიზიის ნაწილებთან ერთად მონაწილეობდა თბილისის აღების ოპერაციაში, შემოვიდა თბილისში და ბინა ყოფილ სამხედრო სკოლაში, მიხეილის გამზირზე (ყოფილი პლეხანოვის, ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი) დაიდო.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის ერთგულმა საქართველოს რევკომმა 1921 წლის 26 თებერვალს სპეციალური დეკრეტით დაშლილად გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები და სახალხო გვარდია.

1921 წლის 14 მაისს მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით აღმოსავლეთის ბრიგადის, წითელი კურსანტების მე-6 პოლკი „ქართულ სამეთაურო კურსებად“ გადაკეთდა.

1921 წლის 25 მაისს ამ კურსებმა გამოუშვა 99 „კრასკომი“ (ანუ ე.წ. „წითელი მეთაური“).

იყენებდნენ რა საერთო-საჯარისო მეთაურების პირველი ჯგუფის გამოშვებისას მიღებულ მცირე გამოცდილებას, კურსების ხელმძღვანელობა დაბეჯითებით აუმჯობესებდა სასწავლო პროცესის ორგანიზაციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საკლასო და საველე მეცადინეობებს ტაქტიკასა და ტოპოგრაფიაში, კურსანტთა სამწყობრო სწავლებას და ა.შ.

1921 წლის 25 მაისს კურსები გადაკეთდა „ქვეით მეტყვიამფრქვევეთა მე-13 სამეთაურო კურსებად“.

1921 წლის 10 ივნისს, საბჭოთა საქართველოს პარტიული და სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, თბილისში შეიქმნა „ქართული სამხედრო სამეთაურო კურსები“.

1921 წლის ნოემბრიდან ქართულ სამხედრო სამეთაურო კურსებს „ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა“ ეწოდა. სკოლის მსმენელებით შევსება მობილიზაციის წესით მიმდინარეობდა.

1922 წლის მარტში ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის მეთაურად დაინიშნა ცნობილი ქართველი ბოლშევიკი და ჩეკისტი, ილარიონ ტალახაძე, რომელიც 1921–22 წლებში საქართველოს სამხედრო-საზღვაო შტაბის კომისრად მსახურობდა.

სკოლაში ყურადღება უმთავრესად ეთმობოდა მტკიცე დისციპლინას, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას.

აღსანიშნავია, რომ ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში პირველადი სამხედრო განათლება მიიღეს მეთაურებმა, რომლებიც შემდგომში საბჭოთა არმიის გენერლები გახდნენ. ესენი იყვნენ:

საბჭოთა კავშირის გმირები, გენერალ-პოლკოვნიკები პორფირე ჩანჩიბაძე და კონსტანტინე ლესელიძე; გენერალ-ლეიტენანტები: ვასილ მჟავანაძე, ვლადიმერ ჯანჯღავა, გალაქტიონ ალფაიძე; გენერალ-მაიორები: ნიკოლოზ კალაძე, კირილე

ჯახუა, პავლე აბრამიძე (პირველი ქართველი საბჭოთა გენერალი), ივანე ბაბალაშვილი, ნიკოლოზ თავართქილაძე, ილია რაზმაძე, მიხეილ როსტომაშვილი, პანტელეიმონ შიოშვილი, ვალენტინ აფაქიძე, ლავრენტი გოლიაძე, დიმიტრი ნამგალაძე, ვლადიმერ ხუბულური, დიმიტრი შანშაშვილი, კონტრ-ადმირალი მიხეილ ჯინჭარაძე და სხვ.

1922 წლის 22 ოქტომბერს სკოლა გარდაიქმნა „21-ე ქვეით კურსებად“ სწავლების ორწლიანი ვადით.

სკოლაში ფართოდ გამოიყენებოდა საბრძოლო სროლები ჯავშანტექნიკის გამოყენებით (ტანკები ჯერ არ იყო) და მათ გარეშე.

მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სკოლის ქვედანაყოფების გადაყვანა საჩვენებელი ასეულების შტატზე. ტაქტიკური მომზადების საკითხებში სკოლა იყო ბევრი მნიშვნელოვანი ინიციატივის წამომწყები, რომლებსაც დადებითად უყურებდნენ სამხედრო ნაწილებში.

სკოლა ამზადებდა და მართავდა საჩვენებელ მეცადინეობებს ქვედანაყოფების მეთაურებისთვის, რაც ამავე დროს იყო კარგი პრაქტიკა ამ სწავლებებში მონაწილე კურსანტებისთვისაც. ეს ყველაფერი ეხმარებოდა მომავალ მეთაურებს, უკეთესად გარკვეულიყვნენ ახალი საბრძოლო წესდებების გამოყენების საქმეში, აგრეთვე ტაქტიკური საკითხების გადაწყვეტაში.

შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლის საბრძოლო მომზადების დონე. სკოლამ არაერთხელ მიიღო მონაწილეობა საველე სწავლებებში, მათ შორის, საერთო-საჯარისოშიც.

რთული გადასაწყვეტი იყო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი, განსაკუთრებით, მისი არსებობის საწყის პერიოდში. პრობლემური იყო პედაგოგების საკითხიც. ბევრი მათგანი თავის დროზე მსახურობდა მეფის არმიაში და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარში. მათი უდიდესი ნაწილი პატიოსნად ემსახურებოდა ქვეყანასა და ხალხს, მთელი მონდომებით ასწავლიდა კურსანტებს, უზიარებდა მათ თავის ცოდნასა და გამოცდილებას. ასეთ ადამიანებს აფასებდნენ და მათ მითითებებს ანგარიშს უწევდნენ.

1924 წლის სექტემბერში ჩატარდა სკოლის მეთაურთა პირველი გამოშვება, რომლებმაც ორწლიანი სწავლება გაიარეს. ეს მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო სკოლის მთელი პირადი შემადგენლობისათვის. მოწმდებოდა არა მხოლოდ გამოშვებული კურსანტების ცოდნის ხარისხი, არამედ საერთო-საჯარისო მეთაურების საერთო განათლების დონე ახალ პირობებში.

თბილისის 21-ე ქვეითი სკოლის კედლებიდან გამოვიდა მტკიცე ნებისყოფის, მომთხოვნი მეთაურების რაზმი, რომლებმაც კარგად აითვისეს სამხედრო მეცნიერების საფუძვლები და თანამედროვე იარაღის გამოყენების მეთოდები.

ახალგაზრდა ოცმეთაურები გაანაწილეს სხვადასხვა გარნიზონებში, მათმა დიდმა ნაწილმა კავკასიის არმიის ქვედანაყოფები შეავსო. ითვალისწინებენ რა იმ ფაქტს, რომ ისინი ქვედანაყოფებში წარმოადგენდნენ თბილისის 21-ე ქვეით სკოლას და მათ მუშაობას ზემდგომი მეთაურები შეაფასებდნენ კურსანტების მომზადების ხარისხით, სკოლის კურსდამთავრებულები განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს.

1924 წლის 1-ლ ოქტომბერს, სკოლამ მიიღო ახალი სახელწოდება – „ტფილისის

ქვეითი სკოლა“ (ТПШ).

ამ პერიოდში კავკასიის არმიის ნაწილებში პირველ ნაბიჯებს დგამდნენ პირადი შემადგენლობის სისტემატურ გადამზადებაში მთიან რეგიონში საბრძოლო მოქმედებებისათვის. თბილისის ქვეითმა სკოლამ ძალზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ სწავლებებში.

1926 წლის აგვისტოში მეთაურებისა და კურსანტების სპეციალურად აღჭურვილმა ექსპედიციამ, სკოლის უფროსის ვ. კლიმენტიევის ხელმძღვანელობით, კავკასიის არმიის ისტორიაში პირველად განახორციელა ასვლა მყინვარწვერზე.

1926 წლის ოქტომბერში ტფილისის ქვეით სკოლასთან დაარსდა სამხედრო-პოლიტიკური კურსები კავკასიის არმიის ეროვნული ნაწილებისთვის პოლიტმუშაკების მოსამზადებლად.

1927 წლის სექტემბერში, სსრკ რევოლუციური სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, „ტფილისის ქვეითი სკოლა“ „ამიერკავკასიის ქვეით სკოლად“ (ЗПШ) გადაკეთდა. მის შემადგენლობაში შევიდნენ ადრე ცალკეულ ერთეულებად არსებული სამხედრო-სასწავლო დაწესებულებები – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გაერთიანებული სკოლები და კავკასიის არმიის სამხედრო-პოლიტიკური სკოლა.

ზემოაღნიშნული სკოლების ამიერკავკასიის ქვეითი სკოლის ჩარჩოში გაერთიანებამ სკოლის ხელმძღვანელობას ყველაზე გამოცდილი და მომზადებული მეთაურებისა და მასწავლებლების მოზიდვის საშუალება მისცა, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. სერიოზული ყურადღება დაეთმო იმ პერიოდში თითოეული დისციპლინის სწავლების მეთოდიკას, რასაც ხელს უწყობდა საგნობრივი კომისიების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაც.

აძლიერებდა რა თავის კავშირებს ჯარებთან, სკოლა ფართოდ იყენებდა საუკეთესო ნაწილებისა და ქვედანაყოფების გამოცდილებას, ჯარებში საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მოთხოვნების გათვალისწინებით.

საარტილერიო ნაწილებისთვის ოცმეთაურთა მოსამზადებლად 1929 წელს ამიერკავკასიის ქვეით სკოლაში შეიქმნა საარტილერიო დივიზიონი, რომელმაც 60 წელზე მეტხანს იარსება. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლის განვითარებისთვის მომავალში, რადგან ამ საარტილერიო დივიზიონის ბაზაზე 1938 წელს შეიქმნა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი.

საარტილერიო დივიზიონის შექმნამ სკოლის ხელმძღვანელობის წინაშე დასახა ახალი ამოცანა: გაეგრძელებინათ საერთო-საჯარისო მეთაურების მომზადების სრულყოფა, ამასთან უზრუნველეყოთ მომავალი საარტილერიო ოფიცრების უწყვეტი სწავლება. საჭირო იყო, მოკლე ვადებში შეერჩიათ სასწავლო ქვედანაყოფებისთვის გამოცდილი მეთაურები, აღეჭურვათ პოლიგონები და სპეციალური კლასები, უზრუნველეყოთ დივიზიონი სასწავლო სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით. ყველა ეს საკითხი უმოკლეს ვადაში დადებითად გადაწყდა.

1935 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის ქვეითი სკოლა რეორგანიზაციის შემდეგ „ამიერკავკასიის გაერთიანებულ სამხედრო სკოლად“ (ЗОВШ) გადაკეთდა.

ეს სწავლების პროცესში ჯარების სახეობათა ურთიერთმოქმედების პრინციპის უფრო ფართოდ დანერგვისა და სამხედრო სკოლისადმი წაყენებული სხვა ამოცანების გადაჭრის საშუალებასაც იძლეოდა.

ამიერკავკასიის გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, გარდა სასწავლო ქვედანაყოფებისა, რომლებიც ამზადებდნენ მეთაურებს მსროლელი ნაწილებისა და საარტილერიო დივიზიონისთვის, იყო კავალერიის ქვეგანყოფილებაც, რომელიც უზრუნველყოფდა საკავალერიო ნაწილების მაღალი კვალიფიკაციის მქონე ოცმეთაურებით დაკომპლექტებას.

1937 წლის მარტში ამიერკავკასიის გაერთიანებულ სამხედრო სკოლში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა: თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით, ის გარდაიქმნა „26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის საარტილერიო სასწავლებლად“ (ТАУ). ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო მეთაურების განათლების დონის იმ ამოცანებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით, რომელთა გადაწყვეტაც იმ პერიოდში ეკისრებოდა კავკასიის არმიას. კერძოდ, მიმდინარეობდა კავკასიის არმიის ქვედანაყოფების აღჭურვა უახლესი სამხედრო ტექნიკითა და იარაღით, ამასთან გაიზარდა სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მიმართ მოთხოვნები ტაქტიკური მომზადების მიმართულებით.

სკოლის გარდაქმნას არსებითი ცვლილებები მოჰყვა სასწავლებელში მისაღებ კონტინგენტთან დაკავშირებით. სასწავლებელი ახლა უნდა შევსებულიყო არა მხოლოდ საუკეთესო ჯარისკაცებითა და სამხედრო ნაწილებიდან მოვლინებული უმცროსი მეთაურებით, არამედ სამოქალაქო პირებითაც. დადგინდა სამწლიანი სწავლება, რომლის დროსაც კურსანტები შეისწავლიდნენ სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ დისციპლინებს, რიგ სავალდებულო საგნებსა და უცხო ენას.

იმ კურსანტებისათვის კი, რომლებიც მოდიოდნენ სასწავლებელში საშუალო სკოლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ, დადგენილი იყო ორწლიანი სწავლება, საშუალო სკოლის დონეზე რუსულ ენასა და მათემატიკაში სავალდებულო გამოცდების ჩაბარებით.

სასწავლებლის ისტორიაში ახალი გვერდი გადაიშალა 1938 წლის 31 ოქტომბერს. ამ დღიდან მას ეწოდა „26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებელი“ (ТГАКУ). ეს ღონისძიება ძირეული შემობრუნების მომენტად იქცა სასწავლებლის ისტორიაში. მას შემდეგ და 1992 წლამდე ეს სასწავლებელი ამზადებდა მხოლოდ საარტილერიო მეთაურთა კადრებს.

1938 წლის 1 დეკემბრისთვის სასწავლებელი დაკომპლექტებული იყო კურსანტთა ორი დივიზიონით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასწავლო ბაზა.

განახლდა საარტილერიო პარკის მატერიალური ნაწილი და მოეწყო ახალი სპეციალური სასწავლო კლასები საბრძოლო მომზადების ახალი პროგრამების შესაბამისად. სასწავლებელი დაკომპლექტდა სამხედრო ნაწილებიდან, სხვა სასწავლებლებიდან და საარტილერიო კურსებიდან გადმოყვანილი გამოცდილი მეთაურებითა და არტილერისტ-პედაგოგებით, ნათლად განისაზღვრა თანამედროვე ბრძოლაში არტილერიის საბრძოლო გამოყენების პრინციპები და ამოცანები.

1939 წლის 8 სექტემბერს სასწავლებელმა გამოუშვა საარტილერიო ქვედანაყოფებისთვის ოცმეთაურების პირველი ჯგუფი.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დაიწყო მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ძალთა ბალანსი საომარ მოქმედებათა თეატრებზე. საბჭოთა კავშირის მთელი სამხედრო სისტემა შესაბამის რეჟიმზე გადავიდა.

აღნიშნული ცვლილებები შეეხო თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებელსაც. უკვე 1941 წლის აგვისტოში სასწავლებელმა გამოუშვა უმცროს მეთაურთა დიდი რაოდენობა, რომელმაც სასწრაფოდ შეავსო არტილერისტ-ოცმეთაურთა რიგები მოქმედი არმიის ნაწილებში. ამ დროიდან დაწყებული და ომის ბოლომდე, სასწავლებელი ამზადებდა საარტილერიო სამეთაურო კადრებს ფრონტისთვის.

ომის პირველსავე წელს სასწავლებელი საგრძნობლად გაფართოვდა, კერძოდ, სასწავლებელში ჩამოყალიბდა კურსანტთა გაფართოებული ოთხი დივიზიონი. სასწავლებელში სწავლება დაიწყო დაჩქარებული მომზადების პროგრამით.

სასწავლო პროცესს საფუძვლად დაედო ფრონტზე წარმოებული საბრძოლო მოქმედებების გამოცდილება, რომელიც ინერგებოდა საარტილერიო-საცეცხლე მომ-ზადებაში, აგრეთვე ტაქტიკისა და ტოპოგრაფიის საფუძვლების სწავლებაში. გაუმჯობესდა სპეციალური კლასები არტილერიაში, ტაქტიკაში, ტოპოგრაფიაში, არტილერიის მატერიალურ ნაწილში, აგრეთვე პოლიგონები.

სერიოზული მოთხოვნები წაუყენეს სასწავლებელს 1942 წელს – ფრონტს ესაჭიროებოდა დიდი რაოდენობის საშუალო რგოლის არტილერისტი-მეთაურები.

ომის პერიოდში სასწავლებელმა მოამზადა და ფრონტზე გაგზავნა ექვსი ათასზე მეტი არტილერიის ოფიცერი, მათ შორის: რუსი, უკრაინელი და ბელორუსი – 62,5%; ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი – 20,3%; სხვა ეროვნების – 17,2%. აღსანიშნავია, რომ ომის პერიოდში სასწავლებლის კურსანტთა ერთი დივიზიონი მუდმივად მოქმედებდა 34-ე ცალკეული ქვეითი ბრიგადის შემადგენლობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკასიის დასაცავად წარმოებულ ბრძოლებში.

სამხედრო სასწავლებელში ასწავლიდნენ ისეთი ცნობილი ქართველი მეცნიერე-ბი და პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: გიორგი ახვლედიანი, სარგის კაკაბაძე, დიმიტრი უზნაძე და სხვები.სასწავლებელში დიდი ყურადღება ექცეოდა სამხედრო დისციპლინას, კურსანტთა ფიზიკურ მომზადებას, მათ მიერ სხვადასხვა იარაღიდან სროლისა და საბრძოლო ტექნიკის ათვისებას.

თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებელი სრულყოფილ სამხედრო გა-ნათლებას აძლევდა თავის აღსაზრდელებს, რასაც ისინი კარგად იყენებდნენ პრაქ-ტიკაში. კერძოდ, სასწავლებლის კურსანტებმა თავი გამოიჩინეს კავკასიის ფრონტზე, განსაკუთრებით, კავკასიონის უღელტეხილების დაცვისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

1945 წლის 19 აგვისტოს, სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, 26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებელი საბჭოთა არმიისათვის მაღალკვალიფიციურ ოფიცერ-არტილერისტთა მომზადების დარგში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის «წითელი დროშის» ორდენით დაჯილდოვდა.

სასწავლებლის სამოც კურსდამთავრებულს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მათ შორის, თორმეტ ქართველს:

1. გალაქტიონ ალფაიძეს;
2. გიორგი ბილანიშვილს;
3. აკაკი ბუკიას;

4. ბორის ზუმბულიძეს;
5. სერგი კეთილაძეს;
6. ვიქტორ ლესელიძეს;
7. კონსტანტინე ლესელიძეს;
8. ალექსი პირმისაშვილს;
9. ლევან ჩუბინიძეს;
10. პლატონ წიქორიძეს;
11. ვლადიმერ ხარაზიას;
12. ვლადიმერ ჯანჯღავას.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1946 წლიდან, სასწავლებელი გადავიდა სამწლიან სწავლებაზე. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა სასწავლო პროცესის ძირეული რეორგანიზაციის საკითხი. კერძოდ, სასწავლებელი უნდა გადასულიყო მშვიდობიან პერიოდში ოფიცერთა მომზადების სისტემაზე. ახლებულად შემუშავდა სასწავლო პროგრამები და გეგმები, რომლებიც ორიენტირებული იყო ომისშემდგომ პერიოდში შეიარაღებული ძალების განვითარებაზე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და განახლდა სასწავლებლის სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ახალი მოთხოვნების შესაბამისად. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საარტილერიო-საცეცხლე მომზადებას, ტაქტიკას, სამხედრო ტოპოგრაფიასა და საარტილერიო დაზვერვას, არტილერიის მატერიალური ნაწილის შესწავლასა და სხვა დისციპლინებს.

ამავდროულად სამწლიანი სწავლების შემოღებისას შეიცვალა სასწავლებლის კურსანტთა კომპლექტაციის წესიც. კურსანტთა ახალი შევსება წარმოებდა ძირითადად საშუალო ან სპეციალური განათლების მქონე სამოქალაქო ახალგაზრდების ხარჯზე.

ეს ავალდებულებდა სასწავლებლის ხელმძღვანელობას, ისე განეხორციელებინა სასწავლო პროცესი, რომ სასწავლებლის კედლებში კურსანტები აღზრდილიყვნენ ოფიცერ-არტილერისტის საპატიო პროფესიისადმი სიყვარულის სულისკვეთებით.

სასწავლებლის ომისშემდგომმა პირველმა გამოშვებებმა აჩვენა, რომ ეს ამოცანა წარმატებით სრულდებოდა: მისი კედლებიდან გამოდიოდნენ კარგად მომზადებული ოფიცრები. კერძოდ, ახალგაზრდა საარტილერიო მეთაურები, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიდიოდნენ სამხედრო ნაწილებში და წარმატებით ართმევდნენ თავს მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს. ამის შესახებ თვითონ კურსდამთავრებულები და სამხედრო ნაწილების მეთაურები აცნობებდნენ ხოლმე სამხედრო სასწავლებლის ხელმძღვანელობას.

აგრძელებდა რა ჯარებისთვის არტილერიის ოფიცრების მომზადებას, სასწავლებელი იმავდროულად დიდ მუშაობას ატარებდა მთებში სროლის ტაქტიკის სრულყოფის მიმართულებით. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებისათვის, ასევე სხვა ოლქებისთვისაც.

სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა სასწავლო ფილმი სამთო სროლის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სხვა საარტილერიო პროფილის სასწავლებლებსა და სამხედრო ნაწილებში. მეთაურთა და მასწავლებელთა ძალისხმევით მომზადდა ვრცელი კონსპექტები და სხვა მასალები სამთო სროლის

საკითხებში, რომლებიც გამოიყენებოდა, როგორც სახელმძღვანელო და საკითხავი მასალა სამხედრო სასწავლებლებში.

1956 წლის 8 ოქტომბერს სასწავლებელს ისევ შეეცვალა დასახელება და მას ეწოდა „26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებელი“ (ТКАУ). 1967 წლის 3 ნოემბერს სასწავლებელის ტერიტორიაზე (კლუბის შენობაში) გაიხსნა სასწავლებლის ისტორიის მუზეუმი.

იუნკერთა ყოფილი სასწავლებლის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში 1921-92 წლებში სხვადასხვა დროს მოწყობილი იყო: საწყობი, საიარაღო სახელოსნო, სათოფე პოლიგონი, სამხედრო მაღაზია.

1969 წლის 1 ივნისს სასწავლებელს ისევ შეეცვალა დასახელება და მას ეწოდა „26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის უმაღლესი საარტილერიო წითელდროშოვანი სამეთაურო სასწავლებელი“(ТВАККУ). უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიქმნა კათედრები: ისტორიის, ტაქტიკის, ცეცხლის მართვის და სროლის, უმაღლესი მათემატიკის და თეორიული მექანიკის, მანქანების დეტალების და მასალათა გამძლეობის, ფიზიკის და ქიმიის, უცხო ენების, მარქსიზმ-ლენინიზმისა და სხვა. მოგვიანებით ჩამოყალიბდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კათედრა. ამიერიდან სასწავლებლის წარმატებით დასრულების შემდეგ, ყოველი კურსანტი იღებდა უმაღლეს განათლებას – ოფიცრის საარტილერიო-სამეთაურო სამხედრო სპეციალობას და საარტილერიო შეიარაღების ექსპლუატაციის ინჟინრის კვალიფიკაციას.

სულ 1938–92 წლებში სასწავლებელმა განახორციელა 154 გამოშვება, ხოლო ომის დროს თითოეულ წელს – 3 გამოშვება.

50-60-იან წლებში სასწავლებელში სპეციალურ კურსებზე ამზადებდნენ არტილერისტებს 17 ქვეყნისთვის, მათ შორის, 1956–69 წლებში სასწავლებელმა მოამზადა ოფიცერ-არტილერისტები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის.

1980 წლის 2 დეკემბერს, სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, 26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო წითელ-დროშოვანი სასწავლებელი საბჭოთა არმიისათვის მაღალკვალიფიციურ ოფიცერ-არტილერისტთა მომზადების დარგში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის «წითელი ვარსკვლავის» ორდენით დაჯილდოვდა.

1980–92 წლებში სასწავლებელს ისევ გადაერქვა სახელი და მას ეწოდებოდა „26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი სასწავლებელი“ (ТВАККОКЗУ).

სასწავლებლის კედლებიდან გამოდიოდნენ კარგად მომზადებული არტილერისტი მეთაურები. მათ შორის იყვნენ ოქროს მედალოსნებიც:

- ტარიელ მილორავა – ოქროს მედალოსანი (1975);
- ვალერი კარანაძე – ოქროს მედალოსანი (1981);
- კონსტანინე გაჩეჩილაძე – ოქროს მედალოსანი (1981).

სასწავლებლის ოქროს მედალი

1988 წლის 22 ივლისს სასწავლებელში შედგა საბჭოთა ოფიცრების უკანასკნელი საზეიმო გამოშვება.

1988 წლის შემოდგომიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. მთელი ერი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გარშემო დაირაზმა.

1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დღის წესრიგში საქართველოდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხიც დადგა.

რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის არტილერიის ოფიცრების მომზადების გაგრძელების მიზნით სასწავლებელი გაყვანილ იქნა საქართველოდან. მან შეიცვალა დისლოკაციის ადგილი და გადავიდა ქალაქ ეკატერინბურგში, რუსეთის ფედერაციაში. ეს მოხდა 1992 წლის 3 იანვარს, ახლადშექმნილი დსთ-ის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის №2 ბრძანების საფუძველზე.

1998 წლის 16 სექტემბერს სასწავლებელს გადაერქვა სახელი და ეწოდა ეკატერინბურგის წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი საარტი-ლერიო ინსტიტუტი (ЕкАИ).

2011 წლის 24 აგვისტოს სასწავლებელმა არსებობა შეწყვიტა. იმ მომენტისთვის იქ მყოფი კურსანტები გადაიყვანეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში.

ეს იყო უკანასკნელი უმაღლესი პროფილური საარტილერიო სამხედრო-სასწავლო დაწესებულება რუსეთის ფედერაციაში, სადაც ამზადებდნენ არტილერიის ოფიცრებს.

ტფილისის (თბილისის) სამხედრო სასწავლებლის უფროსები 1921-1992 წლებში

ილარიონ ტალახაძე
მეტყვიამფრქვევეთა
მე-2 ქვეითი სამეთაურო
კურსების უფროსი 1921–22 წწ.

ნიკოლოზ ბიაზი
გენერალ-ლეიტენანტი,
ტფილისის 21-ე ქვეითი
სკოლის უფროსი 1922–23 წწ.

ბორის ბობროვი
დივიზიის მეთაური,
ტფილისის 21-ე ქვეითი
სკოლის უფროსი 1924–25 წწ.

გიორგი არჯევანიძე
გენერალ-მაიორი,
ტფილისის 21-ე ქვეითი
სკოლის უფროსი 1925–27 წწ.

ვასილ კლემენტიევი
გენერალ-მაიორი,
ამიერკავკასიის გაერთიანე-
ბული ქვეითი სკოლის
უფროსი 1927–33 წწ.

პავლე ლუნიოვი
ბრიგადის მეთაური,
ამიერკავკასიის გაერთიანე-
ბული სამხედრო სკოლის
უფროსი 1933–37 წწ.

ნიკოლოზ ვასილკოვი
გენერალ-ლეიტენანტი,
თბილისის სამთო-საარტი-
ლერიო სამხედრო სასწავლებ-
ლის უფროსი 1938–39 წწ.

კონსტანტინე ბარონოვი
გენერალ-მაიორი,
თბილისის სამთო-საარტი-
ლერიო სამხედრო სასწავლებ-
ლის უფროსი 1939–42 წწ.

სერგი გულევიჩი
გენერალ-ლეიტენანტი,
თბილისის სამთო-საარტი-
ლერიო სასწავლებლის
უფროსი 1942–49 წწ.

ნიკოლოზ ნიკოლაევი
პოლკოვნიკი,
თბილისის სამთო-საარტი-
ლერიო სასწავლებლის
უფროსი 1949–56 წწ.

ნიკოლოზ ბესედინი
გენერალ-მაიორი,
თბილისის საარტილერიო
სასწავლებლის უფროსი
1956–1968 წწ.

ალექსი იგნატიევი
გენერალ-მაიორი,
თბილისის საარტილერიო
სასწავლებლის უფროსი
1968–1971 წწ.

ვლადიმერ ბაევი
არტილერიის გენერალ-მაიორი,
თბილისის საარტილერიო სასწავლებ-
ლის უფროსი
1971–75 წწ.

ვლადიმერ შუვალოვი
არტილერიის გენერალ-მაიორი,
თბილისის საარტილერიო
სასწავლებლის უფროსი
1975–85 წწ.

ვლადიმერ დენისენკო
გენერალ-ლეიტენანტი,
თბილისის საარტილერიო
სასწავლებლის უფროსი
1985–88 წწ.

ვალერი ციგანენკო
გენერალ-მაიორი,
თბილისის საარტილერიო
სასწავლებლის უფროსი
1988–92 წწ.

ბრძანება № 51

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს წითელი არმიის უმცროს მოთავეთა (ათისა და ოცის თავები) მოსამზადებლად დაარსდეს ქ. ტფილისში ყოველგვარი ჯარის „ქართული მოთავეთა კურსები“ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლების ტიპისა, შემდეგ საფუძველზე:

1. კურსების შემადგენლობა შევსებულ იქნეს ყველა კატეგორიის ყოფილ ნაცვალთა (ზემდეგნი ნაცვლები, თამვდეგნი) 25—35 წლ. გაწვევით, მუშებისა და გლეხების წრიდან.

2. მოთავეთა კურსების ცვალებითი შემადგენლობის რაოდენობა განისაზღვრება, მომენტის მოთხოვნილების მიხედვით, 600 კაცით.

3. ნორმალური სწავლის ვადა მოთავეთა კურსებზე უნდა იქნეს ერთი წელიწადი, ხოლო იმ მიზნით, რომ მალე შეივსოს საქართველოს წითელი არმია წითელი უფროსებით; წინადადება ეძლევა სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარს დანიშნოს რაც შეიძლება მოკლე ვადა პირველი კურსების დამთავრებისა.

4. ყოველგვარი სწავლება როგორც სამოსწავლო, ისე სამწყობრო უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე.

შენიშვნა: სამხდრო სპეციალისტების კომისია დაუყოვნებლივ შეუდგეს სამხედრო სასწავლო სახელმძღვანელოების და დებულებების ქართულ ენაზე გადათარგმნას.

5. მოთავეთა კურსებზე შესვლისათვის საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა ქართულ და რუსულ ენაზე, გადაცემა წაკითხულისა, შეძლებისდაგვარად რუსულ ენაზედაც, და არითმეტიკის ოთხი მოქმედების ცოდნა.

6. ზემოაღნიშნულის შესასრულებლად სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი დაუყონებლივ შეუდგეს მოთავეთა კურსების საჭირო შტატის შედგენას და დებულების შემუშავებას და იზრუნოს როგორც მასწავლებლთა პერსონალისა, ისე საადმინისტრაციო სამნეო ნაწილის თანამდებობის პირთა მოწვევისათვის.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სამხედრო და საზღვაო საქმეთა
სახალხო კომისარი **შ. ელიავა.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ., მაისის 14.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

ПРИКАЗ № 51

РЕВОЛЮЦИОННОГО КОМИТЕТА СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ СОВЕТСКОЙ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИИ.

Для подготовки младшего Командного состава (взводных и отделеных командиров) Грузинской Красной Армии, учредить в гор. Тифлисе „Грузинские Командные Курсы“ всех родов войск по типу Р. С. Ф. С. Р. (военно-учебное заведение) на следующих основаниях:

1. Комплектование произвести путем призыва б. унтер офицеров всех категорий (унтер-офицеры, фельдфебели, ефрейторы) в возрасте от 25 до 35 лет, из рабоче-крестьянской среды.

2. Численность переменного состава Командных Курсов устанавливается в соответствии с требованиями момента в 600 человек.

3. Нормальным сроком обучения на Командных Курсах установить годичный период. Для первого же выпуска Наркомвоенмору предлагается назначить кратчайший срок, с целью быстрого укомплектования частей Грузинской Красной Армии—Красными Командирами.

4. Все преподавание, как учебное, так и строевое, должно вестись на грузинском языке.

ПРИМЕЧАНИЕ: Комиссии военных специалистов немедлено приступить к переводу на грузинский язык военных учебников и уставов.

5. Образовательным цензом для поступления на Командные Курсы должно служить: уменье читать и писать на грузинском и русском языках, излагать прочитанное, по возможности и на русском языке, и четыре правила арифметики.

6. Наркомвоенмору, во исполнение настоящих указаний немедленно, приступить к выработке соответствующего штата и положения о Командных Курсах и озаботиться приисканием как преподавательскаго персонала, так и личного состава административно-хозяйственной службы.

Пред. Рев. Ком. С. С. Р.
Грузии **Ф. Махарадзе.**

Народ. Ком. по Воен.
и Морск. Делам **Ш Элиава.**

Секретарь Ревкома **Ш. Габричидзе.**

1921 г., мая 14.
Тифлис.—Дворец.

საქართველოს რევკომის ბრძანებულება №1 ქართული სამეთაურო კურსების გახსნის შესახებ

ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის მმართველობა და შტაბი (1923 წ.)

პირველ რიგში მარცხნიდან: კურსის მეთაურები ა. კოტრიკაძე, ი. ნიკოლეიშვილი, ი. რაზმაძე, ასმეთაურის მოადგილე პ. კიკნაძე, კურსის მეთაური გ. ჩიტაიშვილი, საარტილერიო განყოფილების კურსის მეთაური კ. ლესელიძე, კურსის მეთაური ს. მესხი.

მეორე რიგში მარცხნიდან: კომისიის მდივანი საპანაძე, ასეულის მეთაური ვ. ლისონოვი, კომკავშირის მდივანი ტ. შელია, ათასეულის მეთაური ივ. ადამიძე, სკოლის უფროსი და კომისარი ილარიონ (ვალიკო) ტალახაძე, სკოლის უფროსის მოადგილე სამწყობრო დარგში ალექსანდრე გედევანიშვილი – მეფის არმიის გენერალ-მაიორი პ. ხვინგია, პარტიული ბიუროს მდივანი დ. ჩახუნაშვილი.

მესამე რიგი მარცხნიდან: კურსის მეთაური პ. ქარაზანაშვილი, სამნეო ასეულის მეთაური ს. მაკარაძე, ასეულის მეთაური ს. გელაშვილი, ასმეთაურის მოადგილე ა. გველესიანი, ცხენოსანთა განყოფილების უფროსი ვ. გურგენიძე, ტყვიამფრქვევის სწავლების ხელმძღვანელი ნ. ჩიჩუა, ფიზკულტურის ხელმძღვანელი ა. იოსავა, საარტილერიო განყოფილების უფროსი დ. ქარუმიძე, საარტილერიო ბატალიის მეთაური ა. ლორთქიფანიძე, კურსის მეთაური ილ. მაღალაშვილი.

მეოთხე რიგში მარცხნიდან: კურსის მეთაური ლ. გოგატიშვილი, კურსის მეთაური ბ. გაბუნია, კურსის მეთაური დ. ბაქარაძე, ფიზკულტურის ხელმძღვანელი ვ. ვერულაშვილი, ცხენოსანთა განყოფილების კურსის მეთაური ი. ერისთავი, კურსის მეთაური კ. ზაალიშვილი, საარტილერიო განყოფილების კურსის მეთაური ვლ. დომუზაშვილი.

ქართული გაერთიანებული სამხედრო სასწავლებლის კურსანტები
(1926–1927წ.წ.)

კურსანტების მეცადინეობა სამწყობრო მოედანზე (1928 წ.)

სასწავლებლის პირადი შემადგენლობა (1945 წ.)

სასწავლებლის პირადი შემადგენლობა (1949 წ.)

1962 წელი

ბენიძეების სამხედრო დინასტია

1972 წ. 1992 წ

ავთანდილ ცქიტიშვილი, იოსებ ბარნაბიშვილი და თენგიზ ოშხერელი

მამა-შვილი – გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე
(საბჭოთა კავშირის გმირი – 1971) და პოლკოვნიკი ოთარ ლესელიძე

ქართველი გენერლები, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო სასწავლებელი საბჭოთა პერიოდში

კონსტანტინე ლესელიძე
გენერალ-პოლკოვნიკი,
დაამთავრა 1922 წ.

პორფილე ჩანჩიბაძე
გენერალ-პოლკოვნიკი,
დაამთავრა 1922 წ.

ვლადიმერ ჯანჯღავა
გენერალ-ლეიტენანტი,
დაამთავრა 1931 წ.

გალაქტიონ ალფაიძე
არტილერიის გენერალ-
ლეიტენანტი,
დაამთავრა 1940 წ.

პავლე აბრამიძე
გენერალ-მაიორი,
დაამთავრა 1926 წ.

ნიკოლოზ თავართქილაძე
გვარდიის გენერალ-მაიორი
დაამთ.1927 წ.

მიხეილ როსტომაშვილი
გენერალ-მაიორი
დაამთ.1922 წ.

ილია რაზმაძე
გენერალ-მაიორი
დაამთ.1922 წ.

ივანე ბაბალაშვილი
გენერალ-მაიორი
დაამთ.1925 წ.

ნიკოლოზ კალაძე
გენერალ-მაიორი
დაამთ.1927 წ.

დიმიტრი შანშაშვილი
ავიაციის გენერალ-მაიორი
დაამთ.1930 წ.

დიმიტრი ნამგალაძე
გენერალ-მაიორი
დაამთ.1925 წ.

პანტელეიმონ შიოშვილი
გენერალ-მაიორი
დაამთ.1928 წ.

ვლადიმერ ხუბულური
გენერალ-მაიორი
დაამთ.1927 წ.

ლავრენტი გოლიაძე
ავიაციის გენერალ-მაიორი
დაამთ.1931 წ.

ვალენტინ აფაქიძე
გენერალ-მაიორი
დაამთ.1928 წ.

ქართული არმიის გენერლები, რომლებმაც დაამთავრეს თბილისის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელი

შოთა ბაიაძე
დაამთ. 1966 წ.

დავით ზეიკიძე
პოლიციის გენერალ-მაიორი,
დაამთ. 1967 წ.

ვალერი ქვარაია
დაამთ. 1971 წ.

თენგიზ ოშხერელი
დაამთ. 1972 წ.

ემზარ ჭოჭუა
დაამთ. 1972 წ.

ავთანდილ ცქიტიშვილი
დაამთ. 1972 წ.

ზაურ უჩაძე
დაამთ. 1973 წ.

გურამ ნიკოლაიშვილი
დაამთ. 1974 წ.

ჯიმი ზარიძე
დაამთ. 1974 წ.

თეიმურაზ ლორია
დაამთ. 1974 წ.

პაატა დათუაშვილი
დაამთ. 1975 წ.

თენგიზ შუბლაძე
დაამთ. 1975 წ.

გიორგი უჩავა
დაამთ.1975 წ.

ვლადიმერ იმნაძე
დაამთ. 1976 წ.

გიორგი თორაძე
დაამთ. 1978 წ.

გიორგი შერვაშიძე
დაამთ. 1978 წ.

დევი ჭანკოტაძე
დაამთ. 1982 წ.

გელა უღრელიძე
დაამთ. 1982 წ.

კორნელი სალია
დაამთ. 1986 წ.

რომან დუმბაძე
დაამთ. 1987 წ.

გიორგი ყარყარაშვილი
დაამთ. 1987 წ.

თამაზ ნადარეიშვილი
სწავლობდა სასწავლებელში 1971-75 წწ.

ახლადგამოშვებული ლეიტენანტები

ჯიმი ზარიძე

ვლადიმერ იმნაძე

გიორგი შერვაშიძე

სამხედრო სასწავლებლის ცნობილი კურსდამთავრებულები

დივიზიის გენერალი ასლან მასხადოვი

1969-1972 წ.წ. სწავლობდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში.

1994-1996 წ.წ. ჩეჩნეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი.

1997-2005 წ.წ. – ჩეჩნეთის რესპუბლიკის მე-2 პრეზიდენტი.

ოთარ კობერიძე

თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებული (1943 წ.)
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი (1958 წ.)
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1967 წ.)

ამ სასწავლებელში ლექციებს კითხულობდნენ:



გიორგი ახვლედიანი

სარგის კაკაბაძე



დიმიტრი უზნაძე

მარცხნივ: თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორი, იუსტიციის პოლკოვნიკი ჯ. გოგიტიძე და სასწავლებლის უფროსი, არტილერიის გენერალ-მაიორი ვ. შუვალოვი სასწავლებლის მუზეუმში, 1982 წელი.

კურსანტთა სამხრეები და მკლავის შევრონი (1943–1983)

კურსანტის ქამრის ბალთა და ლეიტენანტის სამხრეები
(50–60-იანი წლები)

ტფილისის სამხედრო სასწავლებლის სამკერდე ნიშნები

ტფილისის 21-ე ქვეითი სკოლის ჟეტონი (1924–1927 წწ.) № 600 *
(დამზადებულია უცნობ სახელოსნოში, ბრინჯაო, მოოქროვილია)
წარწერა რუსულ ენაზეა „21-Я ПЕХ.КОМАНДНАЯ ШКОЛА „г.ТИФЛИС“

ტფილისი ქვეითი სასწავლებლის (ТПУ) ნიშანი (1927-1929 წ.წ.) *
(ვერცხლი, მინანქარი)

ტფილისის ქვეითი სასწავლებლის სამკერდე ნიშანი * (1929 გამოშვება)
(ვერცხლი, მინანქარი),

თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებლის სამკერდე ნიშანი (1946–1950 წ.წ.) * (ბრინჯაო, მინანქარი), (ТГАУ)

თბილისის საარტილერიო სასწავლებლის სამკერდე ნიშნები (1950–1956 წ.წ.) *

- რეზერვის ვიცე-პოლკოვნიკ მ. გოგოლაძის კერძო კოლექციიდან

თბილისის უმაღლესი სამეთაურო საარტილერიო სასწავლებლის
კურსდამთავრებულის სამკერდე რომბები (1961–1982), (1982–1991)

საარტილერიო სასწავლებლის მიერ მიღებული ჯილდოები

„წითელი დროშის" ორდენი (1945)

„წითელი ვარსკვლავის" ორდენი (1981)

თბილისის საარტილერიო სასწავლებლის საიუბილეო ნიშნები (1971, 1981, 1991)

საბჭოთა რეჟიმის მიერ ამიერკავკასიის ქვეითი სკოლის რეპრესირებული ქართველი ოფიცრები

1. **იაკიმე ბაქარაძე** (1900-1938)
   პოლკოვნიკი, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
   (დახვრიტეს 14.07.1938)

2. **მიხეილ ჩაჩანიძე**
   პოლკოვნიკი, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის უფროსის თანაშემწე სასწავლო დარგში
   (დახვრიტეს 19.09.1937)

3. **ივანე ფაღავა** (1894-1937)
   მაიორი, ამიერკავკასიის ქვეითი სკოლის ტაქტიკის ხელმძღვანელი
   (დახვრიტეს 9.11.1937)

4. **გრიგოლ თოდუა**
   კაპიტანი, ამიერკავკასიის ქვეითი სკოლის ტოპოგრაფიის ხელმძღვანელი (დახვრიტეს 28.04.1938)

5. **ონისიმე ლეშკაშელი** (1900-1937)
   კაპიტანი, ამიერკავკასიის ქვეითი სკოლის ასეულის მეთაური
   (დახვრიტეს 31.12.1937)

6. **შალვა ჩავლაძე**
   უფროსი ლეიტენანტი, ამიერკავკასიის ქვეითი სკოლის ბატალიონის ოცმეთა-ური
   (დახვრიტეს 29.04.1938)

დამოუკიდებლობის წლები

90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ურთულესი პროცესები განვითარდა ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. მართალია, საქართველომ ბოლოს და ბოლოს მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა (გაუქმდა საქართველოს სსრ სტრუქტურები და დაიწყო ახალი სისტემის ფორმირება), მაგრამ საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში დაიწყო რუსეთიდან ინსპირირებული ეთნიკური დაძაბულობისა და მწვავე დაპირისპირების ხანგრძლივი პროცესი.

რუსეთის რეაქციული ძალები უხეშად ერეოდნენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო საქმეებში, ძაბავდნენ ეროვნებათაშორის ურთიერთობებს და ერებს შორის სეპარატისტულ განწყობილებებს აღვივებდნენ. დამოუკიდებელი რესპუბლიკების წინააღმდეგ აქტიურად ეწეოდნენ ინფორმაციულ და იდეოლოგიურ ომს.

ინფორმაციული და იდეოლოგიური ომის წარმოებასთან ერთად რუსეთის რეაქციულმა ძალებმა საქართველოში ოსი და აფხაზი (აფსუა) სეპარატისტების საბრძოლო რაზმების ორგანიზება და მათი საბრძოლო იარაღითა და ტექნიკით მომარაგებაც ითავეს. მათივე სამხედრო სპეციალისტები დახმარებას უწევდნენ სეპარატისტებს საბრძოლო მოქმედებების წარმოებაში.

ეს იყო რუსეთ-საქართველოს უკვე მესამე, ამჯერად იმ არაპირდაპირი და შენიღბული ომის დასაწყისი, რომელიც რუსეთმა საქართველოს მიერ დმოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო. ამ ომის წარმოებისას რუსეთი სააშკარაოზე არ გამოსულა, თუმცა საქართველოს წინააღმდეგ ყველა ხილულ თუ უხილავ ფრონტზე მოქმედებდა. ყველაფერი რუსეთიდან იგეგმებოდა და სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიებზე წარმოებულ საომარ მოქმედებებსაც რუსეთის სამხედრო სპეციალისტები მართავდნენ.

საერთო ჯამში ეს იყო იმ დიდი ომის დასაწყისი, რასაც დღეს კომპლექსურ ან ჰიბრიდულ ომს უწოდებენ. ომს, რომელიც ჯერ არ დასრულებული და იგი დღესაც მიმდინარეობს...

ასეთ რთულ ვითარებაში გადაუდებელ საჭიროებად იქცა ახლადშექმნილი საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადება. შესაბამისად, ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური წრეების წინაშე მწვავედ დაისვა ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსების შექმნის საკითხი.

იმასთან დაკავშირებით, რომ 26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის უმაღლესმა საარტილერიო სამეთაურო წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი სასწავლებელი გადავიდა რუსეთში და შეიცვალა დისლოკაციის ადგილი (იგი 1992 წლის 2 მაისიდან ქალაქ ეკატერინბურგში განთავსდა), კურსების დაარსებისთვის შეირჩა ზუსტად თბილისის ყოფილი საარტილერიო სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ყაზარმები, სასწავლო კორპუსები და სავარჯიშო-საწვრთნელი ბაზები.

არსებული პირობების შესწავლის შემდეგ, 1992 წლის 1 აპრილს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, გენერალ-მაიორ გიორგი ყარყარაშვილის ბრძანებით შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს «ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსები».

კურსების უფროსად დაინიშნა ვიცე-პოლკოვნიკი თენგიზ შუბლაძე, ხოლო მოადგილეებად:

- სასწავლო დარგში – მაიორი გიორგი შერვაშიძე;
- აღმზრდელობით დარგში – ვიცე-პოლკოვნიკი იაგო გოგსაძე;
- ზურგის დარგში – მაიორი პაატა ძნელაძე;

კურსებზე შეიქმნა ცალკეული ციკლები, მათ შორის:

- ტაქტიკის, სამხედრო-ტექნიკური მომზადების, ფიზიკური და სამთო მომზადების და სხვ.

იმავდროულად ჩამოყალიბდა:

- კურსების საბინაო-საექსპლუატაციო სამსახური;
- საკომენდანტო ოცეული;
- უზრუნველყოფის ასეული;
- სამედიცინო სამსახური და ყოველივე სხვა, რაც აუცილებელი იყო სწავლის ორგანიზაციისთვის.

სწავლის პროცესის დაგეგმვისა და მართვისთვის შეიქმნა კურსების სასწავლო ნაწილი.

კურსებმა ფუნქციონირება დაიწყო, თუმცა რამდენიმე თვეში, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რეგიონში რუსეთიდან ინსპირირებული და მართული შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. კონფლიქტის ზონაში მიავლინეს კურსების ოფიცრები ვიცე-პოლკოვნიკ თენგიზ შუბლაძის ხელმძღვანელობით.

გაგრასთან ბრძოლაში, 1992 წლის 15 სექტემბერს დაიღუპა კურსების ოფიცერი, მაიორი მიხეილ გამკაძე. გუმისთის ხეობის გაკონტროლებისა და სოფელ შრომის დაცვის დროს კი, 1992 წლის 3 ნოემბერს დაიღუპნენ კაპიტანი თეიმურაზ ძიძიგური და ზემდეგი იაგო ქავთარაძე, ხოლო ვიცე-პოლკოვნიკი თენგიზ შუბლაძე დაიჭრა.

საომარ მოქმედებებში მიღებული გამოცდილება კურსების თითოეული ოფიცრისა და ზემდეგისთვის უაღრესად სასარგებლო იყო, თუმცა კურსები ვერ აკმაყოფილებდა იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რასაც სახელმწიფო უყენებდა რუსეთთან ომში ჩაბმულ ახლადშექმნილ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. ამიტომაც იყო, რომ 1993 წლის 15 თებერვალს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს №7/23 დადგენილების შესაბამისად, გადაწყდა სამხედრო აკადემიის შექმნა სამხედრო ძალებისათვის ოფიცერთა სამეთაურო კადრების მომზადების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის

საბჭოს დადგენილება №7/23

1993 წლის 15 თებერვალი, ქ. თბილისი

საქართველოს სამხედრო აკადემიის დაარსების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისათვის მაღალკვალიფიციური პროფესიონალი ოფიცრების მომზადების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან დაარსდეს საქართველოს სამხედრო აკადემია.

2. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ:

შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს სამხედრო აკადემიის დებულება, სტრუქტურა და საშტატო განრიგი;

ერთი თვის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ წარუდგინოს საქართველოს სამხედრო აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა;

ქმედითი დახმარება გაუწიოს საქართველოს სამხედრო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და სასწავლო აუდიტორიებისა და ლაბორატორიების მოწყობაში, უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის ტრანსპორტით, ტექნიკური საშუალებითა და ავეჯით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ 1993 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს საქართველოს სამხედრო აკადემიის დაარსებისათვის საჭირო ასიგნებების გამოყოფა.
4. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ლიმიტის ფარგლებში ქმედითი დახმარება გაუწიოს საქართველოს სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელობას აკადემიის შენობისა და სასწავლო ობიექტების მშენებლობის, მისთვის გამოყენებული შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტისა და ხელახალი მოწყობის საქმეში.
5. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ საქართველოს სამხედრო აკადემიას გამოუყოს საჭირო რაოდენობით საქალაქო და სამთავრობო სატელეფონო ნომრები და უზრუნველყოს საქალაქთაშორისო კავშირით.
6. საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტმა დახმარება გაუწიოს საქართველოს სამხედრო აკადემიას სპორტული ბაზის შექმნასა და სპორტული ინვენტარის შეძენაში.
7. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ მიღებული განაცხადების საფუძველზე უზრუნველყოს საქართველოს სამხედრო აკადემია სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის, ისტორიული, პედაგოგიური და სხვა ლიტერატურით.
8. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ აქტიური პროპაგანდა გაუწიოს საქართველოს სამხედრო აკადემიის დაარსებას და გააშუქოს ამასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის
ეროვნული უშიშროებისა და
თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-მაიორმა გიორგი ყარყარაშვილმა 1993 წლის 28 მაისს გამოსცა ბრძანება №267 «საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემიის დაარსების შესახებ».

გაერთიანებულ სამხედრო აკადემიას უნდა მოემზადებდებინა ქართველ ოფიცრები მოტომსროლელი, სატანკო, საარტილერიო, შინაგანი ჯარებისა და სასაზღვრო ძალებისათვის.

აკადემიის დაარსებასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებას თან დიდი სიძნელეები ახლდა, რაც გამოწვეული იყო ამ პერიოდისათვის ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებით და საქართველოში არსებული მძიმე კრიმინოგენური ვითარებით.

საქართველოში ბანდ-ფორმირებების თარეში და საფინანსო-ეკონომიკური სიძნელეები მძიმე პირობებს ქმნიდა ახლად დაარსებული სამხედრო აკადემიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

თავდაცვის მინისტრის ბრძანების თანახმად, სწავლა უნდა დაწყებულიყო 1993 წლის 1-ლ სექტემბერს. ესე იგი, სულ რაღაც სამი თვის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბებულიყო სამხედრო აკადემიის კათედრები და სამსახურები, რომლებიც უნდა დაკომპლექტებულიყო სათანადო კადრებით. გარდა ამისა, უნდა დამუშავებულიყო სასწავლო პროგრამები, თემატური გეგმები და ჩატარებულიყო მისაღები გამოცდები. ამ შრომატევადი საქმის მოგვარება გამოუცდელი კადრებით მეტად ძნელდებოდა.

ხელმძღვანელობამ მოძებნა საბჭოთა არმიის (ძირითადად, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის) ყოფილი ოფიცრები. მათი დახმარებით ბევრი რამ მოგვარდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყოფილი საარტილერიო სასწავლებელი ერთპროფილიანი იყო (არტილერისტებს ამზადებდა), ამიტომ აკადემიაში ჯარების ხუთი სახეობისთვის ოფიცერთა კადრების მომზადება დიდ სირთულეებს ქმნიდა. საბოლოოდ განისაზღვრა მთავარი მიმართულებები და აკადემია რთული ამოცანების შესრულებას შეუდგა.

უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრა კათედრების რაოდენობა, შეიქმნა პროფესორ-მასწავლებელთა შესარჩევი კომისია. კომისიამ შეიმუშავა აკადემიის დებულება და აკადემიაში კურსანტთა მიღება გამოაცხადა.

პრესაში გამოცხადდა პირობები და მოსამზადებელი ოფიცრების სპეციალობები (პროფილი).

აკადემიის დაარსება და უამრავი საკითხი, რაც სასწავლო პროცესის ორგანიზაციასა და მატერიალურ-ტექნიკურიი ბაზის შექმნასთან იყო დაკავშირებული, ხორციელდებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უშუალო მონაწილეობითა და ხელშეწყობით.

აკადემია ოფიცრებითა და ზემდეგებით 1993 წელს დამტკიცებული შესაბამისი საშტატო განრიგით (შტატი №22 /104) დაკომპლექტდა.

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი თენგიზ შუბლაძე.

- მის პირველ მოადგილედ – პოლკოვნიკი ჯიმი ზარიძე;
- მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში – პოლკოვნიკი შოთა ვაშაკიძე;
- მოადგილედ აღმზრდელობით და სოციალურ-სამართლებრივი მუშაობის დარგში – ვიცე-პოლკოვნიკი იაგო გოგსაძე;
- მოადგილედ ზურგის დარგში – ვიცე-პოლკოვნიკი პაატა ძნელაძე;
- მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში – I რანგის კაპიტანი გივი ბარკალაია;
- მოადგილედ ტექნიკისა და შეიარაღების დარგში – პოლკოვნიკი კარლო ბუსკივაძე;
- მოადგილედ კაპიტალური მშენებლობის დარგში – ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ შალიკაშვილი;

თითოეული მათგანი გამოირჩეოდა კომპეტენტურობითა და დაკისრებული მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობით. ამიტომაც იყო, რომ სამხედრო აკადემიამ მალე დაიწყო ფუნქციონირება და სასწავლო პროცესიც თანდათან მოწესრიგდა.

აკადემიაში ჩამოყალიბდა ათი კათედრა, მათ შორის:

- ტაქტიკური მომზადების (უფროსი – პოლკოვნიკი თ. ამირანაშვილი);
- საარტილერიო მომზადების (უფროსი – ვიცე-პოლკოვნიკი ნ. მიქაუტიძე);
- სპეციალური მომზადების (უფროსი – პოლკოვნიკი პ. ბიჭაშვილი);
- შეიარაღებისა და სროლის (უფროსი – პოლკოვნიკი რ. ციციშვილი);
- ჯავშანსატანკო მომზადების (უფროსი – ვიცე-პოლკოვნიკი პ. მარღანია);
- ფიზიკური და სამთო მომზადების (უფროსი – პოლკოვნიკი ო. ვაშაკიძე);
- ისტორიის (უფროსი – პროფ. ა. ბენდიანიშვილი);
- ფილოსოფიისა და ეკონომიკური მეცნიერების (უფროსი – პროფ. ვ. კალანდა-რიშვილი);
- ფილოლოგიის (უფროსი – დოცენტი ლ. ჩინჩალაძე);
- ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის (უფროსი – დოცენტი ზ. ცუცქირიძე).
- ჩამოყალიბდა მსმენელთა სასწავლო ბატალიონი (მეთაური – ვიცე-პოლკოვ-ნიკი მ. გიორგაძე);
- უზრუნველყოფის ასეული (მეთაური – ლეიტენანტი დ. ბადრიძე).

გარდა კათედრებისა, აკადემიის დაქვემდებარებაში მოექცა სასწავლო ცენტრი „ვაზიანი“, რომლის უფროსადაც დაინიშნა ვიცე-პოლკოვნიკი ზ. პაქსაძე.

პროგრამების შედგენისა და სამინისტროებთან შეთანხმების პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მისაღები გამოცდების შესახებ შეიმუშავეს დებულება, აკ-დემიის რექტორის ბრძანებით შეიქმნა კომისია და განისაზღვრა საგნები, რომლებშიც ჩატარდებოდა მისაღები გამოცდები. კერძოდ, ეს იყო საქართველოს ისტორია, ქარ-თული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა და ფიზმომზადება.

დაიწყო მისაღები გამოცდები. და აი, მოხდა საოცრება, რაც დღევანდელი გადასახედიდან გაუგებარიც კია: ახალგაზრდობა აკადემიას მოაწყდა, მსურველი ძალიან ბევრი აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ მისაღები პირობების გამოქვეყნებისთანავე აკადემიაში 361 განცხადება შემოვიდა. ასეთი რამ მოულოდნელიც კი იყო მაშინდელი ხელმძღვანელობისათვის. ყოველივე ამან დიდი სტიმული წარმოშვა და დაიწყო მე-2 ეტაპი, ანუ კათედრების დაკომპლექტება.

ქვეყანა ომის პირობებში იყო, ჯარი – მშიერი, ჩაუცმელ-დაუხურავი და მოუვლელი...

რას მოჰყავდა ქართველი ახალგაზრდობა აკადემიაში?

პატრიოტიზმს! მხოლოდ პატრიოტიზმს!

მოსამზადებელი სამუშაოების მე-3 ეტაპი იყო სასწავლო პროგრამებისა და თემატური გეგმების შედგენა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხედრო სპეციალობების კათედრების სასწავლო გეგმების შედგენაში აკადემიას დიდი დახმარება გაუწიეს იმ ქართველმა და არაქართველმა გადამდგარმა ოფიცრებმა, რომლებმაც თავის დროზე საბჭოთა ჯარში იმსახურეს, ახლა კი თავიანთ გამოცდილებას საქართველოს ახმარდნენ. საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ პროგრამები, როგორც წესი, ერთდროულად თავდაცვისა და განათლების სამინისტროებთან უნდა შეთანხმებულიყო. რთული აღმოჩნდა საათების განაწილებაც (საგნებისა და სემესტრების მიხედვით).

გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში 198 კურსანტი ჩაირიცხა. ახლად მიღებული კონტინგენტი ერთი თვით გაიგზავნა ვაზიანში, სადაც ახალგაზრდებმა მებრძოლის საწყისი მომზადების კურსი გაიარეს.

კურსანტებმა აითვისეს სამწყობრო მომზადების პროგრამა და სამხედრო წესდებები, ბოლოს კი სამხედრო ფიცის მიღების ცერემონიალი ჩატარდა.

1993 წლის 1 სექტემბერს პირველი ზარი დაირეკა და გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში სასწავლო პროცესიც დაიწყო.

მიღებული კონტინგენტი ერთობ ჭრელი და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. კურსის დაახლოებით 30-40% აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაომარი ბიჭები იყვნენ. ბევრი მათგანი დაჭრილი და კონტუზიაგამოვლილი იყო. კურსანტებს შორის მწვავე ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა იჩინეს თავი.

პირველი სასწავლო წლის მე-2 სემესტრში გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელობამ საკმაოდ რაციონალური და ეფექტიანი გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, ნაომარი კურსანტები ინტენსიური მომზადების კურსებზე გადაიყვანეს და ისინი ექვსთვიანი დაჩქარებული კურსების გავლის შემდეგ ოფიცრის წოდებით დაუბრუნდნენ სამხედრო ნაწილებს. მათი საბრძოლო გამოცდილება საამისო საფუძველს ნამდვილად იძლეოდა.

მძიმე, მტკივნეული გამოდგა აკადემიის ჩამოყალიბების პერიოდი. ნელ-ნელა სასწავლო პროცესი კალაპოტში ჩადგა. გაჭირვება დიდი იყო, მაგრამ ენთუზიაზმი მაინც ბევრად სჭარბობდა მას. გაყინულ დარბაზებში ატარებდნენ ლექციებს, ლიტერატურულ-მხატვრულ საღამოებს, შეხვედრებს, კონფერენციებს. თანდათანობით იკვეთებოდა აკადემიის სახე, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სლოგანი იყო – ,,სამშობლო, ღირსება, მოვალეობა!“

მომდევნო წელს კონკურსი ერთიორად გაიზარდა და არჩევანის საშუალებაც გაჩნდა.

1997 წლის 12 ივლისს შედგა დამოუკიდებელი საქართველოს ქართველ ოფიცერთა პირველი ნაკადის გამოშვება.

ამ პერიოდისთვის აკადემია უკვე ჩამოყალიბებული იყო, როგორც უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, საკუთარი კადრებითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

საზეიმო ვითარებაში 76 კურსდამთავრებულს გადაეცა დიპლომი და შესაბამისი სამკერდე რომბი.

საერთო ჯამში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებულმა სამხედრო აკადემიამ ოთხწლიანი სასწავლო პროგრამით შვიდი გამოშვება განახორციელა. ქართულმა ჯარმა თავის რიგებში 1033 ოფიცერი მიიღო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულები დღეს უკვე პოლკოვნიკები და გენერლები არიან და ისინი ღირსეულად ხელმძღვანელობენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტი
(1993–2009)

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტი შეიქმნა ბათუმის უმაღლეს სამოქალაქო სასწავლებელში არსებული სამხედრო-საზღვაო კათედრის ბაზაზე (საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1993 წლის 6 ოქტომბრის №518 ბრძანების შესაბამისად).

სწავლების ვადა განისაზღვრა ხუთი წლით, ხოლო კადრების მომზადება ორი – ,,ხომალდის ინჟინერ-შტურმანისა“ და ,,ინჟინერ-მექანიკოსის“ სპეციალობით. აკადემიის სამხედრო-საზღვაო ძალების ფაკულტეტს დაევალა აგრეთვე ბათუმის სამოქალაქო საზღვაო აკადემიის სტუდენტების თადარიგის ოფიცრებად მომზადება.

სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტის შექმნა და ფუნქციონირება დიდწილად განაპირობა ღვაწლმოსილი პიროვნების, კონტრ-ადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილის მოღვაწეობამ. ფაკულტეტის კათედრების შექმნა, სასწავლო პროგრამების შედგენა და თვით სპეციალისტების შერჩევაც კი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

აკადემიის სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტის უფროსად დაინიშნა I რანგის კაპიტანი გ. ჰაიდაროვი, ხოლო მოადგილეებად:

- II რანგის კაპიტანი ბ. დოღონაძე და III რანგის კაპიტანი ს. მაჩიტიძე;
- ვიცე-პოლკოვნიკი გ. ნინიძე (ზურგის დარგში);
- სასწავლო განყოფილების უფროსად – კაპიტან-ლეიტენანტი ა. ფუტკარაძე.

აკადემიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო-საზღვაო ძალებში მომსახურე და თადარიგის ოფიცერთაგან ჩამოყალიბდა მასწავლებელთა ჯგუფი, რომლებმაც მოამზადეს სასწავლო გეგმები და საგნობრივი პროგრამები.

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტზე 2000 წელს შეიქმნა ოთხი კათედრა:

- ტაქტიკისა და ნავიგაციის (კაპიტან-ლეიტენანტი ა. ფუტკარაძე);
- მექანიკურ საშუალებათა (I რანგის კაპიტანი ე. ჯაკობია);
- ფლოტის საბრძოლო საშუალებათა (I რანგის კაპიტანი გ. სარუხანიანი);
- ზოგადსაგანმანათებლო და ჰუმანიტარული დისციპლინების (ს/პ დ. ნოდია).

2001–2002 წლებში სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტს დაემატა ახალი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც ხელს შეუწყობდა საქართველოს საზღვაო სივრცეში სამხედრო ფლოტის მოქმედების გაუმჯობესებას. ამ ამოცანებს შორის იყო სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტის ბაზაზე საზღვაო მესაზღვრეთა მომზადება.

სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება განხორციელდა 1999 წელს.

„ხომალდის ინჟინერ-მექანიკოსის“ სპეციალობა მიიღო თორმეტმა კურსანტმა და „ხომალდის ინჟინერ-შტურმანისა“ – აგრეთვე თორმეტმა კურსანტმა.

ხუთწლიანი პროგრამით განხორციელდა ექვსი გამოშვება და სულ 176 კაცს მიენიჭა „ლეიტენანტის“ სამხედრო-საზღვაო წოდება.

2009 წელს ფაკულტეტი გაუქმდა და მისი მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზა ბათუმის საზღვაო აკადემიას გადაეცა.

სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტი
(1999–2010)

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სისტემაში სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტის დაარსება და ფუნქციონირება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში. ამ ფაკულტეტის დაარსებით მოგვარდა საქართველოს სამხედრო ავიაციისათვის სპეციალისტების მომზადების საკითხი.

სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტს თავისი ისტორია აქვს. იგი დაარსდა 1999 წლის 18 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტის №198 ბრძანებულებით, არსებული აკადემიის სამხედრო-საჰაერო ფილიალის ბაზაზე.

დაარსებისთანავე განისაზღვრა სპეციალობები. კერძოდ, აკადემიას უნდა მოემზადებინა საფრენოსნო, საინჟინრო, საფრენი აპარატების, რადიოელექტრონული მოწყობილობების, შეიარაღებისა და ძრავების კონსტრუქციის სპეციალისტები.

– საავიაციო ფაკულტეტის უფროსად დაინიშნა ავიაციის პოლკოვნიკი ბ. დოლიძე;
– სასწავლო განყოფილების უფროსად – ფაკულტეტის უფროსის მოადგილედ, ჯ. ხუროშვილი;
– კურსის უფროსად – უფროსი ლეიტენანტი ო. ბრეგვაძე;
– ასეულების მეთაურებად – უფროსი ლეიტენანტები ვ. მონასელიძე და გ. ცეცხლაძე;
– ფაკულტეტის უფროსის მოადგილედ სამეურნეო დარგში – მ. ბუცურაშვილი.

გადაწყდა, რომ სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტის კურსანტები, სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეცილურ მომზადებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტში (დირექტორი პროფ. ს. ტეფნაძე) გაივლიდნენ სპეციალურ დისციპლინებში. ფაკულტეტის სასწავლო ბაზებად განისაზღვრა ქალაქ მარნეულისა და დაბა ალექსეევკის სასწავლო ცენტრები, სადაც Л-29 და СУ-25 ტიპის თვითმფრინავებისა და МИ-24 შვეულმფრენების ბაზები იყო განთავსებული, აგრეთვე რადიოტექნიკური ჯარების ბაზა „მახათა“ (საკომანდო პუნქტი) – საჰაერო თავდაცვის რადიოლოკაციური სისტემების შესასწავლად.

2001 წელს სამხედრო-საჰაერო ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა შემდეგი კათედრები:

– საფრენი აპარატების კონსტრუქტორების (უფრ. უ. როინიშვილი);
– საფრენი აპარატების ავტომატური სისტემების (უფრ. ვ. ბაბუნაშვილი).

2001 წელს შედგა სამხედრო-სავიაციო ფაკულტეტის კურსანტთა 1-ლი გამოშვება. სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტმა მაშინდელი სასწავლო პროგრამით გამოუშვა 33 სპეციალისტი, აქედან – 15 მფრინავი. 2002 წელს – 43 სპეციალისტი, აქედან – 16 მფრინავი. 2003 წელს კი – 2 სპეციალისტი.

2001 წლის საკანონმდებლო ცვლილებით სამხედრო-საჰაერო ძალები და საჰაერო თავდაცვის ჯარები გაერთიანდა, ხოლო 2010 წელს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები, როგორც შეიარაღებული ძალების შემადგენელი სახეობა, გაუქმდა. ეს სახეობები სახმელეთო ჯარების დაქვემდებარებაში გადავიდა საავიაციო და საჰაერო თავდაცვის ბრიგადების სახით. შესაბამისად გაუქმდა სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტიც.

სამხედრო ადიუნქტურა

სამხედრო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების გათვალისწინებითა და შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 26 ივლისის №172 ბრძანების საფუძველზე თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ფუნქციონირება დაიწყო სამხედრო ადიუნქტურამ შემდეგი სპეციალობებით:

- შეიარაღებული ძალების მშენებლობა (მათ შორის, შეიარაღებული ძალების სახეობების, შეიარაღებული ძალების ზურგის, ჯარების გვარეობათა და სპეციალური ჯარების);
- შეიარაღების თეორიისა და შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა განვითარების ზოგადი საფუძვლები;
- სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკა;
- შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია (მათ შორის, შეიარაღებული ძალების სახეების, შეიარაღებული ძალების ზურგის, ჯარების გვარეობათა და სპეციალური ჯარების);
- სამხედრო ისტორია.

სამხედრო ადიუნქტურის უფროსად დაინიშნა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მაიორი თეიმურაზ დალაქიშვილი. სამხედრო ადიუნქტურის ფუნქციონირების პერიოდში, მიიღეს 3 ნაკადი, სადაც დასწრებული ფორმით სწავლობდა 11, ხოლო მაძიებლებად – 18 სამხედრო მოსამსახურე. ჩატარდა 4 სამეცნიერო კონფერენცია, გამოქვეყნდა თეზისები და სამეცნიერო სტატიები სამხედრო აკადემიის ,,შრომების კრებულში“.

სამხედრო ადიუნქტურა გაუქმდა 2005 წელს გატარებული რეფორმის შედეგად.

სამეცნიერო მუშაობა

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის დაარსებისთანავე განისაზღვრა სამეცნიერო მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები, რამაც შესაბამისი პერსპექტიული და წლიური გეგმების შედგენა განაპირობა. გააქტიურდა კურსანტთა სამეცნიერო მუშაობაც. კერძოდ, აკადემიაში სისტემატურად ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ როგორც აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და კურსანტები, ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორები.

აკადემიაში ნაყოფიერ სამხედრო-სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ პროფესორები სამეცნიერო მუშაობის დარგში – სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსები:

1. გივი ბარკალაია – I რანგის კაპიტანი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 1993–2000;
2. ზურაბ შენგელია – პოლკოვნიკი, სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, 2000–2003;
3. ხვიჩა კიკაბიძე – პოლკოვნიკი, 2003–2004;
4. ავთანდილ აბუაშვილი – პოლკოვნიკი, 2004;

5. კახა კაციტაძე – ვიცე-პოლკოვნიკი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 2004–2005;

2005 წლის 21 ივლისს აკადემიის პრორექტორის სამეცნიერო დარგში - სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსის მოვალეობის დროებით შესრულება დაევალა პოლკოვნიკ მამუკა გოგიტიძეს.

2005 წელს სამხედრო აკადემიაში ჩატარებული რეფორმის შედეგად გაუქმდა აკადემიის პრორექტორის სამეცნიერო დარგში – სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსის შტატი.

2008 წლის შემოდგომაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ ვლადიმერ ჩააჩიბაიას მხარდაჭერითა და ძალისხმევით თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში შეიქმნა სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლის უფროსად დაინიშნა გრიგოლ დანელია, სამხედრო დოქტორი, პოლკოვნიკი.

სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი 2012 წელს, ე.წ. ,,კადრების ოპტიმიზაციის“ შედეგად გაუქმდა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე რუსეთ-საქართველოს 1992-1993 წლების ომში დაღუპული სამხედრო აკადემიის თანამშრომლები: მაიორი მიხეილ გამკაძე; კაპიტანი თეიმურაზ ძიძიგური; ზემდეგი იაგო ქავთარაძე

აკადემიის ძველი შესასვლელი

გაერთიანებული სამხედრო
აკადემიის ემბლემა
(1993–2001 წ.წ.)

თავდაცვის ეროვნული
აკადემიის ემბლემა
(2001–2010 წ.წ.)

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულის დიპლომი და სამკერდე რომბი

აკადემიის სამწყობრო მოედანზე

ძველებური ქვემეხი – გარდასულ დღეთა მოწმე

9 აპრილის მემორიალი

კურსანტული ცხოვრება

გენერალ-მაიორი შოთა ბაიაძე და პოლკოვნიკი ავთანდილ ჯიბლაძე გაკვეთილის გარჩევისას

ვიცე-პოლკოვნიკი დავით მაზანაშვილი და კაპიტანი კობა გაგოშიძე გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსანტებთან

გამოცდები, გამოცდები...

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ყოფილი კლუბი

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია რესტავრაციის შემდეგ

აკადემიის ხეივანი

საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსანტების მიერ სამხედრო ფიცის მიღების ცერემონიალზე. მისგან მარჯვნივ – აკადემიის უფროსი, გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე, მარცხნივ – საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯარების განთავსებისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში, გენერალ-მაიორი თამაზ მენაბდე (1997 წ.)

გენერალ-მაიორი გია თორაძე აკადემიის სტუმრებთან და პირად შემადგენლობასთან

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა აკადემიის კურსდამთავრებულებთან (1999წ.)

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა
აკადემიის წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან (2000წ.)

აკადემიის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა საპატიო დაფა

აკადემიის კურსდამთავრებულების საზეიმო ფიცი (2001 წ.)

თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსდამთავრებულები საზეიმო მარშზე (2003წ.)

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ყოფილი კურსანტები (მარჯვნიდან მარცხნივ): გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია და რეზერვის უფროსი ლეიტენანტი გიორგი ბერიძე

რეფორმები

რეფორმების პირველი ეტაპი
(2005-2010 წწ.)

ოფიცერთა მომზადების ერთწლიანი პროგრამა

ქართული ეროვნული არმიის ჩამოყალიბებისა და შექმნის საწყის ეტაპზე, როგორც არმიაში, ასევე აკადემიაში, თავდაპირველად გადმოტანილ და დანერგილ იქნა საბჭოური სისტემა, რომელმაც იმთავითვე განიცადა ცვლილებები. დროთა განმავლობაში როგორც ზემდგომი, ისე აკადემიის ხელმძღვანელობა ცდილობდა სასწავლო პროცესი მეტად დაახლოვებოდა თანამედროვე ამერიკული და ევროპული სამხედრო სკოლების სწავლების მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, საბჭოურმა სისტემამ არმიაში საუკუნის მიჯნამდე გასტანა.

სახელმწიფოს მისწრაფებებთან ერთად საქართველოს შეიარაღებული ძალები და მათ შორის გაერთიანებული სამხედრო აკადემიაც მიილტვოდა თანამედროვე სწავლების სისტემების დანერგვისაკენ. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმების შესაბამისად, 2000 წლიდან გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში ცვლილება განიცადა ოფიცერთა მომზადების სისტემამ, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო პროცესის ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებას.

2001 წლის 10 სექტემბერს აკადემიას სახელი შეეცვალა და ეწოდა „საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია“ (თ.ე.ა.);

ქვეყანაში არსებული რესურსებიდან და ვითარებიდან გამომდინარე, თანამედროვე სისტემის სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ აირჩია ოცეულის მეთაურთა მომზადების ერთწლიანი სწავლების სისტემა, რომელიც, ოთხწლიან სისტემასთან ერთად, დიდ ბრიტანეთში იყო დანერგილი.

ბრიტანელ ოფიცრებთან ერთად მომზადდა სასწავლო პროგრამა და (საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 20 ივნისის №849 ბრძანების შესაბამისად) ფუნქიონირება დაიწყო ოფიცერთა მომზადების ერთწლიანმა კურსებმა შემდეგი სპეციალობებით: მოტომსროლელი, სატანკო, სახმელეთო არტილერია, შინაგანი ჯარები, სასაზღვრო ძალები.

კურსებზე მიიღებოდნენ ოფიცრები და ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები უმაღლესი სამოქალაქო განათლებით, რომლებიც მსახურობდნენ ოცეულის მეთაურის თანამდებობებზე, აგრეთვე უმაღლესი განათლების მქონე სამოქალაქო პირები.

ოფიცერთა მომზადების ერთწლიანი პროგრამის პირველი გამოშვება ჩატარდა 2001 წლის 23 აგვისტოს. ამ სასწავლო პროგრამით თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ სულ ოთხი გამოშვება განახორციელა და 310 ოფიცრით შეავსო საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგები.

ოფიცერთა მომზადების ოთხწლიანი პროგრამა

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ოფიცერთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და დრომოჭმული საბჭოთა სისტემის შეცვლის მიზნით, 2002 წელს გადაწყდა საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში თურქეთის რესპუბლიკაში არსებული სახმელეთო სასწავლებლის სტრუქტურის მსგავსი მართვისა და სასწავლო სისტემის ჩამოყალიბება. ოფიცერთა მომზადების ეს პროგრამა ითვალისწინებდა ოთხწლიან სწავლებას თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, სადაც მსმენელები სამხედრო დისციპლინებთან ერთად შეისწავლიდნენ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს.

გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მსმენელები სპეციალობების მიხედვით გაიგზავნებოდნენ შესაბამის სამხედრო ნაწილებში, სადაც ისინი გაივლიდნენ სამხედრო სპეციალური მომზადების ერთწლიან კურსს. საერთო ჯამში, ეს იყო სწავლების ე.წ. 4+1 წლიანი პროგრამა.

საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლებში არსებული საგანმანათებლო სისტემის, პირობებისა და უზრუნველყოფის პრინციპების დანერგვის მიზნით, საქართველოს მხარემ 12-კაციანი მთარგმნელთა ჯგუფი ჩამოაყალიბა და 2002 წლის 1 მაისს გააგზავნა თურქეთში, მოქმედი სახმელეთო სასწავლებლის სასწავლო გეგმის, სასწავლო დისციპლინების, პროგრამებისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების, წესდებების, ლიტერატურის ქართულ ენაზე სათარგმნელად, რომელთა გამოყენება განხორციელდა აკადემიაში.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე აკადემიის ტერიტორიაზე დაიწყო სარემონტო სამუშაოები, განახლდა და შეკეთდა საკლასო ოთახები და აუდიტორიები, ყაზარმები, სპორტული კომპლექსი, სასადილო, საკონფერენციო დარბაზი, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

მომავალი კურსანტებისათის სრულყოფილი უმაღლესი განათლების მიღების მიზნით თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ჩამოყალიბდა ორი კათედრა, რომელშიც გაერთიანდნენ საბუნებისმეტყველო-ტექნიკური და საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული მეცნიერებები. ეს კათედრები იყო ინფორმატიკის (ფუნდამენტალურ მეცნიერებათა) და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები. ფუნდამენტალურ მეცნიერებათა კათედრაზე (უფროსი – ვიცე-პოლკოვნიკი არჩილ ჩაჩხიანი) შეისწავლებოდა შემდეგი მეცნიერებები:

– ფიზიკა;
– ქიმია;
– უმაღლესი მათემატიკა;
– ინფორმატიკა;
– ალბათობის თეორია და მათ. სტატისტიკა;
– მხაზველობითი გეომეტრია;

კათედრის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის სასწავლო კორპუსში დამონტაჟდა ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები სრული აღჭურვილობით. მოეწყო თანამედროვე კომპიუტერული სასწავლო კლასი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე (უფროსი – ვიცე-პოლკოვნიკი გელა ხუციშვილი) შეისწავლებოდა შემდეგი მეცნიერებები:

– ისტორია;
– სამხედრო პედაგოგიკა;
– სამხედრო ფსიქოლოგია;
– ქართული ენა და ლიტერატურა;
– ფილოსოფია;

სასწავლო პროცესის სულყოფილად წარმართვისათვის მოეწყო ოფიცერთა, მასწავლებელთა და კურსანტთა დასასვენებელი ოთახები, სასწავლო პროცესი მთლიანად უზრუნველყოფილი იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

აგვისტოს დასაწყისში მთარგმნელთა ჯგუფმა ჩამოიტანა პირველი და მეორე კურსის სასწავლო გეგმა, სასწავლო დისციპლინები, პროგრამები და შესაბამისი სახელმძღვანელოები.

ეს იყო საქართველოში სამხედრო განათლების პირველად ამოქმედებული ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი ოთხწლიანი სასწავლო გეგმა და პროგრამა. იგი უდავოდ წარმოადგენდა პროგრესულ სისტემას, რაშიც თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ დიდი გამოცდილება შეიძინა. ამ პერიოდში აკადემიის სლოგანი იყო – ,,სამშობლო, ღირსება, მოვალეობა, დროშა!“

მსმენელებად მიიღებოდნენ საშუალო და არასრული უმაღლესი განათლების მქონე სამოქალაქო პირები.

მისაღები გამოცდების შედეგად (თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორის 2002 წლის 2 სექტემბრის №260 და 5 სექტემბრის №265 ბრძანებით) მსმენელთა სასწავლო პოლკის პირველ კურსზე 2002-2003 სასწავლო წელს ჩაირიცხა 230 მსმენელი – სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო სპეციალობებზე.

თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ, თურქული პროექტის ფარგლებში სამი მისაღები გამოცდა ჩაატარა.

2003 წელს თავდაცვის ეროვნულ აკადემიას საქართველოს პრეზიდენტის 20. 02. 2003 წლის №157 ბრძანებით მიენიჭა დავით აღმაშენებლის სახელი და ეწოდა „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია“;

2005 წელს ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების გეგმის შესაბამისად, შეწყდა სამხედრო განათლების თურქული 4+1 წლიანი პროგრამა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 6 სექტემბრის ბრძანება №303-ის საფუძველზე თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში განხორციელდა ოფიცერთა პროფესიული მომზადების სამხედრო საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია. აკადემია მთლიანად გადავიდა ოცეულის მეთაურთა მომზადების ერთწლიან პროგრამაზე.

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში შეწყდა ოფიცერთა მომზადების არსებული სამხედრო საგანმანათებლო სისტემა და ჩამოყალიბდა სახმელეთო ჯარების ოცეულის მეთაურთა, სამხედრო-საჰაერო ძალების უმცროს ოფიცერთა და სამხედრო-საზღვაო ძალების უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსები, ტაქტიკური მომზადების, საარტილერიო მომზადების, შეიარაღებისა და სროლის, ჯავშან-სატანკო მომზადების, ფიზიკური და სამთო მომზადების ციკლები, კაპიტნის საკარიერო კურსი, სადაც მსმენელებად მიიღებოდნენ უმაღლესი განათლების მქონე სამოქალაქო პირები და შეიარაღებული ძალების სერჟანტები (მიჩმანები), სულ – 239 მსმენელი.

ოფიცერთა მომზადების ახალი სისტემის შესაბამისად განხორციელდა შეფასების სისტემის ნაწილობრივი შეცვლა და მომზადდა ,,თავდაცვის ეროვნული აკადემიის გამოცდების ჩატარებისა და აკადემიის შეფასების ინსტრუქცია“.

ამ სასწავლო პროგრამით თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ განახორციელა ორი გამოშვება და 177 ოფიცრით შეავსო საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგები.

2006 წელს გადაწყდა შეცვლილიყო არსებული სასწავლო სისტემა და აკადემია გადასულიყო შეიარაღებული ძალებისათვის უფრო მოქნილ, მისაღებ სწავლების სისტემაზე.

2007 წლის იანვრიდან აკადემიაში ფუნქციონირებდა უმცროს ოფიცერთა მომზადების შემდეგი კურსები – ქვეითი, საარტილერიო, მექანიზებული, ავიაციის, საზღვაო; და კაპიტნის საკარიერო კურსები – ქვეითი, საარტილერიო, ლოჯისტიკისა და სამხედრო-საინჟინრო.

ენობრივი მომზადების სკოლა

2000 წელს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში ფილოლოგიის კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა უცხო ენათა სასწავლო ცენტრი, სადაც ინტენსიური და არაინ-ტენსიური სწავლების მეთოდით ისწავლებოდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული და ქართული ენები. ენების სასწავლო ცენტრს ინტენსიურ დახმარებას უწევდნენ სასწავლო ლიტერატურით ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და თურქეთის საელჩოები. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სასწავლო ცენტრის სასწავლო და მატერიალური ბაზის გაუმჯობე-სებაში. გარდა ამისა, რეგულარულად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ცენტრის მასწავლებლების სასწავლო მივლინებები ზემოთ აღნიშნული ქვეყნების მოწინავე ლინგვისტური ცენტრების სხვადასხვა კურსებზე.

უცხო ენათა სასწავლო ცენტრი საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად საშუალებას აძლევდა შეესწავლათ უცხო ენები და აემაღლებინან ენის ცოდნის დონე სხვადასხვა პროგრამებისა და კურსების საშუალებით, რაც ითვალისწინებდა: წერის, კითხვის, საუბრისა და მოსმენის უნარ-ჩვევების დახვეწას, გამოთქმასთან და გრამატიკასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევას, ლექსიკის გამდიდრებას და სპეციალური ტერმინოლოგიის შესწავლას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების მიერ ენების სრულყოფილად ფლობა საჭირო იყო მათი სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის, ნატო-ს საერთაშორისო შტაბებში მუშაობის, საერთაშორისო წვრთნებისა და განათლების პროგრამებში მონაწილეობისთვის.

აკადემიის ამ სტრუქტურას თავდაპირველად ეწოდა უცხო ენათა სასწავლო ცენტრი, შემდგომში მისი ფუნქციები გაფართოვდა და მან საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა შენაერთი და სამხედრო ნაწილი მოიცვა. შესაბამისად, მას ,,ერთიანი ენობრივი მომზადების ცენტრი“ ეწოდა. დღეისათვის კი, მისი დასახელებაა – ,,ენობრივი მომზადების სკოლა“.

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის უცხო ენათა ცენტრის პირველ უფროსად, 2000 წელს, მაიორი შალვა ბაბუნაშვილი დაინიშნა.

დღეისათვის აკადემიის ენობრივი მომზადების სკოლაში შეისწავლება შემდეგი უცხო ენები:

- ინგლისური ენა;
- ფრანგული ენა;
- თურქული ენა;
- გერმანული ენა;
- რუსული ენა;
- სპარსული ენა;
- ქართული ენა.

უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსები

2007 წელს აკადემიის ბაზაზე შეიქმნა უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსები, რომელშიც ინტეგრირებული იქნა დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსი, ოფიცრის საკანდიდატო და ოფიცრის ძირითადი კურსი, რომლის საკანონმდებლო ბაზა დაეფუძნა სამხედრო განათლების კონცეფციას.

ამ კურსზე, წინა კურსებისაგან განსხვავებით, სწავლებას ახორციელებდნენ ოფიცერ-ინსტრუქტორები (რომლებსაც განათლება თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ჰქონდათ მიღებული, ხოლო კვალიფიკაცია აიმაღლეს ევროპელ და ამერიკულ წამყვან სამხედრო სასწავლებლებში) და სერჟანტ-ინსტრუქტორები. ისინი სამხედრო ნაწილებიდან შეირჩნენ.

ამიტომაც აკადემიის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა სწავლებისა და სწავლის ხარისხის ინტენსიური ზრდა, თანამედროვე მეთოდებით უზრუნველყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში თანამედროვე საერთაშორისო თავსებადი, განათლებული, მაღალკვალიფიციური, მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებულ ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის №25 და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2007 წლის 6 თებერვლის №70 და 2007 წლის 26 თებერვლის №122 ბრძანებების თანახმად, თავდაცვის ეროვნული აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსებზე ჩატარდა მისაღები გამოცდები. 961 აბიტურიენტიდან გამოცდებზე დაუშვეს 679, სამხედრო აკადემიაში კი, ჩაირიცხა 170 მსმენელი.

ქვეით უმცროს ოფიცერთა მომზადების ''A'' კურსზე ჩამოყალიბდა 5 სასწავლო ჯგუფი. აღნიშნული კურსი დაამთავრა 135 მსმენელმა, მათ შორის ერთმა - ლეიტენანტმა თ. ნოდიამ, წარჩინებით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კადრებზე მოთხოვნებიდან გამომდინარე, გენერალური შტაბის უფროსის 2007 წლის 18 აპრილის №254 და 2007 წლის 10 მაისის №323 ბრძანებების თანახმად, დაიწყო მეორე ეტაპი უმცროს ოფიცერთა მომზადების ''B'' კურსზე. 837 აბიტურიენტიდან გამოცდებზე დაუშვეს

655 აბიტურიენტი, აკადემიაში ჩაირიცხა – 232 მსმენელი. მსუბუქ ქვეითზე – 152, საარტილერიოზე – 29, ავიაციაზე – 30, საზღვაოზე – 21.

ქვეით უმცროს ოფიცერთა მომზადების ''B'' კურსზე ჩამოყალიბდა 5 სასწავლო ჯგუფი. აღნიშნული კურსი დაამთავრა 77 მსმენელმა, მათ შორის ერთმა – ლეიტენანტმა დ. ეჯოშვილმა, წარჩინებით.

2007 წლის სექტემბერში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის №510 და 2007 წლის 18 სექტემბრის №535, და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთინებული შტაბის უფროსის 2007 წლის 18 სექტემბრის №724 ბრძანებების თანახმად დაიწყო რეორმების ახალი ეტაპი.

2007 წლის სექტემბრიდან 2009 წლის ნოემბრამდე აკადემია დისლოცირებული იყო ყოფილი ზოო-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე (გარდაბნის რაიონი, სოფელი კრწანისი).

თავდაცვის ეროვნული აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსებზე ჩატარდა მისაღები გამოცდები. 573 აბიტურიენტიდან გამოცდებზე დაუშვეს 472, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში კი, ჩაირიცხა 177 მსმენელი.

უმცროს ოფიცერთა დაჩქარებული კურსები

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გარკვეულ სპეციალობების კადრებზე მზარდი მოთხოვნებებიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში 2007 წელს ფუნქიონირება დაიწყო უმცროს ოფიცერთა მომზადების დაჩქარებულმა კურსებმა. კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ უმცროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება.

იმავე წელს განხორციელდა კურსების ორი გამოშვება (სულ – 106 უმცროსი ლეიტენანტი);

– კავშირგაბმულობის და საჰაერო თავდაცვის ოფიცერთა მომზადების კურსები (2007);

– საჰაერო თავდაცვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი (2007);

– კავშირგაბმულობის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსები (2007); შეიქმნა 2008 წელს (თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 6 დეკემბრის №708 და გაერთინებული შტაბის უფროსის 2007 წლის 28 დეკემბრის №1169 ბნრძანების თანახმად).

– სამხედრო-საინჟინრო უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი კურსი (2008);

– ლოჯისტიკის უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი კურსი (2008);

– ჯავშან-სატანკო უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი კურსი (2008);

დოქტრინების შემუშავებისა და მომზადების სამმართველო

საქართველოს შეიარაღებული ძალების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება და საბრძოლო მომზადების დონის ამაღლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამხედრო დოქტრინების ხარისხზე. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, 2004 წელს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ჩამოყალიბდა სახელ-მძღვანელოებისა და სასწავლო მასალების სამმართველო. ამ სამმართველოს ბაზაზე თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში შეიქმნა სახელმძღვანელობის შემუშავებისა და მომზადების განყოფილება, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო სამხედრო სახელმძღვანელოების შემუშავებაზე. აღნიშნული განყოფილების ხელმძღვანელობა დაევალა ქეთევან ოსეფაიშვილს.

ეს იყო პირველი პრეცენდენტი, როცა სამხედრო სასწავლებელი თვითონ შეეცადა ნატო-ს სტანდარტების მიხედვით დაემუშავებინა და გამოეცა სახელმძღვანელოები. ამ ეტაპზე სამმართველო ასრულებდა მხოლოდ გამომცემლობის ფუნქციას, მთარგმნელთა ჯგუფი კი, J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტს ექვემდებარებოდა, რაც ხელს უშლიდა სინ-ქრონიზებულ მუშაობას.

2006 წლის დეკემბერში სახელმძღვანელოების შემუშავებისა და მომზადების განყოფილებას J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენ-ტიდან შეუერთდა მთარგმნელთა ჯგუფი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შესრულებული სამუშაოების ხარისხი. გარდა ამისა, გაიზარდა განყოფილების მიზნები, ამოცანები და მოვალეობები. ჩამოყალიბდა შემდეგი პროცესი: თარგმნა – სტილისტურად გასწორება – რედაქტირება – დაკაბადონება – გამოცემა.

2009 წელს სამმართველოს გადაერქვა სახელი და ეწოდა „დოქტრინების შემუშავებისა და მომზადების სამმართველო“, რომელიც უკვე ემსახურებოდა არა მხოლოდ თავდაცვის ეროვნულ აკადემიას, არამედ მთელ შეიარაღებულ ძალებს. სამხედრო საკითხებს ათანხმებდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერა-ლური შტაბის დეპარტამენტებთან, ქვედანაყოფებთან, მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსთან და სამეთაურო-საშტაბო კოლეჯთან. ერთობლივი თანამშრომლობით გამოიცა მრავალი სახელმძღვანელო, რომელიც დღესაც აქტუალურია შეიარაღებულ ძალებში.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ლოგო

დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის დროშა

2007 წლის სექტემბრიდან 2009 წლის ნოემბრამდე აკადემია დისლოცირებული იყო ყოფილი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ბაზაზე (გარდაბნის რაიონი, სოფელი კრწანისი)

ქართული ჯარის გენერლები – გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულები

ვლადიმერ ჩაჩიბაია
გენერალ-მაიორი, დაამთავრა 1994 წელს

ზაზა ჩხაიძე
ბრიგადის გენერალი
დაამთავრა 1998 წელს

შავლეგო ტაბატაძე
ბრიგადის გენერალი
დაამთავრა 1998 წელს

გიორგი მათიაშვილი
ბრიგადის გენერალი
დაამთავრა 1998 წელს

გიორგი კალანდაძე
ბრიგადის გენერალი, დაამთავრა 2001 წელს

აკადემია დღეს

რეფორმების მეორე ეტაპი
(2010 წლიდან დღემდე)

ბაკალავრიატი

2009 წლის ნოემბერში დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ შეიცვალა დისლოკაციის ადგილი და განთავსდა ქალაქ გორში, სადაც ამჟამად ფუნქციონირებს. 2010 წლის 8 დეკემბერს აკადემიამ თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოიპოვა და ეწოდა „სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“.

2010 წლის 8 დეკემბერიდან აკადემიაში ფუნქციონირება დაიწყო ბაკალავრიატმა, რომელიც მოიცავს სამხედრო განათლების ოთხწლიანი სწავლების პროგრამებს. ბაკალავრიატში ხორციელდება შესაბამისი საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამები.

პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ აკადემიური პერსონალი, სამხედრო ინსტრუქტორები, მოწვეული სპეციალისტები და პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისა და შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამების პროფილის შესაბამისი სამეცნიერო და აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

საბაკალავრო პროგრამებზე ჩაბარების შემთხვევაში აკადემიის მსმენელი თავდაცვის სამინისტროსთან აფორმებს ათწლიან კონტრაქტს, რაც ითვალისწინებს ოთხწლიან სწავლებასა და ექვსწლიან სამხედრო საკონტრაქტო სამსახურს. სწავლის დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს ბაკალავრის ხარისხს შესაბამის სპეციალობაში და ენიჭება ოფიცრის პირველად სამხედრო წოდებას – „ლეიტენანტი“.

აკადემიური და სამხედრო მიმართულებების ინტეგრირებული პროგრამები ეროვნული თავდაცვის აკადემიას საშუალებას აძლევს ბაკალავრის დიპლომები გასცეს შემდეგ სპეციალობებში:

ძირითადი სპეციალობები:

- მენეჯმენტი;
- ინფორმატიკა;
- თავდაცვა და უსაფრთხოება.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

- მენეჯმენტის ბაკალავრი;
- ინფორმატიკის ბაკალავრი;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაკალავრი.

დამატებითი სპეციალობა:

- საერთო-საჯარისო მართვა.

2013 წლიდან ისტორიული სამართლიანობა აღდგა. აკადემიის მსმენელებს დაუბრუნდათ თავისი ისტორიული სახელი – «იუნკერი», 1921 წელს რუსეთ-საქართველოს ომში, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ იუნკერთა ხსოვნის პატივსაცემად.

92 წლის შემდეგ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იუნკრები დაბრუნდნენ.

2015 წლის 8 სექტემბერს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა პირველი გამოშვება შედგა... საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 105 ახალგაზრდა ოფიცერი, 105 ლეიტენანტი შეემატა. 1921 წლისგან განსხვავებით, 2015 წელს ქართველ იუნკერთა გამოშვება შედგა. ისტორიული სამართლიანობა აღდგა... 94 წლიანი წყვეტის შემდეგ ქართველი იუნკრები ქართველი ოფიცრები გახდნენ.

2018 წლის 6 აგვისტოს შედგა ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა მეოთხე გამოშვება. ბაკალავრიატი 88 იუნკერმა დაამთავრა, მათ შორის ერთმა, ნ. გაგნიძემ – წარჩინებით.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 88 ახალგარდა ლეიტენანტი შეემატა.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის არაქართულენოვანი მსმენელებისათვის ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა B1+ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე, გამოიმუშავონ ლექსიკური მარაგის, სწორი მორფოლოგიური ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით წინადადებების აგების უნარი; სიტუაციის (კონტექსტის) შესაბამისად ენობრივი ფორმების გამოყენების უნარი; ტექსტის გაგების, კონსტრუირებისა და ინტერპრეტირებისთვის სათანადო სტრატეგიების გამოყენების უნარი; ქართული ენის გამოყენებით ქართულ გარემოში ორიენტირების უნარი; შეძლონ ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეები.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში.

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ოფიცერთა მომზადების საბაკალავრო პროგრამის ამუშავებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე არსებული ახალი გამოწვევების ფონზე, 2008 წლის მეორე ნახევრიდან დღის წესრიგში მწვავედ დადგა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ოპერატიული და ოპერატიულ-ტაქტიკური დონის ოფიცერთა მომზადების საკითხი. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა აჩვენა, რომ ქართული სამეთაურო შემადგენლობის მხრიდან საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების პროცესში, ოპერატიული ხასიათის გარკვეული ხარვეზები შეიმჩნეოდა, რაც პირველ რიგში ნატოს-ს სტანდარტების ოპერატიული დონის ქართველ ოფიცერთა კორპუსის დეფიციტით იყო გამოწვეული.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად გადაწყდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩამოყალიბებულიყო სამეთაურო-საშტაბო კურსი, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, ომების თეორიული საფუძვლების შესწავლის, ისტორიული მაგალითების განხილვისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მსმენელებს ჩამოუყალიბებდა პრობლემასთან კრიტიკული მიდგომის, მისი შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევებს. აქედან გამომდინარე, მსმენელებისთვის სამანევრო შენაერთების მეთაურებისა და შტაბის უფროსების როლში თვისობრივად ახალ დონეზე უნდა დამდგარიყო ოპერაციების დაგეგმვის, აღსრულებისა და მართვის სწავლება.

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სამეთაურო-საშტაბო კურსი 2009 წელს, ამერიკელ სამხედრო წარმომადგენელთა და მრჩეველთა ჯგუფების (ODC) (CUBIC) უშულო მონაწილეობითა და მხარდაჭერით დაფუძნდა. კურსის პირველ უფროსს ვიცე-პოლკოვნიკი მამუკა შიუკაშვილი წარმოადგენდა.

სამეთაურო-საშტაბო კურსი საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის წარმოადგენდა შუალედური სამხედრო განათლების საფეხურს, რომელიც უზრუნველყოფდა ტაქტიკურ-ოპერატიულ დონეზე უფროსი ოფიცრების (მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი) მომზადებას, რომლებიც შეძლებდნენ ეხელმძღვანელათ ბატალიონისა და ბრიგადისათვის და ემსახურათ ზემდგომ შტაბებში.

კურსის მიზანი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის მოემზადებინა უფროსი ოფიცრები, რომლებიც თავიანთი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით მზად იქნებოდნენ ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისად დაეგეგმათ და აღესრულებინათ ოპერაციები ნებისმიერ გარემოსა და პირობებში.

სამეთაურო-საშტაბო კურსი მოიცავდა შემდეგ კურსებს:

- სამხედრო ოპერაციების პრინციპები;
- ლიდერობა და მენეჯმენტი;
- ომის თეორია და სამხედრო ხელოვნება;
- თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება.

სამეთაურო-საშტაბო კურსი 44 სასწავლო კვირისგან შედგებოდა. მსმენელები გადიოდნენ კურსებს ლიდერობასა და მენეჯმენტში, საბრძოლო ოპერაციების საფუძვლებში, ბატალიონისა და ბრიგადის ოპერაციებში, სამხედრო კამპანიების დაგეგმვასა და აღსრულებაში, სტაბილურობის შენარჩუნებასა და სამოქალაქო

მხარდაჭერის ოპერაციებში, თავდაცვის დაგეგმვასა და პროგრამულ მენეჯმენტში, ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, ასიმეტრიული და ჰიბრიდული ომების თეორიაში.

ხუთი წლის განმავლობაში სამეთაურო-საშტაბო კურსი წარმატებით დაამთავრა 145 მსმენელმა, მათ შორის, 142 ოფიცერმა და თავდაცვის სამინისტროს 3 სამოქალაქო პირმა.

20015 წელს სამეთაურო-საშტაბო კურსი სამეთაურო-საშტაბო სკოლად, ხოლო 2017 წლიდან, სამაგისტრო პროგრამის ამუშავებასთნ ერთად – სამეთაურო-საშტაბო კოლეჯად გადაკეთდა.

სკოლა უზრუნველყოფდა საქართველოს შეიარაღებული ძალების უფროსი ოფიცრებისა და თავდაცვის სამინისტროს მმართველი რგოლის თანამშრომლებისათვის პროფესიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარებას როგორც სამხედრო ხელოვნებასა და მეცნიერებაში, ისე თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში.

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში ჩარიცხულ ოფიცრებს სწავლის პერიოდში შეეძლოთ სამაგისტრო პროგრამისთვის კრედიტების გარკვეული რაოდენობის დაგროვება.

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა ორწლიანია და იგი წარმოადგენს ოფიცრის უმაღლესი სამხედრო განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე (სამაგისტრო) საფეხურს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებსა და საქართველოს სამთავრობო უწყებების თანამშრომლებში აუცილებელი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის ოფიცრების, სპეციალისტებისა და სხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისთვის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეზე შესწავლას.

20017 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების და სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში მისაღები სპეციალური გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის სამაგისტრო ჯგუფში 12 მსმენელი ჩაირიცხა. ამჟამად მსმენელები სიღრმისეულად ეცნობიან ომის თეორიისა და სამხედრო ხელოვნების, ოპერაციების დაგეგმვისა და მართვის, საერთაშორისო უსაფრთხოების, ასიმეტრიული და ჰიბრიდული ომის თეორიის, სამხედრო სტრატეგიისა და თავდაცვის დოქტრინის საკითხებს და სწავლობენ სათანადო კომბინაციების შერჩევას ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ თავდაცვისა და უსაფრთხოების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

საერთაშორისო ურთიერთობები

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პრიორიტეტს მოტივირებული და მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალის მომზადება წარმოადგენს. ამ მიზნით აკადემიაში ხორციელდება სხვადასხვა სახის გაცვლითი პროგრამა, ტარდება სემინარები და ტრენინგები.

გაცვლითი პროგრამების ფარგლებში აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, იუნკრები და მსმენელები მონაწილეობას იღებენ უცხო ქვეყნების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. ამას გარდა, სტაჟირების გავლის მიზნით აკადემიას ხშირად სტუმრობენ კადეტები საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ უმაღლეს სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- ბალტიის თავდაცვის კოლეჯი (BALTDEFCOL) _2011, განახლდა 2016 წელს;
- ჩრდილოეთ ჯორჯიის კოლეჯი და სახელმწიფო უნივერსიტეტი (NGCSU) – 2011;
- ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის უნივერსიტეტი (Univerzita obrany, UO) – 2011;
- პოლონეთის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი (Academia Obrony Narodowej – AON) – 2012;
- ლატვიის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის აკადემია (NDA) – 2012;
- გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის აკადემია – 2013;
- ლიტვის რესპუბლიკის სამხედრო აკადემია (MAL) – 2014;
- ესტონეთის ეროვნული თავდაცვის კოლეჯი – 2016;
- ნორვეგიის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის კოლეჯი – 2016.

ეროვნული თავდაცვის აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამასთან (DEEP). ნატო-ს პროგრამა ეროვნული თავდაცვის აკადემიას მხარს უჭერს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების/კურიკულუმების განვითარებაში, პროფესორ-მასწავლებლების გადამზადებაში, იუნკერთა შეფასებასა და სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწაში. აკადემიასა და DEEP-ს შორის გაფორმებულია სამოქმედო გეგმა, რომლის განახლებაც მიმდინარეობს ეტაპობრივად, აკადემიის პრიორიტეტებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

აკადემია ასევე თანამშრომლობს ნატო-ს ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიუროსთან (BILC), რომელიც მეთვალყურეობას უწევს აკადემიაში ინგლისური ენის სწავლებას, სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვასა და შეფასების პროცესს.

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია წარმოადგენს წამყვან უმაღლეს სამხედრო სასწავლებელს, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნის ერთგული და ღირსეული სამსახურისთვის უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალისა და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადებას.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ლოგო

2009 წლის ნოემბრიდან საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია ქალაქ გორში განთავსდა

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო კორპუსები

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამწყობრო მოედანი

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში

საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გიორგი მარგველაშვილიმ და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია სტუმრად საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში

სამარადისო დიდება გმირ იუნკრებს!

მემორიალურ ქვაზე გენერალ გიორგი კვინიტაძის სიტყვებია ამოტვიფრული: ქება და დიდება თქვენ, გმირებო! დაე, თქვენთან იყოს მუდამ გამარჯვება!

ეროვნული თავდაცვის აკადემიის კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება (2015წ.)

საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გიორგი მარგველაშვილი დიპლომებს გადასცემს ეროვნული თავდაცვის აკადემიის კურსდამთავრებულებს (2016წ.)

ეროვნული თავდაცვის აკადემიის კურსდამთავრებულების საზეიმო გამოშვება (2017წ.)

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი, პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე (2017–2018 სასწავლო წლის დაწყება)

მემორანდუმის ხელმოწერა თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიასა და ეროვნული თავდაცვის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ,
2017 წლის 1ივნისი

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი, პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე და გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი, პოლკოვნიკი შალვა ძინძიბაძე ხელს აწერენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, 2017 წლის 10 ნოემბერი

აკადემიის ინფრასტრუქტურა



საცურაო აუზი



სპორტული დარბაზი



სარეკრიაციო ცენტრი



აკადემიის სასადილო

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რექტორები

თენგიზ შუბლაძე
გენერალ-მაიორი
(1993–2000 წ.წ.)

ომარ ლეკვეიშვილი
გენერალ-ლეიტენანტი
(2000–2002 წ.წ.)

თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორები

ზაურ უჩაძე
გენერალ-მაიორი
(2003 წ.)

გიორგი გოგაშვილი
ბრიგადის გენერალი
(2003–2004 წ.წ.)

გიორგი თავდგირიძე
პოლკოვნიკი
(2004–2005 წ.წ.)

კობა ლაჭყეპიანი
პოლკოვნიკი
(2005–2006 წ.წ.)

ტარიელ ლონდარიძე
პოლკოვნიკი
(2006–2008 წ.წ.)

როინ ფაილოძე
პოლკოვნიკი
(2008–2010 წ.წ.)

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორები

ანდრო ბარნოვი
(2010–2012 წ.წ.)

დავით ნარდაია
(2012 -2013წ.წ.)

ზურაბ აგლაძე
(2013–2015 წ.წ.)

ირაკლი გეგეჭკორი
პოლკოვნიკი
(2015 წ.)

ვლადიმერ ჩაჩიბაია
გენერალ-მაიორი
(2015–2016 წ.წ.)

ზაზა ჯაფარიძე
პოლკოვნიკი (20.12.2016 წლიდან)

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ეროვნული თავდაცვის აკადემიის ყოფილი მსმენელები

მაიორი შალვა დოლიძე (1977–2008)
მედალი საბრძოლო დამსახურებისთვის, 2003 წ.
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

მაიორი გელა ჭედია (1978–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

კაპიტანი ერეკლე ყულოშვილი (1978–2008)
მე-IV ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მეთაური
მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2004 წ. ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი, 2004წ. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

კაპიტანი კობა სერგია (1975–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

კაპიტანი გიორგი კირაკოზაშვილი (1975–2008)
მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2004 წ. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008წ.

კაპიტანი მერაბ ახობაძე (1979–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

კაპიტანი გიორგი ჯოჯუა (1980–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

უფროსი ლეიტენანტი სერგო მელია (1978–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

უფროსი ლეიტენანტი ალექსი ნატროშვილი (1978–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

სამედიცინო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი ზურაბ ბეგიაშვილი (1980–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

ლეიტენანტი ალია ბარდაველიძე (1984–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

ლეიტენანტი რეზო მამისაშვილი (1983–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

ლეიტენანტი გიორგი რომელაშვილი (1979–2008)
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, 2008 წ.

ერაყის სამშვიდობო მისიის დროს დაღუპული ეროვნული თავდაცვის აკადემიის ყოფილი კურსანტი



ლეიტენანტი გიორგი მარგიევი (1982–2008)
ემსხვერპლა ნაღმის აფეთქებას

ავღანეთში დაღუპული ეროვნული თავდაცვის აკადემიის ყოფილი კურსანტი

უფროსი ლეიტენანტი მუხრან შუკვანი (1984–2010)

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის მეთაური. დაიღუპა სნაიპერის ტყვიით ჰელმანდის პროვინციაში. დაკრძალეს მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

თბილისის სამხედრო სასწავლებლის ქრონოლოგია
1862 წლიდან დღემდე

- 01.09.1862–14.07.1864 – ტფილისის უწყებრივი სამხედრო სასწავლებელი;
- 14.07.1864–01.09.1865 – ტფილისის დროებითი სამხედრო სასწავლებელი;
- 01.09.1865–05.12.1910 – ტფილისის მუდმივი ქვეითი სასწავლებელი;
- 05.12.1910–15.06.1918 – დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის ტფილისის იუნკერთა ქვეითი სასწავლებელი;
- 20.06.1918–26.02.1921 – ქართული სამხედრო სკოლა;
- 14.04.1921–25.05.1921 – მეტყვიამფრქვევეთა სამეთაურო კურსები;
- 25.05.1921–10.06.1921 – ბაქოს ქვეით მეტყვიამფრქვევეთა მე-13 სამეთაურო კურსები;
- 10.06.1921–07.11.1921 – ქართული სამხედრო სამეთაურო კურსები;
- 07.11.1921–22.10.1922 – ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა;
- 22.10.1922–01.10.1924 – 21-ე ქვეითი კურსები;
- 01.10.1924–01.09.1927 – ტფილისის 21-ე ქვეითი სკოლა (ТПШ);
- 01.09.1927–20.11.1929 – ამიერკავკასიის ქვეითი სკოლა (ЗПШ);
- 20.11.1929–01.10.1935 – 26 ბაქოელი კომისრის სახელობის ამიერკავკასიის ქვეითი სკოლა;
- 01.10.1935–01.03.1937 – 26 ბაქოელი კომისრის სახელობის ამიერკავკასიის გაერთიანებული სამხედრო სკოლა (ЗОВШ);
- 01.03.1937-31.10.1938 – თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის საარტილერიო სასწავლებელი (ТАУ);
- 31.10.1938–19.08.1945 – თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის სამთო-საარტილერიო სასწავლებელი (ТГАУ);
- 19.08.1945–08.10.1956 – თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი სამთო-საარტილერიო სასწავლებელი (ТГАКУ);
- 08.10.1956–01.06.1969 – თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებელი (ТКАУ);
- 01.06.1969–02.12.1980 – თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი სამეთაურო სასწავლებელი (ТВАККУ);
- 02.12.1980–03.01.1992 – თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი უმაღლესი სამეთაურო სასწავლებელი (ТВАККОКЗУ);
- 01.04.1992–15.02.1993 – ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსები;
- 15.02.1993–28.05.1993 – თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემია;
- 28.05.1993–10.09.2001 – თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემია (გ.ს.ა);
- 10.09.2001–20.02.2003 – საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია (თ.ე.ა.);
- 20.02.2003–08.12.2010 – დავით IV აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემია;
- 08.12.2010-დან დღემდე – ,,სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“ (ე.თ.ა.).

ავტორთა შესახებ



მამუკა გოგიტიძე
პოლკოვნიკი

დაიბადა ქ. თბილისში 1963 წლის 21 ნოემბერს, ოფიცრის ოჯახში.

1980 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 64-ე რუსული საშუალო სკოლა.

1992 წელს დაამთავრა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1999 წელს – გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სახმელეთო ფაკულტეტი ,,სასაზღვრო ჯარების სამეთაურო-საშტაბო“ სპეციალობით და 2002 წელს – უკრაინის თავდაცვის ეროვნული აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი.

1985–1991 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, სადაც 1990 წლის 19 სექტემბერს მიენიჭა კაპიტნის სამხედრო წოდება.

1991–2010 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, სადაც 2003 წლის 28 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

2009 წლის დეკემბერში თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული ე.წ. ,,კადრების ოპტიმიზაციის“ პერიოდში, 2010 წლის 30 იანვარს დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში.

2010 წლის 13 მაისიდან მუშაობს შსს-ს სისტემაში, სადაც 2010 წლის 2 ივლისს მიენიჭა პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება.

არის სამხედრო ძალების ვეტერანი. 2006 წელს ასრულებდა სამშვიდობო მისიას აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დამკვირვებლის სტატუსით.

2006 წლის 17 აპრილს დაიცვა დისერტაცია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე „ქართველები რუსეთის იმპერიის არმიაში XVIII–XIX სს. დასაწყისში“. მინიჭებული აქვს ისტორიის დოქტორის ხარისხი (17.04. 2006).

30 წელზე მეტია რაც მუშაობს საქართველოსა და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებზე. მას, როგორც ექსპერტს სამხედრო ისტორიის საკითხებში, საკმაოდ კარგად იცნობენ როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში.

არის 10 მონოგრაფიის, 70 სამეცნიერო და 30 ენციკლოპედიური სტატიის ავტორი. არის საზღვარგარეთის რიგ სამხედრო-სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი და სამეცნიერო ჟურნალ ,,სამხედრო თეორიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი. 2018 წლიდან არის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მოწვეული ლექტორი სამხედრო ხელოვნების იტორიის საგანში.

მან პირველმა ქართველ ისტორიკოსთაგან შეისწავლა ქართველი სამხედროების ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთის იმპერიაში XVIII-XX სს. და ამით საგრძნობლად გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია.

ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. საქართველოს საპატრიარქოს რადიო ,,ივერიაზე,, 2007-10 წლებში და 2018 წლიდან მიჰყავს საავტორო გადაცემათა ციკლი სამხედრო-პატრიოტული კუთხით.

არჩეულია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად (2013 წ.).

2015 წლის 29 დეკემბერს აირჩიეს საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო მეცნიერების საბჭოს წევრად.

2017 წლის 28 დეკემბერს დააარსა საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება და არჩეულ იქნა მის პირველ თავმჯდომარედ.

2018 წელს მიენიჭა ,,ქართული კულტურის ამაგდარის“ წოდება.

არის რამდენიმე დისერტაციის ოპონენტი, წიგნების რედაქტორი, რეცენზენტი, მრავალი ტელეგადაცემის სამხედრო კონსულტანტი, რამდენიმე სამეცნიერო გრანტის მფლობელი, მათ რიცხვში აღსანიშნავია სამხედრო ისტორიის დარგში მის მიერ მოპოვებული გრანტები.

1. საქართველოს საშუალო სკოლებში სამხედრო ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანელოს რეკომენდაციების დამუშავების საავტორო ჯგუფის თანაავტორი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრანტი, 2010).

2. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის ავტორთა ჯგუფის წევრი (რუსთაველის ფონდის გრანტი, 2012).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003), წმ. გიორგის მედლით (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერ – 2008წ.), საქართველოსა და უკრაინის უწყებრივი ჯილდოებით.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ზაზა ჯაფარიძე
პოლკოვნიკი

დაიბადა 1969 წლის 12 ივლისს გორის რაიონის სოფელ ატენში.

1991 წლიდან მსახურობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

სხვადასხვა დროს მსახურობდა: ოცმეთაურად, ასეულის მეთაურად, ბატალიონის შტაბის უფროსად, ბრიგადის შტაბის უფროსად, ქვეითი ბატალიონის მეთაურად, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ოპერაციების სამმართველოს G-3 ოპერაციების დაგეგმვის ოფიცრად, იმავე სამმართველოს დაგეგმვის განყოფილების უფროსად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს უფროსად.

2016 წლის დასაწყისში დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილედ.

2016 წლის 20 დეკემბერს დაინიშნა სსიპ «დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის» რექტორად.

1997 წელს დაამთავრა საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

2004 წელს დაამთავრა თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიის სკოლის ძირითადი საოფიცრო კურსები.

2009 წელს დაამთავრა ესტონეთის არმიის შუალედური სამეთაურო-საშტაბო კურსი.

2010 წელს დაამთავრა ბალტიის თავდაცვის კოლეჯის გაერთიანებული ძალების სამეთაურო და გენერალური შტაბის კურსი.

გარდა ამის, მას გავლილი აქვს სხვადასხვა კურსები – უკრაინაში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, გერმანიასა და ფინეთში.

2015 წელს დაამთავრა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი და მიენიჭა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მაგისტრის ხარისხი.

1993-2008 წლებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

2008 წელს მონაწილეობა მიიღო ერაყში მშვიდობისა და აღდგენის ოპერაციებში.

2012 წელს მონაწილეობდა ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ოპერაციაში (ISAF).

2015 წლიდან იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი.

2018 წლის 12 ივლისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,აფხაზეთის კონფლიქტის შიდა და გარე ფაქტორები“. მინიჭებული ქვს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხი.

არის ერთი მონოგრაფიისა და რამოდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორი.

დაჯილდოებულია ხუთი მედლით.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ბიბლიოგრაფია

1. Газ. «Кавказ» № 91 от 18 ноября 1862 года;
2. Газ. «Кавказ» № 11 от 7 февраля 1863 года;
3. Церковь юнкерского военного училища, ЦГА Грузии, Ф. 1256, оп. 1., ед. хр. 0,25, д. 8 (проект церкви,списки прихожан и юнкеров,приходно-расходные журналы (1896–1918);
4. Тифлисское военное училище, ЦГА Грузии, Ф. 1487, Оп. 1., Д. 10., ед. хр. 0,25, (списки офицеров и членов их семей), программы юбилейных вечеров, данные о администрации,описание училища с чертежами и планами) (1863–1918); Военно-исторический отдел Штаба Кавказского военного округа, ЦГА Грузии, Ф. 1087, оп. 3 (1863–1918);
5. «Положение об училищах военного ведомства на Кавказе», Тф., 1863;
6. Тарасенков В. «Памятка Тифлисского пехотного юнкерского училища – 1864–1900», Тф., 1900;
7. Памятка юнкерам Тифлисского военного училища. – Тф., 1915;
8. Сведения,обязательные для юнкера Тифлисского Великого Князя Михаила Николаевича военного училища, Тф., 1911, с. 14;
9. Первому выпуску Тифлисского юнкерского училища 25 лет (1867–1892), Тф., 1911 (фотоальбом);
10. Первый выпуск юнкеров 4-ой роты Великого князя Михаила Николаевича военного училища, Тф., 1911 (выпускной альбом);
11. История Тбилисского Краснознаменного артиллерийского училища им. 26-ти Бакинских Комиссаров, Тб., 1960;
12. Тбилисское высшее Краснознаменное, Тб., 1990;
13. Приказ Главного управления военно-учебных заведений РСФСР №193 от 20.8.1920 г. (Исторический формуляр ТВАКУ);
14. Приказ РВСР №2468/483 от 13.9.1920 (Исторический формуляр ТВАКУ);
15. Приказ РВС 11-ой армии 84/п от 14.4.1921 г. Исторический формуляр ТВАКУ;
16. Приказ РВСР №687/124 от 31.3.1921. Исторический формуляр ТВАКУ;
17. Исторический формуляр ТВАКУ, инв., №1193, лист 6;
18. Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193, лист 1;
19. Исторический формуляр ТВАКУ, инв. № 1193,1, лист 39. 1;
20. Приказ РВС СССР по личному составу №257, 1904 г.1 Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193. 1;
21. Приказ РВСР №500, 1926, Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193;
22. Архив музея ТВАКУ, дело 12, лист 171, 172;
23. Приказ РВС СССР №362 от 20.11.1929. Исторический формуляр ТВАКУ, инв. № 1193;
24. Приказ РВС СССР по л/с от 02. 04. 1927 №86, отношение КУ РККА № УН 12/191 от 20.07.1931, Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193;
25. Приказ РВС СССР по л/с №86 от 02.04.1927 г. Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193, Приказ 21 ТПШ №233 от 02.07.1924. Фонд музея ТВАКУ;
26. Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193;
27. (а). Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193;

28. Приказ НКО СССР №36 от 16.03.1937, Исторический формуляр, инв. №1193;
29. Альбом, Герои Советского Союза. Грузинская ССР Изд. «Хеловнеба». Тб., 1975, К. М. Плеснов, Люди высокого подвига. В. И. МО СССР, М., 1962, стр. 28–30;
30. Архив ТВАКУ. Исторический формуляр, инв. №1193, лист 64;
31. Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193;
32. Исторический формуляр ТВАКУ, инв. №1193. ТВАКУ, инв. №110;
33. Лушнов В. Юнкера Святого Георгия, Екатеринбург. Изд. «БУКЕР», 2017;
34. Заридзе Дж. Спешите делать добро господа, Тб., 2008;
35. Разин Е. А. История военного искусстваб в 3-х томах. М. Воениздат. 1955.
36. Военный энциклопедический словарью Пред. Гл. ред. Комиссии Н. В. Огарков. М. Воениздат. 1983.
37. Alan J. P. Taylor. The course of German History: a survey of the development of German history since 1815. Routledge. 2001.
38. Frederick Austin Ogg. Ph. D. The governments of Europe. New York. The Macmillan Company. 1918.
39. თავდაცვის ეროვნული აკადემია 15 წლისაა, 2008, თბ., თავი 1 (აკადემიის ისტორია), პოლკოვნიკ მ. გოგიტიძის სტ. „თბილისის იუნკერთა ქვეითი სასწავლებლიდან თავდაცვის ეროვნულ აკადემიამდე“, გვ. 16–25;
40. თავდაცვის ეროვნული აკადემიის შრომები, № 3, 2011, თბ., პოლკოვნიკ მ. გოგიტიძის სტ. „ტფილისის იუნკერთა ქვეითი სასწავლებლიდან დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიამდე“, გვ. 159–170;
41. ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკრები, თბ., 1990;
42. მ. თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბ., 1990;
43. გენერალი გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი, თბ., 1990;
44. ,,მხედარი“ (ჟურნ.) №1–1991 (გენერალ ა. ჩხეიძის ,,მოგონებანი სამხედრო სკოლაზე“);
45. ,,მხედარი“ (ჟურნ.) №1–1993 (ზ. სარალიძის სტატია ,,საქართველოში არსებული სამხედრო სასწავლებლების ისტორია“);
46. ,,ახალი ჟურნალი“ თბ., №1–2–2003 (ს. მოსიძის სტატია ,,კიდევაც დაიზრდე-ბიან“);
47. ,,თბილისი“ (ენციკლოპედია), თბ., 2002 (მ. წურწუმიას სტატია ,,კოჯორ-ტაბახ-მელას ბრძოლა 1921 წელს“);
48. მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი – სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015. /მთ. რედ. პოლკოვნიკი მ. სამხარაძე, გამომც. ,,სვეტი+“;
49. ოთარ ჯანელიძე: ,,ახალი მასალა ქართული სამხედრო სკოლის ისტორიის-თვის“;
50. იუნკრების – მათიკაშვილისა და დადიანის მოგონებები;
51. იუნკრების ორგანო ,,მხედარი“ და 1920–1921 წლების პრესა;
52. პოლკოვნიკ ა. ჩხეიძის მოგონებები;
53. ა. მიქაბერიძე: ,,პოლკოვნიკ ნიკოლოზ თოხაძის ცხოვრება და კარიერა 1901–1975“ (ინგლ.).
54. ლელა ჯიყაშვილი. პირველი იუნკერი, რომელიც ბოლშევიკებს შეაკვდა... https://www.kvirispalitra.ge/history/6836-pirveli-iunkeri-romelic-bolshevikebs-sheakvda. html
55. არჩილ ჩაჩხიანი. ქართველი იუნკრები – ეტიმოლოგია, სასწავლო პროცესი და პირადი შემადგენლობა საარქივო დოკუმენტებში. ,,ახალი და უახლესი

ისტორიის საკითხები”. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი”. თბილისი. 2(13) 2013.

56. არჩილ ჩაჩხიანი. ერთი უცნობი მემუარი ქართველი იუნკრების შესახებ. ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი”. თბილისი. 1 (14). 2014.
57. არჩილ ჩაჩხიანი. ისევ ქართველი იუნკრების შესახებ _ ,,...მოვიდეს აქ ლენინი, ფილიპე მახარაძე და დაიჩოქონ ამ დროშის წინაშე!!!...”. ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი”. თბილისი. 2 (15). 2014.
58. არჩილ ჩაჩხიანი, ნიკოლოზ ჯანჯღავა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის შექმნის სამართლებრივი ასპექტები. ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი”. თბილისი. 1 (20). 2017.
59. ნიკოლოზ მათიკაშვილი. იუნკრები და სხვები. შემდგენელ-რედაქტორი ლალი ცომაია. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი. 2016.
60. ალექსანდრე ჩხეიძე. სამხედრო სკოლა. არჩილ ჩაჩხიანის რედაქციით. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამსახური. თბილისი. 2018.

რეზიუმე

ნაშრომში ქრონოლოგიურადაა წარმოდგენილი თბილისის სამხედრო სასწავ-ლებლის 155-წლიანი ისტორია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეტად საჭირო ნაშრომი განკუთვნილია პირველ რიგში დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკრებისა და გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა ლიცეუმის მსმენელების-თვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისთვის, პროფესიონალი ისტორიკოსებისა და იმ პირებისთვის, ვისაც აინტერესებს საქართველოსა და ქართველი ერის სამხედრო ისტორია. ქართველი ხალხის საბრძოლო დიდების ფურცლები სამზეოზე უნდა გამოვიტანოთ, რითაც, უდავოა, საკუთარ წვლილს შევიტანთ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სწავლებისა და ცოდნის გაღრმავების საქმეში, გარკვეულ სამსახურს გავუწევთ ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის, სამხედრო ისტორიის მკვლევრებს.

ნაშრომში ქრონოლოგიურადაა წარმოდგენილი უძველესი სამხედრო სასწავლებლის 155-წლიანი ისტორია, განხილულია სხვადასხვა დროს ტფილისში (თბილისში) არსებული სამხედრო სასწავლებლის ევოლუცია ქრონოლოგიური ჩარჩოების მიხედვით 1862–1917, 1917–1918, 1919–1921, 1921–1992 წლებში და 1993 წლიდან დღემდე.

Resume

The work is chronologically represented 155-year history of ancient military school in Tbilisi.

It should be noted that this work is intended primarily for professional academicians and professionals who are interested in the development of LEPL David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia and Giorgi Kvinitadze Cadets Lyceum Listeners, for a wide range of readers, professional historians and those who are interested in Georgia and Georgian History. We need to take the paper of Georgian folk papers on three times, thus we will contribute to the teaching of the Georgian Army's personal knowledge, and we will provide a certain service to all interested people, including the researchers of the multinational history.

The 155-year history of the ancient military school is presented in chronological order, and is discussed at different times in the evolution of military school in Tbilisi in 1862–1917, 1917–1918, 1919–1921, 1921–1992 years and from 1993 till today.

UDC (უაკ) 94(479.22)„1921.02”+355.23(479.22)+378.635.5(479.22)
გ-603

წიგნი გამოცემულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამხედრო კადრების სამჭედლო

(თბილისის სამხედრო სასწავლებლის ისტორია 1862 წლიდან დღემდე)

ავტორები: ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი **მამუკა გოგიტიძე**
სოციოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ზაზა ჯაფარიძე**

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე: გენერალ-მაიორი **ვლადიმერ ჩაჩიბაია**
სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე: სამართლის დოქტორი
ნუკრი გელაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი: თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი
არჩილ ჩაჩხიანი

გამოცემის რედაქტორი: ქეთევან ოსეფაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი ნოდარ ხორბალაძე
ტექნიკური ჯგუფის უფროსი: ვიცე-პოლკოვნიკი დავით ჩოგოვაძე
სტილისტი: თინათინ პავლიაშვილი
დამკაბადონებელი: თამილა გუბელაძე
დიზაინერი: ვახტანგ ონიანი

© საავტორო უფლებები დაცულია. Copyrights reserved.

ISBN 978-9941-8-0435-9

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის
ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის
ტოპოგრაფიული სამსახური

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20
ტელ.: +995 32 91-19-83
ფაქსი: +995 32 91-19-83
ტირაჟი 500

თბილისი
2018

ISBN 978-9941-804-35-9

9 789941 804359